

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო ჯიმშერის ასული ოსაძე

ტრანსნაციონალური დანაშაულობის ეკონომიკურ ფორმებთან ბრძოლის  
პრობლემები

დისერტაცია წარმოდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გიორგი თოდრია

სამართლის დოქტორი,

სრული პროფესორი

თბილისი

2015

## შინაარსი

შესავალი	4
თავი I. ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის კრიმინოლოგიური ცნება	
§1. ტრანსნაციონალური დანაშაულობის თავისებურებები	13
§2. ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის კრიმინოლოგიური კლასიფიკაცია	33
თავი II. ტრანსნაციონალური დანაშაულობის ძირითადი ეკონომიკური ფორმების კრიმინოლოგიური დახასიათება	
§1. ფულის გათეთრების ტრანსნაციონალური ხასიათი	38
§2. ხელოვნების ნაწარმოებების და კულტურის საგნების ქურდობის ტრანსნაციონალური ხასიათი	45
§3. ინტელექტუალური საკუთრების ქურდობის ტრანსნაციონალური ხასიათი	51
§4. იარაღით უკანონო ვაჭრობის ტრანსნაციონალური ხასიათი	58
§5. თაღლითობის ტრანსნაციონალური ხასიათი	66
§6. ადამიანებით ვაჭრობის ტრანსნაციონალური ხასიათი	85
§7. ნარკობიზნესის ტრანსნაციონალური ხასიათი	102

§8. კონტრაბანდის ტრანსნაციონალური ხასიათი ----- 110

თავი III. ტრანსნაციონალური დანაშაულობის ეკონომიკური ფორმების პრევენციის საერთო სამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემები

§1. ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის შიგასახელმწიფოებრივი სამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემები ----- 118

§2. საერთაშორისო თანამშრომლობის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემები ----- 123

თავი IV. ტრანსნაციონალური დანაშაულობის ძირითადი ეკონომიკური ფორმების პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები

§1. ფულის გათეთრების პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები ----- 135

§2. ხელოვნების ნაწარმოებების და კულტურის საგნების ქურდობის პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები ----- 189

§3. ინტელექტუალური საკუთრების ქურდობის პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები ----- 195

§4. იარაღით უკანონო ვაჭრობის პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები ----- 205

§5. ტრანსნაციონალური თაღლითობის პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები ----- 209

§6. ადამიანებით ვაჭრობის პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები ----- 212

§7.	ნარკობიზნესის	კონტროლი	პრევენციის	სამართლებრივი	და
	კრიმინოლოგიური	ასპექტები			233
§8.	კონტრაბანდის	კონტროლი	პრევენციის	სამართლებრივი	და
	კრიმინოლოგიური	ასპექტები			239
	დასკვნა	და	რეკომენდაციები		243
	ბიბლიოგრაფია				259

## შესავალი

### თემის აქტუალობა

მსოფლიოში დანაშაულის განვითარება არახელსაყრელი ტენდენციებით ხასიათდება. არასრული მონაცემების თანახმად, რომლებითაც საერთაშორისო თანამეგობრობა ხელმძღვანელობს, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მსოფლიოში დარეგისტრირდა დანაშაულის 500 მილიონი შემთხვევა. საერთაშორისო კრიმინოლოგიური კვლევები აჩვენებს, რომ ბოლო 30-40 წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოში დანაშაულმა საშუალოდ 3-4-ჯერ იმატა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე – 6-8-ჯერ, აშშ-ში – 7-8-ჯერ, დიდ ბრიტანეთსა და შვედეთში – 6-7-ჯერ, საფრანგეთში – 5-6-ჯერ, გერმანიაში – 3-4-ჯერ, იაპონიაში კი – 1,5-2-ჯერ. მსოფლიო დანაშაულის ზრდის ტენდენციები ახლო მომავალშიც შენარჩუნდება: მისი ზრდის ტემპი, დაწყებული XX საუკუნის 80-იანი წლებიდან, ყოველწლიურად საშუალოდ 5%-ით უსწრებს მოსახლეობის რაოდენობას.

დანაშაულის გლობალური გავრცელების ერთ-ერთი შედეგია მისი მასობრივი ინტერნაციონალიზაცია. ჯერ კიდევ გაეროს დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მუ-8 კონგრესზე (ჰავანა, 1990 წლის სექტემბერი) აღინიშნებოდა, რომ დანაშაული პრაქტიკულად ყველგან სცდება ეროვნულ ფარგლებს, აფერხებს ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. კრიმინოლოგები ადასტურებენ, რომ ტრანსნაციონალური დანაშაულის მაღალი დონე ძირითადად ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის, მათი ეკონომიკური განვითარების მკვეთრი განსხვავებების გამო ნარჩუნდება. განსაკუთრებით საშიშია ეკონომიკური ტრანსნაციონალური დანაშაული.

ფულის გათეთრებას, ხელოვნების ნაწარმოებების ქურდობას, ადამიანებით ვაჭრობას, ნარკობიზნებს, კონტრაბანდას და სხვა ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ დანაშაულებს სჩადიან ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებები, რომლებსაც განშტოებული სტრუქტურა აქვთ და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მოქმედებენ. მოცემულ ტრანსნაციონალურ ფორმირებებს შორის გაეროს ექსპერტები გამოყოფენ დაჯგუფებებს, რომლებიც ყიდიან იარაღს, ვაჭრობენ მოპარული მანქანებით, ეწევიან საქონლის კონტრაბანდას, სათამაშო ბიზნესს, რეკეტულ საქმიანობას, სჩადიან დაკვეთილ მკვლელობებს, ნარკოდანაშაულს და ა. შ. მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ არის გარანტირებულად დაცული ტრანსნაციონალური ეკონომიკური დაჯგუფებების შემოჭრისგან. მსოფლიო სისტემაში ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულის ტრანსნაციონალური ინტეგრაციის მასშტაბი პრობლემის სპეციალური გადახედვის აუცილებლობას იწვევს.

საერთაშორისო დოკუმენტებში, სპეციალურ კრიმინოლოგიურ კვლევებში ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაული ვრცლად განიხილება. მოცემულ პრობლემას რეგულარულად ეძღვნება გაეროს დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების თითქმის ყველა კონგრესი. მიუხედავად ამისა, ტრანსნაციონალური დანაშაულობის პრევენციისადმი მიდგომის ერთიანი პოზიცია დღემდე არ არსებობს. სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკურ-კულტურული ფაქტორები უარყოფითად მოქმედებენ საერთო პოზიციის შემუშავებაზე, რაც თავს იჩენს რეკომენდაციათა წინააღმდეგობის მოყვანასა და დაქსაქსულობაში.

პრობლემისადმი განსაკუთრებულ ინტერესს ქართული სამართალდამცავი ორგანოები და კრიმინოლოგებიც ავლენენ. ეს შემთხვევით არ ხდება: საქართველო, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, ყოველთვის დგას კრიმინალურ დაჯგუფებათა შემოჭრის საფრთხის წინაშე. მეორე მხრივ, ოკუპირებული ტერიტორიები, ასევე რუსეთთან კონფლიქტური დამოკიდებულება, პირდაპირ უწყობს ხელს ქვეყანაში რეალური საფრთხის არსებობას. მაგრამ ქართულ კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში ზემოაღნიშნულ საკითხს ძირითადად ეძღვნება სტატიები, რომლებიც კრებულებშია გამოქვეყნებული. ამიტომ ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ დანაშაულობასთან ბრძოლის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური საკითხები ფაქტიურად არაა დამუშავებული.

ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის პრობლემა არსებითად სცდება მოცემული კვლევების ფარგლებს. ნათელია, რომ საქართველოსთან მიმართებით ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის საშიშროების გაგებისათვის აუცილებელია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაგროვებული გამოცდილების შესწავლა. იმისათვის, რომ ქვეყანამ შეძლოს მოცემული დაავადების სიმპტომთა დროული დიაგნოსტირება, საჭიროა მისი ცოდნა. სწორედ ამიტომ უნდა განხორციელდეს ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულის მონოგრაფიული ანალიზი. შესაბამისად მიღებული დასკვნების საფუძველზე უნდა იყოს შემუშავებული რეკომენდაციათა სისტემის ერთიანი მოდელი, რომელიც უნდა პასუხობდეს გაეროს მოთხოვნებს და საერთაშორისო სტანდარტებს.

## კვლევის საგანი და ობიექტი

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაული; მისი ფორმები; საერთო და სპეციფიკური თვისებები; მათი მიზეზების ანალიზი; ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ დანაშაულთან დაკავშირებული ბრძოლის პრაქტიკა.

კვლევის ობიექტია:

1. ტრანსნაციონალური დანაშაულობის კრიმინოლოგიური ცნება;
2. ტრანსნაციონალური დანაშაულობის კრიმინოლოგიური კლასიფიკაცია;
3. ფულის გათეორების ტრანსნაციონალური ხასიათი;
4. ხელოვნების ნაწარმოებების და კულტურის საგნების ქურდობის ტრანსნაციონალური ხასიათი;
5. ინტელექტუალური საკუთრების ქურდობის ტრანსნაციონალური ხასიათი;
6. იარაღით უკანონო ვაჭრობის ტრანსნაციონალური ხასიათი;
7. თაღლითობის ტრანსნაციონალური ხასიათი;
8. ადამიანებით გაჭრობის ტრანსნაციონალური ხასიათი;
9. ნარკობიზნების ტრანსნაციონალური ხასიათი;
10. კონტრაბანდის ტრანსნაციონალური ხასიათი;

11. ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის შიგასახელმწიფოებრივი სამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემები;
12. საერთაშორისო თანამშრომლობის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემები;
13. ტრანსნაციონალური დანაშაულობის ძირითადი ეკონომიკური ფორმების პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები.

### კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანია ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის კრიმინოლოგიური ცნების განსაზღვრა; ტრანსნაციონალური დანაშაულობის ეკონომიკური ფორმების პრევენციის საერთო სამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემების აღწერა და ახსნა.

### კვლევის ამოცანებია:

- გაეროს მიერ დადგენილი ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის ფორმების კლასიფიკაციის გავრცობა, საკითხის ღრმა კვლევის მიზნით;
- ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის ძირითადი სახეების (ფორმების) მდგომარეობისა და მიზეზების დადგენა;
- ტრანსნაციონალური დანაშაულობის ეკონომიკური ფორმების პრევენციის საერთო სამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემების გამოკვეთა;
- ტრანსნაციონალური დანაშაულობის ძირითადი ეკონომიკური ფორმების პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტების დადგენა.
- კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემთა საფუძველზე სამართლებრივად და კრიმინოლოგიურად მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შემუშავება.

### კვლევის მეთოდები

დისერტაციაში გამოიყენება ანალიტიკური მეთოდი, რომელიც შეესაბამება კრიმინოლოგიურ თეორიის მოთხოვნას. ამის საფუძველზე, თავდაპირველად დგინდება ტრანსნაციონალური დანაშაულობის ეკონომიკური ფორმების მდგომარეობა და აღწერილია მათი მიზეზები. შესაბამისად განიხილება ტრანსნაციონალური დანაშაულობის ძირითადი ეკონომიკური ფორმების

პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური საკითხები. თავის მხრივ ანალიტიკური მეთოდი მოიცავს როგორც დედუქციურ, ისე ინდუქციურ მიდგომას საკითხისადმი. დედუქციის მეთოდი ძირითადად გამოიყენება ტრანსნაციონალური დანაშაულობის ეკონომიკური ფორმების პრევენციის საერთო საკითხების დახასიათებისას. ხოლო ძირითადი ეკონომიკური პრევენციის ფორმების სამართლებრივი და კრიმინოლოგიური საკითხების დეტალურ განხილვას საფუძვლად უდევს ინდუქციური მეთოდი.

დისერტაციაში გამოიყენება პრობლემატიკის კვლევის შედარებითი სამართლებრივი მეთოდი, რომლის მეშვეობით დგინდება საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული პრევენციის სისტემების თავისებურება. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამართლებრივი საკითხების განხილვას, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნორმატიულ ლოგიკურ მეთოდებს, რაც ხელს უწყობს კანონმდებლობის თავისებურების დადგენას და ნორმების დახასიათებას. თემაში წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულ მიდგომას, რათა იყოს გამოვლენილი სამართლებრივი პოლიტიკის მიმართულებები და მათთან კრიმინოლოგიური რეკომენდაციების შესაბამისობაში მოყვანის საკითხი.

## კვლევის სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა

1. ტრანსნაციონალური დანაშაულობის არაერთგვაროვანი გაგების დაძლევის მიზნით გამოყოფილია გაეროს (ნეაპოლი, 1993 წ.) მიერ საკითხისადმი შემუშავებული მიდგომა, რომლის თანახმად ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაული არის ჩრდილოვანი ეკონომიკური საქმიანობის ფორმა, რომელიც ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო საშუალებებით, მუქარისა და ფიზიკური ძალის, გამოძალვის, კორუფციის, შანტაჟის და იძულების სხვა მეთოდების გამოყენებით, აგრეთვე აკრძალული საქონლისა და მომსახურების მოზიდვით.

აღნიშნული მიდგომის საფუძველზე, დეტალურად განიხილება ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის ნიშნები: 1) ანგარება; 2) მისი პროფესიული საქმიანობის პროცესში განხორციელების შესაძლებლობა; 3)

ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფილი სუბიექტების მიერ  
სამართლებრივი ფორმების გამოყენებით ჩადენა; 4) მსხვერპლთა დიდი მასშტაბი;  
5) ვიქტიმიზაციის პროცესის ძირითადად მსხვერპლისგან ფარულად წარმოება; 6)  
მრავალსუბიექტურობა (იურიდიული და ფიზიკური შემსრულებლები); 7)  
სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესებისათვის, აგრეთვე კერძო მეწარმეთა და  
მოქალაქეთა ინტერესებისათვის მიყენებული ზარალი; 8) არაერთგზის ხასიათი,  
ეკონომიკური დანაშაულის ჩადენის შედეგად მატერიალურ ფასეულობათა  
გადანაწილება; 9) სისტემატური ხასიათი; 10) ლატენტურობის მაღალი დონე.

რეკომენდაციების შემუშავებაში მათი განზოგადოების საფუძველზე  
შესაძლებელი ხდება არსებული უსისტემობის დაძლევა და დონისძიებათა  
კოორდინაციის თანმიმდევრული განხორციელება. ამ მიმართულებით,  
დადგენილია ზოგადი და სპეციალური ხასიათის ზომები.

ზოგადი ხასიათის ზომები მოიცავენ სამართალდამცავი ორგანოების  
საქმიანობის სამართლებრივ და მეთოდურ უზრუნველყოფას; იმ ქვეყნებთან  
ურთიერთობების მექანიზმის ფორმების მოძიებას, ვისთანაც არ არსებობს  
სამართლებრივი ურთიერთდახმარების ხელშეკრულებები; ოპერატიულ–  
საგამოძიებო საქმიანობის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის  
გამყარებას.

პრევენციის ხასიათის სპეციალური ზომები უნდა მოიცავდნენ  
ტრანსნაციონალური დანაშაულის სისტემის აგებას, რომელიც დაეფუძნება  
ქვეყნების კოორდინაციის პრინციპს, გაეროს ეკონომიკური და სოციალური  
საბჭოს დაქვემდებარებულ დანაშაულობის პრევენციისა და სისხლის  
სამართლის მართლმსაჯულების პრევენციის კომისიების მუშაობის  
გაძლიერებას; შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესახებ ინფორმაციის  
პერიოდული შეკრებისა და გავრცელების კომპლექსური სისტემის შექმნას.

2. ტრანსნაციონალური ეკონომიკურ დანაშაულობასთან ბრძოლის  
სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კრიმინოლოგიური ზომების შემუშავების  
მიზნით აუცილებელია:

- ფულის ტრანსპორტაციური გათეთრებასთან ბრძოლის შიდა რეგულირების რეჟიმისა და ზედამხედველობის დაწესება ბანკებსა და სხვა საფინანსო დაწესებულებებზე, მათ შორის, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზეც, რომლებიც ახორციელებენ ფულადი სახსრების გადარიცხვასთან დაკავშირებულ ოფიციალურ და არაოფიციალურ მომსახურებას, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ფულის გასათეთრებლად განსაკუთრებით მიმზიდველ სხვა ორგანოებზეც. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ასევე მარეგულირებელი დებულებების მიღებას, რომლებიც ადმინისტრაციული და პრევენციული ზომების გზით იძლევა უკანონო შემოსავლების ფლობისა და დამალვის აღკვეთის საშუალებას. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ფინანსური დაწესებულებების მუშაობის კონტროლის ადმინისტრაციული ზომების დახვეწა. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ქონების ჩამორთმევას კორუფციასთან დაკავშირებულ ყველა საქმეში, თუმცადა ცნობილია, რომ ამ მექანიზმის პრაქტიკული გამოყენება უმნიშვნელოა და საჭიროა ქონების იდენტიფიკაციისა და ამოღების პროცედურების შემდგომი სრულყოფა. ასევე აუცილებელია საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარების გარკვეულწილად გაუმჯობესება კორუფციული დანაშაულების გამოძიებისა და მის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში.
- ფასულობების და ხელოვნების საგნების ნაციონალური ინგენტარიზაცია; კონფლიქტის პერიოდში დაზიანებისაგან და ნგრევისაგან, ქურდობისაგან, ძარცვისაგან, ვანდალიზმისგან, ნებისმიერი რეპრესიული ზომებისაგან ამ ფასეულობათა დაცვის საერთაშორისო გარანტიების შემუშავება; სისტემური მიდგომა მოქალაქის თხოვნისადმი, რომელმაც განცხადებით მიმართავს საქართველოს შესაბამის ორგანოებს, რათა მათ კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად მხარდაჭერა აღმოუჩინონ საზღვარგარეთ უკანონოდ გატანილი ან უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკანონო მფლობელობაში მყოფი კულტურული ფასეულობის საქართველოში დასაბრუნებლად; დაინერგოს საზოგადოების რეგულარული ინფორმირება საქართველოს ინტერპოლაციის თანამშრომლობის შესახებ.

- დაიხვეწოს ინტელექტუალური საკუთრების მანიშნებელი ატრიბუტიკის (ნიშნის და სხვ.) გაყალბებასთან ბრძოლის პრაქტიკა; მნიშვნელოვანი როლი მიენიჭოს ექსპერტიზის დახვეწის საკითხს; საზოგადოების ინფორმირება ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი რეგულირების საკითხების გადაწყვეტის შესახებ. მნიშვნელოვანი როლი მიენიჭოს ქონებრივი, არაქონებრივი და მომიჯნავე უფლებების დაცვის საკითხებს,
- ისეთი პრევენციული ზომების ჩატარება, რომლებიც უშუალოდ მიმართულია იარაღით ტრანსნაციონალური უპარონო ვაჭრობის შვი ბაზარის პირობების აღმოფხვრისაკენ, კერძოდ: იარაღის კონტრაფაქტული წარმოების არდაშვების ზომების მიღება; შეიარაღების ჭარბი მარაგის (პირველ რიგში იარაღის და საბრძოლო მასალის) განადგურება საერთაშორისო კონტროლის ქვეშ; საერთაშორისო მონიტორინგის დაწესება რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, რათა იქ შეწყდეს ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფერებისა და ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა ან გასაღება.
- თაღლითობის ჩამდენ პირთა პენიტენციარული კონტროლის ინფორმაციულ-მეთოდური უზრუნველყოფის განვითარება; კადრების მომზადების სისტემის სრულყოფა სამართალდამცავი ორგანოებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ კომპეტენცია თაღლითობასთან ბრძოლის სფეროში, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში ჩადენილი თაღლითობის სპეციფიკას; შემუშავდეს საქართველოში ტრანსნაციონალურ თაღლითობასთან ბრძოლის კონცეფცია.
- სსკ-ს 143<sup>1</sup>-ე მუხლის პირველ ნაწილში დაზუსტდეს იურიდიულად ბუნდოვანი ტერმინი “ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა”, რადგან ეს დეფინიცია სირთულეებს უქმნის საგამოძიებო ორგანოებს სწორი კვალიფიკაციის მიცემისა და დამნაშავისათვის ბრალდების წაყენებისას; დაიხვეწოს სსკ-ს

143<sup>1</sup>-ე მუხლი, სადაც არაა გათვალისწინებული ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის მოთხოვნა, რომლის რეკომენდაციითაც ტრეფიკინგი უნდა განიხილებოდეს, როგორც ტრანსნაციონალური დანაშაული, რომელიც საფრთხეს უქმნის ნორმალურ საერთაშორისო ურთიერთობებსა და ადამიანის უფლებების დაცვას. საკითხის ასეთი გადაწყვეტა ქმედების სუბსუმციისას აუცილებელ პირობად გაითვალისწინებს დაზარალებულის გადაყვანას ან ტრანზიტს სხვა ქვეყანაში ან წარმოშობის ქვეყნის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე (მაგალითად საქართველოსვის აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში). ამავე მიმართულებით საჭიროა დაზუსტდეს არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი, რადგან სსკ-ს 143<sup>2</sup>- მუხლი იმეორებს სსკ-ს 143<sup>1</sup>-ე მუხლის ნაკლს. აუცილებელია დაიხვეწოს ტრეფიკინგთან ბრძოლის ინფორმაციულ-ორგანიზაციული ბაზა ქართველ კრიმინოლოგთა რეკომენდაციების გათვალისწინებით.

- გაძლიერდეს სოციალური კონტროლისა და რეაბილიტაციის ღონისძიებათა სისტემა ნარკოტიკული საშუალებების არალეგალური წარმოებასა და მოხმარებასთან ბრძოლის პროცესში. სოციალური კონტროლის გაძლიერების მიზნით საჭიროა საკანონმდებლო გზით დანაშაულობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის აქტიურობის საკითხების მოწესრიგება.
- აუცილებელია მნიშვნელოვანი როლი მიენიჭოს წარმოებებში აღრიცხვის განხორციელების მოთხოვნას ტრანსნაციონალური კონტრაბანდის ბრძოლის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კრიმინოლოგიური ზომების შემუშავების მიზნით. ამ მიმართულებით აუცილებელია კონტროლის გაძლიერება, რათა საქონელი ლეგალურად იქნას მიწოდებული ბაზარზე, დანიშნულების ადგილზე ასევე საჭიროა ფართო მასშტაბიანი კომპიუტერიზებული კონტროლის სისტემების დახერგვა, რათა სახელმწიფომ შეასრულოს და გააანალიზოს შესაძლო რისკი ნაწარმის თითოეული პარტიის მარშრუტზე გაშეების წინ. მნიშვნელოვანია, რომ ექსპორტიორებმა გააფორმონ საბაჟო გირავნობის საბუთები საქონლის მიწოდებაზე, რომლებიც დაიხურება მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ პარტიამ მიაღწია თავის დანიშნულების პუნქტს. ასევე ეფექტურია გადასახადების ზომიერი განაკვეთის და საბაჟო მოსაკრებლის დაწესება. კონტრაბანდასთან ბრძოლაში აუცილებელია ნარკობიზნების ტრანსნაციონალური კავშირების დადგენისა და აღმოფხვრის პროცედურის გადაწყვეტა.

## დისერტაციის აპრობაცია

დისერტაციის აპრობირება შესრულდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში. ნაშრომის კვლევის შედეგები გადმოცემულია 4 (ოთხ) სამეცნიერო სტატიაში, რომლებიც გამოქვეყნებულია რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში. კვლევის ძირითადი დებულებები მოწონებულია უნივერსიტეტის საექსპერტო-შემფასებელი კომიტეტის მიერ.

## დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა განპირობებულია განხორციელებული კვლევის მიზნებითა და ამოცანებით. დისერტაცია შეადგენს დადგენილი სტანდარტებით ნაბეჭდ 286 გვერდს. იგი შედეგება შესავლის, ოთხი თავის, მათი შემადგენელი ოცი პარაგრაფისა და დასკვნისაგან. ნაშრომს ერთვის ბიბლიოგრაფია (გამოყენებული ლიტერატურის სია).

## თავი I

### ტრანსნაციონალური დანაშაულობის და კრიმინოლოგიური ცნება

#### §1. ტრანსნაციონალური დანაშაულობის თავისებურებები

1. ტრანსნაციონალური დანაშაულობის კრიმინოლოგიური ცნების განსაზღვრა. ბოლო ათწლეულებში ტრანსნაციონალური დანაშაულობის გენეზისმა ორი

ურთიერთგანპირობებული ტენდენცია გამოავლინა – ორგანიზებული დანაშაულის „ეკონომიკიზაცია“ და ეკონომიკური დანაშაულის ორგანიზებულობის დონის ამაღლება, რაც პრინციპულად ახალი ასოციაციური მოვლენის, ორგანიზებული და ეკონომიკური დანაშაულის განვითარებული ფორმების სიმბიოზის – ორგანიზებული ეკონომიკური დანაშაულის, წარმოშობის მიზეზი გახდა.

ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს ჰიპერტოფიული ზრდის ტენდენცია ახასიათებს და საფრთხეს უქმნის ნებისმიერი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. იგი არა მარტო აფართოებს თავის საქმიანობას, არამედ ანგრევს საზოგადოების ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას და ემუქრება სახელმწიფო უშიშროებას, დემოკრატიული რეფორმების რეალიზაციას, პირველ რიგში, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რომელთაც საქართველოც განეკუთვნება.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის გლობალურმა და აგრესიულმა ხასიათმა საერთაშორისო საზოგადოება აიძულა, მთელი ძალისხმევა ამ ნეგატიური მოვლენის პრევენციის მქანიზმების შემუშავებისა და მასთან ბრძოლისკენ მიეპყრო, რადგან მისგან არც ერთი სახელმწიფო და რეგიონი არ არის დაზღვეული.

ქართველ მეცნიერთა მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ტრანსნაციონალური დანაშაული არ არის „ტრადიციული“ ორგანიზებული დანაშაულის ახალი ნაირსახეობა. იგი დანაშაულებრივი საქმიანობის თვისებრივად ახალი ტიპია, რომელიც დამნაშავეთა ორგანიზებულ სტრუქტურებს შესაძლებლობას აძლევს, დაემუქრონ სახელმწიფოების სტაბილურობას, ხელი შეუშალონ მათ ეკონომიკურ განვითარებას, დანერგონ კორუფციული ურთიერთობები, დაბლოკონ დემოკრატიული ინსტიტუტები და ამით მოახდინონ ძლევამოსილების და ხელშეუხებლობის დემონსტრირება.

როგორც ყველა სხვა სოციალურ მოვლენას, ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულსაც აქვს მახასიათებელი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს ამ ფენომენის ძირითადი პარამეტრები და პარადიგმები (2. 196).

უპირველეს ყოვლისა, განვსაზღვროთ ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაული. ადსანიშნავია, რომ, სამეცნიერო სფეროში ფართო გამოყენების მიუხედავად, „ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის“ საყოველთაოდ მიღებული ცნება ჯერ არ არის შემუშავებული. არ არის განსაზღვრული ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის რაობა, რაც ზღუდავს მოცემულ მოვლენასთან ბრძოლის კანონმდებლობის სრულყოფისა და უნიფიკაციის მიზნით კონსტრუქციული დიალოგის შესაძლებლობებს. მეორე მხრივ, თავად მოვლენის სირთულე, ეკონომიკურ სფეროში კრიმინალური პრაქტიკის დინამიკური ცვლილება, მნიშვნელოვანი ეროვნული განსხვავებები, მეთოდოლოგიითა და პიროვნული თავისებურებებით განპირობებული კვლევის ხერხების პლურალიზმი არ იძლევა ამოცანის საბოლოოდ გადაწყვეტის შესაძლებლობას. ეს კი დაკავშირებულია არა სამეცნიერო მექანიზმების არასრულყოფილებასთან, არამედ თავად პრობლემის ბუნებასთან.

ამ პრობლემის მეორე ასპექტია ის, რომ მოცემული სფეროს სრულად და ადეკვატურად აღწერა შეუძლებელია, თუ არ დავეყრდნობით გარკვეულ აპრიორულ დაშვებებს, რომელთა არჩევაც ისევ პიროვნული ფაქტორებითა და მეთოდოლოგიური ტრადიციებით არის განპირობებული.

თავდაპირველად „ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ დანაშაულში“ მხოლოდ ქონებრივი დანაშაული იგულისხმებოდა. სამართლებრივი მეცნიერება ადეკვატურად ვერ ასახავდა კრიმინალური პრაქტიკის უახლეს ტენდენციებს.

ამასთანავე, როგორც უკვე XIX საუკუნის 60-იან წლებში ამ პრობლემატიკის სფეროში ერთ-ერთი წამყვანი ფრანგი გამომძიებელი, მ. პატენი, თავის ნაშრომში „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი და სისხლის სამართლის კანონმდებლობა ბიზნესის სფეროში“ (1861 წ.) აღნიშნავდა, მოცემული საკითხები იმდენად დამკვიდრდა მეცნიერებაში, რომ თითქმის პირველი ადგილი დაიკავა. ის ასახელებდა, კერძოდ, საკითხებს, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გადაწყვეტილიყო: 1) ეკონომიკური დანაშაული (მათ შორის, დანაშაული მეწარმეობის სფეროში); 2) მოცემულ სფეროში სისხლის სამართლის (მათ შორის, საგადასახადო სისხლის სამართლის) რეგულირება; 3) მეწარმეთა (მათ შორის, გადასახადების გადამხდელთა) სისხლისსამართლებრივი დაცვა; 4)

მეწარმეთა (მათ შორის, გადასახადების გადამხდელთა) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

უკვე იმ დროს წამყვანი სპეციალისტები ექონომიკური დანაშაულის პრობლემას აღიქვამდნენ მომავლის მასშტაბურ სოციალურ პრობლემად, რომელიც აუცილებლად გადასაჭრელი იქნებოდა.

ტრანსნაციონალური ექონომიკური დანაშაულობის პრობლემების კვლევის უმთავრესი ეტაპი იყო კრიმინოლოგის, ე. საზერლენდის, შრომა, რომელმაც პირველმა წამოიწყო კორპორაციების დანაშაულთა სისტემატური გამოძიება. მის მიერ შექმნილმა კრიმინოლოგიურმა კონცეფციამ მძლავრი იდეური გავლენა მოახდინა ამ აქტუალური პრობლემის შემდგომ გაგებაზე. მასში ყურადღება გამახვილებული იყო იმ გარემოებაზე, რომ ყველაზე საშიში ეკონომიკური დანაშაულის სუბიექტები არიან ბიზნესის სფეროში მაღალი სოციალური მდგომარეობის მქონე პირები, რომლებიც პროფესიული საქმიანობის პროცესში იურიდიული პირებისა და საკუთარი ინტერესებისთვის სჩადიან დანაშაულს. ტერმინი „თეორსაყელოიანი დანაშაული“ საკმაოდ ზუსტად ასახავს მისი კონცეფციის ამ თავისებურებას.

ე. საზერლენდის „თეორსაყელოიანი დანაშაულის“ კონცეფციაზე დაყრდნობით ტრანსნაციონალურ ექონომიკურ დანაშაულს „კორპორაციების დანაშაულის“ ფორმულირება მიეცა.

მსგავსი მიდგომის შეზღუდულობა იმასთანაა დაკავშირებული, რომ ეკონომიკური დანაშაულს მხოლოდ საწარმოს სახელით და მისი ინტერესებისთვის არ სჩადიან. ზოგიერთ ქმედიანაში დღემდე არ არსებობს იურიდიული პირების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. მეორე მხრივ, იურიდიული პირების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმები საკმაოდ განსხვავებულია.

ე. საზერლენდის კონცეფციის განვითარების პროცესში და კრიმინალურ პრაქტიკაში ახალი ტენდენციების გამოჩენასთან დაკავშირებით ცნება გაფართოვდა, რაც აისახა ორ ურთიერთდაკავშირებულ ასპექტში (286. 1-12):

1. ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის სუბიექტების წრის გაფართოება. თანდათანობით ამ კატეგორიას მიაკუთვნებდნენ კორპორაციების არა მარტო უმაღლეს ხელმძღვანელებს, არამედ სხვა თანამშრომლებსაც. მოგვიანებით სუბიექტების მიხედვით შეზღუდვა გაქრა. უცვლელი დარჩა მხოლოდ ერთი ნიშანი – დანაშაულის პროფესიული საქმიანობის პროცესში ჩადენა. სუბიექტის „დაკარგვა“ იმითაც გამოიხატა, რომ ეკონომიკური დანაშაულის ასეთად განსაზღვრის საგვანძო კრიტერიუმად აღიარებულია modus operandi და მიზნები, რომელთა მიღწევასაც ცდილობს სამართალდამრღვევი.
2. შეიცვალა იმ დანაშაულთა ჩამონათვალიც, რომლებიც ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ დანაშაულს მიეკუთვნება. შემდგომ ამ დანაშაულთა სიაში შევიდა გადასახადებისთვის თავის არიდება, კომპიუტერული და სხვა დანაშაულები, რომლებიც ზიანს აყენებს სახელმწიფოს ეკონომიკას, მის ცალკეულ სექტორებს, სამეწარმეო საქმიანობას, ასევე მოქალაქეთა ცალკეული ჯგუფების ეკონომიკურ ინტერესებს.

ეს ცვლილებები განპირობებული იყო არა მარტო სამეცნიერო ცოდნის განვითარებით, არამედ თავად მოვლენის – ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის – ეკოლუციით.

ეკონომიკური დანაშაულის ყველაზე ტიპური მახასიათებლებია:

- ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაული შედგება საკუთრების ხელყოფისა და სამეწარმეო დანაშაულისაგან (255. 895-908);
- ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაული არის სოციალურ ცხოვრებაში არსებობისთვის საყოველთაო ბრძოლის გამოვლინება. ეკონომიკური დანაშაულის არსია ეკონომიკური ინტერესების კონფლიქტი. ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ დანაშაულთა რიცხვს სამეურნეო დანაშაულთან ერთად მიაკუთვნებენ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ყველა დანაშაულს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქმიანობასთან არის დაკავშირებული (153. 679-690).

ახალი სისხლის სამართლის კოდექსების შექმნისას პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში რეალიზებულ იქნა ფართო მიდგომა იმ დანაშაულთა განსაზღვრებისადმი, რომლებიც ეკონომიკურ დანაშაულად განიხილება. რესეთის მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში შედის მუხლები საკუთრების

წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ, ეკონომიკური საქმიანობის სფეროში დანაშაულის შესახებ და კომერციულ ორგანიზაციებში მუშაობის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ. ამასთანავე, მასში არ შედის თანამდებობრივი დანაშაული (თანამდებობის ბოროტად გამოყენება, მექრთამეობა და სხვ.), კომპიუტერული დანაშაული, ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების ხელყოფასთან დაკავშირებული დანაშაული და სხვ. მეორე მხრივ, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული არ მიეკუთვნება ეკონომიკურ დანაშაულს (საკუთრების პირდაპირ ხელყოფასთან დაკავშირებული დანაშაული (ქურდობა, ძარცვა, ყაჩადობა, ქონების განადგურება ან დაზიანება), აგრეთვე საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ დანაშაულს).

ტრანსნაციონალური დანაშაულობის კონტროლის ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ასევე თვით კრიმინოლოგიური მეცნიერებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური და ორგანიზებული დანაშაულის ურთიერთკავშირისა და განპირობებულობის შესწავლა. ამ პრობლემას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მრავალი ქვეყნის სპეციალისტები.

ამასთანავე, გამოყოფენ შემდეგ დებულებებს:

1. ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის ფენომენი, საბოლოო ჯამში, ეკონომიკური მოვლენაა (156. 215-138).
2. ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობა ჩრდილოვანი ეკონომიკის შემადგენელი ელემენტია (52. 1-233).

სამეცნიერო კვლევებში მიჩნეულია, რომ ეკონომიკის სფეროში დანაშაული ორგანიზებული დანაშაულის საფუძველია. ამასთანავე, ფიქრობენ, რომ, „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული“ „ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ დანაშაულთან“ შედარებით უფრო ფართო ცნებაა, მოიცავს ეკონომიკის სფეროში დანაშაულს, ნარკო- და პორნობიზნესს, პროსტიტუციას, უკანონო აზარტულ თამაშებს, რეკარდს და ვარაუდობს პროფესიულ, ზოგად სისხლის სამართლის დანაშაულთან შერწყმას.

მაგრამ შესაძლებელია სხვა ვარიანტიც – ორგანიზებული დანაშაული ეკონომიკური დანაშაულის ნაწილი ხდება. უმჯობელია, რომ ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ დანაშაულში მის სეგმენტებს აშკარად ორგანიზებული ხასიათი აქვს (163. 231-248).

გაეროს დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევებისადმი მოპყრობის მე-9 კონგრესზე (კაირო, 1995 წლის 29 აპრილი-8 მაისი) აღინიშნა, რომ ორგანიზებული დანაშაულის ფენომენი მატერიალური ფორმის მქონე უკანონო მეწარმეობაა (330). ამასთანავე, განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისგან განსხვავებით, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში, მათ შორის, საქართველოში (219. 279-299), ორგანიზებული დანაშაული გაჩნდა ლეგალური ეკონომიკის ფარგლებში და არა არალეგალური კრიმინალური ეკონომიკური საქმიანობის (ნარკობიზნები, პროსტიტუციის ბიზნესი, ბუტლეგერობა და ა. შ.) შედეგად, როგორც ეს მოხდა დასავლეთის არაერთ ქვეყანაში (პირველ რიგში, ამერიკის შეერთებულ შტატებში) (67).

ასეთი პრინციპული განსხვავების გამოყოფამ შესაძლებელია მოგვცეს საშუალება, სხვაგარად შეგხედოთ ეკონომიკური და ორგანიზებული დანაშაულების ურთიერთშეფარდებას, მათი განვითარების განპირობებულობას, ორი ტენდენციის – ორგანიზებული დანაშაულის „ეკონომიკიზაციის“ და ეკონომიკური დანაშაულის ორგანიზებულობის დონის ამაღლების – პრიორიტეტულობის განსაზღვრას.

ამ თვალსაზრისით მართლზომიერი იქნებოდა ორი მოვლენის – ორგანიზებული ზოგადი სისხლის სამართლის დანაშაულის და კრიმინალური ეკონომიკური საქმიანობის – გამიჯვნა. ასევე საინტერესოა საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში ენტროპიის ზრდასა და ამ სფეროში ორგანიზებული დანაშაულის დონის ამაღლებას შორის პირდაპირპროპრიული დამოკიდებულების შესახებ ჩვენ მიერ შემოთავაზებული აქსიომური მტკიცებულების მეცნიერული დამუშავება (დამტკიცება ან უარყოფა).

ორგანიზებული დანაშაულის შემადგენელი ორი ნაწილის – ეკონომიკურის და ზოგადი სისხლისსამართლებრივის – გამოყოფას უურადღება ექცევა გაეროს მრავალ დოკუმენტში.

ამ დოკუმენტებში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ორგანიზებულ დანაშაულს უფრო რთული ორგანიზაცია ახასიათებს:

1. როგორც რთულ ორგანიზაციას, ორგანიზებულ დანაშაულს აქვს ურთიერთდაკავშირებულ მიზანთა ნაკრები: დანაშაულებრივი შემოსავლების მაქსიმიზაცია, ფულის გათეთრება, მსჯავრდებულების ან ორგანიზაციის ძებნილი წევრების მხარდაჭერა, სახელმწიფო ხელისუფლებასთან შერწყმა. ეკონომიკურ დანაშაულს, როგორც წესი, ერთი მიზანი აქვს – დანაშაულებრივი შემოსავლების მიღება.
2. დანაშაულებრივ ორგანიზაციაში შრომის განაწილების ბუნება. ეკონომიკური დანაშაულისთვის დამახასიათებელია საშემსრულებლო შრომის პორიზონტალური განაწილება. დანაშაულებრივი საქმიანობის ორგანიზატორის და მონაწილეთა მოქმედებების კოორდინატორის ფუნქციას შეიძლება ერთ-ერთი შემსრულებელიც ასრულებდეს; ორგანიზებულ დანაშაულში შრომის ვერტიკალური განაწილება დომინირებს. აქცენტი ორგანიზებული დანაშაულის რთული ქვესისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე კეთდება. შემსრულებელთა ერთი ან რამდენიმე ჯგუფის მარცხი არსებითად არ ცვლის ორგანიზებული დანაშაულის პოზიციებს, თუ შენარჩუნებულია მმართველობითი ვერტიკალი, რადგან არსებული კაპიტალი, კავშირები, „მმართველთა“ ორგანიზატორული უნარ-ჩვევები დაკარგული საშემსრულებლო რგოლების საქმაოდ სწრაფად აღდგენის საშუალებას იძლევა. კიდევ ერთი განსხვავება მონაწილეთა სოციალურ შემადგენლობაშია. ეკონომიკური დანაშაულის მთავარი მონაწილეები საქმიანი სამყაროს წარმომადგენლები, ე. წ. თეორი საყელოები, არიან. ორგანიზებული დანაშაული, „თეორი საყელოების“ გარდა, მოიცავს პირებს სისხლის სამართლის დანაშაულებრივი სფეროდან, ჩინოვნიკებს სახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოებიდან, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების ყველა განშტოების თანამშრომლებს.

ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის კვლევისას გაჩნდა იდეები კონგლომერატული წარმონაქმნის შესახებ, რომელიც ორივე მოვლენის თვისებათა სინთეზია (117. 333-358). მოცემული ობიექტის კვლევის სირთულემ მისი არსის შესახებ წარმოდგენათა მრავალფეროვნება წარმოშვა, რაც გამოწვეული იყო ისეთი მოვლენების აღრევით, როგორებიცაა ეკონომიკის სფეროში ორგანიზებული დანაშაულის ფენომენი და ტრანსნაციონალური ორგანიზებული ეკონომიკური დანაშაულის ფენომენი.

ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ დანაშაულობაში ყველაზე სრულად არის წარმოდგენილი ეკონომიკის სფეროში ჩადენილი დანაშაულის ყველა ელემენტი. თუმცა ორგანიზებული ეკონომიკური დანაშაული შესაძლოა არ იყოს ტრანსნაციონალური. ამასთანავე, ტრანსნაციონალური დაჯგუფებები, როგორც წესი, ყოველთვის ორგანიზებული ხასიათისაა.

ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობისთვის ტიპურია ქვეყნის ლეგალური მეურნეობის სფეროში შეღწევა. ამ თვალსაზრისით ორგანიზებულ დანაშაულსა და ეკონომიკას შორის მჭიდრო კაფშირი არსებობს. მეტიც, ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის ორგანიზებული ფორმა სოციალურ ფაქტად იქცევა მხოლოდ საკუთარი ეკონომიკური და ფინანსური საფუძვლის მოპოვებისას, რომელიც ფორმირდება როგორც კრიმინალური ეკონომიკიდან (აკრძალული ეკონომიკური საქმიანობა) მიღებული შემოსავლების ხარჯზე, ისე ლეგალურ მეურნეობაში სამეწარმეო საქმიანობის დაშვებული ფორმების გამოყენების შედეგად.

პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში საკუთარი კაპიტალის პირველადი დაგროვების პროცესმა კრიმინალურ დაჯგუფებებს საშუალება მისცა, ლეგალურ სამეურნეო სისტემაში მყარი პოზიციები დაეკავებინათ, და გარკვეულწილად ეკონომიკური ძალაუფლება მიანიჭა მათ ქვეყნის მასშტაბით. ორგანიზებული დანაშაულის სტრუქტურების მიერ გიგანტური კაპიტალის დაგროვება, ქვეყნის ლეგალურ მეურნეობაში ეკონომიკური ძალაუფლების მოპოვება, ხელისუფლების პოლიტიკურ სტრუქტურებზე ზეგავლენის რეალური ბერკეტების ქონა და ა. შ., „მსოფლიო ასპარეზზე“ გამოსვლასთან და ტრანსნაციონალური მახასიათებლების მიღებასთან ერთად, იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ რუსეთის ორგანიზებულ დანაშაულს აქვს მყარი წინაპირობები, რომლებსაც შეუძლია ისინი დასავლეთის ქვეყნების დანაშაულებრივი სამყაროს უმსხვილესი კრიმინალური ასოციაციების რიცხვში გაიყვანონ, ან დაიმორჩილონ კიდევ (220. 99-119).

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში არასაკმარისი ყურადღება ექცევა ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის განმასხვავებელ ნიშნებს, რომლებიც გვხვდება პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში, ევროპასა და აშშ-ში. რა

თქმა უნდა, არსებობს საერთო თვისება – ორგანიზებული დანაშაულის „ეკონომიკიზაცია“ და ეკონომიკური დანაშაულის ორგანიზებულობის დონის ამაღლება. მაგრამ არის არსებითი განსხვავებებიც.

პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის პრინციპული ფენომენოლოგიური განსხვავება დასავლეთის ქვეყნების ანალოგიური კრიმინალური მოვლენებისგან მისი გენეზის სპეციფიკაში მდგომარეობს. დასავლეთში მისი წარმოშობის წყარო კრიმინალური ელემენტების ლეგალური ეკონომიკის სფეროში მონაწილეობას უკავშირდება. ამას მოწმობს XX საუკუნის 20-იანი წლების კრიმინალური ჯგუფების ისტორია აშშ-ში. პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში აღნიშნული დანაშაული უშუალოდ ლეგალურ ეკონომიკაში ჩაისახა – უმეტესწილად ე. წ. კრიმინალიზებული მეწარმეობის საფუძველზე, რომელიც ეკონომიკური დანაშაულის ჩადენის ხარჯზე ფუნქციონირებდა (ოფიციალურად დარეგისტრირებული ბიზნესსტრუქტურების საქმიანობის ფარგლებში). მას, როგორც წესი, არ აქვს მჟიდრო კავშირი ტრადიციულ დანაშაულებრივ სამყაროსთან და უნიკალური მოვლენაა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში დანაშაულის ეფოლუციის კანონზომიერებათა შესწავლისათვის.

პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია დანაშაულის სწორედ ამ ფორმის შედარებით უმტკიცნეულოდ ელიმინირება და მინიმუმამდე დაყვანა მისი სუბიექტებისა და სტრუქტურების კაპიტალების ამნისტიის შედეგად (გარკვეული პირობებისა და წესების დაცვით), ამ უკანასკნელთა საქმიანობის ლეგალიზაციისა და ლეგიტიმიზაციის შესაბამისად, რაც სახელმწიფოს მიერ მიღებულ, ეკონომიკური ურთიერთობების გამაჯანსაღებელ სხვა ზომებთან ერთად უნდა განხორციელდეს. ამასთანავე, როგორც ქართველი კრიმინოლოგები აღნიშნავენ, ამ დანაშაულს საქართველოსთან მიმართებით გარკვეული თავისებურებები ახასიათებს.

მათი აზრით, საქართველოს კონსტიტუციური წყობის ძირითად საფრთხედ შეიძლება განვიხილოთ რეგიონული დანაშაულებრივი ფორმირებების მიერ შექმნილი პარალელური არალეგალური (ზოგჯერ ლეგალიზებული, მაგრამ სხვა მიზნების მისაღწევად განკუთვნილი) სახელისუფლებო სტრუქტურები, უკანონ

შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც ორგანიზებული დანაშაულის ინტერესებს იცავენ. ასეთი მიზნებისათვის კრიმინალური სამყაროს ელიტა ახორციელებს ისეთი ანტიკონსტიტუციური ქმედებების მომზადებას, დაფინანსებასა და ორგანიზებას, როგორებიცაა ერთაშორისი შუდლის გადვივება, მასობრივი უწესრიგობები, შეთქმულებები ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად, მძიმე სახელმწიფო დანაშაულების – ტერორის, ბანდიტიზმის, კონტრაბანდის – სტიმულირება. ამ მიმართულებით დაჯგუფებების ტრანსნაციონალური კავშირები არსებით როდს ასრულებს (2. 204-219).

პოტენციური საფრთხე მდგომარეობს პროცესში, რომელსაც ეწოდება „მაფიის გასახელმწიფოებრივება“, ანუ სახელმწიფო ინსტიტუტების შევსება დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებით, კორუმპირებული ჩინოვნიკებით, სახელმწიფო საკუთრების დამტაცებლებით, კ. წ. ცრუ მეწარმეებით, რომლებიც მზად არიან მოგების მიზნით ყველანაირი მართლსაწინააღმდეგო საქმიანობა განახორციელონ და მჭიდრო კავშირი იქონიონ მაფიასთან.

ტრანსნაციონალური დანაშაული საფრთხეეს უქმნის საზოგადოების საფუძვლებს. დამნაშავეთა ჯგუფების სპეციალიზაციის მიუხედავად, უკვე თვით ფაქტი მათი აღმოცენებისა და გაფართოებისა, სერიოზული საშიშროებაა საზოგადოებისათვის. ორგანიზებული დანაშაული ძირს უთხრის როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური ხასიათის ღირებულებებს, რომლებიც საზოგადოების ფუნდამენტის გამყარებას ემსახურება და ქმნის საკუთარ „ანტიღირებულებებს“, „ანტიფასეულობებს“. ორგანიზებული დანაშაული თავის თავს უქმნის იმიჯს ძალისას, რომელსაც შეუძლია სამუშაო ადგილების და ადამიანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა, აგრეთვე ძალაუფლების ფუნქციების აღება – მართვა, კანონმდებლობა და მართლწესრიგის დამყარება, რაც გამხსრწელ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე. მოზარდ თაობებში ხდება ქურდული ტრადიციების და განგსტერული ცხოვრების იდეალიზება (2. 204-219).

კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლების კორუფციითა და დაშინებით ორგანიზებული დანაშაული ასევე ძირს უთხრის ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუტებს მათი ღირებულებების დისკრედიტაციის ხარჯზე და, შესაბამისად, ამ უკანასკნელთ ქმედითობას უკარგავს.

ტრანსნაციონალური დანაშაული მირს უთხრის საზოგადოების საფუძვლებს ნარკოტიკების გავრცელებით, ადამიანთა დიდი მასების (განსაკუთრებით ახალგაზრდების) რეალობისგან მოწყვეტილ, ეფექტურ სამყაროში მიზიდვით. მართალია, საქართველო არ აწარმოებს არც ერთ ცნობილ ნარკოტიკს და არ არის მისი მკვეთრად გამოხატული მომსმარებელი, მაგრამ, გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, ის ტრანზიტულ ქვეყნად იქცევა, რითაც ხდება მოსახლეობის ნაწილის მიზიდვა ნარკობიზნესთან დაკავშირებული კონტრაბანდის, მისი გადამუშავებისა და გამოყენების საქმეში. ასეთი მდგომარეობა მკვეთრად ამწვავებს რესპუბლიკაში საერთო კრიმინოგენულ ვითარებას, რადგანაც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას ყოველთვის მოჰყვება ძალადობა, რომელსაც ფსიქოტროპული პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები მიმართავენ. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ პერიონის მომსმარებლები მხოლოდ საკუთარი მიდრეკილების დასაკმაყოფილებელი სახსრების მოძიების მიზნით წელიწადში საშუალოდ 200 დანაშაულს სჩადიან (2. 204-219).

საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, როგორ შეძლეს დანაშაულებრივმა ორგანიზაციებმა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, შეექმნათ „შავი ბაზრის“ ეკონომიკაზე დაფუძნებული კონკურენტული სახელისუფლებო სტრუქტურები (ფენომენი, რომელიც ღია ერატურაში ცნობილია, როგორც „სახელმწიფო სახელმწიფოში“). ორგანიზებულ დანაშაულებრივ კლანებს არაერთხელ გამოუყენებიათ შეიარაღებული ძალა სახელმწიფოს და მისი წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომლის დროსაც მიღებული ზიანის ოდენობა სამოქალაქო ომის შედეგად მიუენებული ზიანის მასშტაბებს თუ შეედრება.

რაც შეეხება საქართველოს, დანაშაულებრივი კლანები 1992-1995 წლებში თითქმის ლეგალურ საფუძველზე აკონტროლებდნენ რესპუბლიკის მნიშვნელოვან ტერიტორიებს, ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენლები კომერციულ სტრუქტურებში და კურირებდნენ საჭირო ხალხის დანიშვნას საჭირო პოსტებზე ძალოვან სამინისტროებში (2. 204-219).

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ საქართველოს უახლესმა ისტორიამ პრაქტიკულადაც დაადასტურა, რომ ტრანსნაციონალური დანაშაული გარდაუვლად შედის კონფლიქტში ოფიციალურ ხელისუფლებასთან, ვინაიდან თითოეული დანაშაულებრივი ქსელი ძალოვანი მონოპოლიის დამყარებისა და შენარჩუნებისკენ ისწრაფვის. ამისათვის ის იყენებს დანაშაულებრივი ქმედების სულ ცოტა ორ სახეობას: სახელმწიფო მოხელეთა და კერძო კომპანიების თანამშრომელთა კორუფციას და ძალადობრივ ტერორისტულ ქმედებებს. ამით კრიმინალური ორგანიზაციები არყევენ სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლებს, აღვივებენ და ზრდიან დაძაბულობას ქვეყნის შიგა პოლიტიკაში და საფრთხეს უქმნიან სახელმწიფო მმართველობის ნორმალურ ფუნქციონირებას, სამართლებრივი წესრიგის განხორციელებას. მათი საქმიანობა განსაკუთრებით ეფექტიანია, თუ მთავრობა სუსტია ან არასტაბილური. ამ არასტაბილურობას ისინი არათუ ხელს უწყობენ, არამედ მთელ თავის ძალისხმევას სამართალდამცავი დონისძიებების ნეიტრალიზაციის, მთავრობაში ადგილების დაკავებისა და უმაღლესი ხელისუფლების ხელში ჩაგდებისკენ მიმართავენ.

ტრანსნაციონალური დანაშაული საფრთხეს უქმნის დემოკრატიული ღირებულებების და პროგრესული საზოგადოებრივი ინსტიტუტების განვითარებასაც. საქართველოში XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ღია კონფრონტაციის შემდეგ დამნაშავე კლანებმა იწყეს სახელისუფლებო ორგანოებში შეღწევა და მათი კორუმპირება სამართალდამცავი დონისძიებების ნეიტრალიზაციის მიზნით. ისინი ისწრაფოდნენ, შეექმნათ ისეთი ვითარება, როდესაც სახელმწიფო ნეიტრალურ პოზიციას დაიკავებდა ამგვარი ორგანიზაციების მიმართ და არ მიიღებდა სერიოზულ ზომებს მათი საქმიანობის აღსაკვეთად. ამ მიზნის მისაღწევი ერთ-ერთი გზა მდგომარეობდა ძალადობის შეზღუდვის შესახებ ფარულ შეთანხმებაში მანამ, სანამ მთავრობა ჩაერეოდა მოცემული დაჯგუფებების ეკონომიკური საწარმოების ფუნქციონირებაში. მეორე გზა იყო იმ პირთა კორუმპირება, რომელთაც დანაშაულებრივი ორგანიზაციის საქმიანობის პარალიზება შეეძლოთ. და ბოლოს, მესამე გზა, რომლის დროსაც მთავრობა და დანაშაულებრივი ორგანიზაცია მჭიდრო კავშირს დაამყარებდნენ და პირდაპირ შევიდოდნენ კრიმინალურ გარიგებაში. ასეთ პირობებში სამთავრობო სტრუქტურების როლი პრაქტიკულად დანაშაულებრივი

საქმიანობის მფარველობამდე დაიყვანებოდა, რაც მათ მაფიის მძევლებად აქცევდა.

როგორც სამართალდამცავი ორგანოების, მასმედიის და ჩატარებული ემპირიული გამოკვლევების ანალიზმა გვიჩვენა, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ადრეულ ეტაპზე ორგანიზებული დანაშაული ღრმად იყო გამჯდარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი იერარქიის სფეროებში. იცვლებოდნენ ჩინოვნიკები და სტრუქტურულად იცვლებოდა ორგანიზებული დანაშაულის ფორმებიც, მაგრამ ბევრი სფერო, განსაკუთრებით ეკონომიკის შემოსავლიანი სფეროები, მაფიოზების ხელში რჩებოდა. ისეთი სფეროები, როგორებიცაა სიგარეტისა და ალკოჰოლის ბიზნესი, ნავთობპროდუქტებისა და ენერგომატარებლების რეალიზაცია, ფანტასტიკურ მოგებას იძლეოდა და მთლიანად ან მნიშვნელოვანწილად ჩრდილოვანი ეკონომიკით კონტროლდებოდა.

დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირველ წლებში ორგანიზებული დანაშაული რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც ღრმად შეიქრა. ასე, მაგალითად, საარჩევნო კამპანიების ფინანსური უზრუნველყოფის მეშვეობით ორგანიზებულმა დანაშაულმა შეძლო წარმომადგენლობითი ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოებში პოლიტიკური მოღვაწეების კორუმპირების გზით შეღწევა და ამ უკანასკნელთა მიერ კრიმინალური საქმიანობის მფარველობის უზრუნველყოფა. თანამედროვე პირობებში, როდესაც საარჩევნო კამპანიებთან დაკავშირებული სარჯები მკვეთრად გაიზარდა, პოლიტიკური ორგანიზაციების უმრავლესობა კი ვერ ახერხებს მათ დაფარვას, და როდესაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, განსაკუთრებით ტელევიზიას, შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს კანდიდატისთვის წარმატებული იმიჯის შექმნაში ან მის „ჩაგდებაში“, სრულიად ნათელია, რომ სასწორის ფიალა იმათ სასარგებლოდ გადაიწონება, ვინც უფრო დიდ ფინანსურ სახსრებს ფლობს. არჩევნებსა და კანონმდებლობის პროცესებზე ზეგავლენის ასეთი სახით მოხდენით ორგანიზებული დანაშაული ძირს უთხრის მთლიანად პოლიტიკურ სისტემას (2. 204-219).

ტრანსნაციონალურ დანაშაულს აქვს მიდრეკილება, კონფრონტაციაში შევიდეს სახელმწიფოსთან მისი დასუსტებისა და დეზორგანიზაციის მიზნით. XX საუკუნეში აპრობირებულ საშუალებად იქცა დამნაშავე კლანების მიერ

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში სეპარატისტული განწყობის გადვივება და გამოყენება. ამ წესიდან გამონაკლისი არც საქართველოა. მის ტერიტორიაზე არაერთი სისხლიანი ეთნიკური კონფლიქტი გაჩადდა. რეგიონულმა მაფიოზურ-კორუმპირებულმა კლანებმა, ნაციონალ-ექსტრემისტებთან ერთად, „უკვე „დე ფაქტო“ დაარღვიეს საქართველოს სუვერენიტეტი, მისი ტერიტორიული მთლიანობა და ამ პროცესის სპონსორობას აგრძელებს. შექმნილი მდგომარეობა გამოწვეული იყო ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებით. ერთიანი ეკონომიკური სივრცის და მართვის ცენტრალიზებული სახელმწიფო სისტემის რღვევის პირობებში დანაშაულებრივ ფორმირებებს გაუადგილდათ რეგიონების, განსაკუთრებით ე.წ. ნაციონალური ავტონომიების, კონტროლზე აყვანა. შიგა მაფიოზურმა კლანებმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო დანაშაულებრივი ორგანიზაციების და „მესამე ძალის“ დახმარებით ეთნორეგიონული კრიმინალური რეჟიმები დაამყარეს და ფაქტობრივად მაფია „გაასახელმწიფოებრივეს“.

სუვერენიტეტს საფრთხეს უქმნის აგრეთვე ორგანიზებული დანაშაულის სწრაფვა, დაარღვიოს ეროვნული საზღვრები. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ტექნოლოგიების, გლობალური საგაჭრო და ფინანსური სისტემების საუკუნეში ეროვნული საზღვრები კიდევ უფრო გამჭვირვალეა, ვიდრე ოდესმე, თანამედროვე სახელმწიფოები ძველებურად ცდილობენ თავიანთ საზღვრებზე გამავალი სასაქონლო-ფინანსური ნაკადების რეგულირებას. ეს რეგულირება სუვერენიტეტის ფუძემდებლურ და აუცილებელ ატრიბუტად განიხილება. მაგრამ ამგვარი რეგულირება მიუღებელია დანაშაულებრივი ორგანიზაციებისთვის. თავიანთი საქმიანობით ისინი რეალურ საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და უშიშროებას, ანუ სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლურ ატრიბუტებს.

ნაციონალურ ეკონომიკას რეალური საფრთხე ექმნებოდა იმით, რომ საქართველოში რეგიონულ და დარგობრივ დონეებზე მიმდინარეობდა ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებების მიერ მთელი საზოგადოების მატერიალური ფასეულობების ფლობის და განკარგვის უფლების ხელში ჩაგდება. უპირველესად ეს ეხებოდა ენერგეტიკის, ვაჭრობის, კავშირგაბმულობის, წარმოების, ბუნებრივი რესურსების, კრედიტებისა და ჰუმანიტარული დახმარების განაწილების სფეროებს.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზებული დანაშაულის მიერ შესყიდულ საწარმოებს უპირატესობა აქვთ კანონმორჩილი მოქალაქეების მფლობელობაში მყოფ საწარმოებთან შედარებით, რომლებიც ზრუნავენ მიღებული შემოსავლების მოცულობაზე, გადასახადების გადახდაზე, საწარმოო დანაკარგებზე და ბანკებისათვის სესხის გადახდაზე. გარდა ამისა, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები აუცილებლობის შემთხვევაში უპირატესობის მოპოვებას ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით ცდილობენ. კანონმორჩილი მეწარმეები ვერ უძლებენ არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და ხშირად კოტრდებიან. ამგვარად, ორგანიზებული დანაშაულის ლეგალურ ეკონომიკაში შეღწევას თითქმის გარდაუვლად მივყავართ საბაზო ფაქტორების ბუნებრივი მოქმედების დარღვევისკენ. ბოლოს და ბოლოს, ასეთი მდგომარეობა ნებატიურად აისახება მომხმარებელთა ფინანსურ დანახარჯებზედაც, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ იძულებული ხდებიან, უფრო მაღალი ფასი გადაიხადონ.

ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა დესტაბილიზაციას იწვევს ეკონომიკის მრავალ სფეროში. მის ზემოქმედებას განსაკუთრებით ექვემდებარება სუსტი ეკონომიკის ქვეყნები, როგორიც, მაგალითად, საქართველოა (2. 204-219).

დაგუბრუნდეთ ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის ზოგად მახასიათებლებს. ძირითადი წყაროები წარმოიქმნება: 1) ეკონომიკური ფასეულობების (საქონელი და მომსახურება) ნებადართული წარმოების ხარჯზე ფირმის დარეგისტრირებული წესდების შესაბამისად; 2) ლეგალური ფირმის იმიჯით მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა განხორციელებით, როგორებიცაა რეკეტული საქმიანობა სხვა იურიდიული პირების მიმართ (ფულადი სახსრების, მატერიალური ფასეულობების და სხვ. გამოძალვა ფიქციური გარიგებების გაფორმების შედეგად, ვითომდა მოწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების ღირებულების მიღება და ა. შ.), უმეტესად თაღლითური ხასიათის სხვადასხვა სახის ეკონომიკური დანაშაულის ჩადენა, შემოსავლების დაფარვა, ორგანიზებული დანაშაულის კრიმინალური საქმიანობიდან მიღებული „ჭუჭყიანი“ ფულის გათეთრება და ა. შ.

ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ დანაშაულს მჭიდრო კორუფციული ქავშირები აქვს პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებთან, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ძალოვან სტრუქტურებთან, ან ამ ორგანოებში საკუთარი აგენტები მოჰყავს. ეს დანაშაულებრივ სამყაროს აძლევს არა მარტო საკუთარი მართლსაწინააღმდეგო საქმიანობის დაფარვის, არამედ, დიდი ტრანსაქციული დანახარჯების მიუხედავად, სტაბილურად მაღალი, გადასახადებისგან თავისუფალი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას (217. 215-234). თანამედროვე პირობებში ასეთი „პავშირის“ შედეგად დანაშაული გავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრაზე, საკუთარი ინტერესებისადმი დაქვემდებარებული საკანონმდებლო ბაზის ფორმირებაზე და ა. შ.

ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაული არის რთული, სინთეზური მოვლენა, რომელიც აერთიანებს ორგანიზებული და ეკონომიკური დანაშაულების თვისებებს. ორგანიზებულობას საფუძვლად უდევს ჯგუფის ფაქტორი, ანუ დამნაშავეთა, დანაშაულებრივი ჯგუფების, გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციის მეთოდი, რომლებიც სჩადიან ამა თუ იმ სახის დანაშაულს, მათ შორის, ეკონომიკურს. ამ დომინანტური ფაქტორის გარეშე ორგანიზაციული დანაშაულის ცნებას აზრი ეკარგება. ეკონომიკური ასპექტის საფუძველია კიდევ ერთი ფაქტორი – ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ ეკონომიკური დანაშაულის ჩადენის საშუალება. ამგვარად, ზემოთ თქმულის განზოგადების მიზნით შეიძლება დავასკვნათ, რომ ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაული ორგანიზებული და ეკონომიკური დანაშაულების ზღვარზე მდებარეობს.

ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის მახასიათებლებზე საუბრისას მიზანშეწონილია აღვნიშნოთ, რომ ისინი წარმოდგენილია ორგანიზებული დანაშაულისა და ეკონომიკური დანაშაულის მახასიათებლების მთელი ერთობლიობით.

გაეროს ნარკოტიკებისა და დამნაშავეობის სამმართველოს მოხსენებაში მოცემულია ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულის განზოგადებული დახასიათება:

- მარტო ევროპაში აღირიცხება ადამიანებით ვაჭრობის 140 000 მსხვერპლი, რომელთა მიწოდებაც ხორციელდება სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით და რომლებსაც თავიანთი ექსპლუატატორებისთვის ყოველწლიურად 3 მილიარდი აშშ დოლარის საერთო შემოსავალი მოაქვთ;
- მთელ მსოფლიოში აღირიცხება მილიონობით თანამედროვე მონა, რომელთაც რეალურად იმავე ფასად ყიდიან, როგორც რამდენიმე საუკუნის წინ. უკანონო მიგრანტების ორი ყველაზე ძლიერი ნაკადი მომდინარეობს აფრიკიდან ევროპაში და ლათინური ამერიკიდან აშშ-ში. ლათინური ამერიკიდან აშშ-ში ყოველწლიურად შეკვავთ 2.5-3 მილიონი მიგრანტი, რაც კონტრაბანდისტებისთვის დაახლოებით 6,6 მილიონი აშშ დოლარი მოაქვს;
- ევროპა ჰეროინის ყველაზე ძვირი ბაზარია (20 მილიარდი აშშ დოლარი), რესერვი კი ამჟამად ჰეროინის ყველაზე მსხვილი მომხმარებელია მსოფლიოში (70 ტ). ნარკოტიკები ყოველწლიურად 30 000-40 000 რუს ახალგაზრდას ხოცავს, რაც ორჯერ აღემატება წითელი არმიის დანაკარგებს XX საუკუნის 80-იან წლებში ავღანეთში შესვლისას;
- ჩრდილოეთ ამერიკის კოკაინის ბაზარი ვიწროვდება მოთხოვნილების კლების და სამართალდამცავი ორგანოების აქტივობის ზრდის შედეგად. ამის გამო მწვავდება ნარკობიზნესის ბანდებს შორის ბრძოლა გავლენის სფეროს მოპოვებისთვის, განსაკუთრებით მექსიკაში, და ჩნდება ნარკოტიკების მიწოდების ახალი მარშრუტები. ლათინური ამერიკის მთელი ატლანტიკური სანაპირო აფრიკის გავლით კოკაინის ევროპაში მიწოდების პლაცდარმია. დასავლეთ აფრიკის ზოგიერთმა ქვეყანამ შეიძლება ვერ გაუძლოს ასეთ ზეწოლას;
- ქვეყნები, სადაც აკრძალული ნარკოტიკების ძირითად ნაწილს აწარმოებენ, მაგ., ავღანეთი (ოპიუმი) და კოლუმბია (კოკა), ყურადღებისა და კრიტიკის ცენტრშია. ამასთანავე, ნარკოტიკებიდან მიღებული ძირითადი შემოსავლები დანიშნულების (მდიდარ) ქვეყნებში ფორმირდება. მაგ., ავღანელ გლეხებს, მოვაჭრეებსა და ამბოხების მონაწილეებს ერგებათ მხოლოდ 5% (2,3 მილიარდი აშშ დოლარი) საგარაუდო 55 მილიარდი აშშ დოლარიდან, რაც ავღანური ჰეროინის მსოფლიო საბაზრო ღირებულებაა. 72 მილიარდი აშშ დოლარიდან, რაც არის საბაზრო ღირებულება ჩრდილოეთ ამერიკაში და ევროპაში, დაახლოებით 70% მოგების სახით რჩებათ საშუალო რგოლის დილერებს კოკაინის მოხმარების ქვეყნებში და არა ანდების რეგიონში;
- ცეცხლსასროლი იარაღის მსოფლიო უკანონო ბაზარი წელიწადში 170-320 მილიონ აშშ დოლარადაა შეფასებული, რაც კანონიერი საბაზრო ღირებულების

- 10-20%-ია. მიუხედავად იმისა, რომ იარაღით ვაჭრობა პერიოდულად ხორციელდება (ანუ კონკრეტულ კონფლიქტებთან არის დაკავშირებული), მას შეუძლია იმდენივე ადამიანის განადგურება, რამდენისაც ზოგიერთ პანდემიას;
- ბუნებრივი რესურსების უკანონო ექსპლუატაცია და ფლორისა და ფაუნის გარეული სახეობების უკანონო ბრუნვა აფრიკიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიდან ზიანს აუკენებს ეკოსისტემებს და იწვევს ამ სახეობების გაქრობას. მაგ., 2009 წელს აზიდან ევროპაში და ჩინეთში უკანონოდ გატანილი ხის დირებულებამ დაახლოებით 2,5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა;
  - ევროპის საზღვრებზე აღმოჩენილი კონტრაფაქტიული პროდუქციის რაოდენობა ბოლო წლებში ათჯერ გაიზარდა და 10 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გაანალიზებული მედიკამენტების ნახევარი კონტრაფაქტიულია და ხარისხის სტანდარტებს არ შეესაბამება, რაც ზრდის დაავადებათა რისკს;
  - ბოლო წლებში „აფრიკული რქის“ რაიონში მეკობრული თავდასხმების რაოდენობა ორჯერ გაიზარდა (111 შემთხვევა 2008 წელს და 217 შემთხვევა 2009 წელს) და ზრდას განაგრძობს. მსოფლიოში ყველაზე მძლავრი სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ ორგანიზებული პატრულირების მიუხედავად, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დარიბი ქვეყნის (სომალი) მეკობრეები გამოსასყიდის მიღების მიზნით მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნების ხომალდებს იტაცებენ. გამოსასყიდის სახით ყოველწლიურად მიღებული 100 მილიონი აშშ დოლარიდან მეკობრეებს მხოლოდ მეოთხედი ერგებათ, დანარჩენი კი ორგანიზებული დანაშაულის წარმომადგენლებს რჩებათ;
  - ყოველწლიურად მიღიონნახევარ ადამიანზე მეტი ხდება პირადი მონაცემების მიტაცების მსხვერპლი, რის შედეგად მიუენებული ზარალიც დაახლოებით 1 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო კიბერდანაშაული სახელმწიფოების უსაფრთხოებას ემუქრება: დამნაშავეები ახერხებენ ენერგომომარაგების სისტემებში, საჰაერო გადაზიდვების და ბირთვული დანადგარების ექსპლუატაციის სამართველოებში შედწევას (327).

ამგვარად, ამ ემპირიულ ფაქტებში გამოაშკარავდა ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის შემდეგი თვისებები: 1) ანგარება; 2) მისი პროფესიული საქმიანობის პროცესში განხორციელების შესაძლებლობა; 3) ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფილი სუბიექტების მიერ სამართლებრივი ფორმების გამოყენებით ჩადენა; 4) მსხვერპლთა დიდი მასშტაბი;

5) ვიქტიმიზაციის პროცესის ძირითადად მსხვერპლისგან ფარულად წარმოება; 6) მრავალსუბიექტურობა (იურიდიული და ფიზიკური შემსრულებლები); 7) სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესებისათვის, აგრეთვე კერძო მეწარმეთა და მოქალაქეთა ინტერესებისათვის მიყენებული ზარალი; 8) არაერთგზის ხასიათი, ეკონომიკური დანაშაულის ჩადენის შედეგად მატერიალურ ფასეულობათა გადანაწილება; 9) სისტემატური ხასიათი; 10) ლატენტურობის მაღალი დონე.

ამგვარად, მთლიანობაში შესაძლებელია დავეთანხმოთ ორგანიზებული ტრანსნაციონალური დანაშაულობისს განსაზღვრებას, რომელიც მიღებულ იქნა მინისტრების დონეზე გამართულ მსოფლიო კონფერენციაზე (ნეაპოლი, ნოემბერი, 1994 წ.): ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაული არის ჩრდილოვანი ეკონომიკური საქმიანობის ფორმა, რომელიც ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო საშუალებებით, მუქარისა და ფიზიკური ძალის, გამოძალვის, კორუფციის, შანტაჟის და იძულების სხვა მეთოდების გამოყენებით, აგრეთვე აკრძალული საქონლისა და მომხახურების მოზიდვით (326).

2. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ნიშნები საერთაშორისო დოკუმენტებში. გაეროს სამდივნოს დოკუმენტებში, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მე-8 კონგრესთან, გამოყოფილია შემდეგი ნიშნები: საქმიანობის რთული სახეები; ფართო მასშტაბებით განხორციელება; მიზანი – ფინანსური შემოსავლის მიღება და ძალაუფლების მოპოვება; უკანონო საქონლისა და მომსახურების ბაზრების შექმნისა და ექსპლუატაციის გზით განხორციელება (138. 133-134).

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ გაეროს საერთაშორისო სემინარის დასკვნით დოკუმენტში (სუზდალი, ოქტომბერი, 1991 წ.) განსაზღვრულია შემდეგი მახასიათებლები: დამნაშავეობის მიერ გაჭრობის ხასიათის შეძენა; სოციალური კონტროლისგან დამცავი სისტემის არსებობა ძალადობის, დაშინების, კორუფციის, ფართომასშტაბიანი მიტაცებების თანხლებით; შემოსავლის უკანონო გზით მიღება (182. 182-202).

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიის მე-2 სესიაზე გაეროს გენერალური მდივნის მიერ გაკეთებულ მოხსენებაში „ორგანიზებული

დანაშაულის გავლენა მთლიანად საზოგადოებაზე“ (აპრილი, 1993 წ.) მითითებულია: უქანონო ეკონომიკური მოგების მიღება უკანონო საქონლისა და მომსახურების მიწოდების გზით; კანონიერი მომსახურებისა და საქონლის უქანონო ფორმით მიწოდება; კონსპირაციული დანაშაულებრივი საქმიანობა და კოორდინაცია; სრული ან ნაწილობრივი მონოპოლია; შემოსავლიან კანონიერ საქმიანობაში შედწევა; კანონიერ საქმიანობაში ძალადობისა და დაშინების მეთოდების ჩართვა; ორგანიზებულ დანაშაულსა და „თეორსაყელოიან დანაშაულს“ შორის ზღვრის მოშლა (138. 133-134).

შინაგან საქმეთა მინისტრების დონეზე გამართული მსოფლიო კონფერენციის საცნობარო დოკუმენტში „ორგანიზებული ტრანსნაციონალური დანაშაულობის შესახებ“ (ნეაპოლი, ნოემბერი, 1994 წ.) აღნიშნულია: დანაშაულებრივი სამეწარმეო საქმიანობა ხორციელდება კანონით აკრძალული საქონლისა და მომსახურების მოწოდების ანდა კანონიერი საქონლის არაკანონიერი არხებით მიწოდების გზით; დანაშაულებრივი საქმიანობა თითქმის ყოველთვის არის კანონიერი საბაზრო ოპერაციების გაგრძელება კანონით აკრძალულ სფეროებში; დამნაშავეებს ამოძრავებთ საბაზრო ნიშის ხელში ჩაგდების მიზანი; დანაშაულებრივი ბიზნესი სპეციალურ უნარ-ჩვევებს და პროფესიონალიზმს მოითხოვს; გამოიყენება ბიზნესის სპეციფიკური საშუალებები: სამართალდამცავი ორგანოების კორუმპირებულობა და პოლიტიკურ სტრუქტურებში საკუთარი ადამიანების ჩანერგვა.

გაეროს დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევებისადმი მოპყრობის მე-9 კონგრესზე (330) და მე-10 კონგრესზე „დანაშაული და მართლმსაჯულება: პასუხები XXI საუკუნის გამოწვევებზე“ (ვენა, ავსტრია, 2000 წლის 10-17 აპრილი) (155) გამოხატულ იქნა ანალოგიური პოზიცია, რომელიც დღემდეა გაბატონებული.

**§2. ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის კრიმინოლოგიური კლასიფიკაცია**

1. საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა ტრანსნაციონალური დანაშაულობის ეკონომიკური ფორმების კლასიფიკაცია ასევე წარმოდგენილია სამცნიერო შრომებშიც. თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენცია გლობალიზაციაა. ცალკეული ეროვნული მეურნეობების ურთიერთდამოკიდებულების მაღალმა დონემ ახალი ფენომენის – მსოფლიო ანუ გლობალური ეკონომიკის – აღმოცენება გამოიწვია. გლობალიზაციის პროცესი ეკონომიკური ურთიერთობების ყველა სფეროს შეეხო და მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრები შეცვალა. გლობალიზაციის პროცესმა ხარისხობრივად შეცვალა დანაშაულის ხასიათი, რომელიც სულ უფრო ხშირად უკავშირდება ერთზე მეტი ქვეყნის კანონების დარღვევას. სწორედ ამასთან დაკავშირებით შემოიღეს კრიმინოლოგებმა ტერმინი „ტრანსნაციონალური დანაშაული“ (314. 107-118).

კრიმინოლოგიური მეცნიერება და საერთაშორისო დოკუმენტები აღნიშნული კატეგორიის განსაზღვრის მიზნით სხვადასხვა მიღეომას იყენებს.

ტრანსნაციონალური დანაშაული განისაზღვრება, როგორც დანაშაული, რომელიც სცდება ერთი სახელმწიფოს ფარგლებს. ტრანსნაციონალური დანაშაულის სტრუქტურაში ტრადიციულად გამოიყოფა სამი ელემენტი: საერთაშორისო დანაშაული, საერთაშორისო ხასიათის დანაშაული და უცხოელებთან დაკავშირებული დანაშაული (255. 295-908; 284. 135-174).

საერთაშორისო დანაშაული მიმართულია მშვიდობისა და კაცობრიობის უსაფრთხოების წინააღმდეგ. მას მიეკუთვნება აგრესია, გენოციდი, აპარტეიდი, კოლონიური ბატონობის ძალადობრივი დამყარება ან შენარჩუნება, ბირთვული იარაღის გამოყენება, რასიზმი, ტერორიზმი და სხვ. (169. 44-67; 134. 87-114; 256. 135-182).

საერთაშორისო ხასიათის დანაშაული ზიანს აყენებს ნორმალურ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს, სახელმწიფოების მშვიდობიან თანამშრომლობას, სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს. მას მიეკუთვნება კონტრაბანდა, ნარკოტიკების უკანონო გავრცელება და ვაჭრობა, არალეგალური მიგრაცია, ზღვაზე დახმარების აღმოუჩენლობა, მეკობრეობა, წყალქვეშა კაბელის დაზიანება, პორნოგრაფიის გავრცელება, საზღვაო

ხომალდების შეჯახება, ადამიანებით ვაჭრობა, საპატიო ხომალდის გატაცება და მის ბორტზე დანაშაულის ჩადენა, ფულის გაყალბება და სხვ. (256. 135-182).

უცხოელებთან დაკავშირებულ დანაშაულს მიეკუთვნება უცხოელების მიერ ან მათ მიმართ ჩადენილი დანაშაული (187. 185-205).

აქ განვიხილავთ ტრანსნაციონალური დანაშაულობის მხოლოდ ზოგიერთ კატეგორიას, რომელთა თავისებურებაც არის მათი ეკონომიკური მიმართულება. ამასთანავე, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები დანაშაულის ჩადენის ან დაფარვის საშუალებად გვევლინება, ხოლო მათი ნორმალური განხორციელების რეჟიმი დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტი ხდება.

ამგვარად, განსახილველი საკითხებიდან, პირველ რიგში, გამოვრიცხავთ საერთაშორისო დანაშაულს, როგორც პოლიტიკური, სამხედრო, რასობრივი და რელიგიური ხასიათის მქონეს. შემდეგ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულიდან და უცხოელებთან დაკავშირებული დანაშაულიდან ყურადღებას გავამახვილებოთ ეკონომიკური მიმართულების დანაშაულზე.

ეკონომიკური მიმართულების ტრანსნაციონალური დანაშაულობის განმასხვავებელი ნიშანია ეკონომიკური სარგებლის უკანონო გზით მიღება (164; 305).

დანაშაულის მოცემული კატეგორია არაერთგვაროვანია და მასში შემდეგი ელემენტები გამოიყოფა:

- სტიქიური დანაშაული – ცალკეული პირების ან ჯგუფების მიერ ჩადენილი ეკონომიკური ტრანსნაციონალური დანაშაული, რომელსაც შემთხვევითი, ეპიზოდური ხასიათი აქვს. მაგ., კერძო პირის მიერ ქვეყნიდან კონტრაბანდის სახით ვალუტის, ძვირფასი ლითონების ან სხვა ძვირფასეულობის გატანა, გაყრისას ქონების დაფარვა ოფშორული კომპანიების მეშვეობით და ა. შ. (270).
- ბიზნესდანაშაული – საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დანაშაულებრივი გამოყენების გზით მოგების სისტემატური მიღებისკენ მიმართული დანაშაული. დანაშაულის ეს სახეობა ყველაზე სახიფათოა და ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების (როგორც დანაშაულებრივის, ისე ლეგალურის), ასევე ჯგუფებისა და ცალკეული პირების მიერ. დანაშაულის

ამ სახეობას ახასიათებს ფუნქციურობა, სტრუქტურირებულობა და ინსტიტუციურობა (183. 297-308; 184. 76-92).

ფუნქციურობა ნიშნავს, რომ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების პროცესში აღმოცენებული ურთიერთობები მდგრადია და უკავშირდება დიფერენცირებული და შეთანხმებული ფუნქციების შესრულებას მთლიანი საქმიანი დანაშაულებრივი საწარმოს ფარგლებში.

სტრუქტურირებულობა ნიშნავს მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულების, როლების, სტატუსების, აგრეთვე დანაშაულებრივი საქმიანი ოპერაციების განხორციელების ტექნოლოგიის, სქემების, შაბლონების მოწესრიგებული სისტემის არსებობას.

ინსტიტუციურობა ნიშნავს დანაშაულებრივი საქმიანობის მონაწილეთა ქცევის სპეციფიკური წესების სისტემისა და მათი დაცვის უზრუნველყოფი სანქციონირებული მექანიზმის არსებობას.

ბიზნესდანაშაულის სტრუქტურაში გამოიყოფა შემდეგი ელემენტები:

- ტრანსნაციონალური დანაშაული ლეგალური ბიზნესის სფეროში – ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაული – ეკონომიკური დანაშაული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სფეროში.
- აკრძალული საქონლისა და მომსახურების ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ბიზნესი.
- დანაშაული ნორმალური საქონლისა და მომსახურების ბრუნვასთან დაკავშირებული არალეგალური ბიზნესის სფეროში, რომელსაც აქვს საგადასახადო მოტივაცია.
- სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებული საქმიანობა, ანუ ტრადიციული ქონებრივი დანაშაულის, აგრეთვე პიროვნების, მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სისტემატური ჩადენა პროფესიულ დონეზე, ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით.

ტრანსნაციონალური ბიზნესდანაშაულის სტრუქტურის უკელაზე სახიფათო სახეობაა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული. დღესდღეობით მისი

საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არ არსებობს, თუმცა ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება.

2. გაეროს კლასიფიკაციური მიდგომა. გაეროს კლასიფიკაციის მიხედვით, ყველა ტრანსნაციონალური დანაშაული 17 ჯგუფად იყოფა: ფულის გათეთრება; ტერორიზმი; ხელოვნების ნაწარმოებების და კულტურის საგნების ქურდობა; ინტელექტუალური საკუთრების ქურდობა; იარაღით უკანონო ვაჭრობა; თვითმფრინავების გატაცება; საზღვაო მექობრეობა; მიწისზედა ტრანსპორტის გატაცება; დაზღვევასთან დაკავშირებული თაღლითობა; კომპიუტერული დანაშაული; ეკოლოგიური დანაშაული; ადამიანებით ვაჭრობა; ადამიანების ორგანოებით ვაჭრობა; ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა; განზრახ გაკოტრება; ლეგალურ ბიზნესში შეღწევა; კორუფცია და საზოგადოებრივი და პარტიული მუშაკების, არჩევითი პირების მოსყიდვა (26; 345).

გაეროს მიერ შემუშავებული ტრანსნაციონალური დანაშაულობის კლასიფიკია გვიჩვენებს, რამდენად დიდ გავლენას ახდენს დანაშაული კერძო პირების ცხოვრებაზე, ეკონომიკის ცალკეულ სფეროებზე და მთლიანად მსოფლიო მეურნეობაზე. ადამიანებმაც და საწარმოებმაც დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ თავდაცვის ზომები. უნდა გაძლიერდეს საერთაშორისო თანამშრომლობა საერთაშორისო დამნაშავეობასთან ბრძოლის თვალსაზრისით.

გაეროს დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიას მიაჩნია, რომ აუცილებელია დამნაშავეების დაუყოვნებელი გადაცემა და სასამართლო წესით დევნა, ინფორმაციის ოპერატიული გაცვლა და ტექნიკური ურთიერთდახმარების აღმოჩენა, დამნაშავეებისთვის, ცეცხლსასროლი იარაღის, ასაფეთქებული ნივთიერებების, აგრეთვე ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღების საწარმოებლად გამოსაყენებელი ნივთიერებების კონტრაბანდისტებისთვის საზღვრების გადაკვეთის გამკაცრება, მათი გამოვლენის გაძლიერება.

მოცემული კლასიფიკაციიდან უშუალოდ ტრანსნაციონალური დანაშაულობის ეკონომიკურ ფორმებს მიეკუთვნება: 1) ფულის გათეთრება; 2) ხელოვნების ნაწარმოებების და კულტურის საგნების ქურდობა; 3) ინტელექტუალური

საკუთრების ქურდობა; 4) იარაღით უქანონო ვაჭრობა; 5) თადლითობა; 6) ადამიანებით ვაჭრობა; 7) ნარკობიზნები; 8) ქონტრაბანდა.

## თავი II

### ტრანსნაციონალური დანაშაულობის ძირითადი ეკონომიკური ფორმების კრიმინოლოგიური დახასიათება

#### §1. ფულის გათეთრების ტრანსნაციონალური ხასიათი

1. 90-იანი წლების მეორე ნახევარში უკანონო შემოსავლების ძირითადი წყაროები იყო ნარკოტიკებით ვაჭრობა და ფინანსური დანაშაულები: საბანკო თაღლითობა, სიყალბე, მოტყუება ფასიან ქაღალდებში დაბანდების სფეროში, განზრახ გაკოტრება და სხვ. ორგანიზებული დანაშაულის ოპერაციები „ჭუჭყიანი“ ფულის ერთ-ერთი არსებითი წყაროა. იტალიაში, იაპონიაში, კოლუმბიაში, ნიგერიაში, რუსეთში, აღმოსავლეთ ევროპის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფები სხვადასხვა სახის დანაშაულებრივ საქმიანობაში მონაწილეობენ. ნარკოტიკებით ვაჭრობის გარდა, ისინი შემოსავლებს სესხების კაბალური პირობებით გაცემიდან, სათამაშო ბიზნესიდან, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული თაღლითობიდან, პროსტიტუციიდან, იარაღით და ადამიანებით ვაჭრობიდან, ავტომობილების გატაცებიდან და მრავალი სხვა ხერხით იღებენ (273. 89-98; 144. 284-308).

ზოგიერთ ქვეყანაში დანაშაულებრივმა დაჯგუფებებმა, რომლებიც ადრე მხოლოდ ნარკოტიკებით ვაჭრობდნენ, თავიანთი საქმიანობის დივერსიფიცირება და შემოსავლების მიღების სხვა, ნაკლებად დასჯადი უკანონო ხერხების ათვისება დაიწყეს. ევროპის ქვეყნების ბანკებში ყოფილი სსრკ-ის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მნიშვნელოვანი ფულადი და სხვა ფორმის კაპიტალი გაედინება.

აზიის ქვეყნებში გამოიყენება ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი რამდენიმე მეთოდი, რაც უკავშირდება: 1) აქ ნარკოტიკების წარმოების მსხვილი ცენტრების

არსებობას, როგორებიცაა ოქროს სამკუთხედის (ბირმა, ტაილანდი, ლაოსი) და ოქროს ნახევარმთვარის (ავღანეთი, ირანი) სახელმწიფოები; 2) პარალელური გადახდების სისტემის ფართო გამოყენებას როგორც კანონიერი, ისე უკანონო ოპერაციებისთვის; 3) მსხვილი გარიგებების განხორციელებისას ნაღდი ანგარიშების გამოყენებას; 4) კრიმინალური ჩინური და იაპონური ჯგუფების საქმიანობას. გასათეთრებელი კაპიტალის ძირითად ნაწილს ნარკოტიკებით ვაჭრობიდან, ასევე ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობიდან, იარაღის და ოქროს კონტრაბანდიდან და იატაკქვეშა იმიგრანტების გადაადგილებიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს.

ზოგიერთ ქვეყანაში შეინიშნებოდა ნაღდი ფულის და წარმდგენზე საბანკო დოკუმენტების კონტრაბანდის მოცულობის ზრდა. ფართოდ გამოიყენება სატელეგრაფო გადარიცხვები, სახსრების გადარიცხვის პარალელური მომსახურება და ფინანსურ ინსტიტუტებში მესამე პირებზე გახსნილი ანგარიშები. კაპიტალის გათეთრებაში ჩართული არიან პროფესიონალები (ადგომატები), გამოიყენება კაზინო, ყალბი ანგარიშები ან აკრედიტივები. უკანონო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს ძვირფასეულობასა და უძრავ ქონებაში აბანდებენ (198. 110-120).

ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) მონაცემებით, ლათინური ამერიკის და კარიბის აუზის ქვეყნების რეგიონში XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში გათეთრებული კაპიტალის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც ნარკოტიკებით ვაჭრობის, ორგანიზებული დაჯგუფებების კრიმინალური საქმიანობის და კონტრაბანდის გაფართოებასთან არის დაკავშირებული.

კარიბის აუზის ქვეყნები მნიშვნელოვანი სატრანზიტო პუნქტია ნარკოტიკების ლათინური ამერიკიდან აშშ-ში გადასატანად. აქ მრავალი ბანკი და ექსტრიტორიული დაქვემდებარების ფინანსური ინსტიტუტია დაფუძნებული. ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული კანონების გამოცემის შემდეგაც ისეთი ფაქტორები, როგორიცაა კომპანიების დაფუძნებისა და კომერციული საქმიანობის თავისუფალ (ოფშორულ) ზონებში წარმოების სფეროს ლიბერალური კანონმდებლობა, ამ რაიონს კაპიტალის გათეთრების ხელსაყრელ ადგილად აქცევს. აქ არის დარეგისტრირებული ათობით ათასი ფირმა,

რომლებიც არალეგალური საქმიანობის საფარია (105. 32-53; 108. 93-116; 173. 159-177).

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან აღინიშნება რუსეთის კრიმინალური ორგანიზაციების მიერ რეკეტიდან, პროსტიტუციიდან, იარაღის გაყიდვიდან და ინტელექტუალური საკუთრების ქურდობიდან მიღებული ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული ოპერაციების გაფართოების ტენდენცია. არსებული ცნობებით, რუსეთის დანაშაულებრივ დაჯგუფებებს შეუძლიათ კავშირები დაამყარონ რეგიონში მოქმედ სხვა დაჯგუფებებთან, მათ შორის, იტალიურ მაფიასთან და კოლუმბიურ კარტელებთან. ეს მოვლენა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის რეგიონის საბანკო სისტემის მთლიანობას (307. 41-54).

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს გათეთრებული კაპიტალის გადაადგილება მექსიკასა და აშშ-ს შორის, მათ შორის, აშშ-დან ვალუტის კონტრაბანდით, სატელეგრაფო გადარიცხვებით, ტრანზიტული ანგარიშების გამოყენებით, რომლებიც ბანკს საზღვარგარეთ ფილიალის სახელით ჩეკების გამოწერის, ხოლო შემდეგ აშშ-ში კორესპონდენციი ბანკის ანგარიშის მეშვეობით მათი გადახდის საშუალებას აძლევს. მექსიკის ბანკის მიერ აშშ-ის ბანკში გახსნილი ანგარიშიდან გაცემული ჩეკები ფართოდ გამოიყენება აშშ-ში გათეთრებული კაპიტალის რეგისტრაციისათვის, რადგან მათი დეკლარირება საჭირო არ არის. აშშ-ის მთელი საზღვრის გასწვრივ გახსნილ გადამცვლელ პუნქტებს ხშირად იყენებენ კაპიტალის გათეთრებისთვის, რადგან ვალუტის გაცვლისას და სატელეგრაფო გადარიცხვების განხორციელებისას შეიძლება უკანონო წარმოშობის მქონე საშუალებები კანონიერ გარიგებებში „ჩაიკარგოს“.

ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის ექსპერტები შუა აღმოსავლეთის და აფრიკის ქვეყნებში ფულის გათეთრების შესახებ ინფორმაციის სიმწირეს აღნიშნავენ. სპარსეთის ყურის ქვეყნებში კაპიტალის გასათეთრებლად ყველაზე მეტად გავრცელებულია საბანკო სისტემის და ოქროს ბაზრის გამოყენება. შუა აღმოსავლეთის დანარჩენ ქვეყნებში მნიშვნელოვანი საფრთხე მოდის რუსეთის კრიმინალური დაჯგუფებისგან, რომლებიც, ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, სწორედ აქ ცდილობენ თავიანთი ფულის გათეთრებას (120. 248-261; 142).

სამხრეთ და აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებში ფულის გათეთრების ყველაზე გავრცელებული მეთოდებია საქონლის ყიდვა და ხელახალი გაყიდვა, ნაღდი ფულის კონტრაბანდა, უძრავი ქონების (კაზინო ან მაღალი კლასის სასტუმროები) შეძენა, კერძო ბანკების და გადამცვლელი პუნქტების გახსნა, რომელთა საქმიანობის რეგლამენტირება, როგორც წესი, არ ხდება (232. 137-168; 216. 75-87; 231. 497-499).

დასავლეთ აფრიკაში განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენენ დანაშაულებრივი ნიგერიული დაჯგუფებები, რომლებიც ნარკოტიკებით ვაჭრობენ და ფართომასშტაბიან თაღლითურ ოპერაციებს ახორციელებენ (320).

ფულის გათეთრება ძალიან სერიოზულ პრობლემად რჩება როგორც ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის წევრ, ისე სხვა ქვეყნებში. გასათეთრებელი კაპიტალის მოცულობის განსაზღვრა საკმაოდ რთულია, თუმცა, ექსპერტების აზრით, საქმე ეხება ასეულობით მიღიარდ დოლარს წელიწადში. უფრო ზუსტი შეფასებისთვის სრული, კომპლექსური კვლევის ჩატარებაა საჭირო.

აუცილებელია ამ პროცესის საერთაშორისო მასშტაბით განხილვა, სადაც მის უმთავრეს მონაწილეებად ორგანიზებული დამნაშავეობის უმსხვილესი დაჯგუფებები გვევლინებიან.

ჩინურმა ტრიადებმა კარგად მოიკიდეს ფეხი დასავლეთის ბევრ ქალაქში: ამსტერდამში, ლონდონში, ნიუ-იორკში, სან-ფრანცისკოში და ვანკუვერში. ამ ბანდებს შემოაქვთ ჰეროინი, ეწევიან გამომძალველობას, უკანონო სათამაშო ბიზნესს და პროსტიტუციის ექსპლუატაციას. ყველა ეს საქმიანობა მაღალშემოსავლიანია, მაგრამ ტრიადების მიერ ფულის გათეთრების შესახებ შედარებით ცოტა რამაა ცნობილი. ფულს ადგილობრივი ბანდები ხშირად იმავე საზოგადოებებში აბანდებენ, სადაც შოულობენ, განშრევების პროცესის გარეშე. მეორე მიზეზია ჩინური საზოგადოებების არაფორმალური საბანკო სისტემის იმდენად აწყობილი მუშაობა, რომ ნარკოტიკების საფასურის გადასახდელად ან სხვა მიზნებით საერთაშორისო მასშტაბით გადარიცხული სახსრები ზედაპირზე იშვიათად „ამოტივტივდება“ (303. 39-52; 230. 851-872; 280. 93-111).

როგორც ადასტურებენ ოფიციალური ორგანოები და კრიმინოლოგიური გამოკვლევები, კოლუმბიურმა კარტელებმა ისეთი ჯგუფების რეპუტაცია მოიპოვეს, რომლებიც ფულის გათეთრების სტანდარტებს განსაზღვრავენ. ჩატარებული ოპერაციების მოცულობამ და მსხვილი თანხების მთელ მსოფლიოში გადასროლის აუცილებლობამ ისინი გათეთრების თითქმის ყველა ცნობილი მეთოდის ექსპერტებად აქცია. მათი მეთოდოლოგიის დამახასიათებელი ნიშანია ნარკოტიკების გავრცელების პროცესის თითქმის სრული იზოლაცია შემოსავლების გათეთრების პროცესისგან. ერთხანს უპირატესობა ფულის „შინაურ გამთეთრებლებს“ ენიჭებოდათ, მაგრამ ახლა გარე კონტრაგენტების მომსახურების გამოყენების ტენდენცია შეინიშნება. ეს კონტრაგენტები განსაზღვრავენ კარტელის უკანონო წარმოშობის შემოსავლებისგან მისი იზოლაციის დონეს. ფულის განთავსების ფაზაში ისინი სშირად ქმნიან სხვა საიზოლაციო ფენას ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მეშვეობით მისი დამუშავების გზით, ვიდრე მომდევნო ფინანსური კონტრაგენტი მიიღებს ფულს და ახდენს შემდგომ განშრევებას და ინტეგრაციას.

კოლუმბიური ნარკოკარტელები კაპიტალის გათეთრებისთვის ისეთ მეთოდებს იყენებენ, როგორებიცაა: კარტელის შუამავლების მიერ ამერიკელი ექსპორტიორისთვის ნარკოდოლარების გადახდა და იმპორტიორებთან კოლუმბიური პესოთი ანგარიშსწორება; ექსპორტიორებთან ნარკოდოლარებით ანგარიშსწორება ოფშორულ ზონაში; ყალბი იმპორტ-ექსპორტის დეკლარაციების და სხვა კომერციული დოკუმენტების გამოყენება; ნაღდი ფულით ოპერაციების განხორციელება ბანკის კორუმპირებულ მუშაკებთან თანამშრომლობით.

ოფშორულ ზონებში საბანკო დეპოზიტების საიდუმლოების დაცვა იცავს დაბანდებულ ფულს, ხოლო საბაჟო კონტროლის არარსებობა არ იძლევა ამ ზონაში 10 000 დოლარზე მეტი თანხის შეტანის დეკლარირების შესახებ კანონის რეალურად გამოყენების საშუალებას. კაპიტალის „გამთეთრებლებს“ შეუძლიათ საქონელი ოფშორულ ზონაში შეიძინონ და იგი ბითუმად მოვაჭრებს ნომინალური დირებულების 70-80%-ად მიჰყიდონ, რაც საბაჟო შემოწმების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. შემდეგ ისინი მიღებულ პესოებს ბანკებში ათავსებენ და თავიანთ ქვეყნებში ცრუმაგიერ პირებზე გახსნილ ანგარიშებზე რიცხავენ. თავისუფალ ზონებში გავრცელდა ფულის გათეთრება

წარმდგენზე გამოწერილი ჩეკების მეშვეობით. ამას გარდა, არაერთი ბანკი შესყიდულია და კონტროლდება კოლუმბიური კარტელების მიერ, რომლებიც კონტრაბანდული გზით რიცხავენ ფულს და ჩეკებს ამ ბანკებში განსათავსებლად (363; 207. 233-259).

სიცილიურმა მაფიამ ფულის ფართომასშტაბიანი გათეთრება 80-იანი წლებიდან დაიწყო (საქმე „Pizza Connection“ – ჩრდილოეთ ამერიკაში პერიონით ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლების გათეთრება). დადგინდა, რომ მილიონობით დოლარის საერთაშორისო გადაქაჩიისთვის ამ და სხვა მსგავს შემთხვევებში მოძრავი და უძრავი ქონებით, შვეიცარიულ ბანკებში ფასიანი ქაღალდებით მოვაჭრე დილერების ანგარიშები გამოიყენებოდა. ოუმცა უკანასკნელმა ანალიზმა აჩვენა იტალიური ორგანიზებული დანაშაულის განსაკუთრებული საშიშროება კამორასა და ნდრანგეტას ფართოდ ცნობილი ჯგუფების მაგალითზე, რომლებიც, კოლუმბიური კარტელების მსგავსად, გათეთრებულ ფულს ქვეყანაში აბრუნებენ და მას დანაშაულებრივი ჯგუფების ეკონომიკური ძალაუფლების აღგილობრივი და ეროვნული მასშტაბით ზრდისთვის იყენებენ.

გაჩნდა განცხადებები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საოამაშო ბიზნესში იტალიური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების ინვესტიციების შესახებ და, როგორც ჩანს, ასეთი ინვესტიციები გარდაუვალია. მაგრამ ამ ინვესტიციების ბუნებრივი ფარგლები შესაძლოა ორგანიზებული დანაშაულის ბოსების ხასიათში იყოს ჩადებული. თავიანთ „შინაურ“ გარემოში მაფიის ბოსები მიეჩვივნენ წარმატებას, როგორც საკუთარი დაშინების უნარის, ძალადობის, პოლიტიკურ წრეებში კავშირების არსებობის და არა პატიოსანი და დაბაბული შრომის შედეგს. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია გამომძალველობა, რადგან მაფიის მენტალიტი განსაზღვრავს არსებობას სხვა მოქალაქეების ხარჯზე და არა საკუთარი შრომის ან საკუთარი კაპიტალის თუნდაც ჩვეულებრივ ბაზარზე ინვესტირების ხარჯზე, სადაც ის შესაძლოა გარკვეული რისკის ქვეშ აღმოჩნდეს. კარგად რეგულირებადი ეკონომიკის ფარგლებში სამართლიანი კონკურენტული გარემო მნიშვნელოვნად ზღუდავს მსგავსი ინვესტიციების მასშტაბებს (12. 373-378; 171. 91-105).

ჩრდილოამერიკული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ფულის საერთაშორისო გათეთრებაში შედარებით უმნიშვნელო მოთამაშები არიან. ადგილობრივი განგსტერები განშრევების ფაზაში აქტიურად იყენებენ საგადასახადო უპირატესობებს და საბანკო საიდუმლოების შესახებ კანონებს, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები ისედაც დანაშაულის უზარმაზარი ბაზარია და აქ დღემდე არსებობს ინვესტირების საკმარისი შესაძლებლობები. ამგვარად, დანაშაულებრივი შემოსავლების უდიდესი ნაწილი არ გაედინება ქვეყნის ეკონომიკის ფარგლების გარეთ, გარდა ნარკოტიკების იმპორტის საფასურის გადახდის ან ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული ტრანზიტული გარიგებების შემთხვევებისა (99. 8-11).

2. ქართველი კრიმინოლოგები აღნიშნავენ, რომ საქართველოში ფულის გათეთრებაზე საუბრისას საჭიროა ყურადღება მივაქციოთ ზოგიერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ, კრიმინოლოგიურ და სამართლებრივ ასპექტს. ქვეყანაში საბაზო ეკონომიკური რეფორმების დაწყების მომენტისათვის მნიშვნელოვანი ჩრდილოვანი კაპიტალი არსებობდა. მისი წარმოშობის არასაკმარისი კონტროლის პირობებში მოხდა მისი ლეგალურ კომერციულ სტრუქტურებსა და პრივატიზებულ სახელმწიფო დაწესებულებებში ინვესტირება, რის შედეგადაც სუბიექტთა მნიშვნელოვანი რაოდენობა კრიმინალური სტრუქტურების კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა.

საქმაოდ მაღალ საშემოსავლო გადასახადებს და არცოუ მყარ ფინანსურ მდგომარეობას იქით მივყავდით, რომ მრავალი ლეგალური საწარმო ამა თუ იმ ფორმით, სრული მოცულობით არიდებდა თავს გადასახადების გადახდას.

გასული წლების პერიოდში, საქართველოში ბრუნვა დაიწყო არალეგალურმა ნადღმა ფულმა. გამოჩნდნენ სხვა (ცრუ) პირებზე გაფორმებული ფირმები, რომლებიც ეწეოდნენ შავი ნაღდი ფულით უნაღდო ანგარიშსწორებას ფიქციური ანგარიშებითა და გარიგებებით. ასეთი ფული გამოიყენებოდა ხელფასების გასაცემად, მოქრთამვისათვის, აგრეთვე წარმოებათაშორისი ანგარიშგებისათვის.

დსთ-ში შემავალ ქვეყნებს შორის მკაცრი საზღვრების არარსებობა არაკონტროლირებადი ფულისა და საქონლის გადაზიდვის საშუალებას იძლეოდა. საქართველოში მოქმედებდნენ დანაშაულებრივი ჯგუფები დსთ-ის

სხვა ქვეყნებიდან, აგრეთვე ტრანსნაციონალური კრიმინალური კორპორაციები (თურქეთიდან, ჩინეთიდან).

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ქმნიდნენ ფიქციურ ფირმებს, რომლებიც ლეგალურ საწარმოებზე ნადდ „ჭუჭყიან“ ფულს უნადდოდ „ყიდდნენ“, რისთვისაც წარმოება იხდიდა საკომისიოს 1-8%-ის ოდენობით. ამ ფირმების მეშვეობით შესაძლებელი იყო დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნადდი ფულის გაყიდვაც. ასეთი ფირმების მფლობელებად ან ხელმძღვანელებად ყალბი პირები გვევლინებოდნენ და ფირმების რეგისტრაციაც ყალბი ან მოპარული დოკუმენტებით ხდებოდა. ფიქციური ფირმები, როგორც წესი, მუშაობდნენ არა უმეტეს სამი თვისა. ერთი კვარტალის განმავლობაში მუშაობის შემდეგ, ანგარიშგებისა და გადასახადების გადახდის მომენტის დადგომისას მათ ანგარიშზე ფული აღარ რჩებოდათ.

ბრუნვაში „ჭუჭყიანი“ ფულის მოქცევა შეიძლებოდა აგრეთვე განხორციელებულიყო საქველმოქმედო ფონდებისა და სხვა კომერციული ორგანიზაციების მეშვეობით. ფული შეიტანებოდა შეწირულებებისა და სხვა შენატანების სახით, ისეთი ოდენობით, რომელიც საშემოსავლო დაბეგვრას არ ექვემდებარებოდა.

ტრანსფერპრაისინგი (Transferpricing) გავრცელებული იყო საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებში. ამ დროს დგებოდა ორი სახის ხელშეკრულება: რეალური და ფიქციური (გაზრდილი თანხის მითითებით). ფიქციური ხელშეკრულების მიხედვით ფული ეგზავნებოდა შუამავალ ფირმას, რომელიც, როგორც წესი, ოფშორულ ზონაში იყო რეგისტრირებული. რეალურ და ფიქციურ ფასებს შორის განსხვავება შემოსავლის სახით ამ ფირმის ანგარიშზე რჩებოდა (2. 263-262).

**§2. ხელოვნების ნაწარმოებების და კულტურის საგნების ქურდობის ტრანსნაციონალური ხასიათი**

1. ხელოვნების ნიმუშებისა და არქეოლოგიური საგნების მზარდი ბაზარი განსაკუთრებით იზიდავს ორგანიზებულ დანაშაულებრივ ელემენტებს. დადგენილია, რომ მსოფლიო ბაზარზე გასაყიდად ყოველწლიურად 4,5 მილიარდი დოლარის ღირებულების ხელოვნების ნიმუშებს ეუფლებიან. ამჟამად ათასობით ცნობილი ხელოვნების ნიმუში იძებნება (366).

საერთაშორისო დოკუმენტებში გამოიყოფა იმ ნივთების ორი მთავარი კატეგორია, რომელთა შემენასაც ორგანიზებულ დაჯგუფებებში გაერთიანებული დამნაშავეები ცდილობენ:

- ძირითადად დასავლეთ ევროპის და ბოლო ხანებში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ასევე ყოფილი სსრკ-ის ქვეყნების მუზეუმებში, ეკლესიებში, გალერეებში და კერძო კოლექციებში არსებული ხელოვნების ნიმუშები და ძვირფასი ანტიკვარული ნივთები.
- ძირითადად არქეოლოგიური გათხრების ჩატარების ადგილებში, აგრეთვე აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნების მუზეუმებში არსებული, კულტურული ღირებულების მქონე ხელოვნების ნიმუშები (აკლდამები, ტაძრები, ძველი დასახლებების ნაშთები) (335).

პირველი კატეგორიის ნივთები ხვდება დასავლეთის ქვეყნების ხელოვნების ნიმუშთა ბაზარზე, სადაც უპრინციპო გაყიდვის აგენტების თანამონაწილეობით კერძო კოლექციების ნაწილად იქცევა, ხოლო მეორე კატეგორიის, განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში მოხვედრილ ნივთებს იძენენ არა მარტო კერძო კოლექციონერები, არამედ ზოგიერთი მუზეუმიც. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო) ძალისხმევა ასეთი ნივთების წარმოშობის ქვეყნებში დასაბრუნებლად ხშირად უშედეგოა, რადგან მათი შემძენები ინფორმაციას არ ამხელენ.

ზოგიერთ შემთხვევაში ხელოვნების ნიმუშებს ხელსაყრელი კონტრაქტის გაფორმებისას ქრთამის სახით იყენებენ. ახლად გამდიდრებული ადამიანებისთვის მხატვრული ფასეულობის ფლობა მაღალი საზოგადოებრივი სტატუსის შეძენას ნიშნავს.

მრავალი ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ თუ ნივთები დარეგისტრირებულია და შეტანილია ქატალოგში, მათი გაყიდვა ძალიან რთულია. ასეთ დროს მათ უკანონოდ ეუფლებიან ქვეყნიდან გატანის მომენტში. ასეთი ნივთების უკანონო შეძენა, მათი საზღვარგარეთ ტრანსპორტირება და გაყიდვა მოითხოვს ფართო დამხმარე ქსელს და ამ სფეროს დრმა ცოდნას, რაც გააჩნიათ ორგანიზებული დანაშაულის დაჯგუფებებს.

არსებობს საბაჟო კონტროლის გავლის მრავალი ხერხი:

- თუ ეს სურათია, მას რულონის სახით ახვევენ და სპეციალურ კონტეინერში ან, მაგალითად, ხალიჩის შიგნით ათავსებენ;
- თუ ეს არის ხეზე მხატვრობა, მაგ., ხატი, მას ავტომობილის საბარგულის ან ავეჯის ორმაგ ძირზე ათავსებენ, და ა. შ. ზოგჯერ ფერწერის ნიმუშების გასატანად სპეციალურად იძენენ გარკვეულ ნივთს, რომელსაც სასაზღვრო კონტროლის გავლისთანავე აგდებენ;
- თუ ეს არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთებია, შესაძლებელია მათი საზღვრის გადამკვეთ სატვირთო მანქანებში ან მატარებლების საძილე ვაგონებში დამალვა. ხშირად ნივთს ტეხნიკურ, რათა შემდეგ კვლავ შეძლონ მისი დაწებება;
- თუ ეს ანტიკური მონეტებია, ცვლიან მათ განმასხვავებელ ნიშნებს საბაჟო დეპლარაციაში და ასე გადააქვთ საზღვარზე.

უკანონო გადატანისას ნივთებს ხშირად ადგება მნიშვნელოვანი ზიანი, ზოგჯერ მთლიანად იცვლება მათი ფორმა, ან ისინი მრავალ ნაწილად ტყდება. ყოველწლიურად იტალიაში აღირიცხება კულტურული ფასეულობების ქურდობის 1800-მდე შემთხვევა, რა დროსაც 20000-მდე ნივთს იპარავენ. ყველაზე დიდი რისკის ქვეშაა ეკლესიებსა და კერძო კოლექციებში არსებული ძვირფასეულობა, რადგან მათ, როგორც წესი, არავინ იცავს (359. 943-950).

დანაშაულის ამ სახეობის ლატენტურობა საკმაოდ მაღალია, რადგან ყველა დაზარალებული არ აცხადებს ქურდობის შესახებ. ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს:

- მხატვრული ფასეულობა შესაძლოა უკანონო საქმიანობის შედეგად იყოს მიღებული;

- შესაძლოა საქმე გვქონდეს გამომძალველობასთან, როცა მესაკუთრეს მოპარული ნივთის სანაცვლოდ ფულს სძალავენ;
- ზოგჯერ უბრალოდ შეუძლებელია ნივთზე ძებნის გამოცხადება, რადგან მესაკუთრეს არ შეუძლია მოპარული ნივთის შესახებ მონაცემების მოწოდება.

კომერციის ეს ნაირსახეობა აქტიურად გამოიყენება დანაშაულებრივი გზით მიღებული კაპიტალის ლეგალიზაციისათვის. ამ საქმით დაკავებული პირები, როგორც წესი, სხვა პირთა სახელით მოქმედებენ. უკანონო გზით მიღებულ მხატვრულ ფასეულობათა შესყიდვისას ისინი შუამავლებს იყენებენ; ამასთანავე, ნივთში რეალურზე ნაკლებ ფასს იხდიან. ამის შემდეგ ეს ნივთები ხელახლა იყიდება უკვე რეალურ ფასად, რითაც წარმატებით ხდება დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათვარებასთან ბრძოლისკენ მიმართული კანონმდებლობის ყველა მუხლის გვერდის ავლა.

ბოლო ათწლეულები ქვეყნების კულტურული მონაპოვრის ტრანსნაციონალური ქურდობის ინტენსიური ზრდის პერიოდად იქცა. ეს განპირობებულია ამ ნივთებზე გაზრდილი მოთხოვნილებით ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, აშშ-ში, აგრეთვე კონკრეტულ ქვეყნებში მსოფლიო ფასებთან შედარებით ამ ნივთებზე შეუდარებლად დაბალი ფასებით. ეს გარემოება დამნაშავებს გატაცებული ხელოვნების ნიმუშების რეალიზაციიდან უზარმაზარი შემოსავლების მიღების საშუალებას აძლევს.

კულტურულ ფასეულობათა მნიშვნელოვანი ნაწილი გააქვთ მოქალაქეებს, რომლებიც საზღვარგარეთ მუდმივად საცხოვრებლად მიემგზავრებიან. მათი კონტრაბანდული საქმიანობის მასშტაბებზე მეტყველებს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (გერმანია, ავსტრია, იტალია, საფრანგეთი და სხვ.) არსებული ოპერატორები და საგამოძიებო მასალები, რომელთა მიხედვით, კონტრაბანდისტთა 40-ზე მეტი ორგანიზებული ჯგუფი რუსეთზეა ორიენტირებული (72).

ამ ადამიანთა უმეტესობა ყოფილი საბჭოთა მოქალაქეა. მათ ქვეყანაში აქვთ კავშირები და ჰყავთ თანამოაზრენი, რომლებიც უზრუნველყოფებ ფასეულობათა მოძიებას, შესყიდვას და ქვეყნიდან გატანას. არალეგალური არხებით მიღებული კულტურული ფასეულობების დასავლეთში რეალიზაციისათვის მათ

სპეციალიზებული მაღაზიების მთელი ქსელი აქვთ შექმნილი. წარმატებით ფუნქციონირებენ იატაკქვეშა ფირმები, რომლებსაც უკანონო გზით გასატანი ფასეულობების შეფასების, ექსპრტიზის და აუცილებელი დოკუმენტების გაფორმების საქმეში გამოცდილი ექსპრტ-ხელოვნებათმცოდნები ჰყავთ ჩართული.

ამ პირთა საქმიანობა ხელს უწყობს მსხვილი დანაშაულებრივი სტრუქტურების აღმოცენებას, რომლებიც თავიანთი მიზნებისათვის იყენებენ პროცედურული საკითხების, საბაჟო და სასაზღვრო წესების გამარტივებას, ქვეყანაში შესვლის და გამოსვლის შეზღუდვების მოხსნას. ამერიკის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა აზრით, ეკონომიკური სირთულეები და კანონიერების რეჟიმის დასუსტება რუსეთში, რუსეთის მოქალაქეებისთვის საზღვარგარეთ გამგზავრებაზე შეზღუდვების მოხსნასთან ერთად, ფართოდ უხსნის გზას ორი ქვეყნის დანაშაულებრივი სინდიკატების ურთიერთქმედებას, მათ შორის, დანაშაულებრივი თანამშრომლობის ყველაზე სარფიან სფეროში – კულტურული ფასეულობების კონტრაბანდის კუთხით.

ბოლო ხანებში გამოიკვეთა კულტურული ფასეულობების საზღვარგარეთ გატანის ახალი არხი, რომელიც უკავშირდება იმ ერთობლივი საწარმოებისა და კოოპერატივების საერთაშორისო საქმიანობას, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან.

იმის გათვალისწინებით, რომ გატანილი კულტურული ფასეულობების სადაზღვევო ღირებულება საქმაოდ პირობითია, ხშირად კი აშკარად ხელოვნურადაა შემცირებული (ინფლაციის პროცესების გათვალისწინებითაც), ზარალის რეალური მასშტაბის წარმოდგენაც კი ძნელია.

საფრანგეთში, სპეციალისტების, გალერეების მფლობელების, მუზეუმების თანამშრომლებისა და კოლექციონერების გათვლებით, ყოველწლიურად იმართება ფერწერის გამოფენები და აუქციონები, სადაც გამოგონილი ან საეჭვო ორგანიზაციების ეგიდით ათასობით სხვადასხვა ფასეულობის მქონე ნაწარმოებია წარმოდგენილი. საყოველთაოდ ცნობილი დრუოს აუქციონის ფარგლებშიც კი მხატვრების ნაწარმოებები დაწეულ ფასად, ყოველგვარი

გონივრული ზღვრის ქვემოთ, პარიზის ტურისტული რაიონების დონეზე იყიდებოდა.

ნიუ-იორკი ხშირად ხდება მუზეუმებიდან და კერძო კოლექციებიდან გამქრალი ხელოვნების ნიმუშების დანიშნულების პუნქტი. ამასთანავე, მსოფლიო ხელოვნების ამ ცენტრში საკმაო ყურადღება ექცევა საეჭვო გარიგებებს და იშვიათი ნივთების შედარებით დაბალ ფასად გაყიდვის ფაქტებს.

გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ შედგენილ ჩამონათვალში ყველაზე ძვირად ღირებულ 10 მოპარულ ხელოვნების ნიმუშს შორისაა ედვარდ მუნკის „ყვირილი“, რომელიც 2004 წელს შუადღისას, შეიარაღებული ძარცვის დროს იქნა მოპარული, და ლეონარდო და ვინჩის „მადონა სართავით“, რომელიც 2003 წელს შოტლანდიური კოშკიდან მოიპარეს. სახელმწიფო მოხელეების თქმით, სამართალდამცავები მათ ადგილმდებარეობას მათი გაყიდვის მცდელობისთანავე შეიტყობდნენ.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, მარტო რუსეთის მუზეუმებიდან 300 მილიარდზე მეტი ღირებულების ფასეულობები მოიპარეს (370), საფრანგეთში კი – 92 მილიარდი ევროს ღირებულების ხელოვნების ნიმუშები (356).

ცნობილია, რომ საჯარო დათვალიერებისთვის ხელოვნების ნიმუშთა მცირე ნაწილია გამოფენილი. დანარჩენები გამაგრებულ საცავებში, განსაკუთრებულ კლიმატურ რეჟიმში ინახება. ასეთია, მაგ., ლონგ-აილენდზე არსებული „ციხესიმაგრე“ – ეროვნული კორპორაცია, რომელიც ხელოვნების ნიმუშების და ანტიკვარიატის შენახვაზეა სპეციალიზებული.

პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებიდან მოწოდებული ინფორმაცია იმაზე მეტყველებს, რომ დანაშაულს ხელს უწყობს ძებნის ორგანიზების ნაკლოვანებები.

ხელოვნების სფეროში ჩადენილი დანაშაულის რაოდენობის ზრდა პარალელური ბაზრების აღმოცენებით აიხსნება. ასეთ ნივთებზე ფასების ზრდასთან ერთად დამნაშავეთა სტიმულიც იზრდება. 1990 წელს ვინსენტ ვან გოგის სურათი „ექიმ გაშეს პორტრეტი“ ნიუ-იორკის „კრისტის“ აუქციონზე 82,5 მილიონ აშშ დოლარად, 2004 წელს პაბლო პიკასოს სურათი „ბიჭი ჩიბუხით“ – 104 მილიონ

აშშ დოლარად, ხოლო 2006 წლის ივნისში გუსტავ კლიმბის სურათი „ადელი ბლოხ-ბაუერის პორტრეტი“ რეკორდულ ფასად, 135 მილიონ აშშ დოლარად, გაიყიდა (360).

კანონიერ ბაზარზე შემოსული ნამუშევრები მაშინვე აშკარავდება (რუსეთის და საერთაშორისო ბაზრებზე 274 ნახატი მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც „კრისტის“ აუქციონზე ამ მხატვრის 9 ნამუშევარი გაიყიდა). ეს სურათები მყიდველს არ გადაეცა და რუსეთს დაუბრუნდა. 500-900 ნახატი ჯერ კიდევ დაკარგულად ითვლება, – წერს ლონდონის გაზეთი „The Times“. არსებობს საშიშროება, რომ ეს ნახატები, ისევე, როგორც ერმიტაჟიდან მოპარული მინანქრის, ვერცხლის და საიუველირო ნაწარმი, წლობით იქნება გადამალული სამართალდამცავი ორგანოების თვალთაგან. ანონიმურმა წყაროებმა და კოლექციონერებმა, რომლებმაც არ იცოდნენ, რომ მოპარული ნივთები შეიძინეს, ერმიტაჟიდან მოპარული 221 ნივთიდან 18 დააბრუნეს.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღნიშნული დანაშაულის ფორმა მეტად გავრცელებულია. იძარცვება ეკლესიები, მოსახლეობის სახლები, ტარდება საეჭვო სახის არქეოლოგიური „გამოკვლევები“. მოპარული ნივთები გადააქვთ რუსეთში, საიდანაც ისინი სხვა ქვეყნებში გასაყიდად ნაწილდება. ხელოვნების ნიმუშების და კულტურის საგნების ტრანსნაციონალური ქურდობა საქართველოს დანარჩენ ნაწილში გავრცელებული არ არის.

### §3. ინტელექტუალური საკუთრების ქურდობის ტრანსნაციონალური ხასიათი

ინტელექტუალური საკუთრების ქურდობა მოიცავს საავტორო და საშემსრულებლო უფლებების დარღვევას, აგრეთვე საავტორო უფლებების დაცვის და სავაჭრო ნიშნების უკანონო გამოყენებას. დაცული ნაწარმოებების უკანონოდ აღდგენის და გაყიდვის ცდუნება განსაკუთრებით მაღალია განუვითარებელი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ზარალის მასშტაბი უზარმაზარია და ძნელია მისი ფულად ერთეულში გამოხატვა. მხოლოდ პროგრამული უზრუნველყოფის არალეგალური გამოყენებიდან მიღებული ზარალი წელწადში 12 მილიარდ დოლარს შეადგენს (362). საავტორო

უფლებების დაცვის ნიშნების გაყალბება არ შეუძლიათ მცირე საწარმოებს და კურძო მეწარმეებს. გასაღების სისტემის კოორდინირებისა და მოწესრიგებისათვის ხშირად გარიგებები სამთავრობო დონეზედაც ხორციელდება.

დანაშაულის ამ ფორმის დახასიათებისას გასათვალისწინებელია, რომ საავტორო უფლებას აქვს ორმაგი ეკონომიკური ხასიათი, რაც აღნიშნულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეპლარაციის 27-ე მუხლში (387). ერთი მხრივ, ის იცავს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების შექმნის სფეროში დასაქმებულ პირთა უფლებებს, მეორე მხრივ კი, უზრუნველყოფს იმ ნაწარმოებთა ხელმისაწვდომობას, რომლებიც დაცვის ობიექტია. საავტორო უფლება საბაზრო ეკონომიკის პირობებში უზრუნველყოფს ეკონომიკურ და სამართლებრივ პირობებს, რომლებიც ქმნის მძლავრ სტიმულებს ასეთი ობიექტების შესაქმნელად. იმ სუბიექტებს, რომელთა უფლებების დაცვაც ხორციელდება, შეუძლიათ აინაზღაურონ ნაწარმოებების შექმნასთან დაკავშირებული ხარჯები. ამასთანავე, დაცული ობიექტები ჩართულია საბაზრო ბრუნვაში, რითაც დაკმაყოფილებულია მომხმარებელთა მოთხოვნილება. საავტორო უფლების ობიექტების შექმნისა და გავრცელების სფეროში დასაქმებული ადამიანების უფლებების ეფექტიანი დაცვა დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკის ეფექტიანობაზე, ხელს უწყობს მისი სტრუქტურის სრულყოფას და არაერთი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტას.

საავტორო უფლების ობიექტების გამოყენებას მათი მფლობელებისთვის შემოსავლები მოაქვთ. ეკონომიკის ეს სფერო უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებს, რომლებზედაც დასაქმებულია მაღალი ანაზღაურების მქონე მაღალკვალიფიციური პერსონალი.

განვითარებულ ქვეყნებს აქვთ პოტენციური შესაძლებლობები, მნიშვნელოვნად გაზარდონ ეროვნული შემოსავალი და ექსპორტი ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების მართლზომიერი გამოყენების ხარჯზე. მაგრამ ამჟამად ამ შესაძლებლობების რეალიზება არ ხდება უფლების მფლობელთა ინტერესების დაცვის მექანიზმის არაეფექტიანობის და საავტორო უფლების ობიექტების გავრცელებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ინდუსტრიის კრიმინალიზაციის გამო.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევა შესაძლოა გამოხატული იყოს საავტორო უფლების ობიექტების უკანონო გამოყენებაში, ასევე ავტორობის მითვისებაში. განვიხილოთ ეს დარღვევები და მათი თავისებურებანი ცალკეული სფეროების მიხედვით.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტების უკანონო გამოყენების მაგალითებია: სხვისი ნაწარმოების „გადამუშავება“, რომელიც ახალ ნაწარმოებს არ ანიჭებს მხატვრულ ან სამეცნიერო დამოუკიდებლობას, იძულებითი თანაავტორობა (ავტორის იძულება, თანაავტორებად ჩართოს პირები, რომლებსაც ნაწარმოების შექმნასთან არანაირი კავშირი არ აქვთ), სხვისი ნაწარმოების უკანონო აღწარმოება (ხელახლა გამოცემა ავტორის გაფრთხილების გარეშე, ნაწარმოების ნაწილის ამოდება, ნაწარმოებში კომენტარის, განმარტებითი ტექსტის ჩართვა), სხვისი ნაწარმოების უკანონო გავრცელება (რეალიზაცია, საჯარო შესრულება, წარმოდგენა) ავტორის ნების საწინააღმდეგოდ.

ავტორობის მითვისებაა სხვისი ნაწარმოების სრული მოცულობით ან ნაწილობრივი გამოცემა საკუთარი სახელით, აგრეთვე თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოების გამოცემა საკუთარი სახელით, მათი გვარების მითითების გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევით შექმნილ და გავრცელებულ პროდუქციას კონტრაფაქციული ეწოდება. კონტრაფაქციული პროდუქციის წილი სხვადასხვა სფეროში 95-98%-ს აღწევს. ამ მოვლენამ ორგანიზებული დანაშაულის ფორმები მიიღო და დიდი საზოგადოებრივი საშიშროებით გამოირჩევა. მარტო ორი წლის განმავლობაში ამ პროდუქციის დირებულება 250 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა (329).

კონტრაფაქციული პროდუქციის დამზადებისა და გავრცელების კრიმინალური ბიზნესი მაღალშემოსავლიანობით არ გამოირჩევა. თუმცა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების დიდ ინტერესს ის განაპირობებს, რომ აქ რისკი საკმაოდ დაბალია.

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების უკანონო ბრუნვაში დიდი ადგილი უჭირავს კონტრაფაქტულ აუდიოპროდუქციას (176. 144-145).

არალეგალური პროდუქციის გამოშვების ლიდერები ბოლო დრომდე იყვნენ ჩინეთი (პონგონის ჩათვლით), ტაივანი, მალაიზია, მაკაო, ბულგარეთი და ჩეხეთი. ამჟამად შეიმჩნევა არალეგალური კომპაქტდისკების წარმოების სხვა ქვეყნებში გადანაცვლების ტენდენცია.

ბოლო ხანებში შეინიშნება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების უკანონო გამოყენების ისეთი სახეები, როგორებიცაა თანამგზავრული გადაცემების საჯარო ჩვენება და საკაბელო ტელევიზიის სტუდიების შესაბამისი ნებართვების (ლიცენზიების) გარეშე ორგანიზება.

საავტორო უფლებების დარღვევა პოლიგრაფიასა და წიგნების გამოცემაში საკმაოდ გავრცელებულია. ამ სფეროში მეკობრეობა დაახლოებით 70%-ს შეადგენს. ყველაზე გავრცელებულია გამომცემლობების მიერ ტირაჟის უფლების მფლობელის განაცხადში მითითებულზე მეტად გაზრდა, აგრეთვე ნათარგმნი გამოცემების უკანონო დაბეჭდვა.

საავტორო უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული დანაშაული ძირითადად სხვა სერიოზულ ეკონომიკურ დანაშაულთა (სავაჭრო ნიშნის უკანონო გამოყენება, ცრუმეწარმეობა, გადასახადების, საბაჟო მოსაკრებლების გადახდისთვის თავის არიდება, მომხმარებელთა მოტყუება და ა. შ.) საფუძველია.

საქონლის პროდუქციის, სამუშაოების, მომსახურების ინდივიდუალიზაციის, იურიდიული პირის ინდივიდუალიზაციის საშუალებათა უკანონო გამოყენებით გაყიდვა დანაშაულის მოცემულ ფორმაში სახიფათო, ნეგატიური მოვლენაა.

ინტელექტუალური საკუთრების ქურდობა საწარმოო ჯაშუშობის კრიმინალური საშუალებაა. საწარმოო ჯაშუშობის მიზანია კონკურენტის სამომავლო საქმიანობის, სამეწარმეო პროცესების, სავაჭრო სტრატეგიების, სამეცნიერო და სამეწარმეო კვლევების შესახებ მონაცემების მიღება ორგანიზაციების, მომხმარებლებისა და ანგარიშგების დოკუმენტების მიხედვით.

საწარმოო ჯაშუშობის აყვავების ეპონომიკური საფუძველია კონკურენცია. კონკურენტული ბრძოლის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი პირობაა იმ მონაცემების საიდუმლოდ შენახვა, რომელთა გარეშე პირების მიერ დაუფლებას შეეძლო შეესუსტებინა საწარმოს ეპონომიკური პოზიციები და ზარალი მიეყენებინა მისთვის. ასეთ მონაცემებს კომერციულ საიდუმლოებას უწოდებენ (199. 95-122).

საწარმოო ჯაშუშობა საწარმოს არ აძლევს კონკურენტული უპირატესობების რეალიზაციის შესაძლებლობას, აუფასურებს კვლევების, საცდელ-საკონსტრუქტორო შემუშავებების და სხვა ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ხარჯებს. იმავდროულად, არაკეთილსინდისიერ კონკურენტს აქვს საშუალება, მკვეთრად შეამციროს კონკურენტული ბრძოლის დანახარჯები.

საწარმოო ჯაშუშობის ისტორიული ფესვები შორეულ წარსულშია. რომის იმპერატორმა იუსტინიანემ მნიშვნელოვნად დააზარალა ჩინეთის აბრეშუმით ვაჭრობა ახლო და შეუადგოსავლეთში იმით, რომ ორგანიზება გაუწია აბრეშუმის ჭიების ქურდობას. ჯ. დ. როკფელერმა კი ჯაშუშობის კლასიკური მეთოდები XIX საუკუნის 70-იან წლებში ნავთობის საბადოებისთვის მიმდინარე ბრძოლაში თავისი კონკურენტების დასამარცხებლად გამოიყენა (352).

საწარმოო ჯაშუშების მეთოდები სახელისუფლებო სადაზვერვო ორგანიზაციების მეთოდების ანალოგიურია; ამიტომ მათი აღწერისათვის სადაზვერვო ტერმინოლოგია გამოიყენება:

- კლიენტი, რომელიც სადაზვერვო საქმიანობის მომსახურებას მოითხოვს, წარმოებაში არის კონკურენტი. კლიენტი განსაზღვრავს იმას, რაც სჭირდება, ასევე „მპვდარ წერტილებს“, რომლებიდანაც ის ვერაფრით იძვრის, და გამოყოფს ფულს ჯაშუშობის განხორციელებისთვის.
- ჯაშუში – ეს არის პირი, რომელიც ტალანტების გამოვლენითაა დაკავებული. ის ჯაშუშობის ქსელის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია. ტალანტების გამოვლენა საგულდაგულო კვლევებსა და დაკვირვებებს მოითხოვს. არსებობს რამდენიმე მეთოდი იმისათვის, რომ ადამიანებს ჯაშუშობა ვაიძულოთ, რადგან ძალიან ბევრ მათგანს ეს არ უნდა; ამასთანავე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს სფეროები, რომლებში შეღწევაც აუცილებელია, გამოვლინდნენ ადამიანები,

რომლებიც ამ სფეროებში მუშაობენ, და მათ ჯაშუშობა ვაიძულოთ, ანუ ჯაშუშებად ვაქციოთ.

- ხაფანგი აღიარებულია ჯაშუშობის ყველაზე ეფექტიან მეთოდად, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მიმნდობ ადამიანებზეა გათვლილი. ლოიალურობის, სტაბილურობისა და კარიერის ეროვნია აადვილებს ხაფანგში შეტყუებას. ხაფანგში შეტყუების მეთოდები მოიცავს ინტრიგების სიყვარულს, თავმოყვარეობას, ამპარტავნებას, იმ „მეგობრისგან“ შექების მიღების სურვილს, რომელმაც ადამიანი ჯაშუშად დაიქირავა. ინფორმაციის ფარულად მიღების ძალიან ეფექტიანი მეთოდია ცრუ ინტერვიუ, რომლის მეშვეობითაც სამუშაო და სამეცნიერო მიღწევები აშკარავდება. ხაფანგში შეტყუების ეფექტიანი მეთოდებია ასევე შანტაჟი მაკომპრომეტირებელი მონაცემების გამოყენებით და ფული.
- აგენტების ხელმძღვანელები (რეზიდენტები) აგენტების მუშაობას ხელმძღვანელობენ. ამასთანავე, აგენტებთან რეზიდენტის ურთიერთობა საიდუმლოდ უნდა იქნეს შენახული; წინააღმდეგ შემთხვევაში ჯაშუშური ქსელი შესაძლებელია გამოაშკარავდეს.
- აგენტების ტიპები – ლეგალური და არალეგალური. ლეგალური აგენტი ფირმის თანამშრომელია, არალეგალური აგენტი კი ფირმაში ყალბი დოკუმენტებით შეჭყავთ.

სადაზვერვო ინფორმაციის აგენტების მეშვეობით შეკრების მეთოდი სადაზვერვო საქმიანობის ძირითადი მეთოდია, თუმცა სხვა მეთოდებიც არსებობს (127. 460-482):

- ფარული მოსმენა. ბიზნესმენები, პოლიტიკოსები და პოლიციის თანამშრომლები განაგრძობენ ჩვეულებრივი სასაუბრო კაგშირის გამოყენებას მოსმენისაგან დაუცველ ხაზებზე, რომლებზედაც ისინი საკუთარ საქმეებს განიხილავენ, მაშინ, როცა ჯაშუშები ინფორმაციის ზესწრაფი გადაცემის აპარატურით, არაიდენტიფიცირებადი სიგნალებით და საუბრის გამშიფრავებით სარგებლობენ (237. 13-14).
- სხვადასხვა ფირმის მუშაკების მიერ გადაყრილი ნაგვის გამოკვლევა. ეს საქმაოდ ეფექტიანი მეთოდია, რადგან ნაგვის ურნებში ზოგჯერ საიდუმლო ინფორმაციის შემცველი დოკუმენტები ხვდება.

ევროკავშირის ქვეყნებს არ აქვთ მიღებული კანონები, რომლებიც უშუალოდ იქნება მიმართული საწარმოო ჯაშუშობასთან ბრძოლისკენ. იმავდროულად,

ამერიკის ზოგიერთი შტატის კანონმდებლობა საწარმოო ჯაშუშობას დანაშაულად განიხილავს.

საწარმოო ჯაშუშობა დინამიკურად ვითარდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. თუკი რამდენიმე წლის წინ ინფორმაციულ დაზვერვას ძირითადად კრიმინალური სტრუქტურები აწარმოებდნენ, ამჟამად სიტუაცია შეცვლილია. კონკურენციის ზრდა იქცა ინფორმაციული დაზვერვის განვითარების მეთოდად ეკონომიკის ისეთ სექტორებში, როგორებიცაა ტურისტული ბიზნესი, შოუბიზნესი, საპარო გადაზიდვები, კვების პროდუქტების წარმოება, უძრავი ქონების ბიზნესი, მსხვილი საბითუმო ვაჭრობა და მრავალი სხვა.

ინფორმაციის ღია და სანდო წყაროების გაანალიზების პროცესში მეცნიერები აღნიშნავენ, რომ საწარმოო ჯაშუშობის ფორმების უმრავლესობა არის არაპროფესიონალური შემთხვევა და ცდა კონკურენტების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებისა. ჯაშუშობას წმინდა ეკონომიკური მიზანი აქვს, მათ შორის: ხელსაყრელი კონტრაქტების მოპოვება; ხელსაყრელი ინვესტიციების მიღება; ბაზრისთვის ბრძოლა; კონკურენტების რეგიონში ბაზრის დაზვერვა; ფირმის ხელმძღვანელობის შეცვლა; კონტრაქტების ჩაშლა; ფირმების შთანთქმა; სამართალდამცავ ორგანოებზე გავლენის მოხდენა. განსაკუთრებით სახიფათოა ბოლო მიმართულება, რომელსაც ორგანიზებული დაჯგუფებები აქტიურად იყენებენ (254. 130-152).

ცნობილია შემთხვევები, როდესაც კონკურენტების შესახებ კომერციულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მაღალი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკებმა გაყიდეს. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების უკანონო ბრუნვიდან მიღებული მაღალი შემოსავლები ხელს უწყობს დანაშაულებრივი ჯგუფების გააქტიურებას, მათ კრიმინალურ ექსპანსიას უკანონო ბიზნესის ახალ სფეროებში.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გავრცელებული ფორმებია:

- ცრუ, არაზუსტი ან დამახინჯებული მონაცემების გავრცელება, რომლებმაც შეიძლება დააზარალოს სხვა სამეურნეო სუბიექტი ან ზინი მიაყენოს მის საქმიან რეპუტაციას;

- მომხმარებლების შეცდომაში შეყვანა საქონლის მახასიათებლებთან, დამზადების საშუალებასა და ადგილთან, სამომხმარებლო თვისებებთან, ხარისხთან, დაკავშირებით;
- სამეურნეო სუბიექტის მიერ მის მიერ წარმოებული ან გასაყიდი საქონლის არაკორექტული შედარება სხვა სამეურნეო სუბიექტების საქონელთან.

უმრავლეს შემთხვევაში არაკეთილსინდისიერი კონკურენცია ასეთ ფირმებში არასანდო, არაეთიკური და ცრუ რეკლამის მეშვეობით ხორციელდება. როგორც წესი, რეკლამის ყველა ამ სახეობას შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი. მას შეუძლია ზიანი მიაყენოს მოქალაქეთა ჯანმრთელობას, მოქალაქეების და იურიდიული პირების ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას. ისინი შეიცავენ რეკლამირებული საქონლის არაკორექტულ შედარებას კონკურენტის საქონელთან ან არასწორ ცნობებს საქონლის თვისებების შესახებ. ასეთი მოქმედება ასევე განიხილება მომხმარებლების ინტერესების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის განხილვისას (254. 130-152).

#### **§4. იარაღით უკანონო გაჭრობის ტრანსნაციონალური ხასიათი**

იარაღის უკანონო ბრუნვა შემოსავლიანობის და განვითარების დინამიზმის თვალსაზრისით მხოლოდ ნარკობიზნესის ინდუსტრიას ჩამორჩება. შეიარაღების კანონიერ და უკანონო მიწოდებას შორის სხვაობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის, თუ ვინ არის საბოლოო მომხმარებელი. იარაღის შავ ბაზარზე გარიგებები იატაკებება საქმიანობაა, სადაც ხარჯების დიდი ნაწილი ასეთი გარიგებების საიდუმლო ხასიათს უკავშირდება, ხოლო ფულადი სახსრების უკუდინება ლეგალიზაციის პროცესს გადის.

ყველაზე მსხვილ „გარიგებაში“ სახელმწიფოები მონაწილეობენ, ხოლო ნაკლებად ლოკალური გარიგება შეიძლება სცილდებოდეს სახელმწიფოს ოფიციალურ პოლიტიკას. ყველა შემთხვევაში ეს ზღვარი მეტად ფერმკრთალია.

იარაღის გამოყენებით ძალადობა სხვადასხვა დონის სახელმწიფო სტრუქტურებზე ზეწოლის, დაშინების, ბიზნესში კონკურენტების, ურჩი

ბანკირების, გამოუსწორებელი მოვალეებისა და დაუინებული კრედიტორების დაშინების ან თავიდან მოცილების, დანაშაულებრივ სფეროში კონფლიქტების გადაჭრის იარაღად იქცა (150. 26-57).

იარაღის არალეგალურ ბაზარზე მოთხოვნილების მკვეთრ ზრდას ასევე ხელს უწყობს პოლიტიკური არასტაბილურობა და მასთან დაკავშირებული შეიარაღებული კონფლიქტები. იარაღის უკანონო გაყიდვის მოცულობა გაიზარდა ეთნიკური, რელიგიური და ნაციონალისტური კონფლიქტების შედეგად, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში დია ომში გადაიზარდა, მაგალითად, ისეთ რეგიონებში, როგორებიცაა ბალკანეთის ნახევარკუნძული, კარპატების რაიონი, კავკასია, აღმოსავლეთი და დასავლეთი აფრიკა და დასავლეთი აზია. იარაღის უზარმაზარი საწყობები გამოვიდა ხელისუფლებების კონტროლიდან და ორგანიზებული დანაშაულებრივი ელემენტების ხელში აღმოჩნდა. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში აღმოსავლეთ ევროპის ახალ დემოკრატიულ ქვეყნებში ცეცხლსასროლი იარაღის დარეგისტრირებული ქურდობის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

დღეს რუსეთი ამ შავი ბიზნესის სწრაფი გავრცელების რეგიონი ხდება და აქტიურად ერთვება იარაღთან დაკავშირებულ უკანონო საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციებში. რუსეთის ფედერაციის საზღვრების გავლით იარაღი ორი ძირითადი მიმართულებით გადაადგილდება: 1) მსუბუქი სასროლი შეიარაღების (ძირითადად პისტოლეტების) კონტრაბანდული შეტანა რუსეთში; 2) საბრძოლო შეიარაღებისა და ტექნიკის მსხვილი პარტიების კანონიერი კომერციული გარიგებების სახით გატანის მცდელობა. ასეთი ოპერაციების მომზადება განსაკუთრებული ორგანიზებულობით გამოირჩევა.

ამგვარი ოპერაციების მომზადების საფუძვლიანობა იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთის კრიმინალური და კომერციული სტრუქტურები ჩართული არიან იარაღით არალეგალურ ვაჭრობაში, მათ შორის, კონფლიქტების ზონებში მის მიწოდებაში (308).

საზღვრებზე იარაღის და საბრძოლო მასალების უკანონო გადაადგილების არხებს შორის ბოლო ხანებში გამოიყოფა კონტრაბანდა რუსეთის სავაჭრო და

თევზსაჭერი ფლოტის გემების მეშვეობით. ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც ყველაზე ხშირად ცდილობენ იარაღის რუსეთიდან გატანას, იაპონიაა.

იარაღის უკანონო გადაადგილებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზი აჩვენებს, რომ ამ მართლსაწინააღმდეგო საქმიანობისთვის დამნაშავეები სულ უფრო ხშირად იყენებენ არსე „რუსეთი-ბალტიისპირეთი“. რუსეთის ტერიტორიაზე იარაღი ესტონეთიდანაც შედის (312).

დანაშაულებრივ სამყაროში და ნაციონალური კონფლიქტების ზონებში იარაღის მიწოდების ყველაზე მსხვილი და სტაბილური წყარო კვლავ რუსეთის შეიარაღებული ძალების ნაწილებია. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, არალეგალურ ბრუნვაში მყოფი იარაღის ნახევარზე მეტი იქ თავდაცვის სამინისტროს საცავებიდან ხვდება.

საბრძოლო-საწარმოო კომპლექსებში დაცვის არასაკმარისად მკაცრი რეჟიმის გამო დამნაშავეებს დეტალების მოპარვის და იარაღის უკანონოდ დამზადების საშუალება ეძლევათ.

ზიანის მომტანია ასეთი საწარმოების არასათანადოდ გათვლილი კომერციალიზაციაც. მათი ხელმძღვანელები მოგების მიზნით საეჭვო გარიგებებს დებენ კომერციულ ფირმებთან, მათ შორის, ისეთებთან, რომლებსაც კრიმინალური ჯგუფები აკონტროლებენ (384).

იარაღის უკანონო ბრუნვა ზოგად მადესტაბილიზებელ ზემოქმედებას ახდენს მსოფლიოს მრავალ რეგიონში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე, ხელს უწყობს ადგილობრივი და რეგიონული კონფლიქტების გამწვავებას, ასევე ზრდის ტერორისტული ჯგუფების მიერ თავიანთი მიზნების მიღწევის ალბათობას. ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობა სულ უფრო ურთიერთდაკავშირებული ხდება. იარაღზე მოთხოვნილების ზრდა ხელს უწყობს ნარკოტიკებით განხორციელებული უკანონო ოპერაციების მოცულობის გაზრდას. სულ უფრო ხშირია შემთხვევები, როცა ეთნიკური ჯგუფები იარაღის შესყიდვის მიზნით ნარკოტიკებით ვაჭრობაში მონაწილეობენ.

იარაღით უქანონო ვაჭრობა პირობითად შავ და ნაცრისფერ ექსპორტად იყოფა. შავი ექსპორტის დროს შეიარაღების გადაცემა ხორციელდება საერთაშორისო ან/და ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით, ხელისუფლების ორგანოების სანქციების გარეშე. შავ ექსპორტს უპირატესად ეწევიან ფიზიკური პირებისგან შემდგარი ჯგუფები, რომლებიც ამ მიზნით სპეციალურ ფირმებს ქმნიან. შავი ექსპორტის ორგანიზაციორები შესაძლოა იყვნენ სამეურნეო სუბიექტები და სამხედრო ნაწილები. შავი მიწოდების არსებითი მახასიათებელია მისი მოტივაცია – კერძო პირების გამდიდრება. შავი ექსპორტი უტოლდება კონტრაბანდას, რომელიც, პირველ რიგში, არღვევს ექსპორტიორი ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობას.

ე. წ. ნაცრისფერი ექსპორტი არის შეიარაღების, საბრძოლო ტექნიკის და მათი წარმოების ტექნოლოგიების მიწოდება, ასევე ორმაგი დანიშნულების ნივთების მიწოდება, რასაც ახორციელებს სახელმწიფო ან მისი ცალკეული ინსტიტუტები საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ნორმების დარღვევით, გარიგებაში გამყიდველი ქვეყნის სახელმწიფო აპარატის აუცილებელი მონაწილეობით. ნაცრისფერ ექსპორტში ასევე ჩართული არიან ცალკეული სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც ან პირდაპირ მონაწილეობენ გარიგებაში, ან იციან და ხელს არ უშლიან მას. ასეთ მოქმედებათა მოტივაცია შესაძლოა ორმაგი იყოს: კომერციული (სახელმწიფო ან დეპარტამენტის ბიუკეტების შევსება, აგრეთვე ცალკეული საბრძოლო-საწარმოო კორპორაციების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება) ან სამხედრო-პოლიტიკური, როდესაც იარაღის გადაცემის მეშვეობით მხარს უჭერენ მოკავშირე სახელმწიფოს ხელისუფლებას ან შეიარაღებულ მოძრაობას (150. 26-57).

მიწოდება ნაცრისფერი ხდება, თუ ექსპორტიორი ქვეყანა არღვევს აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს ან საერთაშორისო სამართლის ნორმებს. მაგალითად:

- შეიარაღებისა და ტექნოლოგიების გადაცემა, რაც ხვდება გაუგრცელებლობის რეჟიმის შეზღუდვებში (ძირითადად მასობრივი განადგურების იარაღი და მისი მიწოდების საშუალებები, განსაკუთრებით – სარაკეტო);
- შეიარაღების გადაცემა იმ ქვეყნებისთვის, რომელთა მიმართაც მოქმედებს გაეროს უშიშროების საბჭოს ემბარგო (ასეთ ქვეყნებს ამჟამად მიეკუთვნება ერაყი, ლიბია);

- იარაღის მიწოდება მოძრაობისთვის, რომელიც ეწევა შეიარაღებულ ბრძოლას მსოფლიო თანამეგობრობის (გაეროს წევრების ან/და მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობის) მიერ აღიარებული ხელისუფლების წინააღმდეგ (253. 45-47).

კიდევ ერთი გარდამავალი მომენტი: ასეთი მიწოდებები ფორმალურად კანონებს არ ეწინააღმდეგება, მაგრამ სინამდვილეში სერიოზულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სირთულეებს უქმნის ექსპორტიორი ქვეყნის ურთიერთობას მესამე ქვეყნებთან, ცუდად მოქმედებს მსოფლიოში მის რეპუტაციაზე. ასეთ გარიგებებს მიეკუთვნება მიწოდებები:

- შეიარაღებული კონფლიქტის ერთდროულად ორივე მხარისთვის;
- კონფლიქტში ჩართული ერთ-ერთი სახელმწიფოსთვის, რაც ცვლის საბრძოლო ბალანსს იარაღის მიმდების სასარგებლოდ;
- ექსპორტიორ სახელმწიფოსთან ფორმალურად დაძაბული ურთიერთობების მქონე ქვეყნებში;
- ქვეყნებში, რომლებთანაც სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებამ შესაძლოა გამოიწვიოს ექსპორტიორის მიმართ სანქციები ამერიკის შეერთებული შტატების და მისი მოკავშირეების მხრიდან (მაგ., სირიასა და ირანში).

ე. წ. ნაცრისფერ-თეთრი და თეთრ-ნაცრისფერი ექსპორტი ჩრდილოვან ექსპორტს ენათესავება მხოლოდ ექსპორტიორების მისწრაფებით, შეძლებისდაგვარად დიდხანს დაიცვან მიწოდებების საიდუმლოება. შეიარაღების ასეთი სახის გადაცემას ნახევრად ჩრდილოვანი ეწოდება.

დამრღვევ სახელმწიფოებს აკრძალვებისა და სანქციების გვერდის ავლის რამდენიმე საშუალება აქვთ. ქვეყნებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ აწარმოებენ შეიარაღების ექსპორტს გარკვეულ ქვეყნებში, მაგალითად, ადამიანის უფლებების დარღვევის გამო, მაინც შეუძლიათ ისეთი ნაწილებისა და დეტალების მიწოდება, რომლებისგანაც შემდეგ იარაღს აწყობენ (115. 215-240).

ძირითად საკითხად, რომელიც გაეროს წევრ ქვეყნებს აღელვებს, რჩება ინდივიდუალური მოხმარების სასროლი იარაღის (პისტოლეტები, ავტომატები და სხვ.) უკანონო გავრცელება მსოფლიოში.

სასროლი იარაღი მსოფლიოს ყველა რეგიონში მისი გადაჭარბებული გავრცელების გამო საერთაშორისო საზოგადოების და მსოფლიო უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად იქცა. ლოკალურ ომებსა და კონფლიქტებში ასეთ იარაღზე დიდი მოთხოვნილებაა. ამ პოპულარობის მიზეზი ის არის, რომ სასროლი იარაღი შედარებით იაფია და მისი გადაზიდვა-გამოყენებაც ადგილია (218. 188-189).

ადსანიშნავია, რომ, 2001 წლის მონაცემებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში სასროლი იარაღის კონფლიქტებში გამოყენების შედეგად 2 მილიონი ბავშვი დაიღუპა, 5 მილიონი დახეიბრდა, 12 მილიონი კი უსახლკაროდ დარჩა (272).

მსოფლიოს არც ერთი რეგიონი და არც ერთი ქვეყანა არ არის დაზღვეული სასროლი იარაღის გავრცელების გამანადგურებელი შედეგებისგან. ასეთი შეიარაღების დაგროვება თავისთავად არ იწვევს კონფლიქტებს, მაგრამ მისი ადგილი ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს ძალადობას, როგორც უთანხმოებათა მოგვარების საშუალებას, როგორც წესი, აღრმავებს კონფლიქტებს და აძლიერებს მათ მომაკვდინებელ ხასიათს. მსოფლიო გადაჭედილია იარაღით: ბრუნვაშია 500 მილიონ ერთეულზე მეტი სასროლი იარაღი და მსუბუქი შეიარაღება – ყოველ 12 ადამიანზე ერთი ერთეული მოდის.

სასროლი იარაღით ვაჭრობის მსოფლიო მოცულობის დაახლოებით 50-60% კანონიერია, მაგრამ კანონიერად ექსპორტირებული იარაღი ხშირად შავ ბაზარზე ხვდება. იმ იარაღის დიდი ნაწილი, რომელიც მსოფლიო შავ ბაზარზე იყიდება, იქ ავღანეთიდან, დასავლეთ აფრიკიდან და ცენტრალური ამერიკიდან ხვდება, ზოგჯერ კი ასეთი იარაღი სახელმწიფო უსაფრთხოების ძალებისთვისაა მოპარული ან წართმეული (332).

სასროლი იარაღით უკანონო ვაჭრობა მსხვილი და სარფიანი ბიზნესია – აქ არ იხდიან გადასახადებს თუ საბაჟო მოსაქრებლებს, საერთო მოგება კი კოლოსალურია. მზარდი შეთავაზება გამუდმებით იწვევს იარაღის გაიაფებას. ასეთი იარაღი ზრდის კონფლიქტის მასშტაბებს და აჭიანურებს მის დასრულებას. შეიარაღებული კონფლიქტის გაჭიანურება კი დამატებითი იარაღისა და საბრძოლო მარაგების სულ უფრო მზარდ საჭიროებას იწვევს, რაც კრავს უსასრულო მანკიერ წრეს.

ადგილი სელმისაწვდომობისა და მარტივი გამოყენების გამო სასროლი იარაღი ძალადობის განხორციელების მთავარ ან ერთადერთ საშუალებად იქცა თითქმის ყველა ბოლოდროინდელ კონფლიქტში, რომლებთანაც შეხება ჰქონდა გაეროს. ამის მიუხედავად, ქიმიური, ბიოლოგიური და ბირთვული იარაღისგან განსხვავებით, მსოფლიოში დღემდე არ არის დადგენილი სასროლი იარაღის გაუგრცელებლობის არც ერთი რეჟიმი.

განსაკუთრებულ ყურადებას იმსახურებს გაეროს მიერ ორგანიზებული საგანგებო კონფერენცია სასროლი იარაღითა და მსუბუქი შეიარაღებით უკანონო ვაჭრობის პრობლემის ყველა ასპექტის შესახებ (ნიუ-იორკი, 2001 წლის 9-20 ივლისი), რომელიც მიზნად ისახავდა საერთაშორისო ძალისხმევის გაფართოებას და გაძლიერებას იარაღით უკანონო ვაჭრობის აღკვეთისათვის, საერთაშორისო კოორდინაციის გაძლიერების, იარაღის კრიმინალურ მოვაჭრებთან, კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან, სინდიკატებთან ბრძოლის მიზნით. კონფერენციის შედეგების მიხედვით მიღებულ იქნა მოქმედებათა პროგრამა სასროლი იარაღითა და მსუბუქი შეიარაღებით უკანონო ვაჭრობის ყველა ასპექტის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის და მასთან ბრძოლის შესახებ. აღნიშნული პროგრამა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია იარაღის უკანონო ვაჭრობის შეკავებაში, მოიცავს ეროვნული, რეგიონული და გლობალური დონის სტრატეგიებს და კონფერენციის გადაწყვეტილების საფუძველზე უზრუნველყოფს საქმიანობის ეფექტიანი და მუდმივი პროცესის განხორციელებას.

მოქმედებათა პროგრამის მიხედვით, იარაღით უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს გაეროს უშიშროების საბჭო. პროგრამაში ხაზგასმითაა აღნიშნული საერთაშორისო თანამშრომლობისა და დახმარების მნიშვნელობა, განსაკუთრებით – იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს გამოცხადების თვალსაზრისით. უშიშროების საბჭომ კონკრეტულ კონფლიქტურ სიტუაციებში იარაღის გავრცელების შეკავების მიზნით არაერთხელ დააწესა ემბარგო მის მიწოდებაზე. ამასთანავე, ემბარგოს დაცვაზე მანამდე სათანადო კონტროლი არ ხორციელდებოდა და, შესაბამისად, ვერ ხერხდებოდა იარაღით უკანონო ვაჭრობის მოცულობის შემცირება. უშიშროების საბჭოსთვის კონფერენცია

გახდა დამატებითი საფუძველი, გამოეჩინა გამბედაობა და მოეწოდებინა ყველა სახელმწიფოსთვის, დაუცვათ ასეთი სახის ემბარგო.

ოქმის მე-7 მუხლის თანახმად, თითოეული მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს იმ ინფორმაციის არანაკლებ ათი წლის განმავლობაში შენახვას, რომელიც ეხება ცეცხლსასროლ იარაღს და რომელიც საჭიროა უკანონოდ დამზადებული ან უკანონო ბრუნვაში მყოფი იარაღისთვის თვალყურის სადევნებლად ან მისი იდენტიფიცირებისათვის, ანდა ასეთი საქმიანობის თავიდან აცილებისა და გამოვლენისათვის. ასეთი ინფორმაცია მოიცავს: ოქმის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ სათანადო მარკირებას; ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებით საერთაშორისო გარიგებების შემთხვევაში – შესაბამისი ლიცენზიების ან ნებართვების გაცემისა და მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღების, ექსპორტისა და იმპორტის (საჭიროებისას – ტრანზიტის) სახელმწიფოების და საბოლოო მიმღების შესახებ მითითებას, ასევე იარაღის აღწერას და მისი რაოდენობის მითითებას.

ოქმის მე-11 მუხლის თანახმად, ცეცხლსასაროლი იარაღის დატაცების, დანაკარგის ან გადინების, ასევე მისი უკანონო დამზადებისა და ბრუნვის გამოვლენის, თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს შესაბამის ზომებს: იარაღის დაცულობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მისი დამზადების, იმპორტის, ექსპორტის და მისი ტერიტორიის გავლით ტრანზიტის დროს; იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის კონტროლის (საჭიროებისას – სასაზღვრო კონტროლის ზომების ჩათვლით), აგრეთვე პოლიციის ორგანოებსა და საბაჟო ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ეფექტიანობის გასაზრდელად (272).

გაეროს 2001 წლის კონფერენცია უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის გაერთიანებისთვის იარაღით უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლის საკითხში. მომდევნო წლებში გაეროს წევრი ქვეყნები რეგულარულად ამოწმებენ კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობას (339).

ლონდონის სამართალდამცავი ორგანიზაციის – International Action Network on Small Arms-ის – ანგარიშში სავალადო შედეგები იქნა მოყვანილი. ამ დროისთვის

რამდენიმე სახელმწიფოს ხელისუფლებას აქვს მიღებული ზომები იარაღის კონტრაბანდასთან ბრძოლის წინააღმდეგ. ცეცხლსასროლი იარაღი ისევ ფართოდ გამოიყენება სამოქალაქო ომებში აფრიკასა და აზიაში. კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ლიბერიაში, სიერა-ლეონეში ბავშვებიც კი ატარებენ კალაშნიკოვის ავტომატს. ანგარიშში აღინიშნა, რომ წელიწადში სასროლი იარაღის გამოყენების შედეგად საშუალოდ ნახევარი მიღიონ ადამიანი იღუპება. ეს არის ერთი სიკვდილი წუთში.

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს მოქმედებათა პროგრამას ხელი 156-მა ქვეყანამ მოაწერა, მათ მესამედს ჯერ არ ჩამოუყალიბებია სასროლი იარაღის კონტრაბანდასთან ბრძოლის პროფილური კომიტეტები. საპასუხო მოქმედებათა კოორდინაციის მიზნით ეროვნული კომიტეტები მხოლოდ 37-მა სახელმწიფომ შექმნა. 65-მა ქვეყანამ გაეროს წარუდგინა ანგარიშები იარაღით უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ და მხოლოდ 19-მა ქვეყანამ გადახედა ეროვნულ კანონმდებლობას სასროლი იარაღით ვაჭრობასთან დაკავშირებით. ყველაზე რთული სიტუაციაა ჩრდილოეთ აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში და აზიაში.

2001 წლის გაეროს კონფერენციაზე პირველად გაჩნდა ციფრი – 500 მიღიონი ერთეული სასროლი იარაღი და მსუბუქი შეიარაღება, რომლებსაც დღეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იყენებენ. თუმცა ამ იარაღის უდიდესი ნაწილი სამართალდამცავ ორგანოებს, სამხედრო ფორმირებებს და კანონიერ მფლობელებს ეპუთვნის, მათი დიდი ნაწილი მაინც დამნაშავეების, ტერორისტების და უკანონო საბრძოლო ფორმირებების ხელში ხვდება.

სამწუხაროდ, ყველა სახელმწიფო არ იზიარებს ამ შემფოთებას. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ დიდ შემოსავალს იღებს ამ ბიზნესიდან და არ სურს მისი მოსპობა. სხვა ქვეყნებიც გეგმავენ შეძლებისდაგვარად მეტი იარაღის შეძენას და ამ სახის ვაჭრობის აკრძალვას საკუთარი თავდაცვის უფლების ხელყოფად აღიქვამენ (282. 323-346).

## §5. თაღლითობის ტრანსნაციონალური ხასიათი

თაღლითობა ეწოდება მართლსაწინააღმდეგო მიზნით სხვისი საკუთრების მიტაცებას ან ქონებრივი უფლების მიღებას მოტყუების გზით. დანაშაულის ეს სახეობა ჩადენის მეთოდების დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ასეთი დანაშაულის ჩადენისას დაზარალებული (ბეჭარმე) თავად გადასცემს ქონებას თაღლითს, რადგან სჯერა, რომ აქვს მისი დაბრუნების უფლება.

თაღლითობის ტრანსნაციონალური ფორმებია: ფინანსური პირამიდა (Ponzi Scheme) (378), შიგა ინფორმაციაზე სპეციალული (Pump and Dump) და ოფშორული ინვესტირება (Off Shore Investing) (361).

ფინანსური პირამიდა. პირამიდის სქემა შემდეგში მდგომარეობს: ახალი ინვესტორების ფული არსებული ინვესტორებისთვის შემოსავლის გადასახდელად გამოიყენება. პირამიდა იშლება, როდესაც არსებული ინვესტორებისთვის გადასახდელი თანხა ახალი ინვესტორებისაგან მიღებულ თანხებს აღემატება. ადრე თუ გვიან ნებისმიერი პირამიდა იშლება.

ფინანსური პირამიდები თავიდან ფინანსური წარმონაქმნებია. ამასთანავე, ისინი პირამიდებად განვითარების გარკვეულ ეტაპზე, გარკვეული მიზეზების გამო იქცევიან. თავდაპირველად ნორმალური კომპანიები იქმნება, შემდეგ კი ისინი ფინანსური სტრუქტურების სახით იწყებენ ფუნქციონირებას. მთლიანობაში, ტრანსნაციონალური თაღლითობა პირამიდას „აგებს“ სხვადასხვა პირობის არსებობის შემთხვევაში (165. 14-17):

- 1) აქციების ან ფასიანი ქაღალდების ბაზრის არსებობა (78). ბაზარი უზრუნველყოფს არსებობას ფინანსური პირამიდების ძირითადი ინსტრუმენტისა – ფასიანი ქაღალდებისა ან აქციებისა, მათი ფასის მნიშვნელოვანი მერყეობით. XVIII საუკუნის დასაწყისში საფრანგეთსა და ინგლისში ქაღალდის ფული და აქციები გაჩნდა. შესაძლებელი გახდა მათი მეშვეობით მანიპულირება. ასეთივე სიტუაცია იყო XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთში. XIX საუკუნის ბოლოს ასეთი ბაზარი პქონდა ინგლისს, მოგვიანებით კი – აშშ-ს (74).
- 2) პირამიდის პრინციპით მოქმედი ფინანსური სტრუქტურების საქმიანობაზე საკანონმდებლო შეზღუდვების არარსებობა. ფინანსური პირამიდები, როგორც წესი, კანონიერ საფუძველზე აღმოცენდება. ამასთანავე, გამოცდილების არქონის გამო საკანონმდებლო შეზღუდვები არ მოქმედებს. ამავე დროს, კანონების სრულყოფა ვერ აკრძალავს ფინანსურ თაღლითობას, რადგან

არსებითად ის კრძალავს არა ფინანსურ პირამიდას, არამედ გარკვეული ოპერაციების განხორციელებას, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ფინანსური „საპნის ბუშტების“ შექმნისთვის. ამიტომ მათი გაჩენა რთულდება, მაგრამ არ აღიკვეთება. XVIII საუკუნის დასაწყისში საფრანგეთსა და ინგლისში არ არსებობდა კანონი, რომელიც ფინანსური პირამიდების შექმნისას ყველაზე ხშირად გამოყენებულ სქემებს აკრძალავდა.

3) მოსახლეობის ფულადი დანაზოგების შექმნის შესაძლებლობა (აქციების, ფასიანი ქაღალდების მსყიდველობითი უნარი), ანუ მოსახლეობის კეთილდღეობის გარკვეული დონე. ეს პროცესი ძირითადად მაშინ იწყება, როდესაც კონკრეტულ ქავეანაში უმჯობესდება მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა: იზრდება რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, მცირდება ინფლაციის ტემპი, ხორციელდება პრივატიზაცია და ა. შ. ამ დროს დანაზოგი ძირითადად შემოაქვთ რიგით ადამიანებს, მათ შორის, პენსიონერებსა და ინვალიდებს. ამიტომ პირამიდების აღმოცენების ალბათობის შეფასებისას ყურადღება ექცევა დანაზოგების მოტივებს და მოსახლეობის მიერ დანაზოგების გაკეთების შესაძლებლობებს.

4) მოსახლეობის მზადყოფნა, შეიტანოს ფულადი სახსრები ფინანსურ ინსტიტუტებში, მათ შორის, ფინანსურ პირამიდებში. ასეთ თაღლითობას ხელს უწყობს ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ფაქტორების მთელი წევება. ეკონომიკური ფაქტორები მიუთითებს საინვესტიციო პროექტების მსვლელობის შესახებ მოსახლეობის შეზღუდულ ინფორმირებულობაზე, რომლის მიზეზი ისაა, რომ ამ უკანასკნელთა ორგანიზატორები არ იძლევიან სრულ ინფორმაციას. ფსიქოლოგიური ფაქტორები მიუთითებს ადამიანების შეცდომებზე, როგორებიცაა ოპტიმიზმისადმი მიღრეცილება, საკუთარი შანსების გადაფასება, საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულობა. სოციოლოგიური ფაქტორები მიუთითებს საზოგადოებაში კოლექტიური წარმოდგენების დამახინჯებულ ფორმირებაზე (71).

ამ ფაქტორების მოქმედების შედეგად ჩნდება რისკების და კეთილდღეობის ინდიკატორების სისტემა და განისაზღვრება ნდობის დირსი საინფორმაციო წყაროების წრე, რის შედეგადაც ყალიბდება ფინანსური პირამიდის მოქმედების სტრატეგია. ამასთანავე, კომპანიისადმი მაღალ ნდობას უზრუნველყოფს მისი რეკლამა, სახელმწიფოს ფინანსური ინსტიტუტების და საერთოდ სახელმწიფოს მიმართ უნდობლობა დანაზოგების გაუფასურებისა და მაღალი ინფლაციის

გამო, ასევე ქვეყანაში კერძო ფინანსური ინსტიტუტების გაჩენა, რომლებთან ურთიერთობის გამოცდილებაც მოსახლეობას ჯერ არ აქვს. ეს კანონზომიერება ტიპურია ყველა ქვეყნისთვის სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში. მაგალითად, სამხრეთ ზღვების კომპანიისადმი (The South Sea Company) ნდობა განპირობებული იყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინგლისის პარლამენტის მხარდაჭერით. მისისიპის კომპანიისადმი მაღალი ნდობა გახლდათ კომპანიის დამფუძნებლის, ჯონ ლოს, სახელის დამსახურება, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკა მცირე ხანში ქაღალდის ფულის ემისის შედეგად საგრძნობლად ააღორძინა. ასეთივე შარავანდედი ადგა ფერდინანდ ლესეპს, პანამის ოკეანეთაშორისი არხის კომპანიის დამფუძნებელს, რომელმაც აქციონერების ფულით წარმატებით ააშენა 1869 წელს გახსნილი სუეცის არხი.

ფინანსური პირამიდა შესაძლოა რამდენიმე პატარა პირამიდად იყოფოდეს. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რუსული კომპანია «MMM», რომლის საქმიანობის შედეგად 10-20 მილიონი მეანაბრე დაზარალდა. თავიდან ბაზარზე ფიქსირდებოდა კომპანიის აქციების მაქსიმალურ ღირებულებამდე ზრდა. კომპანია «MMM»-ისთვის ის 5 თვეს გრძელდებოდა, ხოლო სამხრეთ ზღვების კომპანიისთვის – 9 წელს, და ა. შ. ბოლოს, ისევე, როგორც სხვა ანალოგიური კომპანიისთვის, მისთვისაც დადგა ფინანსური პირამიდის კრახის დრო – აქციების კურსი საწყის ღირებულებაზე დაბლა დაეცა. დაზარალებული აქციონერები მიყენებული ზარალის ანაზღაურებისა და დამნაშავეთა (კომპანია-პირამიდის მმართველობის) დასჯის მოთხოვნით შეკრებებსა და მიტინგებს აწყობენ; ხელისუფლება ახორციელებს დაპატიმრებებს, სხვადასხვა სახის შემოწმებებს, ხშირად – კომპანიის ქონების კონფისკაციასაც. სანდახან ამას მოსდევს აქციონერებისთვის კომპანიის გადახდა (315. 14-16; 316. 39-69).

ანალოგიური ფაქტორები მოქმედებს იმ ორგანიზაციების მიმართაც, რომლებიც თავდაპირველად ფინანსური ინსტიტუტების სახით არ ჩნდებიან. ასეთ შემთხვევაში ფინანსური პირამიდების აღმოცენებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კიდევ ერთი ფაქტორი – კომპანიის ან სახელმწიფოს ფულადი რესურსების ამოწურვა. ასე, პანამის ოკეანეთაშორისი არხის კომპანია იძულებული იყო განეხორციელებინა საკუთარი აქციების ემისია, რათა აქციონერებისთვის დივიდენდები გადაეხადა (ე. ი. დივიდენდების გადახდა

პირამიდული გადახდების პრინციპით ხდებოდა), რადგან კომპანიას სახსრები უმთავრდებოდა, ხოლო ფულადი და დროითი დანახარჯებით არხის არასწორად გათვლილი მშენებლობა შემოსავალს არ იძლეოდა. ფერდინანდ ლესეპსმა, კომპანიის ხელმძღვანელმა, სუეცის არხი აქციონერთა ფულით ააშენა. ამასთანავე, დივიდენდების გადახდა სულაც არ ხდებოდა პირამიდული გადახდების პრინციპით.

მაგალითისთვის, სახელმწიფო მოკლევადიანი ობლიგაციების გაცემის სისტემა რუსეთში ასევე იქცა პირამიდად არასასურველი ეკონომიკური გარემოებების პირობებში და საბიუჯეტო რესურსების სიმწირის გამო (რომლის მიზეზი იყო ნავთობზე ფასების დაცემა და აზიურ ქვეყნებში დაწყებული მსოფლიო ფინანსური კრიზისი), რის შედეგადაც სახელმწიფომ ვერ შეძლო ვალდებულებების არსებული ბიუჯეტიდან დაფარვა და ახალი ვალდებულებების გამოშვებას მიმართა. თითოეულმა კონკრეტულმა მაგალითმა შესაძლოა გარკვეული როლი შეასრულოს ფინანსური პირამიდის აღმოცენებაში. გარდა ამისა, ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში არსებობს ფაქტორები, რომლებიც იწვევს ფინანსური წარმონაქმნის, მათ შორის, ფინანსური პირამიდის, აღმოცენებას. მაგალითად, 1994-1995 წლებში რუსეთის მოქალაქეები დანაზოგებს ფულის გაუფასურებისგან დაცვის მიზნით აკეთებდნენ. ამიტომ ისინი ფულს საინვესტიციო მაღალშემოსავლიან ინსტიტუტებში – ფინანსურ პირამიდებში – აბანდებდნენ (376).

თაღლითობა ფინანსური პირამიდების აღნიშნულ ეტაპზე ცოტა განსხვავებულად ხორციელდება. ჩვეულებრივ, ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი ამოწურვა აიძულებს კომპანიას, ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად ფასიანი ქაღალდების ემისიას მიმართოს. პირამიდული პერიოდის დასასრულს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა უარესდება და მის წინაშე დგება დივიდენდების ფასიანი ქაღალდებით გადახდის საკითხი. ბოლოს ამ პროცესს თან ახლავს ფინანსური სტრუქტურის ლიკვიდაცია და მისი გაკოტრებულად გამოცხადება. შემდეგ კომპანიას ადარ აქვს კომპენსაციების გადახდის საშუალება, რადგან ფინანსური სტრუქტურები ნულამდება დაყვანილი, ხოლო კომპენსაციების გადახდა, როგორც წესი, ჩამორთმეული ქონებიდან ამოღებული სახსრებით ხდება.

ფინანსური პირამიდები გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მათი ძირითადი შედეგია მოსახლეობის შემნახველი აქტივების შემცირება. ეს განსაკუთრებით ფულის აქციებსა და ფასიან ქაღალდებში დაბანდებას ეხება. ასეთი პრეცედენტი საბანკო საქმის განვითარებას და მეწარმეობის ზრდას აფერხებს, ცვლის მოსახლეობის დანაზოგების ოდენობას, ამცირებს დანაზოგების წილს აქციებსა და ფასიან ქაღალდებში. ინვესტიციების წინა ნებაზიური გამოცდილება მოქმედებს ინვესტიციური სტრატეგიების მიმდინარე არჩევანზე და განაპირობებს დანაზოგების ფასიან ქაღალდებსა და აქციებში განხორციელების ალბათობას. ფინანსური პირამიდების კიდევ ერთი შედეგია მათი აკრძალვის შესახებ კანონის მიღება, მეანაბრეთა უფლებების დაცვის სისტემის შექმნა და ა. შ.

დავუბრუნდეთ ტრანსნაციონალური თაღლითობის ცნობილ ფაქტებს. სამხრეთ ზღვების კომპანია 1711 წელს დაარსდა (10). მისი დაარსების დროს გამოყენებულ იქნა შემდეგი ფინანსური სქემა: სახელმწიფო ვალდებულებათა მფლობელებმა დაახლოებით 9 მილიონი ფუნტი სტერლინგის სანაცვლოდ კომპანიის აქციები მიიღეს. ამგვარად, კომპანია სახელმწიფოს მსხვილი კრედიტორი გახდა. საპარლამენტო აქტით მას სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის მდიდარ ქვეყნებთან ვაჭრობის უფლება მიეცა. რამდენიმე ხანში კომპანიამ სხვა ფინანსური მანიპულაციები განახორციელა. ის სთავაზობდა პრაქტიკულად მთელი სახელმწიფო ვალის საკუთარ აქციებზე გადაცვლას ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულებით (100-ფუნტიანი აქცია 125-130 ფუნტი ღირდა, ხოლო სახელმწიფოს ობლიგაციები ნომინალით, 100 ფუნტად ფასდებოდა). გაზეთებში წერდნენ, რომ პარლამენტი მიიღებდა კანონს ფასიანი ქაღალდების აქციებზე გადაცვლის შესახებ, და აქციების ფასიც მკვეთრად გაიზარდა. კანონი მაღე მიიღეს და მეფე გეორგ I-მა მას ხელი მოაწერა. რამდენიმე დღეში კი კომპანიის მმართველობამ აქციების ახალი ემისია გამოაცხადა (1 აქციის ღირებულება 300 ფუნტი იყო). 1 მილიონი ფუნტის ნაცვლად, რომელსაც მმართველობა იმედოვნებდა, 2 მილიონი შეგროვდა და მაღე გამოცხადდა მეორე გამოშვება (1 აქციისა – 400 ფუნტის ღირებულებით), რომელსაც ასევე დიდი პოპულარობა ხვდა წილად.

მომდევნო პერიოდში კურსი ზრდას განაგრძობდა და 1720 წლის ზაფხულში 900 ფუნტს მიაღწია. ამასთანავე, თანდათანობით გავრცელდა აზრი, რომ

აქციებმა მაქსიმალურ დონეს მიაღწია, და კურსიც 640 ფუნტამდე დაეცა. აგვისტოს ბოლოს კურსი ხელოვნურად, კომპანიის აგენტების მიერ აქციების დიდი ოდენობით შესყიდვის შედეგად 1000 ფუნტამდე გაიზარდა. მაგრამ კომპანიის საქმე ცუდად მიდიოდა. შედგა შეთანხმება სამხრეთ ზღვების კომპანიასა და ინგლისის ბანკს შორის. ბანკმა გამოუშვა 3 მილიონი ფუნტის ლირებულების 5-პროცენტიანი ობლიგაციები და სესხის სახით, 1 წლის ვადით გადასცა კომპანიას. თავიდან ეს გამოშვება წარმატებული იყო, მაგრამ ძალიან მალე ობლიგაციებზე ხელმოწერა შეწყდა. მეანაბრეებმა აქციების გაყიდვა და ინგლისის ბანკიდან ფულის გამოტანა დაიწყეს (71. 31-33, 36-46). ამის შედეგად აქციების კურსი 130-135 ფუნტამდე დაეცა. შემდეგ ბანკმა უარი თქვა შეთანხმების მიხედვით ვალდებულებათა შესრულებაზე და კურსმა კიდევ უფრო დაიწია. სამხრეთ ზღვების კომპანიამ კრახი განიცადა. ინგლისის მრავალ ქალაქში შედგა აქციონერთა კრებები, რომლებიც დამნაშავეთა დასჯას და ფულის დაბრუნებას მოითხოვდნენ. ფულის ნაწილი გადახდილ იქნა: 100-ფუნტიან აქციებში აქციონერებმა 30-30 ფუნტი მიიღეს. სამხრეთ ზღვების კომპანია არ ყოფილა ერთადერთი ფინანსური პირამიდა, რომელიც XVIII საუკუნის ინგლისში მოქმედებდა (79. 81).

1717 წლის აგვისტოს საფრანგეთში მისისიპის კომპანია დაარსდა. მისი მმართველი იყო ცნობილი ფინანსისტი ჯონ ლო. კომპანიამ 500 ლივრის ლირებულების 200 000 აქცია გამოუშვა. ამასთანავე, მყიდველებს შეეძლოთ აქციის საფასური გადაეხადათ არა მარტო მონეტებითა და ბანკნოტებით, არამედ სახელმწიფო ვალდებულებებითაც, რომლებიც ბაზარზე ნომინალზე ნაკლებად ფასობდა. ამგვარად, კომპანია სახელმწიფოს კრედიტორი ხდებოდა. მისისიპის კომპანიის აქციებზე თითქმის მომენტალურად გაჩნდა მოთხოვნილება. მომდევნო წელს ლო კომპანიის მმართველობის სახელით აქციონერებს დიდ დივიდენდებს დაჰპირდა. ამ განცხადებამ აქციებზე მოთხოვნილების ზრდა გამოიწვია და კომპანიამ დამატებით გამოუშვა 50 000 აქცია, რომლებზედაც დროის მცირე მონაკვეთში 300 000 განაცხადი იქნა შეტანილი. ამავე დროს, უკვე გამოშვებული აქციების კურსი ზრდას განაგრძობდა. კომპანიამ კიდევ 300 000 (ადრე დაგეგმილი 50 000-ის ნაცვლად) აქციის გამოშვება და საბაზო კურსით გაყიდვა გადაწყვიტა. 500-ლივრიანი აქციის კურსმა 10-15 000-მდე აიწია. ამასთანავე, მისი კურსი საკმაოდ მერყეობდა. ფასიანი ქაღალდების ემისიას მხარს უჭერდა სამეფო ბანკის ბანკნოტების ემისია. 1720 წლიდან მეანაბრეებმა

თანდათანობით დაიწყეს ძვირფასი ქვების შეზღუდული მარაგის ბანკიდან ამოღება. 1720 წლის თებერვალში გამოიცა ბრძანებულება, რომელიც კრძალავდა 500 ლიკრზე მეტი ფულადი სახსრების ფლობას. აიკრძალა საიუველირო ნაწარმის და ძვირფასი ქვების შემენა. რამდენიმე ხანში მისისიპის კომპანიის აქციები დაეცა. ლო მათი ვარდნის შეჩერებას ცდილობდა, მაგრამ აქციები გაუფასურებას განაგრძობდა. საბოლოო ჯამში, კომპანიის აქციებმა ყოველგვარი ღირებულება დაკარგა (249. 188-213; 223. 65-88; 186. 859-888). ასე რომ, ჯონ ლოს, შოტლანდიის მკვიდრის, სისტემამ, რომელმაც საფრანგეთში ბანკი დააფუძნა, ქადალდის ფული გამოუშვა და კოლონიური საქონლით მოვაჭრე კომპანია დააარსა, 1720 წელს ჭარბი ასიგნაციების გამოშვების და კოლონიური ვაჭრობის გეგმების ჩაფუშვის გამო კრახი განიცადა.

1880 წელს საფრანგეთში დაფუძნდა პანამის ოკეანეთაშორისი არხის კომპანია, რომლის პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი გახდა ფერდინანდ ლესეპსი. კომპანიამ 600 000 აქციის გამოშვების შესახებ გამოაცხადა და მათზე ხელმოწერა გახსნა. თითოეული აქციის ღირებულება 500 ფრანკს შეადგენდა. ამასთანავე, გამომწერს აქციის ღირებულების ერთი მეოთხედი უნდა შეეტანა, დანარჩენ თანხას კი კომპანია საჭიროების მიხედვით მოითხოვდა. კომპანიის აქციებმა სწრაფად მოიპოვა პოპულარობა მეანაბრეთა შორის. არხის მშენებლობა (რისთვისაც დაიწყო თანხის შეგროვება) 1881 წლის 1 იანვარს დაიწყო, მისი გახსნა კი 1888 წელს იგეგმებოდა. 1882 წელს კომპანიამ გამოუშვა პირველი ობლიგაციური სესხი, მომდევნო წლებში – კიდევ ორი სესხი, მაგრამ მესამე სესხმა მთლიან თანხაზე ხელმომწერები ვეღარ შეაგროვა და კომპანიამ აქციების ნაწილი ფასდაკლებით დაუთმო საბანკო სინდიკატს, რომელიც მისი ფასიანი ქაღალდების ემიტირებასა და განთავსებას ახდენდა. კომპანიას ფინანსური სირთულეები დაეწყო. ამასთანავე, გაირკვა, რომ მშენებლობის დაწყებისას გათვალისწინებული არ ყოფილა გეოლოგიური და კლიმატური სირთულეები. 1885 წელს კომპანიის მმართველობამ გადაწყვიტა, საქმეები გრძელვადიანი მოგებიანი სესხის გამოშვებით გამოესწორებინა. ვარაუდობდნენ არანაკლებ 600 მილიონი ფრანკის შეგროვებას. ასეთი სესხის მისაღებად საჭირო იყო ხელისუფლების და პარლამენტის თანხმობა, რომელიც კომპანიამ სამი წლის შემდეგ – 1888 წელს – მიიღო. 1888 წლამდე კომპანიამ კიდევ ორი ჩვეულებრივი სესხი გამოუშვა და განაკვეთი წლიურ 10%-მდე გაზარდა, რათა ხელმომწერთა უურადღება მიეკცია. 1888 წლის აპრილში სესხი დამტკიცდა.

სესხის ზღვრული თანხა 720 მილიონ ფრანგს შეადგენდა. 1888 წლის ივნისში დაიწყო აქციებზე ხელმოწერა, რომელმაც სულ 254 მილიონი ფრანგი შეაგროვა. ფინანსთა მინისტრმა პალატაში შეიტანა კანონპროექტი პანამის კომპანიის ვალების შეღავათიანი დაფარვის პერიოდის შესახებ, მაგრამ დეპუტატებმა წინადადებას მხარი არ დაუჭირეს. სენის დეპარტამენტის სამოქალაქო საქმეთა სასამართლომ ჯერ დროებითი მმართველები დანიშნა, ხოლო 1889 წლის 4 თებერვალს ოფიციალურად გამოაცხადა პანამის კომპანიის გაკოტრების შესახებ (42; 71).

სხვა ყველაზე ცნობილი ისტორიული პირამიდებია: „ტიტების ციებ-ცხელება“ – ტიტებით ტოტალური გატაცება (მანია), როდესაც მცენარის ბოლქვები ბირჟის სკეპტიკისთვის ყველაზე შემოსავლიანი ობიექტი გახდა (XVII ს-ის I ნახევარი, პოლანდია); „ჩარლზ პონცის პირამიდა“ (XX ს-ის დასაწყისი, აშშ); „საპნის ბუშტები“ – 1720 წელს ინგლისში აღმოცენებული კომპანიები, რომლებიც დიდი მოგების იმედით მოსახლეობას აქციების შეძენას სთავაზობდნენ (69; 873 372).

ამჟამად ტრანსნაციონალურ თაღლითობას აქტიურად ებრძვის ინტერპოლი. თაღლითობის სქემა, რომელიც ინტერპოლმა აღკვეთა, ასეთი იყო: კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი ეჭვმიტანილები ატყუებდნენ უცხოელ კლიენტებს, კერძოდ, სთავაზობდნენ საქონლის ინტერნეტაუქციონის მეშვეობით შეძენას, ხოლო ფულის მიღებისას დამკვეთს შეკვეთილ ნივთებს აღარ უგზავნიდნენ. თაღლითობის ორგანიზატორებს მხარს უჭერდნენ ერთ-ერთი უკრაინული კომერციული ბანკის თანამშრომლები. ისინი ცრუ პირებზე სსინდნენ რამდენიმე მიმდინარე ანგარიშს, რომლებზედაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ირიცხებოდა ინტერნეტაუქციონით საქონლის ფიქციური გაყიდვიდან მიღებული სახსრები. საქონლით დაინტერესებული კლიენტები დარწმუნებული იყვნენ, რომ ფულს უცხოური კომპანიების ანგარიშებზე რიცხავდნენ, სინამდვილეში კი ისინი თაღლითობის ორგანიზატორებს ეკუთვნოდათ. შემდეგ თანხები ბანკების ანგარიშებზე ირიცხებოდა. ნადდი ფული ცრუ პირებს ან თავად ყალბი დოკუმენტების ორგანიზატორებს გამოჰქონდათ. ფინანსური მაქინაციების განხორციელების დროს კონკრეტული ქვეყნის ბანკები არაერთხელ იღებენ მოთხოვნას საზღვარგარეთიდან უკანონოდ მიღებული სახსრების დაბრუნების

თაობაზე, მაგრამ ორგანიზაციურებთან მოლაპარაკებული ბანკის მოხელეები ხურავენ ანგარიშებს და ფული აღარ ბრუნდება (8).

ტრანსნაციონალური თაღლითობის განსაკუთრებული შემთხვევები ფიქსირდება ნიგერიასა და მალაიზიაში. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ნიგერიის ხელისუფლებას მოსთხოვა, დაუყოვნებლივ მიეღო ზომები ინტერნეტთაღლითობის აღკვეთისთვის, რომელიც ნიგერიაში შემოსავლის ძირითადი წყაროა. ყველაზე ხშირად გამოიყენება „სქემა 419“ (ნიგერიის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი კარის ნომრის) მიხედვით: თაღლითები ელექტრონული ფოსტით აგზავნიან წერილებს სარფიანი გარიგების შეთავაზებით და ავანსის სახით გარკვეული თანხის გადახდას ითხოვენ. შემდეგ ისინი იტყობინებიან გართულებების შესახებ, რომლებიც ასევე დამატებით თანხებს მოითხოვს. Nigeria - The 419 Coalition Website-ს მონაცემებით, 1996 წელს ასეთი თაღლითობის შედეგად დაახლოებით 5 მილიარდი დოლარი იქნა გადახდილი.

ყველაზე ხშირად ეგროპის მოსახლეობა ზარალდება. კერძოდ, დიდი ბრიტანეთის სისხლის სამართლის დანაშაულთა გამოძიების სამსახურის მონაცემებით, მხოლოდ ლონდონში აღირიცხა დაახლოებით 78 000 დაზარალებული, რომელთაც საერთო ჯამში 37,2 მილიონი დოლარი იზარალეს. კრიმინალური ინტერნეტაქტივობა სხვა აფრიკულ ქვეყნებშიც კრიკელდება, რასაც დიდი ზიანი მოაქვს დასავლეთ აფრიკის ახალი ინტერნეტბაზრისთვის. ნიგერიის გარდა, კომპიუტერული დანაშაულის წინააღმდეგ კანონი მხოლოდ განაში არსებობს. ნიგერიაში შექმნილია ინტერნეტთაღლითობასთან ბრძოლის სპეციალური ქვედანაყოფი, რომელმაც არაერთი დაკავება განახორციელა, მაგრამ ჯერჯერობით ვერც ერთი რეალური დამნაშავის დაკავება ვერ მოხერხდა (292).

ფულადი სახსრებით და საბანკო დოკუმენტებით მანიპულირებისას აფერისტებმა მოქალაქეები თავიანთი ოპერაციების ნამდვილობაში დაარწმუნეს. მალაიზიელმა თაღლითებმა თავიანთ აფორებში რამდენიმე ადგილობრივი ბანკიც კი ჩართეს.

საბანკო დაწესებულების თანამშრომლის სტატუსს ამოფარებული ბოროტმოქმედები მსხვერპლს ატყობინებდნენ, რომ დიდი ხნის განმავლობაში მოცემული მემკვიდრეობის მისაღებად არავის მიუმართავს. ისინი მას

არწმუნებდნენ, რომ, ბანკის თანამშრომლის სტატუსის გათვალისწინებით, შეიძლებოდა მისთვის თანხების მისაღებად დახმარების გაწევა მხოლოდ გვარების დამთხვევის ფაქტის საფუძველზე. მსხვერპლის ნდობის ბოროტად გამოყენებით, დამნაშავეები ახერხებდნენ დიდი თანხის ხელში ჩაგდებას, რომელიც დიდი ბრიტანეთის საბანკო დაწესებულებებში ირიცხებოდა (168).

შიგა ინფორმაციაზე ხავულაცია. პირთა ჯგუფი, რომელთაც ხელი მიუწვდებათ კომპანიის შიგა ინფორმაციაზე, ყიდულობს მის აქციებს და რეკომენდაციას უწევს ათასობით სხვა ინვესტორს, შეიძინოს კომპანიის აქციები. ამის შედეგად აქციების ფასი მკვეთრად იზრდება, შემდეგ კი ვარდება. ჯგუფი აქციებს უმაღლესი ფასის პერიოდში ყიდის და დიდ მოგებას იღებს. შესაძლებელია ასეთი ტაქტიკის უკუმიმართულებით გამოყენება, როდესაც ფული კომპანიის შესახებ ნეგატიური ინფორმაციის გავრცელებით კეთდება.

დღევანდელ მსოფლიოში ამ უკანონო ოპერაციაში ჩართული არიან სხვადასხვა ქვეყნის შემსრულებლები. თაღლითობის შემუშავებული სქემა ხორციელდება აქციების ფასის გაზრდაზე რეკომენდაციის გაცემის გზით, რომელიც ეფუძნება ცრუ განცხადებებს ფასის ზრდის შესახებ. ამ მიზნით საგანგებოდ იქმნება ფასების ზრდის გარემო. ამ სქემის მსხვერპლი კარგავენ ინვესტიციებს, რადგან აუიოტაჟის შემდეგ აქციებზე ფასი ეცემა და პროცესი მასობრივი გაკოტრებით მთავრდება.

თანამედროვე მსოფლიოში თაღლითობა ხშირად ინტერნეტით ხორციელდება. მისი მეშვეობით უფრო ადვილია მონაცემებით მანიპულირება. კრიმინალურ სქემაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს რეკლამა, რომელიც ყალბი ინფორმაციის გზით სტიმულს აძლევს თაღლითური ოპერაციების განხორციელებას.

ასეთივე სქემით ხორციელდება საბანკო თაღლითობა. ასტრონომიული მოგების დაპირებით, ექსკლუზიურ საერთაშორისო საინვესტიციო პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობით მოხიბლული ინვესტორები ხშირად ხდებიან მსხვერპლი საბანკო თაღლითებისა, რომლებიც მათ ნდობას ცნობილი ფინანსური დაწესებულებების სახელებითა და გარანტიებით იმსახურებენ.

ასეთი სქემების ორგანიზატორები იყენებენ სიტყვას «prime» (პირველი კლასის) ან მის სინონიმურ ფრაზებს «top fifty world banks» (მსოფლიოს 50 საუკეთესო ბანკი), «prime European bank» (პირველი კლასის ევროპული ბანკი), რათა თაღლითობა იმ ხმამაღალი განცხადებით შენიღბონ, რომ ასეთ მაღალშემოსავლიან საინვესტიციო პროგრამებში («high yield investment program», HYIP) მსხვილი და სოლიდური ფინანსური ინსტიტუტები მონაწილეობენ (191. 85-90; 196. 125-136; 287. 375-386; 147. 107-119).

ზოგიერთი კომპანია უხდის კიდეც ასეთი საინფორმაციო წერილების ავტორებს მათი კომპანიების შესახებ დადებითი რეკლამისთვის. თუმცა ასეთი მოქმედება არ არის კანონსაწინააღმდეგო, ფასიანი ქაღალდების შესახებ ფედერალური კანონმდებლობა სპონსორებისა და ავტორთა პონორარების განცხადებას მოითხოვს.

რა თქმა უნდა, თაღლითები არ ამჟღავნებენ ასეთ ინფორმაციას, აცხადებენ საკუთარი დამოუკიდებლობისა და მოუსყიდველობის შესახებ, მიუთითებენ აქციების არჩევანზე, როგორც საბაზო კვლევების შედეგზე, სინამდვილეში კი აშკარაა, რომ „დამოუკიდებელი“ კონსულტანტები კარგ ფულს მიიღებენ, თუ ინვესტორები იყიდიან ან გაყიდიან დამკვეთის მიერ მითითებულ ფასიან ქაღალდებს (375).

განცხადებების ონლაინდაფა (bulletin boards) – ქსელური კონფერენციები თუ სამომხმარებლო ქსელები (განცხადებების ელექტრონული დაფების სისტემები) – ინვესტორებისთვის ინფორმაციის გაცვლის პოპულარული მეთოდია. თაღლითები ხშირად იყენებენ ამ მექანიზმს ინვესტორების განწყობით მანიპულირებისათვის, რადგან ამ უკანასკნელთათვის რთულია ინფორმაციის წყაროს და მისი სანდოობის შემოწმება. „მიუკერძოებელი“ საბაზო მიმომხილველის როლში შესაძლოა გამოვიდეს დაინტერესებული პირი, იქნება ეს მსხვილი აქციონერი, კომპანიის მმართველი თუ მოსყიდული პრომოუტერი. ერთ ადამიანსაც კი მარტივად შეუძლია შექმნას საყოველთაო ინტერესის ილუზია შეტყობინებათა სხვადასხვა სახელით დაგზავნის გზით (195. 5-17).

ელექტრონული ფოსტით სპამის დაგზავნა (e-mail spam) ასევე საერთაშორისო თაღლითობის მეთოდია. ასეთ შეტყობინებათა დაგზავნა საკმაოდ იაფი და

მარტივი საშუალებაა, რის გამოც მას ხშირად იყენებენ თაღლითები. სატელეფონო ზარქისა თუ ჩვეულებრივი საფოსტო გზაგნილებისგან განსხვავებით, სპამის დაგზავნა ბოროტმოქმედებს საშუალებას აძლევს, პოტენციური ინვესტორების ფართო წრე მოიცვან (132. 337-350).

სპამერებს შეუძლიათ ელექტრონული ფოსტით შეტყობინებათა მასობრივად დაგზავნის პროგრამის საშუალებით პერსონალური შეტყობინებები ერთდროულად ათასობით და მილიონობით მომხმარებელს გაუგზავნონ. აშშ-ში იყო შემთხვევა, როდესაც აქციების კურსის მანიპულირების მიზნით თაღლითმა გადაიმისამართა გარკვეული კორპორაციის ოფიციალური პირის ელექტრონული შეტყობინება, შეცვალა იგი, ყალბი ინფორმაცია დამატა და მილიონობით ადამიანს გაუგზავნა.

თაღლითობა შესაძლებელი ხდება ანალიტიკური მიმოხილვის გამოცემის გზით. ანალიტიკოსები არიან საინვესტიციო და საბროკერო კომპანიების, ბანკებისა და სხვა ფინანსური დაწესებულებების თანამშრომლები, რომლებიც აწარმოებენ საბაზო კვლევებს, აფასებენ და ირჩევენ ინსტრუმენტებს საინვესტიციო ოპერაციებისთვის.

ანალიტიკოსების უმრავლესობა ეკონომიკის გარკვეული სექტორის ან დარგის ქადაღდებზე მუშაობს და წარმოადგენს რეკომენდაციებს მათ ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით. ანალიტიკოსების ანგარიშები მათი კვლევების შედეგებით გავლენას ახდენს აქციების ფასზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათი რეკომენდაციები მასობრივი ინფორმაციის ელექტრონული ან ტრადიციული საშუალებებით ვრცელდება.

ანალიტიკოსების ძირითადი როლი ბაზრის მუშაობის ეფექტიანობის ზრდაში მდგომარეობს. მათი ამოცანაა ინვესტორებისთვის ფარული ფაქტებისა და კანონზომიერებების გამოვლენა, ეკონომიკის დარგების და ცალკეული კომპანიების განვითარების შეფასება. ამასთანავე, ინვესტორებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის არსებობის შესახებ. ზოგიერთი ანალიტიკოსი მუშაობს კომპანიებზე, რომლებიც არიან ანდერრაიტერები (აქციების ახალი გამოშვებების ხელმომწერები და გამავრცელებლები) ან კორპორაციების აქციონერები, რომელთაც ეს

ანალიტიკოსები უთვალთვალებენ. ზოგჯერ თავად ანალიტიკოსები მათ მიერ შესწავლილი კომპანიების აქციონერები არიან (მაგ., აქციების მუშაკთა მიერ შესყიდვის გეგმის (employee stock-purchase plan) მეშვეობით).

დამსაქმებელი შესაძლოა გავლენას ახდენდეს ანალიტიკოსის ობიექტურობასა და დამოუკიდებლობაზე. გადაწყვეტილებების მიღებისას ინვესტორებმა უნდა გაითვალისწინონ ეს გარემოება და ბრმად არ უნდა ენდონ ანალიტიკოსის რეკომენდაციებს. საფონდო დილერების ეროვნული ასოციაციის და ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის წესები ამა თუ იმ ქაღალდის ყიდვა-გაყიდვის რეკომენდაციის გაცემისას ანალიტიკოსისგან ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის გამედავნებას მოითხოვს.

მაგალითად, ანალიტიკოსებმა უნდა გაამხილონ, აქვთ თუ არა მათ ან საბროკერო ფირმას, რომელშიც ისინი მუშაობენ, გარკვეული პოზიცია მოცემულ აქციასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მათ უნდა განაცხადონ, არის თუ არა მათი ფირმა მარკეტეიკერი მოცემული ფასიანი ქაღალდის მიხედვით და ჰქონდათ თუ არა მათ მოცემულ კომპანიასთან საქმიანი ურთიერთობა ბოლო 3 წლის განმავლობაში. ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ანალიტიკური ანგარიშების ქვემოთ, მითითებებში, ან წარმოდგენილია წვრილი შრიფტით დოკუმენტების უკანა მხარეს.

აფიორა უბრალო თამასუქებით თაღლითობის გაერცელებული სახეა. უბრალო თამასუქი – უპირობო სასესხო ვალდებულება – ერთ-ერთი ის ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც კომპანიები აუცილებელ სახსრებს იღებენ. ამ აფიორების უმრავლესობას შემდეგი სქემა აქვს: მსესხებელ კომპანიასთან დაკავშირებული თაღლითები არწმუნებენ სიცოცხლის დაზღვევის საკითხებში დამოუკიდებელ აგენტებს, თავიანთ კლიენტებს უბრალო თამასუქები მიჰყიდონ, და მათ მაღალ საკომისიოს ჰპირდებიან.

სშირად ამ სადაზღვევო აგენტებს არ აქვთ შესაბამისი ლიცენზია ფასიანი ქაღალდების გაყიდვაზე და პოტენციური ინვესტორებისთვის თამასუქების შეთავაზებისას თაღლითობის თანამონაწილენი ხდებიან. ინვესტორებს ჰპირდებიან მაღალ გარანტირებულ შემოსავალს უმნიშვნელო რისკის

თანხლებით, თანაც არწმუნებენ, რომ თამასუქებს გარანტიად უცხოური სადაზღვევო კომპანია უდგება.

ხანდახან თამასუქების გაყიდვიდან შემოსული თანხის ნაწილი პირამიდული სქემის მხარდასაჭერად გამოიყენება: თამასუქების ახალი პარტიის გაყიდვიდან შემოსული ფული წინა კრედიტორების პროცენტების დაფარვას ხმარდება. ზოგჯერ თამასუქის გადახდის დღეს ინვესტორებს სესხის ძირითად თანხას არ უბრუნებენ და არწმუნებენ, კრედიტი ახალი თამასუქების შეძენის ხარჯზე გააგრძელონ. ამ სქემით ინვესტორები გარკვეული დროის განმავლობაში მართლაც მიიღებენ დაპირებულ პროცენტებს, მაგრამ ძირითადი თანხის დაბრუნების ალბათობა ნულის ტოლია.

ხშირად ასეთი აფიორები ორიენტირებულია ხანში შესულ ადამიანებზე, რომელთაც თავიანთი დანაზოგების დაკარგვის ეშინიათ და ეხმაურებიან ინვესტორთა წინადადებებს უმნიშვნელო რისკის თანხლებით გარანტირებული შემოსავლის მიღების შესახებ.

ჩვეულებრივ, ნამდვილ კორპორაციულ თამასუქებს ფართო საზოგადოებას კი არ სთავაზობენ, არამედ მათ ავრცელებენ გამოცდილი ინვესტორების შეზღუდულ წრეში, რომელთაც თავად შეუძლიათ შეისწავლონ მსესხებელი კომპანიის საქმიანობა. ამიტომ ასეთი ინტერნეტშეთავაზებები არასდროს არ არის სანდო.

ამგვარი შეთავაზების შესამოწმებლად დაპირებული შემოსავალი უნდა შეუდარდეს ფიქსირებული შემოსავლის მქონე ანალოგიური ინსტრუმენტების მიმდინარე საბაზრო განაკვეთებს, მოკლევადიანი სახაზინო ვალდებულებების ან სადეპოზიტო სერტიფიკატების შემოსავლიანობას, რომლებიც დაზღვეულია დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაციის (FDIC) მიერ. თუ შეთავაზებული თამასუქების შემოსავლიანობა გაცილებით აღემატება ზემოაღნიშნული ინსტრუმენტებისას, მაშინ აშკარაა, რომ საქმე თაღლითობასთან გვაქვს.

პირადი ინფორმაციის მოპარვა აგრეთვე თაღლითური ოპერაციაა. ეს დანაშაული მდგომარეობს მფლობელის გაუფრთხილებლად პირადი ინფორმაციის უკანონო მითვისებაში. ამ დროს:

- 1) დამნაშავეები სსნიან ანგარიშს და აფორმებენ ახალ საკრედიტო ბარათს მოპარული პირადი მონაცემების (სახელი, დაბადების თარიღი, სოციალური დაზღვევის ნომერი) გამოყენებით. ამის შედეგად ბოროტმოქმედთა დაუფარავი ანგარიშები თქვენი საკრედიტო ბარათის ანგარიშში აისახება. თადღითები თქვენი სახელით ურეკავენ თქვენი საკრედიტო ბარათის ემიტენტს, ცვლიან საფოსტო მისამართს თქვენი ანგარიშის მიხედვით, შემდეგ კი იწყებენ თქვენი ფულის აქტიურად ხარჯვას, მაგრამ, რადგან ანგარიშები ახალ მისამართზე იგზავნება, პრობლემის დასაწყისშივე აღმოჩენა როგორია (75).
- 2) დამნაშავეები თქვენს სახელზე სსნიან საბანკო ანგარიშს და იწყებენ ამ ანგარიშზე ჩეკების გამოწერას. ხანდახან თადღითები უთითებენ სხვის სახელზე გახსნილ საბანკო ანგარიშს, როგორც მობილური კავშირით მომსახურების გადამხდელის ანგარიშს. ამიტომ, როდესაც თქვენ ელექტრონული ფოსტით გარკვეული ინტერნეტპროვაიდერისგან ან ინფორმაციის მომწოდებლისგან იღებთ წერილს მომსახურების საფასურის შემდგომი გადახდის მიზნით საკრედიტო ბარათის ინფორმაციის განახლების ან მისი მონაცემების ხელახლა შეყვანის შესახებ, თაღლითობის დიდი ალბათობა არსებობს.

გარკვეულ საინგენიურო ინტერნეტგერდებზე პირად ფინანსურ ინფორმაციას „აკრედიტებული ინვესტორის“ სტატუსის შესამოწმებლად ითხოვენ. სახელის და ელექტრონული ფოსტის მისამართის გარდა, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს შემოსავლის დონე, ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ, სოციალური დაზღვევის ნომერი და სხვა პირადი მონაცემები. ხანდახან ხრიკის სახით იყენებენ განმარტებას, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია უცილებელია პოტენციურ ინვესტორთა პრიორიტეტული სიის («lead list») შესადგენად (77).

საქმაოდ საშიშია კოლექტიური მოტყუება. იგულისხმება თაღლითობა საერთო იტერესებით გაერთიანებული ადამიანების მიმართ. ხშირად დამნაშავეები მომავალ მსხვერპლთა ნდობის მოსაპოვებლად მათი რელიგიური, ეთნიკური, ასაკობრივი, პროფესიული ან სხვაგვარი ერთობით სარგებლობენ. თაღლითობის ორგანიზატორები ხშირად თავად არიან ერთობის წევრები ან თავს მიაკუთვნებენ მათ. კოლექტიური მოტყუება განსაკუთრებით რთული გამოსავლენია ასეთი ჯგუფების უმეტესობის მჭიდრო კავშირების და ჩაკეტილობის გათვალისწინებით. ხშირად ასეთი აფიორის მსხვერპლი არ

მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს და თავად ცდილობს პრობლემის მოგვარებას.

თაღლითობის პროცესში ასევე იყენებენ სადეპოზიტო სერტიფიკატებს. ეს ინსტრუმენტები არის ფასიანი ქაღალდები წარმდგენზე, რომელიც ადასტურებს ბანკში ვადიანი დეპოზიტის არსებობას. მათი დაფარვის ვადა 3 თვიდან 5 წლამდე მერყეობს. თაღლითები ყიდიან სადეპოზიტო სერტიფიკატებს, რომელთა დაფარვის ვადა 10-20 წლის შემდეგ დგება. გარდა ამისა, გათვალისწინებულია, რომ, თუ ინვესტორს სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე დაფარვა სურს, მას ადგება მნიშვნელოვანი ზარალი, რომელიც საწყისი თანხის 25%-ს აღწევს. ამასთანავე, სერტიფიკატების გამყიდველები არ ამჟღვნებენ რისკების შესახებ მთელ ინფორმაციას და წინასწარ არ აფრთხილებენ სერტიფიკატების ვადამდელი დაფარვის შეზღუდვებზე (264).

თაღლითობა ასევე ხორციელდება სიცოცხლის დაზღვევის პოლისების შეძენისას. აშშ-ში არსებობს პრაქტიკა მძიმე ავადმყოფებისგან სიცოცხლის დაზღვევის პოლისის ყიდვისა მისი ნომინალური ღირებულების გარკვეულ პროცენტად, მათი წამლების და სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების მიზნით. დაზღვეული პირის გარდაცვალების შემდეგ პოლისის მფლობელი, ბენეფიციარი, იღებს „გარდაცვალების შემწეობას“ (death benefit) – სადაზღვევო თანხას. ამგვარად, დაზღვეული პირი იღებს თანხის ნაწილს, ხოლო ინვესტორი უფლებამოსილია ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება. ამიტომ ასეთ „ინვესტიციებს“ სპეციალაციური ხასიათი აქვს (151. 271-287).

და ბოლოს, შევეხოთ საინვესტიციო სემინარებს. ხშირად მასობრივი ინფორმაციის ტრადიციულ და ელექტრონულ საშუალებებში შეიძლება შევხვდეთ სემინარების რეკლამას, რომელთა ორგანიზატორები მონაწილეებს ერთმანეთისთვის სწრაფი გამდიდრების საიდუმლოებების განდობას სთავაზობენ. ასეთი სემინარების ორგანიზატორები მიმნდობ მონაწილეებზე კარგ ფულს აკეთებენ „შესვლის“ საფასურის გამორთმევით და წიგნებისა და აუდიოკასეტების გაყიდვით.

ოფშორული ინვესტიციები სხვა ქვეყნების ინვესტორთა მოსატყუებლად გამოიყენება. დროის განსხვავებული ზონები, ვალუტა და საერთაშორისო ზარების მაღალი ღირებულება ბოროტმოქმედებს საქმეს ურთულებდა, მაგრამ ინტერნეტმა ყველაფერი გაამარტივა. ამის გამო თაღლითობასთან ბრძოლის ადგილობრივ ორგანოებს უჭირთ საზღვარგარეთის კრიმინალთან ბრძოლა.

ოფშორული ინვესტირება საკმაოდ მიმზიდველი ვარიანტია იმ ინვესტორებისთვის, რომელთაც სურთ სხვა ბაზრების კვლევა, თავიანთი ინვესტიციების დაცვა მძიმე საშემოსავლო გადასახადებისგან ან საკუთარი კაპიტალის დაბანდების გზით აქტივების კონფიდენციალურად და საიმედოდ გაზრდა იქ, სადაც ადგილობრივი კანონმდებლობის ნორმები და წესები არ მოქმედებს.

ერთი შეხედვით, ცუდად განვითარებულ ოფშორულ ზონებში და ქვეყნებში ოფშორული ინვესტიციები დიდ რისკთანაა დაკავშირებული, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეეფერება. ოფშორული ინვესტიციების მექანიზმები კარგად შემუშავებული ნორმების, წესების და პოლიტიკის მქონე ტერიტორიებზე მოქმედებს, რაც კაპიტალდაბანდებების საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში რეგულირებისა და მართვის საშუალებას იძლევა. ხშირად ეს არის ტერიტორიები, რომელთა საბანკო დაწესებულებებიც ოფშორულ კაპიტალზე არიან დამოკიდებული; ამიტომ ისინი უფროხილდებიან საგადასახადო „თავშესაფრის“ რეპუტაციას.

ინვესტორების უმრავლესობა ასეთ ოფშორულ ინვესტიციებს საკუთარი საინვესტიციო შესაძლებლობების დივერსიფიცირების, რისკების მაქსიმალური გადანაწილების, საშემოსავლო გადასახადების გადავადების საშუალებად განიხილავს. აქ უდიდესი უპირატესობაა კონფიდენციალურობა და მშობლიურ ქვეყანაში არსებული საკრედიტო ან სხვა ფულადი ვალდებულების მოხსნა.

უცხოეთის მოქალაქეები ასევე იყენებენ ასეთი ოფშორული ინვესტიციების უპირატესობებს. საკუთარი აქტივების პოლიტიკური და ეკონომიკური მდელგარებისგან დასაცავად ისინი ოფშორულ დაწესებულებაში არსებულ საბანკო ანგარიშს იყენებენ, ხოლო ინვესტირება იმავე საგადასახადო

„თავშესაფარში“ საქუთარი ქონების შენარჩუნებისა და გაზრდის შემდგომ ლოგიკურ ნაბიჯად მოიაზრება.

უპირატესობაა ინვესტიციებიდან მიღებული პროცენტებიც. ინვესტიციის განხორციელებისას აშშ-ში ამერიკელი ვალდებულია შეავსოს შემოსავლების შესახებ დეკლარაცია და მიუთითოს ინვესტიციების შემოსავლიანობის პროცენტი, მიუხედავად იმისა, მიიღებს თუ არა შემოსავალს. გარდა ამისა, მოქალაქე ანგარიშვალდებულია კიდევ ერთხელ, ინვესტიციის განაღდების შემდეგ. აქ არსებითად ორმაგი დაბეგვრის კლასიკური მოდელია მოცემული. ოფშორული ინვესტირების დროს კი ინვესტორს უფლება აქვს, მიუთითოს, რომ ყველა პროცენტი ავტომატურად უბრუნდება საწყის ინვესტიციას, რაც უზრუნველყოფს გადასახადებისგან თავისუფალი ფულის ზრდას.

ადსანიშნავია, რომ გარკვეულ ქვეყნებში, მაგალითად, აშშ-ში, ოფშორულ კომპანიებს კატეგორიულად ეკრძალებათ მომსახურების შეთავაზება ამერიკის მოქალაქეებისთვის. თუმცა თავად ამერიკელებს შეუძლიათ კანონიერად მოურიგდნენ და გააფორმონ მათთან ხელშეკრულებები.

ოფშორული ინვესტიციები ისევე სანდოა, როგორც შიგა, ისეთივე რისკისა და მოგების ფაქტორებით. ისინი უზრუნველყოფენ ნებისმიერი საინვესტიციო სტრატეგიის დამატებით დირებულებას, ვინაიდან ინვესტიცები – ეს არის დივერსიფიკაციის მაღალი დონე, საქუთარ ქვეყანაში არარსებული მოქნილი საინვესტიციო მექანიზმები და არსებითი ეკონომიკის პერსპექტივა გადასახადებით დაბეგვრისას (15).

სწორედ ეს თავისებურებები გამოიყენება ოფშორული თაღლითობისთვის. ეს აფიორა საშუალებას აძლევს კომპანიებს, უცხოელ ინვესტორებს აქციები რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე მიჰყიდონ. ამგვარად, კომპანიას შეუძლია დიდი ფასდაკლებით მიჰყიდოს არარეგისტრირებული აქციები უცხოელი ინვესტორების სახით მოქმედ თაღლითებს, რომლებიც, თავის მხრივ, მათ გაზრდილ ფასად მიჰყიდიან ამერიკელ ინვესტორებს. მოგებას კონკრეტული ქვეყნის კომპანია და უცხოელი ინვესტორი იყოფენ. როდესაც არარეგისტრირებული აქციები ხელახლა აშშ-ში იყიდება, მათი ფასი ეცემა და მიმნდობი ამერიკელი ინვესტორები ფულს კარგავენ.

ოფშორული საინვესტიციო აფიორა დიდი მოგების მიღების საშუალებას იძლევა. როდესაც ფული სხვა ქვეყანაში იგზავნება, პრაქტიკულად შეუძლებელია მისი კონტროლი და, შესაბამისად, მას არ იცავს წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობა. ამ მხრივ საინტერესოა აფიორები ნავთობთან და გაზთან დაკავშირებით, რომელთა ფასების მერყეობამ თაღლითობის მასობრივი შემთხვევები გამოიწვია. ფულის არარსებულ ნავთობისა და გაზის კომპანიებში დაბანდებით ადამიანებმა დიდი თანხები დაკარგეს.

თაღლითები ინვესტორებს ელექტრონული ფოსტის და ტელეფონის მეშვეობით აწვდიან ყალბ შეტყობინებებს ნავთობის მომპოვებელ კომანდიტურ ამსანაგობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის შესახებ. ამ დროს ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებით ფალსიფირებული სარეკლამო მასალები გამოიყენება (50).

## §6. ადამიანებით გაჭრობის ტრანსნაციონალური ხასიათი

ადამიანებით გაჭრობა დანაშაულის როლი ფორმაა. ის მოიცავს არალეგალური იმიგრანტების, პროსტიტუციისთვის ქალების, მონური შრომისთვის დაქირავებული მუშახელის, შინამოსამსახურების გადაყვანას განვითარებადი ქვეუნებიდან, უზარმაზარ თანხებად ბავშვების გაყვანას უკანონოდ შვილების მიზნით. მაგალითად, გვატემალაში წელიწადში ფიქციური დედების მიერ ბავშვების გაყიდვის 30-მდე შემთხვევა ფიქსირდება. ცნობილია შემთხვევები, როდესაც მშობლები ქალიშვილებს პატარძლებად ყიდიან, უპირატესად სხვა ქვეუნების მდიდარ მამაკაცებზე. ასევე ცნობილია მონად გაყიდვის, გამოსასყიდის გამოძალვის მიზნით მოტაცების ფაქტები და ა. შ.

ადამიანებით გაჭრობას ხელს უწყობს მასობრივი მიგრაცია. განვითარებადი ქვეუნების მცხოვრებლები განვითარებულ ქვეუნებში გადასვლას ცდილობენ. არალეგალების ნაკადს ძირითადად ორგანიზებული დამნაშავეები აკონტროლებენ. როგორც წესი, ჩამოსულებს სამსახური არ აქვთ და ისინი

ერწყმიან ექსპლუატირებად მარგინალურ ფენას, რომელიც დანაშაულის ჩადენაში და არეულობებში მონაწილეობს.

ადამიანებით ვაჭრობის განსაკუთრებული ნაირსახეობაა ქალებით ვაჭრობა, რომელმაც სექსუალური ექსპლუატაციის მიზნების გამო ტრანსნაციონალური ხასიათი შეიძინა და რომელიც მონობის ახალი მეთოდების გამოყენებით ხორციელდება.

ქალებით ვაჭრობა ჩრდილოვანი ეკონომიკაა და საზოგადოებისათვის ფინანსური სარგებელი არ მოაქვს. ქალებს ხშირად არაფერი რჩებათ; გამომუშავებული ფული მათ ძვირად უჯდებათ – ჯანმრთელობის, ემოციური კეთილდღეობის და საზოგადოებრივი მდგომარეობის ფასად. დანაშაულებრივი ორგანიზაციების მიერ მიღებული ფული დარიბ ქვეყნებში არ რჩება; ხდება მისი გათეორება ფინანსურ ცენტრებში, კერძოდ, აშშ-ში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, დანაშაულებრივი ბოსების საბანკო ანგარიშების ან ოფშორული ანგარიშების მეშვეობით. ფულის ტრანსნაციონალური გათეორების სქემები ხშირად მოიცავს ქალებით ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავლებს.

მაგალითად, ისრაელში ყოფილი სსრკ-დან წასულმა ორგანიზებულმა დანაშაულებრივმა ჯგუფებმა ქალებით ვაჭრობიდან და სხვა საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები კანონიერ ბიზნესში დაბანდეს. ისრაელი უკანონო შემოსავლების „სამოთხედ“ არის მიჩნეული, რადგან აქ ფულის გათეორება ძალიან ადვილია. 1995 წლის მონაცემებით, 2.5-4 მილიარდი დოლარი ბანკებში იქნა დაბანდებული, ხოლო 600 მილიონი – უძრავ ქონებაში (102. 21-39).

უკანონო საქმიანობიდან, კერძოდ, ქალებით ვაჭრობიდან მიღებული ფულის დიდი ნაწილი ეკონომიკაში არ ბრუნდება. ის მიღის ზევით, სადაც დამნაშავე ბოსები უდიდეს შემოსავლებს იღებენ. დანაშაულებრივი შემოსავლები თეორდება, რის შემდეგაც ისინი კანონიერი ბიზნესისა და საკუთრების შესაძენად გამოიყენება.

ქალებით ვაჭრობა – ეს არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც მოიცავს ადამიანების გადაადგილებას სახელმწიფო საზღვრების შიგნით ან მათი გავლით, სექსუალური ექსპლუატაციის მიზნებისათვის.

სექსუალური ექსპლუატაცია ისეთი პრაქტიკაა, როდესაც გარკვეული პირი იღებს სექსუალურ დაქმაყოფილებას, ფინანსურ შემოსავალს ან მოგებას სხვისი სექსუალურობის გამოყენებით ან ექსპლუატაციით, ადამიანის უფლებების დარღვევით, როგორებიცაა დირსების უფლება, თანასწორობა, დამოუკიდებლობა, ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობა, ანუ ვაჭრობა, პროსტიტუცია, სექსტურიზმი, პატარძლებით ვაჭრობა ფოსტით, პორნოგრაფია, გაშიშვლება, ცემა, ინცესტი, გაუპატიურება და სექსუალური ხელყოფა. ვაჭრობა შესაძლოა იძულების, მოტყუების, მანიპულაციების, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, წინასწარი თანხმობის, ოჯახის ზეწოლის, ოჯახის ან საზოგადოების ძალადობის, ეკონომიკური გაჭირვების და სხვა გარემოებების შედეგი იყოს. სექსუალური ექსპლუატაციის მიზნებისათვის ქალებით ვაჭრობა ხორციელდება ქვეყნის საზღვრებში და მათ გარეთ, რადგან ქალებს საზღვარგარეთ გაყიდვამდე ზოგჯერ ადგილობრივ სექსინდუსტრიაში აბამენ და ექსპლუატაციას უწევენ.

უკანონო ვაჭრობა განხორციელებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ქალი თანახმაა, რაც შეესაბამება კონვენციას მესამე პირების მიერ ადამიანებით ვაჭრობის და პროსტიტუციის ექსპლუატაციის აღკვეთის შესახებ (მიღებულია 1949 წლის 2 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 317 (IV) რეზოლუციით).

ასეთი ვაჭრობა გულისხმობს მსხვერპლის მიმართ ჩადენილი ძალადობის ან იძულების აქტების არსებობას ვაჭრობის ფაქტის დასადგენად.

ქალებით ტრანსნაციონალური ვაჭრობა მიმწოდებული და მიმღები ქვეყნების შეთავაზებებსა და მოთხოვნილებებს ეფუძნება. განვითარებული სექსინდუსტრიის ქვეყნები ქმნიან მოთხოვნილებას და მიმღებ ქვეყნებად გვევლინებიან, ხოლო ქვეყნები, სადაც მოვაჭრებს ადგილად შეუძლიათ ქალების სექსინდუსტრიაში ჩაბმა, მიმწოდებული ქვეყნები არიან.

სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით გაყიდული ქალების რაოდენობის ზუსტად დადგენა შეუძლებელია. ეს განპირობებულია ვაჭრობის საიდუმლო ხასიათით, ქალების იძულებით, გაჩუმდნენ, და ინფორმაციის მიღების დიდი რისკით.

გაეროს ექსპერტები ქალებით, როგორც სექსინდუსტრიის საქონლით, მსოფლიო ვაჭრობის მოცულობას წელიწადში 7-12 მილიონი დოლარის დიაპაზონში აფასებენ (347).

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, ადამიანთა უკანონო გადაადგილების საერთაშორისო ბიზნესის ბრუნვა წელიწადში 6 მილიარდ დოლარს აღწევს. გაეროს შეფასებების თანახმად, ყოველწლიურად 4 მილიონი გაყიდული ადამიანიდან მეოთხედს სექსინდუსტრიაში იყენებენ (70. 231-248; 309; 319; 318; 347; 377; 380; 381; 382; 385).

ათწლეულების განმავლობაში მთავარი მიმწოდებლები აზიის ქვეყნები, კერძოდ, ტაილანდი და ფილიპინები, იყვნენ. სსრკ-ის დაშლის შემდეგ მთელ მსოფლიოში სექსინდუსტრიის ქალების მთავარი მიმწოდებელი ქვეყნები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, კერძოდ, უკრაინა, ბელორუსია, ლატვია და რუსეთი გახდნენ. სექსინდუსტრიის ბაზრებზე ყველაზე პოპულარული და ძვირად ღირებული რუსი და უკრაინელი ქალები არიან. ბოლო ათწლეულებში პროსტიტუციისთვის ასეულათასობით ქალი იქნა გაყვანილი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან და ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკებიდან. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან გაყვანილი ქალების რიცხვი, რომლებიც ევროპავშირის ქვეყნებში პროსტიტუციით არიან დაკავებული, ნახევარ მილიონს აღწევს (318).

ქალის საექსპლუატაციოდ შერჩევის მეთოდები განსხვავებულია. ისინი განისაზღვრება მოთხოვნილებისა და შეთავაზების თავისებურებებით, ერის კულტურით, ეკონომიკური პირობებით და სხვა სოციალური ფაქტორებით. ამასთანავე, განსხვავების მიუხედავად, მაინც იკვეთება საერთო თვისებები.

ქალების შერჩევის ყველაზე გავრცელებული მეთოდია საგაზეოთ განცხადება საზღვარგარეთ მაღალანაზღაურებადი სამსახურის შესახებ, რომელიც არ მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციას (ოფიციანტები, ძიძები). ქალების შერჩევა ხდება ისეთი სოციალური დონისძიებების გზით, როგორიცაა ფოტოპორნოგრაფია. ეს პროცესი, ჩვეულებრივ, რთულია; ტყუილი დეტალურადაა გათვლილი. საზღვარგარეთ გაყვანილი ქალების დაახლოებით 20% სწორედ პრესის განცხადებების მეშვეობით შეარჩიეს (229. 319-344; 210. 1-11).

ქალების შერჩევაში აქტიურ როლს ასრულებს ასევე საქორწინო სააგენტოები (ე. წ. პატარძალი ფოსტით) ან გაცნობის საერთაშორისო სამსახურები. ემიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, ყველა სააგენტოს, რომლებიც სთავაზობს პატარძალს ფოსტით ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები აკონტროლებენ. ასეთი სააგენტოების უმრავლესობა ინტერნეტით მოქმედებს. ქალების სექსინდუსტრიაში ჩამბმელები საქორწინო სააგენტოებს იყენებენ, როგორც საშუალებას, იმ ქალების მოსაძებნად, რომელთაც მოგზაურობა ან ქვეყნიდან წასვლა სურთ. სექსინდუსტრიაში ასეთი გზა რამდენიმეა. ჩამბმელი შეიძლება თავად იყოს მოვაჭრე ან მასზე მუშაობდეს. ქალი შესაძლოა შეხვდეს მამაკაცს, რომელიც ცოლად შერთვას ჰქიორდება. ეს უკანასკნელი გარკვეული დროის განმავლობაში თავად იყენებს ქალს, შემდეგ აიძულებს, პორნოგრაფიით დაკავდეს, მოგვიანებით კი სექსინდუსტრიაში ყიდის ან პირდაპირ ბორდელში მიჰყავს (204. 19-33).

ზოგიერთი მოვაჭრე დანიშნულების ქვეყანაში ქალების ლეგალური გაყვანის მიზნით ნამდვილ დოკუმენტებსა და ვიზებს იყენებს. ქალები ერთი ქვეყნიდან მეორეში ლეგალური ტურისტული ვიზების გამოყენებით სუტენიორებს გადაჰყავთ. სხვა შემთხვევაში ქალები ყალბ დოკუმენტებს იღებენ. ასეთ დროს ქალი დანიშნულების ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ კიდევ უფრო ადვილი საკონტროლებელია, რადგან იქ არალეგალურად იმყოფება. თუ პოლიცია მას აღმოაჩენს, დააკავებენ და ქვეყნიდან გააძევებენ.

ყველაზე ხშირად ქალებს არჩევენ მეგობრებისა და ნაცნობების მეშვეობით, რომლებსაც ისინი ენდობიან. გავრცელებული მოვლენაა „მეორე ტალღა“, როდესაც საზღვარგარეთ გაყვანილი ქალები სექსინდუსტრიაში ჩაბმის შემდეგ სამშობლოში სხვა ქალების წასაყვანად ბრუნდებიან. ყოველდღიურად რამდენიმე მამაკაცთან იძულებით სექსს ისინი სამშობლოში დაბრუნებას და ახალი ქალების პროსტიტუციაში ჩაბმას ამჯობინებენ, ანუ მსხვერპლი თავად ხდება დამნაშავე.

შერჩევის მეთოდის მიუხედავად, ქალების უმრავლესობა სექსუალურ ექსპლუატაციას ან ძალადობას არ მოელის. დანიშნულების ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ მოვაჭრე ან სუტენიორი უშხელს მას, რომ პროსტიტუციაში უნდა

იმუშაოს. დანიშნულების ქვეყანაში ქალების კონტროლისთვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები: დოკუმენტების კონფისკაცია, ძალადობა, ოჯახის წევრებისთვის ზიანის მიყენების მუქარა და სასესხო კაბალა. პროსტიტუციისთვის ნებაყოფლობით წასული ქალიც კი ვერ წარმოიდგენს ისეთ მანიპულაციებს, მოტყუებასა და იძულებას, რომლებიც მას ელოდება.

ქალებით ვაჭრობის ფორმები სხვადასხვაა. ერთ-ერთი მათგანია აუქციონები, მე-18-19 საუკუნეების აფრიკელი მონების ბაზების მსგავსად. მიღავავის (იტალია) 1997 წლის დეკემბერში პოლიციამ გამოააშკარავა ბანდა, რომელიც ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებიდან გაყვანილი ქალების აუქციონებს ატარებდა. ქალებს ხდიდნენ, კლიენტებს აჩვენებდნენ და საშუალოდ 1000 აშშ დოლარად ყიდდნენ. ქალების კონტროლის მიზნით მოვაჭრები და სუტენიორები ექსტრემალურ ძალადობას იყენებდნენ. ქალებს კონკურენტი მოვაჭრებისა და სუტენიორების გაფრთხილების მიზნით და პროსტიტუციაზე უარის თქმისთვის სასჯელის სახით ხოცავენ. სტამბოლში (თურქეთი) ორი უკრაინელი ქალი გადაყარეს აივნიდან და დახოცეს მათი ექვსი რუსი მეგობრის თვალშინ. სერბეთში უკრაინელ ქალს წინააღმდეგობის გაწევისთვის საჯაროდ მოჰკვეთეს თავი.

საზღვარგარეთ გაყვანილი ქალები მოვაჭრების ან სუტენიორების კონტროლის ქვეშ მოხვედრის შემდეგ აღარ იღებენ საზოგადოებრივ თუ სოციალურ მხარდაჭერას. მიმდებ ქვეყნებში მათ ისე ექცევიან, როგორც დამნაშავეებს, მექავეებს ან არალეგალ ემიგრანტებს. არ არსებობს სამსახურები, რომლებიც ტრავმების, დასუსტებული ჯანმრთელობის და ფიზიკური დარღვევების მქონე ვაჭრობის მსხვერპლთა პრობლემებით იქნებიან დაკავებული.

სექსინდუსტრიაში ქალების ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა აჩვენებს, რომ ამ ქალებს სერიოზული პრობლემები აქვთ; ხშირად მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ქალები იტანჯებიან ინფექციური დაავადებებით, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებით, ძალადობრივი დაზიანებებით, ნარკოტიკული ან ალკოჰოლური დამოკიდებულებით, დეპრესიით და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების გამო (189. 67-78; 148. 165-178; 261. 149-166).

ქალებით ვაჭრობა მაღალშემოსავლიანი სფეროა და ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობასთან შედარებით რისკის დაბალი დონით ხასიათდება. მოგებას იღებენ მოვაჭრეებისა და სუბენიორების ტრანსნაციონალური ორგანიზაციები, რომლებსაც დასაქმების მსურველი და უკეთესი მომავლის მაძიებელი ქალების უმჯობესი იმედი აქვთ.

შემოსავალი 5-20-ჯერ აღემატება ქალების შეძენაზე გაწეულ ხარჯებს. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევა აჩვენებს, რომ გაყიდული ქალები ძალიან მცირე თანხას იღებენ, მოვაჭრეთა მოგება კი უზარმაზარია. ისრაელში რას ან უკრაინელ ქალს მისი მაკონტროლებელი სუბენიორისთვის წელიწადში 50 000-დან 100 000-მდე აშშ დოლარი მოგება მოაქვს (194. 1-16).

გერმანიაში ერთ-ერთი საქმის გამოძიების დროს გამოვლინდა, რომ, როდესაც კაცი ქალს ყიდულობდა, ის 30-50 გერმანულ მარკას იხდიდა, ხოლო ქალი თითქმის არაფერს არ იღებდა. ჯერ ერთი, ქალით მოვაჭრეს ან სექსინდუსტრიაში ჩამბმელს უნდა ანაზღაურებოდა მისი შესყიდვის ფასი და გზის ხარჯები – 3 000-30 000 აშშ დოლარი. შემდეგ მას უნდა გადაეხადა ბორდელში ოთახისა და ადგილის საფასური (რომელიც შეიძლებოდა დღეში 280 გერმანული მარკა ყოფილიყო), ასევე სუბენიორის პონორარი, ადვოკატისა და ექიმის პონორარები, ზოგჯერ – საცხოვრებელი ხარჯებიც. საბოლოო ჯამში, ხშირად ქალს ვალი ედებოდა. ვალი რომც გადაეხადა, მას თავისი შემოსავლის 50-75% სუბენიორისთვის უნდა მიეცა. ვაჭრობასთან დაკავშირებული საქმეების უმეტესობის შემთხვევაში სუბენიორი დიდ შემოსავალს იღებდა, ქალი კი – მხოლოდ მის მცირე ნაწილს. სექსინდუსტრიიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზა ხშირად პოლიციის მიერ ჩატარებული მასობრივი დაჭრებია, რომლებიც ქვეყნიდან გაძევებით სრულდება. შესაძლებელია ქალი ერთმა სუბენიორმა მეორეს მიჰყიდოს; ამ შემთხვევაში მისი ვალი თავიდან უნდა იქნეს გადახდილი. არსებობს მონაცემები, რომ, როდესაც ქალი წასასვლელად საქმარის თანხას გამოიმუშავებს, ჩინოვნიკებთან მოთანამშრომლე სუბენიორი პოლიციას მის ადგილსამყოფელს ატყობინებს, რის შედეგადაც ქალს ხშირად აკავებენ და ქვეყნიდან აძევებენ, მთელი ფული კი სუბენიორს რჩება.

თანამედროვე მონათვაჭრების საქმიანობის გაფართოების უმნიშვნელოვანეს პირობად გვევლინება კორუფცია. საკვანძო თანამდებობებზე მომუშავე და ბევრ

იერარქიულ საფეხურზე მყოფი ჩინოვნიკები თავიანთ უფლებამოსილებებს დანაშაულებრივი საქმიანობის დაცვის უზრუნველსაყოფად იყენებენ.

დანაშაულებრივი ორგანიზაციების გავლენის გაძლიერებასთან ერთად კორუფცია ამ ორგანიზაციების საქმიანობის დამაბრკოლებელი კანონმდებლობის დაბლოკის ფორმებს იღებს. როცა სამართალდამცავი ორგანოები და სამთავრობო ჩინოვნიკები სულ უფრო კორუმპირებულები ხდებიან, დანაშაულებრივი ჯგუფებიც სულ უფრო მეტ გავლენას იძენენ; სახელმწიფოსა და დანაშაულებრივ ორგანიზაციებს შორის ზღვარი იშლება. ასეთ გარემოებების არსებობისას წარმატებული კორუფციისთვის, თანამონაწილეობისთვის და მოგების მიღებისთვის წინააღმდეგობის გაწევა ძალიან ძნელია.

ქალებით ვაჭრობა განსაკუთრებით გავრცელებულია ზოგიერთ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში. მოსახლეობის დიდი რიცხოვნობის გამო ამ რესპუბლიკებს შორის რუსეთი გამოირჩევა. ამ ქვეყანაში, მაგალითად, 1994 წელს გამოვლინდა 100-ზე მეტი ორგანიზაცია, რომლებიც დაკავებული იყვნენ მოქალაქეების პროსტიტუციაში ჩაბმით აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ ამერიკის და აზიის ქვეყნებში (123. 213-248).

დანაშაულის აღნიშნულ სახეს უკიდურესად ლატენტური (ფარული) ხასიათი აქვს. მსგავსი ფაქტების შესახებ ოფიციალური განცხადებები სამართალდამცავ ორგანოებში ფაქტობრივად არ შედის. ამგვარი დანაშაულის მსხვერპლი სამართალდამცავი ორგანოების იმედი არ აქვთ და ნათესავებისა და ახლობლების სიცოცხლისა და უსაფრთხოების დასაცავად დუმილს ამჯობინებენ.

ქალებით საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ: ქალებისა და მამაკაცების სოციალური უთანასწორობა მსოფლიო მასშტაბით, ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი, მიმწოდებელი ქვეყნების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგრმარეობა, დანაშაულებრივი ორგანიზაციების აქტიურობა, სექსინდუსტრიის ლეგალიზაცია და მოთხოვნილების გადაჭარბება შეთავაზებაზე, ზნეობრივი დეგრადაცია.

ქალებისა და მამაკაცების სოციალური უთანასწორობა მხოლოდ მასშტაბით. ვაჭრობა და პროსტიტუცია ის სისტემები გახდავთ, რომლებიც სქესზეა დამოკიდებული. მამაკაცები ქმნიან მოთხოვნილებას, ქალები კი – შეთავაზებას. საზღვარგარეთ გაყვანილი და პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების ძირითადი მომხმარებლები არიან მამაკაცები, რომლებიც მათ გართობის, სექსუალური დაკმაყოფილების და ძალადობის აქტების ჩადენის მიზნით იყენებენ (110. 15-42).

კონკრეტული გლობალიზაციის პროცესი. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ჩრდილოვანი ეკონომიკისა და ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების ზრდა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობების გლობალიზაციის ნეგატიური შედეგია. ისინი სულ უფრო სცდებიან ადგილობრივი და სახელმწიფო კონტროლის ფარგლებს.

გლობალიზაციის მნიშვნელოვანი კომპონენტია მიგრაციით განპირობებული ტრანსნაციონალური კავშირები. ორგანიზებული დანაშაულებრივი წრეების წევრები კავშირებს ამჟარებენ ნებაყოფლობით ხელშემწყობებთან დიასპორებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ქსელების შექმნით მიგრირებადი მოსახლეობის შიგნით მუშაობენ (276. 31-56).

საბჭოთა კავშირში ქალებით ტრანსნაციონალური ვაჭრობა პირველად „გარდაქმნის“ პერიოდში დაიწყო, როდესაც საერთაშორისო მოგზაურობაზე შეზღუდვები მოიხსნა. საბჭოთა კავშირის დაშლამ გახსნა საზღვრები მოგზაურობისთვის, მიგრაციისთვის და კერძო ვაჭრობისთვის, რაც ხელს უწყობდა დანაშაულებრივი ორგანიზაციების საქმიანობას. მიმღები ქვეყნების სექსინდუსტრიამ გააჩინა მოთხოვნილება ქალებზე, რომლებსაც ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების დანაშაულებრივი ორგანიზაციები შედარებით მცირე რისკით და დიდი მოგების მიღებით აკმაყოფილებდნენ.

მზარდი მიგრაცია ასევე ხელს უწყობს ქალებით მოვაჭრეების კვალის დაფარვას მათი დანიშნულების ადგილებზე გადაყვანისას. ამის მაგალითია ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ისრაელში გაზრდილი მიგრაცია და ქალებით ვაჭრობა. 1989 წლის შემდეგ საბჭოთა ებრაელები საცხოვრებლად ისრაელში გაემგზავრნენ, რის შედეგადაც ისრაელში 800 000 ახალი ემიგრანტი მიიღო. რუსმა და უკრაინელმა მოვაჭრეებმა ეს მოვლენა სექსინდუსტრიისათვის 10 000

ქალის ისრაელში გაყვანის ფაქტის დასაფარავად გამოიყენეს. მას შემდეგ ისრაელის სექსინდუსტრია იქცა წელიწადში 450 მილიონი აშშ დოლარის შემოსავლის მქონე ინდუსტრიად. ისრაელის კრიმინოლოგთა შეფასებით, თელ-ავივში მომუშავე მემავების 70% ყოფილი საბჭოთა მოქალაქეა. უფრო მეტიც, ისრაელის მიერ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონფენციისთვის (მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის 1979 წლის 18 დეკემბრის 34/180 რეზოლუციით) მომზადებული მოხსენების თანახმად, ისრაელიდან პროსტიტუციის გამო გაძევებული ქალების 95%-ზე მეტი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დააბრუნეს. გლობალიზაციის მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტია კომპიუტერული ტექნოლოგიები, რომლებმაც გაზარდა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშსწორებების მოცულობა და სირთულე, რამაც, თავის მხრივ, გაზარდა ტრანსნაციონალური დანაშაულის შესაძლებლობები და შეამცირა მისი გამოვლენისა და აღკვეთის ალბათობა. ეს იძლევა ისეთი უკანონო საქმიანობიდან მიღებული ფულის გადარიცხვისა და გათეთრების საშუალებას, როგორიცაა ქალებით ვაჭრობა (102. 231-248).

მიმწოდებელი ქვეყნების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. სიღარიბე, უმუშევრობა, ინფლაცია, ომი და უიმედობა ის ძირითადი ფაქტორებია, რომლებიც მოვაჭრეებს ქალების სექსინდუსტრიაში ჩაბმას უადვილებენ.

საზღვარგარეთ გაჰყავთ უმთავრესად ახალგაზრდა, 21-25 წლის ქალები, რომლებიც დიდი ხანია დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევიან. ძირითადად ისინი წარუმატებელი ადამიანები არიან, რომლებსაც არ აეწყოთ კარიერა, პირადი ცხოვრება. მათ ადრე დაიწყეს სქესობრივი ცხოვრება და მოსწყდნენ ოჯახს.

დანაშაულებრივი ორგანიზაციების აქტიურობა. ეს ქალებით ვაჭრობის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ზემოთ აღნიშნული სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები აადვილებს ვაჭრობას, მაგრამ არ არის მისი გამომწვევი მიზეზები. მსოფლიოს მრავალი რეგიონი ცხოვრობს სიღარიბეში და იმყოფება ქაოსში, მაგრამ ყველა ასეთი რეგიონი არ ხდება სექსინდუსტრიისთვის ქალების მთავარი მიმწოდებელი. ქალებით მოვაჭრეები და სექსინდუსტრიაში ჩამბეჭდები სიღარიბიდან, უმუშევრობიდან და ემიგრაციის სურვილიდან სარგებელს ნახულობენ. ჩამბეჭდების, მოვაჭრეებისა და სუტენიორების გარეშე ქალებით ვაჭრობა არ იარსებებდა (246. 831-855).

ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცნობით, ეკონომიკურად მძიმე დროებამ გამოიწვია ქალების ფსიქოლოგიური მდგომარეობის დამძიმება, დეპრესია, საკუთარი თავის პატივისცემის და მომავლის იმედის დაკარგვა. ქალები თანხმდებიან არარეალურ წინადადებებს დაბალკვალიფიციური და მაღალანაზღაურებადი სამუშაოს შესახებ, რადგან მიაჩნიათ, რომ არაფერი არ შეიძლება იყოს მათ ამჟამინდელ ყოფაზე უარესი. ქალების სექსინდუსტრიაში ჩამბეჭდები ეკონომიკურად უფრო დარიბ ფენტზე არიან ორიენტირებული. ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასებების მიხედვით, უმუშევარი ახალგაზრდა ქალების ერთი მესამედი უკანონო სექსბიზნესში ებმება (109. 84-113).

*სექსინდუსტრიის ლეგალიზაცია და მოთხოვნილების გადაჭარბება შეთავაზებაზე. საზღვარგარეთ გასაყვანი ქალების მიმღები ძირითადი ქვეყნები ის სახელმწიფოები არიან, სადაც განვითარებულია სექსინდუსტრია და სადაც პროსტიტუცია ლეგალიზებული ან საყოველთაოდ დაშვებულია. სექსინდუსტრიის ლეგალიზაცია გულისხმობს ვაჭრობის უცილობელ განვითარებას, ვინაიდან მის გარეშე ქალებზე მოთხოვნილება ვერ დაკმაყოფილდება. ზოგიერთ ქალს შეუძლია ნებაყოფლობით დაკავდეს პროსტიტუციით, თუმცა მათი რაოდენობა ვერასდროს დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას.*

ქალების გაყვანის ყველაზე ცნობილი დანიშნულების პუნქტებია ისეთი ქვეყნები, სადაც პროსტიტუცია ლეგალიზებულია, კერძოდ, პოლანდია (213. 91-111; 251. 381-400) და გერმანია (208. 78-93; 277. 224-247).

*პროსტიტუციის, სუტენიორობისა და ბორდელების ლეგალიზაცია სექსინდუსტრიის მიერ შექმნილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ქალებით ვაჭრობის გაზრდის მიზეზი ხდება. არსებობს აგრეთვე მტკიცებულებები ავსტრალიიდან, რომ პროსტიტუციისა და ბორდელების ლეგალიზაცია ორგანიზებული დანაშაულის მნიშვნელოვნად გაზრდის და ქალებით ვაჭრობისა და დამონების მიზეზად იქცა.*

ლეგალიზებული პროსტიტუცია ართულებს მოვაჭრეების პასუხისმგებაში მიცემას მათი ქმედებებისთვის. მოვაჭრეები ხშირად დაუსჯელი რჩებიან; როგორც ისინი

აცხადებენ, ქალებმა იცოდნენ, რომ პროსტიტუციით დაკავდებოდნენ. ამიტომ პროკურორს ხშირად უჭირს ნებაყოფლობით და იძულებით პროსტიტუციას შორის ზღვრის დადგენა.

**ზნეობრივი დეგრადაცია.** ამ პრობლემის ზნეობრივი ასპექტი იმაში მდგომარეობს, რომ ახალგაზრდა გოგონები და ქალები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად თანხმობას აცხადებენ სექსუალურ ექსპლუატაციაზე, დიდ სულიერ დეგრადაციას განიცდიან. ამას კი ის განაპირობებს, რომ თანამედროვე საზოგადოება არ ამყარებს ქალურობის, ოჯახური ფასეულობებისა და დედობის მორალურ საფუძვლებს (240. 45-65).

ვაჭრობის ობიექტები არიან არა მარტო ქალები, არამედ ბაგშვებიც. ამ შემთხვევაში ძირითადი მიზნებია სექსუალური ექსპლუატაცია და შვილება.

ბავშვებით უკანონო ვაჭრობის ძირითად მიზნებს წარმოადგენს სექსუალური ექსპლუატაცია და შვილად აყვანა. თუმცა უკანონო ვაჭრობის წარმომშობი ფაქტორების კომპლექსი ბევრი რამით ჰგავს ქალებით ვაჭრობის დეტერმინანტებს, შვილების მიზნით ბავშვებით ვაჭრობას ზოგიერთი თავისებურებაც აქვს.

სოციალურ-სამართლებრივი ფაქტორები. მათ, პირველ რიგში, განეკუთვნება ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედი, პოტენციური მშვილებლების ოჯახის შეფასების გამარტივებული წესი. შემოწმება მდგომარეობს მხოლოდ ფსიქონევროლოგიური დისპანსერიდან იმის შესახებ ცნობის მიღებაში, რომ მშობლები იქ აღრიცხვაზე არ იმყოფებიან. იმ ოჯახის უფრო საფუძვლიანი შესწავლა, რომელშიც ბავშვი მოხვდება, აღარ ხდება (374).

ფაქტორების მომდევნო ჯგუფი დაკავშირებულია ბავშვების საზღვარგარეთ გაყვანის ზოგიერთი სამართლებრივი საკითხის მოუგვარებლობასთან. მიუხედავად იმისა, ნებადართულია თუ არა ბავშვის გაყვანა, საზღვარგარეთის პასპორტი გარკვეული პერიოდით გაიცემა. მშობლებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ გაემგზავრონ ბავშვთან ერთად ან მის გარეშე. ასეთ პასპორტში, თუ იგი ერთობლივია და არა ინდივიდუალური, ბავშვის ფოტოს შვიდი წლის ასაკიდან აკრავენ; ანუ ასეთი პასპორტით პრაქტიკულად ნებისმიერი ბავშვის

გაყვანა შეიძლება. თუ ბავშვი ერთ-ერთ მშობელს გაჲყავს, გათვალისწინებულია მეორე მშობლის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, ხოლო თუ იგი მშობლებს არ გაჲყავთ, – ორივე მშობლის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა. მაგრამ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ასეთი თანხმობის ფორმა, ასევე არ არის გადაწყვეტილი ზოგიერთი სხვა საკითხი, მაგალითად, ადგილი, სადაც უნდა ინახებოდეს ასლი, ამგვარ დამოწმებულ თანხმობაზე ფოტოს არსებობა. არ არის შექმნილი ასეთი ბავშვის ქვეყანაში დაბრუნების კონტროლის მექანიზმი.

არასრულყოფილია ამგვარ დანაშაულთან დაკავშირებული საინფორმაციო უზრუნველყოფა. მაგალითად, საზღვარგარეთიდან მსგავსი დანაშაულის ჩადენის გამო დაკავებული პირების შესახებ ინფორმაცია დაქტობარათების, ფოტოსურათების სახით შემოდის. ქვეყანაში დაქტობარათების ბაზები შეიძლება მხოლოდ ადრე ნასამართლევი პირების მიმართ არსებობდეს. თუ პირი დაკავებულ იქნა ქალების უკანონოდ გაყვანაში, უკანონო პროცესტიტუციაში ჩაბმაში ეჭვის მიტანის გამო და, ვთქვათ, აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ ის სასამართლომდე არ მისულა, მაშინ მასზე დაქტობარათი არ არსებობს. ასეთი პირის იდენტიფიკაცია ძნელია. ზოგჯერ გარეგნული ნიშნები და ფოტოსურათები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მოხდეს იდენტიფიკაცია, განსაკუთრებით – გვამების შემთხვევაში. საჭიროა გადაწყდეს მოსახლეობის, მათ შორის, არასრულწლოვნების, საყოველთაო დაქტილოსკოპიური რეგისტრაციის საკითხი.

არსებობს ასევე კოლიზიები ზოგიერთი ქვეყნის და სხვა ქვეყნების (განსაკუთრებით მუსულმანურის) კანონმდებლობებს შორის, იმ ბავშვების ძებნისას, რომლებიც მშობლების განქორწინების შემდეგ მამებმა გაიყვანეს. აქ სირთულეები ჩნდება ძებნის გამოცხადებისას, ვინაიდან, ამ ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, ამგვარი ქმედებები დანაშაული არ არის.

აღნიშნული სახის დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლის დამაბრკოლებელი ფაქტორია მსგავს დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკების არარსებობა.

ბავშვებით უკანონო ვაჭრობას ხელს უწყობს ოჯახისა და ბავშვის მდგომარეობასთან დაკავშირებული სოციალური ფაქტორები. ოჯახის, ოჯახური

ნათესაური კავშირების, ბავშვის დაბადებისა და აღზრდის მნიშვნელობის გაუფასურება ჩვენს დროში უმძლავრესი კრიმინოგენული ფაქტორია მრავალი ქვეყნისთვის. თანამედროვე ოჯახი ფაქტობრივად არ ასრულებს სრულფასოვანი სოციალური ინსტიტუტის როლს, რომელსაც ელემენტარული სოციალური და ზნეობრივი ნორმების უზრუნველყოფა შეუძლია. ნებისმიერი სახელმწიფოს სტატისტიკა მოწმობს განქორწინებათა დიდ რიცხვს და სრულფასოვანი ოჯახური ცხოვრებისთვის მეუღლეების მოუმზადებლობას (383).

მაგალითად, როგორც ქალთა კოლონიებში ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, პირველი ქორწინების შემდეგ ძალიან ხშირად ქალები ბავშვებს აღსაზრდელად ბებიებს უტოვებენ, ან ეს ბავშვები ქუჩის მაწანწალათა რიგებს ავსებენ, სხვენებში, სარდაფებში და სხვადასხვა სასადილოსა თუ კაფეში ცხოვრობენ. ისინი შესაძლებელია ცოცხალი საქონლის სახით ჩატვირთონ სატვირთო მანქანაში და კორუფციის მოშველიებით საზღვარგარეთ გაიყვანონ (76). სოციალიზმის ხანაში მოქმედებდა სკოლამდელი დაწესებულებიდან ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში გადაცემის ერთგვარი მექანიზმი და არსებობდა ელემენტარული აღრიცხვა. დღეს ქუჩაში მოხეტიალე ბავშვთა უმეტესობა – ეს არის არარეგისტრირებული ცოცხალი საქონელი, რომლის საზღვარგარეთ გაყვანაც შესაძლებელია (154. 38-42).

ადამიანებით ვაჭრობა იძულებითი შრომითი ექსპლუატაციის მიზნით. ადამიანებით ვაჭრობა ასევე შეიძლება ხორციელდებოდეს იძულებითი შრომის სხვა ფორმების, ბავშვთა შრომის ორგანიზების და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ექსპლუატაციის მიზნით. ამჟამად მსოფლიოში აღირიცხება იძულებითი შრომის არანაკლებ 12,3 მილიონი მსხვერპლი. ამ საერთო რიცხვიდან 9,8 მილიონს ექსპლუატაციას უწევს კერძო აგენტები, მათ შორის, 2,4 მილიონი იძულებითი შრომით დაკავებულია ადამიანებით ვაჭრობის პრაქტიკის შედეგად. კიდევ 2,5 მილიონს იძულებით ამჟავებს სახელმწიფო ან ამბოხებულთა გასამხედროებული დაჯგუფებები (66).

იძულებითი შრომით დაკავებულთა ყველაზე დიდი რაოდენობა – 9 მილიონ 490 ათასი ადამიანი – აზიაში აღირიცხება (27). აზიის ქვეყნებში იძულებითი შრომის საერთო მოცულობის თითქმის ორი მესამედი კერძო სექტორზე მოდის. ადამიანები დასაქმებული არიან ეკონომიკური ექსპლუატაციის მიზნით,

ძირითადად სავალო კაბალის გამო, სოფლის მეურნეობაში და ეკონომიკური საქმიანობის სხვა სექტორებში. იძულებითი შრომის შემთხვევების დაახლოებით ერთი მეხუთედი სახელმწიფოს ინტერესებისთვის გამოიყენება. მისი კონცენტრაცია შეინიშნება რეგიონის რამდენიმე ქვეყანაში, კერძოდ, მიანმაში. კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით იძულებითი შრომის წილი რეგიონში არსებული იძულებითი შრომის შემთხვევების 10%-ზე ნაკლებს შეადგენს.

ლათინური ამერიკის და კარიბის აუზის ქვეყნებში აღირიცხება იძულებითი შრომით დაკავებული 1.320.000 პირი. ამ რეგიონში ჭარბობს იძულებითი შრომა კერძო სექტორის ინტერესებისთვის ეკონომიკური ექსპლუატაციის მიზნით (75%), რომელსაც მოჰყვება იძულებითი შრომა სახელმწიფოს ინტერესებისთვის (16%) და იძულებითი შრომა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით (9%) (173; 159-177). საპარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებში იძულებით შრომას, რომლითაც დაკავებულია 660.000 პირი, ძირითადად იყენებენ ეკონომიკური ექსპლუატაციის მიზნით (80%), რომელსაც მოჰყვება იძულებითი შრომა სახელმწიფოს ინტერესებისთვის (11%) და იძულებითი შრომა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით (8%). ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში იძულებითი შრომით დაკავებულ 260.000 პირს შორის დომინირებს იძულებითი შრომა კერძო სააგენტოების ინტერესებისთვის ეკონომიკური ექსპლუატაციის მიზნით (88%), რომელსაც მოჰყვება იძულებითი შრომა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით (10%) (21; 226; 125-149).

განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში იძულებითი შრომით დაკავებულ 360.000 პირს შორის და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში იძულებითი შრომით დაკავებულ 210.000 პირს შორის დომინირებს იძულებითი შრომა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით. მაგრამ განვითარებული მრეწველობის ქვეყნებში ასეთი შრომით დაკავებულთა თითქმის მეოთხედს არასექსუალური ეკონომიკური ექსპლუატაციის მიზნით იყენებენ.

მსოფლიოში არსებული იძულებითი შრომის შემთხვევების დაახლოებით მეხუთედი (2,45 მილიონი) ადამიანებით ვაჭრობის პრაქტიკის შედეგია. რეგიონებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს. აზიაში, ლათინურ

ამერიკაში და აფრიკაში საპარის სამხრეთით იძულებითი შრომით დაკავებულ პირებში ადამიანებით მოვაჭრების მსხვერპლთა წილი 20%-ზე ნაკლებს შეადგენს. ამასთანავე, განვითარებული მრეწველობის და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში ადამიანებით ვაჭრობა იძულებითი შრომის მოცულობის 75%-ზე მეტს უზრუნველყოფს. კომუნიული სექტუალური ექსპლუატაციის მსხვერპლთა უდიდეს ნაწილს (98%) ქალები და ახალგაზრდა გოგონები შეადგენენ. იძულებითი ეკონომიკური ექსპლუატაციის სფეროში ორივე სქესის წარმომადგენლების წილი თითქმის თანაბარია, თუმცა ქალები და ახალგაზრდა გოგონები მაინც მსხვერპლთა 56%-ს შეადგენენ. შეფასებების მიხედვით, 18 წლამდე ბავშვები იძულებითი შრომის მსხვერპლთა საერთო რაოდენობის 40-50%-ს შეადგენენ.

მთლიანობაში, ახალი კანონებისა და სამოქმედო პროგრამების მიღების მიუხედავად, იძულებით შრომასთან ბრძოლის კანონმდებლობის დაცვა კვლავ არაეფექტურიანია. იძულებითი შრომის გამოყენებისთვის სასამართლო დევნის შემთხვევები ძალზე ცოტაა. იძულებითი შრომის გამოყენება, რომელიც შრომის ან ადმინისტრაციული კანონმდებლობით დანაშაულად კვალიფიცირდება, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ხშირად დანაშაულად არ ითვლება, დაწესებული სანქციები კი ბევრ შემთხვევაში ძალზე მცირეა (239. 29-53). და მაინც, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ბრაზილიაში, იძულებითი შრომის პრობლემის დაძლევაში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული.

თუმცა ამ ქვეყანაში მდგომარეობა მაინც კატასტროფულია. ბრაზილიაში ათასობით ადამიანი მუშაობს იძულებითი შრომის პირობებში მდინარე ამაზონის დიდ რანჩოებზე (ფაზენდებში), ასევე ეკონომიკის სხვა სფეროებში, როგორებიცაა სამთომომპოვებელი მრეწველობა და ხის ნახშირის მოპოვება. მუშებს ბრაზილიის უფრო დარიბ შტატებში ქირაობენ და ქვეყნის შიგნით გადაჰყავთ, კონტრაქტიდან კონტრაქტამდე, სავალო კაბალის დაუსრულებელი ციკლით, რომელიც ხშირად მათი სიკვდილით მთავრდება. მშრომელები ავტობუსებით და სატვირთო მანქანებით მიჰყავთ დანიშნულების ადგილზე, მათი სახლებიდან ასობით და ხანდახან ათასობით კილომეტრის დაშორებით. ზოგჯერ ამ ზონებში, რომლებიც შეიძლება საკმაოდ მოშორებით იყოს, მთელი ოჯახები მიჰყავთ. ეს ადამიანები, რომლებიც თავიანთ სახლებს მატერიალური

მდგომარეობის გაუმჯობესების იმედით ტოვებენ, ხდებიან სამუშაო ძალის დამქირავებლების, ანუ „გატოს“ მსხვერპლის, რომლებიც არ უმხელენ მათ, რა სამუშაოზე ქირაობენ.

შრომითი ბანაკების პირობები შემაძრწუნებელია; ფართოდ არის გავრცელებული მალარია. მომუშავეებს ხშირად შეზღუდული აქვთ გადაადგილების თავისუფლება. ხარჯები მომუშავის ხელფასიდან იქვითება და ისიც გახარებულია, თუ საკუთარ შრომაში ცოტა ფულს მაინც აიღებს. მაგრამ ვინაიდან ანაზღაურება ასე დაბალია (თუკი საერთოდ გაიცემა), გადის სულ ცოტა დრო და მუშაკი „გატოსთან“ ახალ კონტრაქტს აფორმებს. ამგვარად, იძულებითი შრომის ციკლი გრძელდება.

იძულებითი შრომის დანაშაულებრივი ექსპლუატაციისგან ყველაზე დიდ სარგებელს სწორედ დამქირავებლები იღებენ, თუმცა ექსპლუატაციისთვის გამოსადეგი სამუშაო ძალის უწყვეტ მიწოდებაში ჩამბმელთა და გადამყვანთა ქსელიც დიდ როლს ასრულებს (373; 346. 124-128; 288. 311).

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში ადამიანებით ვაჭრობა საერთაშორისო შეზფოთების საგანი ხდება. გლობალიზებულ მსოფლიოში, რომელშიც კეთილდღეობის დონეებს შორის დიდი უფსკრული არსებობს როგორც ერთი ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნებს შორის, სადაც განვითარებულ ქვეყნებში გაიზარდა იაფ მუშახელზე მოთხოვნილება, სადაც მოგზაურობისა და ინფორმაციის ტელეკომუნიკაციის სხვადასხვა საშუალების მეშვეობით მიღების მეტი შესაძლებლობაა, სადაც არსებობს დასავლეთის ქვეყნების მატერიალური კეთილდღეობის ნიმუში, შედარებით და აბსოლუტურ სიღარიბეში მცხოვრები ადამიანები მზად არიან დატოვონ სამშობლო უკეთესი ცხოვრების საძიებლად. ამასთანავე, განვითარებული სამყაროსკენ მიმავალ გზაზე სახელმწიფო საზღვრების გადალახვა პრივილეგირებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ან ეკონომიკურად პრივილეგირებული ადამიანების ხვედრია, მაშინ, როცა დანარჩენები სულ უფრო ხშირად კარგავენ ამ უფლებას. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ძლიერდება ტენდენცია, რომ ქვეყნებში, საიდანაც მოსალოდნელია გამომგზავრება, გამოვლინდნენ ის ადამიანები, რომლებიც მიეკუთვნებიან რისკის ჯგუფს არარეგულირებული მიგრაციის კუთხით, და თავიდან იქნეს აცილებული მათი ჩამოსვლა ჯერ კიდევ დონორი ქვეყნიდან

გამომგზავრებამდე. სავიზო შეზღუდვები თავიანთი წარმოშობის ქვეყნიდან გამომგზავრების წინ ავიაგადამზიდველებისთვის საპასპორტო და სავიზო შემოწმებების ჩატარების ვალდებულების დაკისრებასთან შეხამებით ჩვეულებრივი ამბავი გახდა. სამუშაო ძალის მიგრაციის ლეგალური არხები მცირეა, ადამიანთა გარკვეული ჯგუფებისთვის კი, მაგალითად, ქალებისთვის და ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის, კიდევ უფრო მცირდება.

იქ, სადაც იაფ და მოქნილ სამუშაო ძალაზე მოთხოვნილება ლეგალური მიგრაციის ფარგლებს სცდება, მოთხოვნილებასა და შეთავაზებას შორის კავშირს ადამიანებით მოვაჭრე უზრუნველყოფს (205. 142-163; 295. 1-13). მაგრამ, კონტრაბანდისტისგან განსხვავებით, რომელიც მიგრანტს უკანონო სამსახურს უწევს, მაგალითად, სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაში ეხმარება, ადამიანებით მოვაჭრე უფრო სერიოზული საფრთხეა. ასეთი მოვაჭრე, ჩვეულებრივ, ფართო ქსელის ნაწილია და დანიშნულების ქვეყანაში ადამიანის ჩაყვანის შემდეგ, მუდმივი მოგების მიღების მიზნით მისი ექსპლუატაციისკენ ისწრაფვის (276. 31-56; 210. 1-11).

## §7. ნარკობიზნესის ტრანსნაციონალური ხასიათი

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებების არალეგალური წარმოებისა და მოხმარების სწრაფი ზრდა ბოლო ათწლეულების ერთ-ერთი ყველაზე საშიში ტენდენციაა.

77 ქვეყნის მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობას შემდეგი პარამეტრები ახასიათებს: 1990 წელს ამ ქვეყნებში ამოღებულ იქნა 27 ტონა კოკაინი, 25,5 ტონა ოპიუმი და 14 ტონა ჰეროინი. ამასთანავე, პოლიცია მსოფლიოში არალეგალურად გავრცელებული ნარკოტიკების საერთო მოცულობის მხოლოდ 10-15%-ს ააშეკარავებს. დღეისათვის მსოფლიოს მასშტაბით ნარკომაფიის შემოსავალი კოლოსალურ ციფრს – წელიწადში 600 მილიარდ დოლარს – შეადგენს.

ნარკოსიტუაციის გართულებამ 158 ქვეყანა (მსოფლიოს სახელმწიფოების 80%) აიძულა, ნარკოტიკების კონტროლის შესახებ საერთაშორისო კონვენციებს შეერთებოდნენ. XX საუკუნის 90-იან წლებში ნარკობიზნესი ისეთ ქვეყნებშიც კი განვითარდა, სადაც ადრე ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა და მათი ბოროტად გამოყენება საერთოდ არ შეინიშნებოდა (302).

თანამედროვე მსოფლიოში სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები იწარმოება, კერძოდ:

- ბუნებრივი (მცენარეული წარმოშობის), რომელსაც განეკუთვნება ნატურალური პროდუქტებისგან (კოკაინის ბუჩქი, კანაფი, ოპიუმის ყაყაჩო, ეფედრა და სხვ.) მიღებული ნარკოტიკები;
- ნახევრად სინთეტიკური, რომლებიც ბუნებრივი ალკალოიდების გამოყენებით მზადდება (ჰეროინი, მორფინი და სხვ.);
- სინთეტიკური, რომლებიც მხოლოდ ქიმიური პროცესების შედეგად იწარმოება (ამფეტამინები და სხვ.).

იატაკქვეშა საწარმოები, რომლებიც საწყისი ნედლეულის სახით მცენარეულ მასას (კოკას, კანაფს, ყაყაჩოს) იყენებენ, ძირითადად განლაგებულია ნედლეულის წყაროებთან ახლოს, ანუ იმ სახელმწიფოებში, სადაც შესაბამისი მცენარეების კულტივაცია ხდება. ამ ქვეყნებში ნარკობიზნესი განმსაზღვრელ გავლენას ახდენს ეკონომიკურ მდგომარეობაზე (108. 93-116).

სამხრეთ ამერიკაში ფართოდ არის კულტივირებული კოკა, ყაყაჩო და საშხაში. ეს რეგიონი მსოფლიო ლიდერია მცენარეული ნედლეულისგან ნარკოტიკების დამზადებაში. ყოველწლიურად აქ დაახლოებით 1000 ტონა კოკაინი იწარმოება (149. 515-517; 173. 159-177). ინტერპოლის მონაცემებით, მხოლოდ ბოლივიაში 1995 წელს ხელისუფლებამ კოკაინად გადამუშავებისთვის საჭირო კოკაინის საბაზო პასტის მწარმოებელი 2064 იატაკქვეშა ლაბორატორია გაანადგურა. საერთაშორისო ექსპერტების მონაცემებით, ბოლივიის და პერუს – იქ, სადაც განლაგებულია კოკის ბუჩქნარის ძირითადი პლანტაციები – იატაკქვეშა ნარკოლაბორატორიებში მსოფლიოში უკანონოდ წარმოებული კოკაინის პასტის მთელი მასის დაახლოებით 90%-ს აწარმოებენ (104. 1-27; 298. 374-386).

არანაკლებ სწრაფი ტემპებით იზრდება ოპიუმის უპანონო წარმოება, რომლის მოცულობა ამჟამად წელიწადში 4 ათას ტონას შეადგენს. ინტერპოლის მონაცემებით, ოპიუმის ბიზნესს ლაბორატორიების ფართო ქსელი აქვს და „შავ ბაზარს“ ყოველწლიურად 800-1000 ტონა პერონის აწვდის.

ასე, პერონის ერთობლივი უპანონო წარმოება „ოქროს სამკუთხედის“ (ბირმა, ლაოსი, ტაილანდი) (140. 17-26; 234. 909-935) და „ოქროს ნახევარმთვარის“ (ავღანეთი, ირანი, პაკისტანი) (336; 292) რაიონებში წელიწადში დაახლოებით 570-ს ტონას შეადგენს. პერონის მითითებული რაოდენობის არანაკლებ 75% ეფროპის ქვეყნებში ვრცელდება (113. 100-105; 141. 185-212). აშშ-ის ნარკომანიასთან ბრძოლის პოლიტიკის სამმართველოს შეფასებით და ფოტოდაზვერვის მონაცემების მიხედვით, 1988-1996 წლებში მითითებულ რეგიონებში ოპიუმის წარმოება გაორმაგდა (108. 93-116; 233. 1448-1456).

სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, ვერ ხერხდება ნარკოტიკული საშუალებების შემცველ მცენარეთა ნათესების ფართობების შემცირება. ამის მიზეზია მათი აღმოჩენის სირთულე და ნარკოდაჯგუფებებისა და ადგილობრივი გლეხების ძლიერი წინააღმდეგობა. ამ უკანასკნელთაოვის ნარკოტიკული საშუალებების შემცველ მცენარეთა მოყვანა ხშირად არსებობის ერთადერთი საშუალებაა. პერუს ანტინარკოტიკული ორგანიზაციის მონაცემებით, კოკის ბუჩქნარის პლანტაციებს პერუში უკავია 109-151 ათასი პექტარი, რომლის მხოლოდ მეათედია ლეგალური ნათესები.

ნარკობიზნესის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მსოფლიო ტენდენცია მისი ინდუსტრიალიზაციაა. ნარკოტიკული საშუალებების უპანონო წარმოება კარგად ორგანიზებული ინდუსტრიის ხასიათს იძენს.

უპანონო წარმოების ორგანიზების სირთულის მიხედვით იატაკვეშა ლაბორატორიებს პირობითად ორ ჯგუფად ყოფენ: ა) კუსტარული ლაბორატორიები, რომლებსაც, როგორც წესი, დაბალი წარმადობა აქვთ. აქ წარმოება რთული ქიმიური რეაქციების განხორციელების გარეშე ხდება; ბ) სამრეწველო ლაბორატორიები, რომლებიც მაღალი წარმადობით გამოირჩევა და რთული ქიმიური სინთეზის მეშვეობით სინთეტიკური ნარკოტიკების მისაღებად გამოიყენება.

ნარკოტიკული საშუალებების ფართოდ მწარმოებელი ქვეყნების მიმართ მკაცრი ეკონომიკური სანქციებია შემოღებული, მაგრამ მათ ტერიტორიაზე არსებული ნარკოლაბორატორიების რაოდენობა არ მცირდება.

ბოლო წლებში ნარკოტიკული საშუალებების წარმოების კონცენტრაციის ტენდენცია შეინიშნება. იზრდება ნარკოტიკების წარმოების სიმძლავრეები. ამაზე მეტყველებს კოკაინის მწარმოებელი გიგანტი ლაბორატორიების აღმოჩენის მრავალი ფაქტი.

კოლუმბიის ანტინარკოტიკული პოლიციის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 1996 წელს ცენტრალურ კოლუმბიაში აღმოჩენილი და განადგურებული იქნა მიწისქვეშა ლაბორატორია-კომპლექსი, რომელსაც მსხვილი შეიარაღებული ფორმირება იცავდა. მას რამდენიმე ასაფრენ-დასაფრენი ზოლი ჰქონდა, შეტყობინების თანამედროვე სისტემით იყო აღჭურვილი და საწარმოო პროცესის ორგანიზების მაღალი დონით გამოირჩეოდა. ამ ლაბორატორიის ყოველწლიური მაქსიმალური წარმადობა დაახლოებით 350 ტონა კოკაინს შეადგენდა. მას შემდეგ მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა (192. 104-118).

ნარკობიზნესის შემდეგი მნიშვნელოვანი ტენდენციაა მწარმოებლების მობილურობის გაზრდა. გამოვლენილია ნარკოტიკების ფურგონებსა და სატვირთო მანქანებში მოწყობილ მობილურ ლაბორატორიებში წარმოების ფაქტები. ამგვარი ლაბორატორიები საკმაოდ იშვიათად ხვდება სამართალდამცავი ორგანოების თვალთახედვის არეში; ისინი გზაში ნარკოტიკებს უწყვეტად აწარმოებენ და დანიშნულების ადგილზე უკვე მზა პროდუქტი ჩააქვთ. კოლუმბიის ტერიტორიაზე გამოვლენილი ერთ-ერთი ასეთი ლაბორატორიის სიმძლავრე დღე-დღამეში 70 კილოგრამ კოკაინს შეადგენდა.

ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ბოლო დროს შეინიშნება ჰეროინის მოხმარების შემცირება, კოკაინის მოხმარების დონის სტაბილიზაცია და სინთეტიკური ნარკოტიკების მოხმარების სწრაფი ზრდა, რომლებსაც უმთავრესად მათზე აქტიური მოთხოვნილების არსებობის რეგიონებში აწარმოებენ.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ვერ იძლევა ნარკობიზნესის ობიექტურ სურათს. მაგრამ გამოქვეყნებული მონაცემებიც კი მიუთითებს სინთეტიკური ნარკოტიკების წარმოებელი ლაბორატორიების გიგანტურ საწარმოო პოტენციალზე.

სინთეტიკების წილის გაზრდა მსოფლიო ნარკობიზნესის განვითარების უმნიშვნელოვანესი ტენდენციაა.

ეს იმით აიხსნება, რომ მათ აქვთ რამდენიმე უპირატესობა მცენარეული ნედლეულისგან მიღებულ ნარკოტიკულ საშუალებებთან შედარებით:

- სინთეტიკური ნარკოტიკების წარმოების დროს შეიძლება გამოიყენებოდეს არა მარტო კ. წ. საკვანძო პრეკურსორი, არამედ მისი შემცვლელებიც, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია არა ერთი, არამედ რამდენიმე საბოლოო პროდუქტის მიღება. მაგალითად, ამფეტამინების ისეთი პრეკურსორის გამოყენებით დამზადებისას, როგორიცაა საფროლი, შესაძლებელია რამდენიმე საბოლოო ნარკოტიკული საშუალების – მეთილენდიოქსიამფეტამინის, მეთილენდიოქსიმეტამფეტამინის (კ. წ. „ექსტაზის“) და სხვ. – მიღება. ამავე დროს, კოკაინის წარმოების შედეგად მიიღება მხოლოდ ერთი პროდუქტი (კოკაინის ქლორპიდრატის და შუალედურ სტადიებზე კოკაინის პასტის გამოკლებით).

- სინთეტიკების მრავალფეროვნება და ახალი ანალოგების სწრაფი სინთეზირების შესაძლებლობა მწარმოებლებს ნარკობაზრის კონიუნქტურაზე სწრაფი რეაგირების საშუალებას აძლევს. საწყისი პროდუქტების ცვლით სპეციალისტი ქიმიკოსები იღებენ სინთეტიკების ახალ სახეობებს, რომლებიც არ შედის აკრძალული და კონტროლირებადი ნარკოტიკების მოქმედ ეროვნულ სიებში. მნიშვნელობა აქვს ასევე ახალი ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერებების ოფიციალურ სიებში შეტანის პროცედურის სირთულესა და ხანგრძლივობას.

- ნარკოტიკების საწარმოებლად გამოყენებული ქიმიური ნივთიერებების მრავალფეროვნება, საწყისი კომპონენტების ურთიერთჩანაცვლებადობა სინთეტიკების ხელმისაწვდომობას და მათი წარმოების შედარებით მცირე დანახარჯებს უზრუნველყოფს. საწყისი კომპონენტების სახით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მათი არაკონტროლირებადი ანალოგები, რაც ამცირებს

რისკის დონეს. მაგალითად, პოლანდიაში ნარკოსაქმოსნები „ექსტაზის“ ერთი დოზის (აბის, ტაბლეტის) წარმოებაში 7-9 ცენტს დებენ, გაყიდვით კი ბიოუმად 8-15 დოლარად ყიდიან (305. 321-322; 178. 629-631).

- სინთეტიკის ნარკოგენურობის ხარისხისა და მომხმარებელზე მისი ზემოქმედების დონის ცვლის შესაძლებლობა. თანამედროვე სინთეტიკური ანალოგები მომხმარებელზე ზემოქმედების ძალით, ჩვეულებრივ, ასჯერ და ათასჯერაც კი აღემატება თავიანთ წინამორბედებს.
- სინთეტიკური ნარკოტიკების წარმოებისა და გასაღების უფრო ეფექტიანად შენიდბა. სინთეტიკების წარმოების პროცესი მჭიდროდ არ არის მიბმული ნედლეულის წყაროებზე, მათი ტრანსპორტირებისა და გასაღების ადგილებზე. ამის შედეგად შეინიშნება სინთეტიკების ბრუნვის დეცენტრალიზაცია. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად მცირდება ჯაჭვის „მწარმოებელი – მომხმარებელი“ შუალედური რგოლების რიცხვი, რაც ამცირებს რისკებისა და დანახარჯების დონეს. სინთეტიკური ნარკოტიკების აღმოჩენა გაცილებით რთულია მათი ბრუნვის ყველა ეტაპზე, რომელიც მოიცავს შექმნის, ტრასპორტირებისა და გაჭრობის სტადიებს.

ბოლო წლებში სინთეტიკური ნარკოტიკების ახალი სახეობები ჩნდება. მათ წარმოებაში უახლესი სამეცნიერო მიღწევები გამოიყენება. ხდება მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების დაბანდება ახალი ნარკოტიკების და მათი დამზადების უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიების ძიების მიზნით დამოუკიდებელი კვლევების დაფინანსებაში. კუსტარული და მცირე წარმადობის მწარმოებლები განიდევნებიან მაღალტექნოლოგიური, კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული კომპაქტური ლაბორატორიებით და მსხვილი სამრეწველო ნარკოსაწაწარმოებით.

ნარკობიზნესის განვითარების ძირითად მიზეზებს და ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი:

- მთავრობის სისუსტე და სახელმწიფოს უუნარობა, განახორციელოს მის იურისდიქციაში არსებული ტერიტორიის ეფექტიანი კონტროლი (მაგალითად, ბოლივიაში, კოლუმბიაში, პერუში).
- სახელმწიფოს მიერ ნარკობიზნესზე თვალის დახუჭვის პოლიტიკის გატარება საზოგადოების მიერ მისგან შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებით, ან

დამნაშავეების მხრიდან კონტრზომების მიღების შიშით (მაგალითად, პაკისტანში).

- პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა ნარკობიზნების განვითარების მძლავრი ფაქტორია. ეს დაკავშირებულია ნარკოტიკების წარმოებიდან და გასაღებიდან მიღებული მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების პოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის გამოყენებასთან. ამის დამადასტურებელია შემთხვევები, როდესაც ნარკოტიკების კონტრაბანდიდან მიღებული ფინანსები ერთაშორისი კონფლიქტების გაღვივებისა და მხარდაჭერისათვის იარაღის შესაძენად იხარჯება. ამასთანავე, ფართოვდება ორგანიზებული დანაშაულის კავშირები ტერორისტულ და ექსტრემისტულ დაჯგუფებებთან.
- სოციალური ინსტიტუტების შესუსტება და დისფუნქცია, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების ზედმეტად მაღალი ტემპები, დაკავშირებული პოსტსოციალისტური ქვეყნების მეურნეობის საბაზრო სისტემაზე გადასვლასთან. კანონმდებლობის ანდა მისი შესრულების კონტროლის არარსებობა ან არასრულყოფილება სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მკვეთრ გამწვავებასთან შეხამებით ამ პირობებში ნარკობიზნების განვითარების ხელსაყრელ გარემოს ქმნის. ამგვარ შემთხვევებში ხდება ნარკობიზნებში შეზღუდული ფინანსური და ეკონომიკური რესურსების მქონე აქტიური ადამიანების აქტიურად ჩართვა (44).
- მთავრობის კორუმპირებულობა, რომლის წევრებს უკანონო საქმიანობიდან უზარმაზარი მოგება აქვთ და ამიტომ არ იღებენ არანაირ ზომებს მის შესამცირებლად ან შესაკავებლად. კორუმპირებულ მთავრობასა და დამნაშავეებთან შეთქმულ მთავრობას შორის განსხვავება მხოლოდ მისი წევრების ნარკობიზნებში უშუალო მონაწილეობის ხარისხში მდგომარეობს. ზოგიერთ ქმედებაში კორუმპირებული პოლიტიკოსების, სამართალდამცავ ორგანოებში, ჯარში, საბაჟო სამსახურში არსებული თანამონაწილეების გამოყენებით ნარკომაფიამ შეუზღუდავ გავლენას მიაღწია. ამავე დროს, იმ ქვეყნის სუვერენიტეტი, რომლის ტერიტორიაზედაც ჩნდება ამგვარი დანაშაულებრივი ფორმირებები, უზრუნველყოფს მათ საიმედო დაცვას სხვა ქვეყნების მხრიდან დანაშაულებრივი სტრუქტურების უკანონო საქმიანობის აღკვეთის, მათი ცენტრალური რგოლებისა და ფილიალების ლიკვიდაციის მცდელობისგან.

- მზარდი მოთხოვნილება უკანონო საქონელზე. ასე, XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში კოკაინის კონტრაბანდით დაკავებული კოლუმბიური ორგანიზაციების გაჩენა ნაწილობრივ აიხსნება ნარკობიზნების შემოსავლიანობის ზემაღლი ნორმით, აშშ-ში მისი შეტანის სასაზღვრო ბარიერების გადალახვის სიმარტივით.
- განვითარებული მრეწველობის მქონე სახელმწიფოებსა და განვითარებად ქვეყნებს შორის უთანასწორობა, არასახარბიელო მდგომარეობა, რომელშიც ეს უკანასკნელი იმყოფებიან საერთაშორისო ვაჭრობის სისტემაში, ხელს უშლის მათ ნორმალურ ეკონომიკურ პროგრესს და კანონიერი კომერციული საქმიანობის მიერ მიცემული შესაძლებლობების რეალიზაციას. ბიზნესის მართლსაწინააღმდეგო ხერხების არჩევა უკიდურესი სიღარიბის მიმზიდველი ალტერნატივა ხდება. კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრების სისუსტისა და არასტაბილურობის გამო (ბოლივიაში, პერუში და ზოგ სხვა ქვეყანაში) კოკის და ოპიუმის კულტივაცია ადგილობრივი გლეხებისთვის ძალზე სარფიან საქმიანობად იქცა.
- საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია (20).
- ეკონომიკური კრიზისები, რომლებიც ადამიანებს ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უკანონო ბიზნესში მონაწილეობისკენ უბიძგებს. მეწარმეები იქ მიღებულ ცოდნას და ტრადიციული საწარმოების გამოცდილებას იყენებენ. კრიზისის პირობებში ნარკობიზნესში მონაწილეობა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დასაქმების პრობლემის დროებით გადაჭრის საშუალებას იძლევა. ასეთ პირობებში უკანონო ფორმირებების საქმიანობა დადებითად ფასდება. მაგალითისთვის, კოლუმბიური კარტელის კოკაინის ერთ-ერთ მთავარ ცენტრად ქცევა განპირობებულია მისი, როგორც ტექსტილის ნაწარმის მსხვილი მწარმოებლის, როლის შემცირებით. ნარკოტიკებით მოვაჭრებმა სამუშაო ძალის ალტერნატიული დასაქმება უზრუნველყოფს და ამით ადგილობრივი მოსახლეობის სიმპათია დაიმსახურეს. ამგვარ ლოიალურობას დამნაშავეთათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის ართულებს კონტრდაზეერვის სამსახურების მუშაობას და ამცირებს სამართალდამცავ ორგანოთა ოპერაციების შედეგიანობას (44).

როგორც ქართულ კრიმინოლოგიაში აღინიშნება, პირველად ამ მოვლენის მომსწრენი გავხდით XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, თუმცა იგი თავისი

არცთუ დიდი მასშტაბების გამო მხოლოდ სპეციალისტთა და მეცნიერთა გარკვეული ჯგუფისთვის იყო შესამჩნევი.

ნარკოტიკული სიტუაციის მეორე, შესამჩნევი აფეთქება მოხდა 1992-1995 წლებში, საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ომისა და ეთნოკონფლიქტების ფონზე, როდესაც იმ ცნობილი მოვლენებისას ნარკოტიკები მეომართათვის საბრძოლო ოპერაციების წინ მასტიმულირებელი, ხოლო ბრძოლის შემდეგ – დამამშვიდებელი საშუალება გახდათ.

ნარკოტიკული სიტუაციის მესამე აფეთქების მოწმენი უკვე XXI საუკუნეში გავხდით, როდესაც მისმა მოხმარებამ ჩვენი ქვეყნისათვის საშიშ დონეს მიაღწია. თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს დაგეყრდნობით, დღეს საქართველოში, ყველაზე ოპტიმისტური გაანგარიშებით, 200 ათასი ნარკომანი და ნარკოტიკის მომხმარებელი ცხოვრობს, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ამ ორ კატეგორიას შორის ზღვარი საკმაოდ პირობითია. საერთოდ კი, როგორც ამ სფეროს ექსპერტებს მიაჩნიათ, მოცემული სტატისტიკური მონაცემები აშკარად გაზვიადებულია შემდეგი მიზეზის გამო: სტატისტიკურ მონაცემებში ვერ აისახება მოსახლეობის იმ ასაკის მოქალაქეები, რომელთა ასაკმა 60 წელს გადააჭარბა, ამავე სტატისტიკურ მონაცემებში ვერ მოხვდებიან 12 წლამდე მოზარდები ე. ი. ჩვენი კვლევის ობიექტი 2 მილიონამდე ან უფრო ნაკლები მოქალაქე იქნება, თუ საქართველოში არსებული მიგრაციის უდიდეს მაშტაბებსაც გავითვალისწინებთ. ასეთ მონაცემებზე დაყრდნობით, გამოდის, რომ ქვეყნის მოსახლეობის 12-15% ნარკოტიკების აქტიური მომხმარებელია, რაც არარეალურია. ასე რომ იყოს, ეს ერის „კოლექტიურ ინტენსივაციას“ ნიშნავს. ასეთი მაშტაბები XVII-XVIII საუკუნეების ჩინეთშიც არ ყოფილა, როდესაც „იმპერიას“ ოპიუმის მასობრივი მოხმარების გამო გაქრობაც კი ემუქრებოდა. ნარკობიზნესის უმთავრესი თვისება მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური მოგების მიღებაა. საერთოდ აღიარებულია, რომ, როდესაც კონფლიქტები, სეპარატისტული მოძრაობა და ომები უსასრულოდ ჭიანურდება, დიასპორის წევრები და ლტოლვილთა ჯგუფები მრავალნაირ კომერციაში, მათ შორის, უკანონოში, ერთვებიან. საქმემ, რომელიც დასაწყისში, ელემენტარულად, თავის რჩენის წყარო იყო, მოკლე ხანში სერიოზულ საგაჭრო ქსელებს მისცა დასაბამი. ასე იქმნება დანაშაულებრივი კავშირები დიასპორასა და კონტრაბანდულ

ქსელებს შორის. ახლა ეს უკანასკნელნი თავიანთი უბედურებიდან მოგებასაც კი ნახულობენ, ხოლო უკანონო ბიზნესი თანდათან ძალას იქრებს (97. 15-16).

## §8. კონტრაბანდის ტრანსნაციონალური ხასიათი

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კონტრაბანდა დანაშაულებრივი საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ სახეობადაა აღიარებული. როგორც ზოგადად დანაშაული, კონტრაბანდა ალბათ მანამდე იარსებებს, ვიდრე სახელმწიფო საზღვრები იქნება. კონტრაბანდა ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი არსებობს, როგორებიც არიან აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი. ამ ქვეყნებში არც დგება აღნიშნული დანაშაულის სრულად აღმოფხვრის საკითხი. საუბარია მხოლოდ მისი მასშტაბების კონტროლირებად დონემდე შემცირებაზე. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ საზღვრების ცნება საკმაოდ პირობითია და მნიშვნელოვნად მერყეობს.

კონტრაბანდის ზრდის მიზეზებია: გადასახადების და ბაჟის ცალკეული სახეების გაუმართლებლად მაღალი განაკვეთები; საგადასახადო და საბაჟო კონტროლის დაბალი დონე; სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების კორუმპირებულობა; საგადასახადო და საბაჟო განაკვეთების, აგრეთვე ეკონომიკური მდგომარეობის შეუსაბამობა, მოქალაქეთა კეთილდღეობის დაბალი დონე, როდესაც ნაკლებად უზრუნველყოფილი ადამიანები გამოუვალი მდგომარეობის გამო შეგნებულად მონაწილეობენ არალეგალურ ბიზნესში.

კონტრაბანდის ობიექტები უამრავი და მრავალგვარია, მისი მასშტაბები კი საშიშ ზომებს იღებს. განსაკუთრებით საშიშია ისეთი საგნების კონტრაბანდული შემოტანა და გატანა, როგორებიცაა ნარკოტიკული საშუალებები, იარაღი, კულტურული ფასეულობები. ჩამოყალიბდა ამ საქონლის კონტრაბანდასთან დაკავშირებული მაღალორგანიზებული ტრანსნაციონალური ბაზები. კონტრაბანდა განსაკუთრებული პრობლემაა საბაზო ეკონომიკაზე გარდამავალი პოსტსოციალისტური ქვეყნებისთვის. ზოგიერთ მათგანში

კონტრაბანდულმა ოპერაციებმა ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომლებიც ამ ქვეყნების ეკონომიკურ უსაფრთხოებას ემუქრება.

„ტრადიციულ“ კონტრაბანდასთან (ტვირთის დასაპალნებული საქონლით გადატანა მთის ბილიკებით) ერთად კონტრაბანდის სხვა ფორმაც არსებობს. საუბარია „ოფიციალურ“ კონტრაბანდაზე, როდესაც კონტრაბანდისტები მთავრობასთან კორუფციულ გარიგებას დებენ და, თითქოსდა ტვირთის დაცვის მიზნით, ხელს უწყობენ კონტრაბანდული ტვირთის გადაზიდვას. ამ ოპერაციაში გამოიყენება ფიქციური ტრანზიტები, საქონლის შემცირებული ფასი ან გადასახადების გადახდისგან განთავისუფლებული საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული საიმპორტო ოპერაციები.

აკრძალულ საქონელთან ერთად კონტრაბანდის საგანია ნორმალური საქონლის ფართო წრე, რომელიც ბრუნვიდან არ არის ამოდებული. ტრანსნაციონალური ორგანიზაციებისთვის განსაკუთრებით სარფიანია კონტრაბანდული ოპერაციები ექსპორტის დროს. ჩვეულებრივ, ექსპორტის ოპერაციების განხორციელებისას კონტრაბანდის საგანია ფერადი და იშვიათი ლითონები, ხეტყვ, სტრატეგიული ხასიათის ნედლეული, ბიოპროდუქცია. დიდია სახელმწიფოს ზარალი ნახშირწყალბადოვანი ნედლეულის მოპოვების, გადამუშავებისა და ექსპორტის სფეროში. ამ მიმართულებით კრიმინალური ორგანიზაციები სხვადასხვა მეთოდს იყენებენ. ერთ-ერთი „ჩვეულებრივი“ მეთოდია კრიმინალების კორუფციული შეთანხმება სამხედრო ორგანიზაციებთან. ჩვეულებრივ, ეს მეთოდი გულისხმობს საბაჟო საზღვრის მართლსაწინააღმდეგო გადაკვეთას საბაჟო საგუშაგოების გვერდის ავლით ან საბაჟო დოკუმენტების გაყალბების გზით. პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში აღნიშნული მეთოდი ყველაზე მეტად გავრცელდა. ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება შეთანხმება სამხედრო-საპარტო, სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენლებთან, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით სატრანსპორტო საშუალებების, საზღვაო ბაზების და სპეციალურობრივმების გამოყენების მიზნით. ამ რესპუბლიკებისგან განსხვავებით, საქართველომ გაატარა არაერთი რეფორმა, რომლებმაც ხელი შეუწყო კონტრაბანდის აღმოფხვრას (217. 215-234).

შიგა საბაჟო ტრანზიტის საბაბით უკანონო გადაზიდვა განსაკუთრებით რელიეფურად გამოვლინდა ინდუსტრიულად განვითარებულ რეგიონებში,

აგრეთვე რეგიონებში, რომლებმაც მაღალი კეთილდღეობის მქონეთა სტატუსი მიიღეს. უპირველეს ყოვლისა, ეს იმ ქვეყნების რეგიონებს ეხება, რომლებიც თავიანთი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო კონტრაბანდული ოპერაციების ერთ-ერთ ძირითად არხად იქცევა. ამ მხრივ განსაკუთრებული კრიმინოგენური სიტუაციაა რუსეთის უმეტეს რეგიონებში, საიდანაც ხდება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეული მასალების გაზიდვა.

ამის შემდეგ კონტრაბანდული საქონელი ევროპის ქვეყნებში ხვდება. აღნიშნული „ოპერაცია“ შემდეგნაირად ხორციელდება: ნედლეული რესურსები დოკუმენტების თანხლებით იგზავნება კალინინგრადის ოლქის არარსებული ფირმების ან იმ ფორმების მისამართებზე, რომელთა წარმომადგენლებიც საქმოსნებს აძლევდნენ თავიანთ რეკვიზიტებს. დანიშნულების ადგილამდებელორუსის ან ბალტიისპირეთის ქვეყნების გავლით გადაზიდვისას ადგილობრივი ფირმები ტვირთის შორეული საზღვარგარეთის მისამართებზე გადამისამართებას ახდენენ და ტვირთის მიმდებ ფირმას ტვირთის მიღებაზე ფიქციურ დოკუმენტებს აწვდიან. ამავე სქემით ხდება განსაკუთრებით ფასეული საქონლის რეალიზაცია. უკრაინის და შუა აზიის ქვეყნების გავლით ნავთობი და ხე-ტყე რუსეთიდან ჩინეთში და ირანში გააქვთ.

დროებითი შენახვისა და გადამუშავების მიზნით საქონლის საზღვარგარეთ გატანა სინამდვილეში საქონლის კონტრაბანდა აღმოჩნდება ხოლმე. მაკონტროლებელ ორგანოებს წარედგინებათ ფიქციური დოკუმენტები ტვირთის – უკკე, როგორც საექსპორტო მიწოდების, – მიერ რუსეთის საზღვრის გადაკვეთის შესახებ. ზოგჯერ ფიქციური რუსული საწარმოების სახელით, რომლებმაც ვითომ უნდა მიიღონ პროდუქცია გადასამუშავებლად, ფორმდება ყალბი წერილები იმის თაობაზე, რომ მითითებული პროდუქცია არ შედის სავალდებულო სერტიფიცირების ჩამონათვალში. ამგვარად ისინი საქონლის საზღვარგარეთ გაყიდვას ასაბუთებენ. ამის შედეგად გატანილი რესურსები აღარ ბრუნდება. ასე, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და აშშ-ში რუსეთიდან გააქვთ ნავთობპროდუქტები საექსპორტო კონტრაქტების გაფორმების გარეშე. შემდეგ, შენახვისა და გადამუშავების დროის ვალდებულებების დარღვევით, ეს საქონელი უკრაინასა და ბელორუსიაში იყიდება. ამასთანავე, ამგვარი გარიგებების დასაფარავად საბაჟო ორგანოებს წარედგინებათ ფიქციური დოკუმენტები ვითომდა შემოტანილი საქონლის შესახებ (310; 317).

გავრცელებული მეთოდების რიცხვს მიეკუთვნება საზღვარგარეთ საქონლის გატანა მათ მიერვე დაარსებულ კომპანიებთან ოფიციალურად გაფორმებული საექსპორტო კონტრაქტების ფარგლებში. ამასთანავე, ოფიციალური საექსპორტო კონტრაქტის ფასები, როგორც წესი, რეალურზე მცირეა. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება იშვიათი ელექტროებისა და ლითონების და სხვა ფასეული ნედლეულის ექსპორტის დროს, რომელიც გულმოდგინე ექსპერტიზას და ხარისხის შესახებ ექსპერტების დასკვნას მოითხოვს.

კონტრაბანდისთვის გამოიყენება „ტოლინგის“ ოპერაცია (give and take raw material, customer owned raw materials, customer-furnished raw materials). ზოგიერთ შემთხვევაში ქვეყნიდან საწინააღმდეგო მიმართულებით გადის არა მზა პროდუქცია, არამედ ნედლეული. ნედლეულისა და მასალისთვის ფიქციურ დოკუმენტებს იყენებენ.

კონტრაბანდის მეთოდია ასევე უკანონო გაზიდვა უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს და ერთობლივი საწარმოს საფარქეშ. გააქვთ ნედლეული, რომელიც არ არის საკუთარი წარმოების პროდუქცია. მისი გატანა არაა განთავისუფლებული ბაჟისგან.

სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეული საქონლის საზღვარგარეთ უკანონო გადაზიდვას ხშირად თან ახლავს მიტაცება, მექრთამეობა, გადასახადებისთვის თავის არიდება და სხვა დარღვევები, რომლებიც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს (122. 79-94).

თავიანთი ანგარებიანი მიზნების მისაღწევად დანაშაულებრივი ფორმირებები აქტიურად იჭრებიან სათბობ-ენერგეტიკული, მეტალურგიული და ტყის კომპლექსების საწარმოთა სამეურნეო და ფინანსურ საქმიანობაში; საკუთარი მართლსაწინააღმდეგო საქმიანობის დასაფარავად ისინი სხვადასხვა კომერციულ სტრუქტურას ქმნიან.

ბაჟის გადაუხდელად საქონლის შეძენის ყველაზე გავრცელებული ხერხია მისი შეძენა ტრანზიტის დროს. ტრანზიტი – ეს არის შედაგათების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ვაჭრობის განვითარებას. მისი არსი მდგომარეობს გარკვეულ სასაზღვრო ზონაზე გამავალ, მესამე ქვეყნიდან ან/და მესამე

ქვეყნისთვის განკუთვნილ პროდუქციაზე საბაჟო მოსაკრებლების, აქციზის და დღგ-ის მოქმედების დროებით შეწყვეტაში.

ამ სქემით ამერიკული სიგარეტი კვეთს ბელგიის საზღვარს მისი შემდგომი ტრანსპორტირებისთვის ჩრდილოეთ აფრიკაში. ამ შემთხვევაში საქონელი იმყოფება ტრანზიტულ რეჟიმში, საავტომობილო ტრანსპორტით მისი შემდგომი გადაზიდვით ბელგიიდან ესპანეთში, სადაც მას ჩრდილოეთ აფრიკაში გადააგზავნიან. თუ საქონლის რეექსპორტი დადასტურებულია, პროდუქციის ეს პარტია თავისუფალია ევროპის საბჭოს გადასახადებისგან. XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს დაახლოებით 100-მა მილიარდმა სიგარეტმა გაიარა ანტვერპენის პორტი ბელგიაში. ტრანზიტულმა სიგარეტებმა ვერ მიაღწია განცხადებულ დანიშნულების ადგილს, რაც მოწმობს ჩადენილ მაქინაციას და ამ სიგარეტების შავ ბაზარზე, გადასახადების გადაუხდელად გაყიდვას (304. 545-561; 140. 1650-1651).

საქონლის კონტრაბანდა დღესდღეობით იმდენად ფართოდ არის გავრცელებული და კარგად ორგანიზებული, რომ სერიოზული საფრთხეა როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის, ისე სახელმწიფო ფინანსებისთვისაც, რომლებიც მილიარდობით დოლარის შემოსავალს კარგავენ (222. 476-493).

კონტრაბანდა იწვევს სახელმწიფო შემოსავლების დაკარგვას, ზოგიერთ შემთხვევაში კი ხელს უშლის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ძალისხმევას. საქონლის კონტრაბანდის მოცულობის ზრდა ასევე ნიშნავს ორგანიზებული დანაშაულის შესაძლებლობების ზრდას, რომელიც დაკავებულია სხვა სფეროებში საქმიანობითაც, მაგალითად, ნარკოტიკებით, რამაც შეიძლება გაზარდოს კორუფციის საერთო დონე ქვეყანაში (130. 66-93). მსხვილმასშტაბიანი კონტრაბანდა ნიშნავს კრიმინალური ორგანიზაციების არსებობას და კონტრაბანდული სიგარეტის ადგილობრივ დონეზე გავრცელების საქმაოდ განვითარებული სისტემის არსებობას (180. 49-60). კონტრაბანდა მოიცავს ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ წარმოებულ საერთაშორისო ბრენდებს, რომლებსაც მსოფლიოს ყველა კუთხეში მოქმედი კრიმინალური ორგანიზაციები ავრცელებენ და რომელთაც შეუძლიათ ბაჟის გარეშე შეიძინონ საერთაშორისო გადაზიდვების დროს მანამდე „გამქრალი“ საქონელი (265. 185-210).

კონტრაბანდის ტრანსნაციონალური ხასიათი შენარჩუნებულია სეპარატისტულ რეგიონებში. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონტრაბანდული ვაჭრობა საქართველოსთვის უმწვავეს პრობლემად იქცა. მისი უსწრაფესი ზრდა 1998 წელს დაიწყო. დღეს იგი უკვე იმდენად მასშტაბურია, რომ ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრება. კონტრაბანდამ ხელი შეუწყო კორუფციის განვითარებას, გავლენიანი კრიმინალური დაჯგუფებების ჩამოყალიბებას და მათ სამართალდამცავ სტრუქტურებთან და პოლიტიკურ ჯგუფებთან (ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები) შერწყმას. ამ პროცესს მსგავს საქმიანობაში დარიბი მოსახლეობის ნაწილის ჩართვაც მოჰყვა. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონტრაბანდული ტვირთების მოძრაობა უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგან ის მჭიდროდ უკავშირდება სეპარატიზმს, მოუგვარებელ შეიარაღებულ კონფლიქტებს, საზღვრების დაუცველობას, ძალადობას და ა. შ. (86. 7-8).

თვითგამოცხადებული რესპუბლიკების მოსახლეობაში შეიმჩნევა იარაღის დიდი კონცენტრაცია. ეს, უპირველესად, დანაშაულებრივ სამყაროზე ითქმის. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გავლით კონტრაბანდას თან სდევს ძალადობის, მკვლელობის, ადამიანის გატაცების, მძღვანელობის და სხვა მძიმე დანაშაულის უამრავი ფაქტი. ამ პრობლემათა გადაწყვეტა საკმაოდ რთულია იმ ვითარებაში, როცა საქართველოს და სეპარატისტული რესპუბლიკების ხელისუფლებები გერ თანხმდებიან ამ ტერიტორიების პოლიტიკურ სტატუსზე.

ვითარებას ართულებს გეოპოლიტიკური საკითხების მთელი სპექტრი, უწინარესად, რუსეთის მიზანი – აფხაზური და ოსური სეპარატიზმი საქართველოზე პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად გამოიყენოს, ანუ აიძულოს ეს უკანასკნელი, მისი გავლენის სფეროში დარჩეს. რუსეთი აქტიურად ეწინააღმდეგება საქართველოს მხრიდან ალტერნატიული მოკავშირის ძიებას და საკუთარი ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფას. მიუხედავად ამისა, საქართველომ მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან, რომლებიც დაინტერესებული არიან დემოკრატიის გაფართოებით და კასპიის აუზში არსებული ენერგორესურსებით,

- სწორედ საქართველოზე გადის კასპიის ნავთობისა და ბუნებრივი აირის დასავლეთში ტრანსპორტირების უმოკლესი გზა.

საბაჟო წესების დამყარებამდე, ქვეყანაში კონტრაბანდული საწვავის მხოლოდ 4-5 პროცენტი შემოდის აფხაზეთის გავლით და დაახლოებით 13 პროცენტი – რუსეთიდან ცხინვალის რეგიონით, თუმცა სხვა სახის კონტრაბანდა გაცილებით დიდია, მაგალითად, ფქვილის, ხორბლის და სიგარეტის. თვით ის ფაქტი, რომ კონტრაბანდას ძალადობა, კორუფცია და სისხლისღვრა ახლავს, გაცილებით საყურადღებო და სახიფათოა (86. 7-8).

ქვეყანაში (სეპარატისტული რეგიონების გარდა) გატარებული ზომების შედეგად კონტრაბანდის ტრანსნაციონალურ კავშირებს გზა გადაეკეტა. ამიტომ, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, კონტრაბანდის ცალკეული, ეპიზოდური შემთხვევები შეიმჩნევა. ამაზე მრავალი ფაქტი მეტყველებს. მაგალითად, თურქეთში, რიზეს რეგიონში პოლიციამ სპეციალურაცია ჩაატარა და საქართველოდან თურქეთში მიმავალ სამ სხვადასხვა ავტომობილში 3 809 კოლოფი კონტრაბანდული სიგარეტი ამოიღო. სიგარეტი თურქეთის სხვადასხვა ქალაქში გასაყიდად საქართველოს მოქალაქეებს გადაჰქონდათ (91). თურქეთის ქალაქ სტამბოლში პოლიციამ საქართველოდან შეტანილი კონტრაბანდის უმსხვილესი, 10 მილიონ თურქულ ლირად ღირებული პარტია ამოიღო (95). სამართალდამცავი ორგანოები ოქროს საზღვარზე უკანონო გადატანის ფაქტებსაც აფიქსირებენ. სამართალდამცავი ორგანოები აგრეთვე აფიქსირებენ საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით ოქროს ნაკეთობების კონტრაბანდულად შემოტანის და საქართველოს ტერიტორიაზე სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების ფაქტებს. ექსპერტის დასკვნით, ამოდებული კონტრაბანდული ოქროს საბაზო ღირებულება 31 000 ლარს შეადგენს (92).

სამართალდამცავი ორგანოები ააშკარავებენ ბირთვული ბომბის დასამზადებლად განკუთვნილი მასალის გადატანის მცდელობებს. როგორც ოფიციალური ინფორმაცია ცხადყოფს, ასეთი მცდელობა არაერთგზის განხორციელდა (364). საქართველოში რეალურად არსებობს ბირთვული ტერორიზმის საფრთხე. ბოლო წლების განმავლობაში სამჯერ აღიკვეთა ბირთვული მასალების კონტრაბანდის მცდელობა. კერძოდ, 1996 წლის 26

იანვარს სარფში ამოიდეს 1,2 კილოგრამი კონტრაბანდული ურანი, 1997 წლის 4 მარტს – 509 გრამი, ხოლო 2007 წელს – გამდიდრებული ურანის 100 გრამი (364).

კონტრაბანდასთან ბრძოლაში მნიშვნელოვანია ნარკობრუნვის პრობლემა. როგორც ქართველი კრიმინოლოგები აღნიშნავენ, ნარკობიზნესი ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი ურთულესი განვითარებული ფორმაა. მისი გავრცელება შთანთქავს ქვეყნების სულიერ და ზნეობრივ ღირებულებებს, ანადგურებს მოსახლეობის ეკონომიკურად ყველაზე აქტიური ნაწილის – ახალგაზრდობის – ჯანმრთელობას, აიძულებს ხელისუფლებას, შეზღუდოს სოციალური რეფორმებისათვის განკუთვნილი სოლიდური საბიუჯეტო სახსრები და ისინი ბრძოლის მეთოდების გაძლიერებისათვის გადაისროლოს (85. 58-61).

### თავი III

#### ტრანსნაციონალური დანაშაულობის ეკონომიკური ფორმების პრევენციის საერთო სამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემები

##### §1. ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის შიგასახელმწიფოებრივი სამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემები

ტრანსნაციონალური დანაშაული სამართალდამცავი ორგანოების წინაშე აყენებს არაერთ სამართლებრივ, საორგანიზაციო და სხვა პრობლემას, რომელთა გადაწყვეტა არატრადიციულ აზროვნებას, განსაკუთრებულ მიზანდასახულობას, საზღვარგარეთის შინაგან საქმეთა (პოლიციის) ორგანოებთან თანამშრომლობის სურვილს, ძალისხმევისა და რესურსების მნიშვნელოვან დანახარჯებს მოითხოვს. ამ პრობლემების გამოსავლენად დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია ტრანსნაციონალური დანაშაულის გახსნისა და გამოძიების სიძნელეები სხვადასხვა ქვეყანაში. ამ მხრივ პრობლემაა საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის თაობაზე სამართლებრივი ნორმების ან მათ შესახებ ინფორმაციის, აგრეთვე აუცილებელი აღრიცხვისა და საინფორმაციო სისტემების არარსებობა.

სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობას მიაჩნია, რომ აუცილებელია აღნიშნულ დანაშაულთა გახსნითა და გამოძიებით დაკავებული მუშაკების სპეციალიზაცია.

განსაკუთრებული ფიქრის საგანია უცხოელ მოქალაქეთა უსაფრთხოების გარანტიების არარეგისტრირებული სამართლდამცავ ორგანოთა სამართლებრივი ნიპილიზმისა და სუსტი მუშაობის გამო. ამ მიზეზით მოსახლეობა განიცდის წუხილს და შიში დანაშაულის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ წუხილისა და შიშის მდგომარეობა სულაც არ არის მოჩვენებითი, რადგან სხვადასხვა ქვეყანაში უცხოელები დანაშაულებრივ ხელყოფას (ხულიგნურ თავდასხმებს, ქურდობას და ა. შ.) განიცდიან, თუმცა ცოტა დაზარალებული თუ მიმართავს განცხადებით სამართლდამცავ ორგანოებს. ასეთ მიმართვაზე უარის თქმის მოტივებს შორის სახელდება სამართლდამცავ ორგანოებთან კონტაქტში შესვლის სურვილის უქონლობა მათი შესაძლებლობებისადმი უნდობლობის გამო; ზოგს კი მიმართვა უსარგებლოდ მიაჩნია უცხოელი მოქალაქეებისადმი სამართლდამცავ ორგანოთა მუშაკების ცუდი დამოკიდებულების გათვალისწინებით.

გაეროს მონაცემები გარკვეულად მიუთითებს, პირველ რიგში, ზოგად სისხლის სამართლის ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის (მათ შორის, მისი თავიდან აცილების) საქმეში სამართლდამცავი ორგანოების მუშაობის არსებით ნაკლოვანებებზე, ასევე უცხოელი მოქალაქეების ხელყოფის საკმაოდ მაღალ ლატენტურობაზე.

სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების მასალების განზოგადების საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ სამართლდამცავი ორგანოების საქმიანობის შემდეგი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა არსებით გავლენას ახდენს ტრანსნაციონალური დანაშაულის მდგომარეობაზე:

სამართლებრივი და მეთოდური უზრუნველყოფის პრობლემა. ეს პრობლემა ორი ფორმით გვევლინება: ერთი მხრივ, თვით ტრანსნაციონალური დანაშაულის მოვლენის არასაკმარისი ნორმატიული რეგულირება და, მეორე მხრივ, პრაქტიკული მუშაკების არასაკმარისი ინფორმირებულობა უკვე შემდგარი სამართლებრივი გადაწყვეტილებების შესახებ, აგრეთვე ტრანსნაციონალურ

დანაშაულთა გახსნისა და გამოძიების კონკრეტულ საკითხებზე მეთოდური რეკომენდაციებისა და შემუშავებების არარსებობა.

ტრანსნაციონალური დანაშაულის გახსნის პროცედურები, პირველ რიგში, დაკავშირებულია იმასთან, რომ რეალური სუვერენიტეტი, როგორც წესი, დაინტერესებული სახელმწიფოების სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონების მოქმედებას მხოლოდ მათი ქვეყნების ტერიტორიებით ზღუდავს. გარდა ამისა, ამ ქვეყნების კანონმდებლობა შეიძლება ეკუთვნოდეს სხვადასხვა სამართლებრივ სისტემას, რომლებშიც რელიგიის, კულტურული ტრადიციების და წეს-ჩვეულებების ზეგავლენის გამო შესაბამისი საკითხები სხვადასხვაგვარად წყდება. ბუნებრივია, ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის მდგომარეობაზე, გარდა წმინდა იურიდიული „შეთავსებადობისა“, ასევე გავლენას ახდენს პოლიტიკურ ურთიერთობათა ხასიათი, სულიერი ურთიერთგაგება და სხვ.

დიდწილად სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სხვადასხვა ქვეყანაში უცხოელი მოქალაქეების მიმართ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებს სავალალო სასამართლო პერსპექტივა აქვს (277. 224-247; 210. 1-11).

ამასთანავე, არ შეიძლება არ აღინიშნოს შემდეგი ფაქტი: ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეები ზოგჯერ იმის გამო ჩერდება, რომ ამა თუ ქვეყანას არ აქვს სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულებები ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კონკრეტული ქვეყნიდან გაგზავნილი საერთაშორისო საგამოძიებო დავალებები და მოთხოვნები ხშირად შეუსრულებელი რჩება ან დიდი შეფერხებით სრულდება. ამ სიტუაციას წარმატებით იყენებენ ცალკეული დამნაშავეები და დანაშაულებრივი დაჯგუფებები.

საერთაშორისო გადაწყვეტილებების განვითარებისა და კონკრეტიზაციის, ორგანიზებული ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებების დაგეგმვის მიზნით გაეროს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ 1994 წლის 21-23 ნოემბერს ქ. ნეაპოლში (იტალია) გამართა ორგანიზებული ტრანსნაციონალური დანაშაულის შესახებ მსოფლიო კონფერენცია მინისტრების დონეზე. მის რეზოლუციას „ორგანიზებული

ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ნეაპოლის პოლიტიკური დექლარაცია და მოქმედებათა გლობალური გეგმა“ აქვს არა მარტო იურიდიული, არამედ კონცეპტუალური მნიშვნელობაც, ვინაიდან აქ პირველად ხდება მითითებების მიცემა ოპერატიულ-საგამოძიებო საქმიანობის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გამყარებაზე, ხორციელდება ინფორმაციის შეგროვების ისეთი საშუალებების გამოყენების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების ლეგალიზება, როგორიცაა „აგენტურული ოპერაციები“, განიხილება „შესაძლებლობა წახალისების ზომების გამოყენებისა დანაშაულებრივი ორგანიზაციების იმ წევრებისთვის, რომლებიც დათანხმდნენ თანამშრომლობაზე და მოწმის ჩვენებების მიცემაზე“, ხდება კონფიდენციალური საქმიანობის სხვა საკითხებზე საერთაშორისო შეთანხმებების წახალისებაც (პუნქტები 9, 17, 24 და სხვ.).

საორგანიზაციო-მმართველობითი უზრუნველყოფის პრობლემა. იმ მუშაკების სპეციალიზაციას, რომლებიც დაკავებული არიან ტრანსნაციონალურ დანაშაულთა პრევენციითა და გახსნით, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა უმეტესობა ობიექტურ აუცილებლობად აფასებს. ამასთან კავშირშია ასევე მათ მიერ შემოთავაზებული ქვეყნების მიერთებათა სტრუქტურული აგება, რომლებიც პროფესიონალურად არიან დაკავებული ტრანსნაციონალურ დანაშაულთა პრევენციითა და გახსნით.

სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები განსაკუთრებით მწვავედ გრძნობენ ოპერატიულ-საგამოძიებო საქმიანობით დაკავებულ პირთა სპეციალიზებული მომზადების საჭიროებას. ასეთი მომზადება უნდა მოიცავდეს ოპერატიულ-საგამოძიებო და საპროცესო საქმიანობის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების შესწავლის საკითხებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ენებისა და კულტურის შესწავლას და ა. შ. (290. 128-143; 119. 139-185).

საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემები არ არის უყურადღებოდ დატოვებული სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების მიერ. ბოლო წლებში ბევრი ქვეყანა შეუერთდა არაერთ საერთაშორისო კონვენციას და შეთანხმებას და ახლა დანაშაულის ცალკეულ სახეობებთან ბრძოლის შესახებ თითქმის ყველა უნივერსალური საერთაშორისო ხელშეკრულების წევრია. მათ გაფორმებული აქვთ ორმხრივი და მრავალმხრივი

ხელშეკრულებები სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების გაწევის შესახებ, რომელიც გულისხმობს მოქმედი კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას, დოკუმენტების, ნივთიერი მტკიცებულებების გადაცემას, ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, მოწმეთა, დაზარალებულთა და ექსპერტთა დაკითხვას, ექსპერტიზებისა და საძიებო დათვალიყრებების ჩატარებას, სისხლისსამართლებრივი დევნის აღმრას, დამნაშავეთა ექსტრადიციას (გადაცემას), სასჯელის მოსახდელად მსჯავრდებულთა მათი მოქალაქეობის ქეყანაში გადაცემას (306. 316-319).

ინტენსიურად ვითარდება დანაშაულთან ბრძოლის საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის სამართლებრივი ბაზა. მსოფლიოს ქვეყნებისთვის მისი აქტუალურობა სრულიად აშკარაა და განპირობებულია დანაშაულის ზრდით, საზღვრების გადაკვეთის სიმარტივით და, რაც მთავარია, ახალი სუვერენული სახელმწიფოების წარმოშობით. ეს საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია სსრკის და იუგოსლავიის დაშლის შემდეგ (139. 4-19).

ამასთანავე, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ზოგიერთი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი არ ითვალისწინებს დანაშაულთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის დეტალურ მექანიზმს. ისინი არ ახდენენ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების რეგლამენტირებას, როგორებიცაა დამნაშავეთა დაკავების, მათი ყოლისა და ეტაპირების, ძებნის დაგალების სხვისთვის გადაცემის, ოპერატიულ-სამქებრო ღონისძიებების ჩატარების დროს ურთიერთდახმარების გაწევის წესი, რაზედაც სამართლიანად გამოთქვამენ პრეტენზიებს პრაქტიკოსი მუშაკები.

კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურების კუთხით სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, ამ ორგანოების მრავალი თანამშრომელი სუსტად ერკვევა ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის როგორც თეორიულ და სამართლებრივ, ისე წმინდა პრაქტიკულ საკითხებში; კურძოდ, მათ უჭირთ საერთაშორისო ოპერატიული მოთხოვნებისა და საგამოძიებო დაგალებების შესრულება. ამიტომ ზოგიერთი დაგალება შეუსრულებლად ბრუნდება.

ზოგადად, ოპერატიულმა მუშაკებმა არ იციან საერთაშორისო საჯარო სამართლის საფუძვლები, არ არიან გათვითცნობიერებული ცალკეულ ქვეყნებში კონკრეტული საკითხების სამართლებრივი რეგულირების თავისებურებებში, არ აქვთ საზღვარგარეთის სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთქმედების გამოცდილება. ყველაფერი ეს ამცირებს ზოგად სისხლის სამართლის ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობას (161. 51-84).

სხვადასხვა ქვეყანაში გამოკვეთილი პრობლემების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია მათი გადაჭრა არსებული საერთაშორისო გამოცდილების და გაეროს და ინტერპოლის შესაბამისი რეკომენდაციების გამოყენებით.

## §2. საერთაშორისო თანამშრომლობის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემები

გაეროს დანაშაულის თავიდან აცილების კონგრესების მასალების მიხედვით, ერთ-ერთი ფუნდამენტური დებულებაა ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულის სოციალური კონტროლის მართვადობა.

ამ მოთხოვნის პრაქტიკული აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ტრანსნაციონალური დანაშაულის მომავალი საფრთხის ლიკვიდაცია შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამცავი ორგანოები ზუსტად იმგვარად, როგორც თვით დანაშაულებრივი ორგანიზაციები, გამოიჩენენ გამჭრიახობასა და საზრიანობას, ორგანიზაციულ მოქნილობას და თანამშრომლობას. კერძოდ, წარმატების მისაღწევად საჭიროა უფრო შემოქმედებითი მიდგომა არსებული და ახალი ორმხრივი და მრავალმხრივი სამართლებრივი მექანიზმების მიმართ, ხოლო ეროვნულ დონეზე საქმიანობა უნდა იყოს ერთგვაროვანი ან შეთანხმებული, იმისთვის, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები იყვნენ ისეთივე მობილურები და მოქმედებდნენ ისევე ეფექტიანად, როგორც თვით დამნაშავეები.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ, საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის მიუხედავად, სისხლის სამართლის იუსტიციის ამგვარი

საერთაშორისო მმართველობითი სისტემა მსოფლიოს ჯერ არ აქვს. სწორედ ეს გარემოებაა მთავარი უარყოფითი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს ტრანსნაციონალური ბიზნესდანაშაულის მაღალ ეფექტიანობას და სიცოცხლისუნარიანობას. ერთმანეთთან შეუსაბამო სამართლებრივი სისტემები, თითოეული სახელმწიფოს სურვილი სასჯელის, როგორც საკუთარი სუკერენიტეტის მტკიცებულების, მონოპოლიზებისა, იდეოლოგიური და რელიგიური განსხვავებები, რომლებიც ხშირად იწვევს კონფრონტაციას და ა. შ. – ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილს ტრანსნაციონალური დანაშაული საკუთარი ადაპტაციისა და ზრდისათვის იყენებს.

დანაშაულის ტრანსნაციონალური ასპექტი არის იმ ჭეშმარიტების გამოვლინება, რომ დანაშაულის პრობლემა სინამდვილეში ისეთ მეტაპრობლემაა, რომელიც ვერ გადაწყდება ცალკეული საზოგადოებების, სახელმწიფოების ან ლოკალური გაერთიანებების დონეზე. ეს პრობლემა მთელი კაცობრიობის საზრუნავია.

ამ ფაქტის გააზრება უნდა გახდეს მენტალიტეტის ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების სისტემის მიმართ დამოკიდებულების გლობალური გარდაქმნის საფუძველი. ჯერ კიდევ გაეროს დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევებისადმი მოპყრობის მე-9 კონგრესზე იყო მითითებული, რომ XXI საუკუნის ზღურბლზე დანაშაულის გლობალური პრობლემების ანალიზს საფუძვლად უნდა დაედოს მცნება „დემოკრატია პასუხისმგებლობის ინტერესებში“ და არა „დემოკრატია სიმდიდრის ინტერესებში“ (327).

იგივე გარემოება გვავალდებულებს, ახლებურად შევხედოთ საორგანიზაციო პრინციპს, რომლის შესაბამისადაც უნდა აიგოს სისხლის სამართლის ტრანსნაციონალური იუსტიციის სისტემა. ასეთი წამყვანი პრინციპი შეიძლება იყოს მხოლოდ კოორდინაციის პრინციპი, რომელიც სცილდება ისტორიისთვის ტრადიციულ სახელმწიფოთაშორისი სუბორდინაციის პრინციპს, რადგანაც ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს კოორდინაციას და არა სუბორდინაციას. რა თქმა უნდა, თანამედროვე პირობებში ჩვენ საქმე გვაქვს ახალ მოვლენასთან ადამიანების ცხოვრებაში, თუ გავიხსენებთ, რომ საუკუნეების განმავლობაში საერთაშორისო კაგშირები ემყარებოდა ერთი ერის მიერ მეორეზე ბატონობას და დამორჩილებას.

სწორედ პასუხისმგებლობისა და კოორდინაციის ინტერესებში დემოკრატიის პრინციპებზე აგებს და უწევს ორგანიზებას გაერო თავისი სტრუქტურების საქმიანობას, რომლებიც ახორციელებენ ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის კოორდინაციას. ფუნქციურად ამ სამუშაოს სათავეში უდგას გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო მისდამი დაქვემდებარებულ დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიასთან ერთად. კომისიასთან თანამშრომლობს ოთხი არასამთავრობო ორგანიზაცია: სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაცია, საერთაშორისო კრიმინოლოგიური საზოგადოება, სოციალური დაცვის საერთაშორისო საზოგადოება და საერთაშორისო სისხლის სამართლის და პენიტენციური ფონდი (379; 311. 21-40; 365). მათ მუშაობას კოორდინაციას უწევს კოორდინაციის საკითხთა საერთაშორისო კომიტეტი (ე. წ. ოთხეულის კომიტეტი).

აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობა, პირველ რიგში, უზრუნველყოფს სწორედ გაეროს მიერ 5 წელიწადში ერთხელ გასამართი, დანაშაულის თავიდან აცილების კონგრესების საორგანიზაციო, ნორმატიულ და სამეცნიერო მომზადებას. ისინი ორგანიზებას უწევენ სამეცნიერო კვლევების ჩატარებას კონგრესთა თემატიკის შესახებ, ამზადებენ სამუშაო დოკუმენტებს, ხელმძღვანელობენ ექსპერტების მუშაობას, მონაწილეობენ რეგიონულ ფორუმებში, აწყობენ სემინარებს, „მრგვალ მაგიდებს“ და ა. შ.

აღნიშნულ ფორუმებზე განსახილველი საკითხები სცდება სისხლის სამართლის იუსტიციის ფარგლებს და ეხება ზოგადად სახელმწიფოთაშორის და ადამიანურ ურთიერთობებს, კერძოდ: სამართლიანობის შესახებ თანამედროვე წარმოდგენების გამომუშავებას; სეკულარიზებული (საერო) სამართლებრივი აზროვნების შეთანხმებას საკრალურობასთან, სამართლებრივი ნორმების ღვთიურ წარმოშობასთან; სადამსჯელო-კულტურულ ტრადიციებს შორის განსხვავებების ურთიერშეთანხმებასთან და ა. შ. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ვისაუბროთ გაეროს საერთაშორისო ურთიერთობების ახალი „რელიგიის“ განსახილველი სტრუქტურების პუმანიტარულ-იდეოლოგიური და კანონიკური როლის შესახებ.

გაეროს დანაშაულის თავიდან აცილების კონგრესები, რეგიონული ფორუმები, სემინარები, დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის

მართლმსაჯულების კომისიის სესიები, გაეროს ეგიდით მიმდინარე სამეცნიერო კვლევები ახდენს უზარმაზარი პრაქტიკული და კონცეპტუალური გამოცდილების კონცენტრაციას პრევენციის სფეროში, ასევე უფრო ფართო მასშტაბებში – ყველაზე მძიმე და ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობასთან ბრძოლაში, რომელსაც, ისევე, როგორც მთელი კაცობრიობის საქმიანობას, გლობალური, ტრანსნაციონალური ხასიათი აქვს. ქვეყნებში არსებული დანაშაული ამ პროცესის აქტიური ელემენტია. ეს ხსნის იმ ინტერესს, რომელსაც ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები და სპეციალისტები დანაშაულის ტრანსნაციონალური ფორმებისთვის წინააღმდეგობის გაწევის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლისადმი და ადაპტაციისადმი ავლენენ.

ტრანსნაციონალურ, მათ შორის, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის პრობლემები განიხილებოდა გაეროს დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევებისადმი მოპყრობის მე-9 კონგრესის და დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მე-12 კონგრესის (სალვადორი, ბრაზილია, 2010 წლის 12-19 აპრილი) პლენარულ სხდომებზე. საგანგებო სემინარებზე განხილვის საგანი იყო ტრანსნაციონალურ და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეროვნული გამოცდილება და საერთაშორისო თანამშრომლობა.

ზოგადად, მითითებული კონგრესები მოუწოდებდნენ გაეროს წევრ ქვეყნებს, კონცენტრაცია ტრანსნაციონალური დანაშაულობის პრევენციის პრაქტიკულ ზომებზე მოქმედინათ; უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გაემახვილებინათ დამნაშავეთა გადაცემისა და მათი გამოაშკარავების საკითხებში დახმარებაზე, აგრეთვე დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გამოვლენის საკითხებზე.

დამნაშავეთა გადაცემის საკითხების გადაწყვეტისას რეკომენდაცია მიეცა სახელმწიფოებს შორის მაქსიმალურად ფართო თანამშრომლობის პრინციპს. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მარტო ბრალდებულების, არამედ ასევე დაზარალებულების ინტერესები.

ზემოაღნიშნული და სხვა რეკომენდაციების გათვალისწინებით, კონგრესებმა გაეროს წევრ სახელმწიფოებს მიმართეს მოწოდებით, განეახლებინათ შიგა

კანონმდებლობა „ახალი მოვლენებისა და ტენდენციების გათვალისწინებით“. კონგრესებმა აგრეთვე რეკომენდაცია გაუწიეს „კომპლექსური ქვედანაყოფების“ შექმნას, რომლებიც თავიანთი პროფესიული თვისებებით და სპეციალიზაციის შესაბამისად შეძლებენ ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების გავლენის ქვეშ მყოფი კომერციული ქსელების გამოვლენას.

კორუფციას, მექრთამეობას, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას კონგრესები განიხილავენ დანაშაულებად, რომლებსაც ძალუმთ გასცდნენ ეროვნულ ფარგლებს და კვებონ ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები. ამიტომ ისინი აღნიშნული სახის დანაშაულთან ბრძოლაში საერთაშორისო თანამშრომლობისკენ მოუწოდებენ.

ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლაში უდიდეს როლს ასრულებს მისი ინფორმაციული უზრუნველყოფა. ამასთან დაკავშირებით კონგრესები სთავაზობენ დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიას, შეისწავლოს „დანაშაულის პრეგნციისა და სისხლის სამართლის სფეროში მოქმედი შიგასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესახებ ინფორმაციის პერიოდული შეკრებისა და გავრცელების კომპლექსური სისტემის შექმნის თაობაზე გენერალური მდივნისადმი მიმართვის საკითხი“. კონგრესები მოუწოდებენ სახელმწიფოებს, თანამშრომლობის ძირითადი საკითხების შეთანხმების, დამნაშავეთა გადაცემის და ურთიერთდახმარების სხვა საკითხების შეთანხმების მიზნით წარმოადგინონ შესაბამისი მონაცემები.

კომისიისთვის გენერალური მდივნის სანქციით აგრეთვე შეთავაზებული იქნა უზრუნველყოფა მჭიდრო თანამშრომლობისა იმ ორგანოებთან (პირველ რიგში, გაეროს სისტემაში არსებულებთან), რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ტრანსნაციონალურ დანაშაულთან მიზანმიმართულ ბრძოლას. ამ ორგანოებში იგულისხმება ადამიანის უფლებათა ცენტრი, ნარკოტიკების საერთაშორისო კონტროლის და დანაშაულის თავიდან აცილების გაეროს პროგრამა, სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ინტერპოლი) და სხვ.

კონგრესების მუშაობაში მნიშნელოვანი ადგილი უკავია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ტერორისტულ დანაშაულთან კავშირის

პრობლემას. კონგრესები ყურადღებას აქცევენ ტერორიზმის განსაკუთრებულ საშიშროებას ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების და დემოკრატიის ხელყოფის კუთხით, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას და უსაფრთხოებას, მათ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

ამ კუთხით საკითხის შემდგომი დამუშავების და ეფექტიანი ზომების მიღების მიზნით კონგრესმა კომისიას რამდენიმე კონკრეტული წინადადება მიაწოდა. კერძოდ, მან კომისიას შესთავაზა, გაეროს კომპეტენტური ორგანოებისთვის, ინსტიტუტებისთვის და დანაშაულის პრევენციის ცენტრებისთვის მიემართა თხოვნით, შეეგროვებინათ ინფორმაცია ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ტერორიზმის კავშირის შესახებ და ამ კავშირის შესასწავლად.

ასევე შეთავაზებულ იქნა ღია შემადგენლობის სახელმწიფოთაშორისი ჯგუფის დაფუძნება, რომელიც შეძლებდა ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის ზომების შემუშავებასა და განხილვას, ტერორიზმთან მისი კავშირის გათვალისწინებით.

კონგრესები დამოუკიდებელი პრობლემის სახით განიხილავენ ტრანსნაციონალურ დანაშაულთან კავშირის მქონე იარაღის ბრუნვის რეგულირებას. ამასთანავე, აღნიშნულია, რომ, ვინაიდან ცეცხლსასროლი იარაღის გადაცემის საერთაშორისო გარიგებების მოცულობა და მასშტაბები იზრდება, ხოლო უკანონო ტრანსნაციონალური ვაჭრობა სულ უფრო იხვეწება, „არც ერთი სახელმწიფო არ არის დაზღვეული ცეცხლსასროლი იარაღის სუსტი საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული რეგულირებისგან სხვა სახელმწიფოებში“.

მსოფლიო საზოგადოების ამ ტრანსნაციონალური საფრთხის გათვალისწინებით, კონგრესები სთავაზობენ გაეროს წევრ სახელმწიფოებს, მიიღონ ეფექტიანი ზომები ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ, თანამშრომლობის, ინფორმაციის გაცვლის და სამართალდამცავი საქმიანობის კოორდინაციის საფუძველზე.

კონგრესმა კომისიას გაუგზავნა თხოვნა, დაუყოვნებლივ განეხილა ცეცხლსასროლი იარაღის ბრუნვის მარეგულირებელი ზომები, აგრეთვე გაეროს გენერალური მდივნისთვის მიემართა თხოვნით, წარმოედგინა მისთვის მოხსენება კონგრესების რეზოლუციების განხორციელების თაობაზე და რეკომენდაციები შემდგომი შეთანხმებული მოქმედებების შესახებ, „დეკლარაციის მომზადების შესახებ წევრი ქვეყნების აზრის გამოკითხვის შესაძლებლობის ჩათვლით“.

გაეროს მე-9–მე-12 კონგრესების მუშაობამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა დღის წესრიგი და ის პრობლემები, რომლებიც განხილულ იქნა კომისიის სესიებზე (18). ამ სესიებზე განხილული საკითხებიდან ტრანსნაციონალური დანაშაულობის პრობლემასთან უშუალო კავშირი აქვს შემდეგ საკითხებს: 1) ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულსა და ტერორისტულ დანაშაულს შორის კავშირი; 2) კორუფციასთან ბრძოლა; 3) უკანონო მიგრანტების კონტრაბანდულ გაყვანასთან ბრძოლის ზომები; 4) დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებთან ბრძოლა (323; 338; 337; 344; 330; 320; 340).

გაეროს დანაშაულის თავიდან აცილების კონგრესების მიერ საკმაოდ ბევრი ქვეყნის წარმომადგენლობებიდან მიღებული და გაანალიზებული პასუხების შეჯამებით შეიძლება შემდეგი დებულებების გამოყოფა:

1. ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის და ტერორისტული დანაშაულის სიმბიოზის წინააღმდეგ მიმართული პრევენცია (22). აღინიშნება საზოგადოებრივი საფრთხის და ტერორისტული აქტების შემაშფოთებელი შედეგიანობის ზრდის ტენდენცია. რეალური ხდება აგრეთვე იმის საფრთხე, რომ ასაფეთქებელ საშუალებებს ტერორისტებმა შეიძლება დაამატონ ზოგიერთი რადიოაქტიური მასალა, რომლებსაც ძალუძო ათეულობით წლის განმავლობაში რადიაციით დააბინძურონ და მწყობრიდან გამოიყვანონ სამთავრობო შენობები, სავაჭრო ცენტრები და ა.შ. ტერორისტული ჯგუფები და ორგანიზებული გაერთიანებები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობის მოტივაციაში: პირველი პოლიტიკური, იდეოლოგიური ან რელიგიური მიზნების მიღწევისკენ ისწრაფვიან, ხოლო მეორეთა მთავარი მოტივი მატერიალური გამდიდრებაა. სწორედ აქედან გამოდინარეობს განსხვავება დანაშაულის შესრულების „მანერაში“: ტერორისტები იმისკენ მიისწავლიან, რომ მათი შეხედულებები და მიზნები

ცნობილი გახდეს საზოგადოებისთვის. ისინი დაინტერესებული არიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან კონტაქტით. დანაშაულის დიდი რეზონანსი, ფართომასშტაბიანი დაშინება მათვის დადებითი ეფექტია.

ორგანიზებული გაერთიანებები კი, პირიქით, საიდუმლოდ სჩადიან ტრანსნაციონალურ დანაშაულს, ხოლო მალადობა, რომელსაც ისინი მიმართავენ, განიხილება, როგორც ეფექტიანი, მაგრამ იძულებითი საშუალება. გარდა ამისა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი გაერთიანებები, ტერორისტული ჯგუფებისგან განსხვავებით, მსხვერპლთან ურთიერთობას ისე აგებენ, რომ ექსპლუატაციას უწევენ მას, მაგრამ დაღუპვამდე არ მიჰყავთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ გვაქვს ერთგვარი სიმბიოზი დანაშაულებრივი გაერთიანებისა მათ მიერ ექსლუატირებულ ლეგალური საზოგადოების წარმომადგენლებთან.

ტერორიზმის თანამედროვე მდგომარეობის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ფაქტია მისი სტრუქტურული ცვლილებები: ტერორისტული აქტების სამოტივაციო სტრუქტურაში მცირდება მემარცხენე იდეოლოგიურ მოძრაობასთან დაკავშირებული მოტივების წილი და იზრდება რელიგიური (ფსევდორელიგიური) და ეთნიკური მოტივების წილი (55).

კომისიამ გააანალიზა სახელმწიფოთა მიერ გაკეთებული შეფასებები ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ტერორიზმთან კავშირის შესახებ. კომისიის მიერ გაანალიზებული პასუხები დაიყო. ზოგიერთმა სახელმწიფომ (არგენტინა, კატარი, თურქეთი და სხვა) მთლიანობაში აღნიშნა დანაშაულთა ამ კატეგორიათა შორის სოციალური კავშირის არსებობა და ამა თუ იმ ხარისხით გამოხატა ორივე ჯგუფის დანაშაულთა ერთობლივად განხილვისთვის მზადყოფნა მათთან ბრძოლის საკითხების საერთაშორისო დონეზე შემუშავებით. რამდენადმე განსხვავებული პოზიცია დაიკავა ქვეყნების დიდმა ჯგუფმა (უმთავრესად – ევროპის ქვეყნები და აშშ). ეს ქვეყნები არ არიან დარწმუნებული ტერორისტულ დანაშაულებსა და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს შორის მჭიდრო რეგულარული კავშირების არსებობაში, თუმცა სრულიად არ გამორიცხავენ მას, განსაკუთრებით ტერორიზმისა და ნარკობიზნების კავშირს. ზოგიერთმა ქვეყანამ (საფრანგეთი, იაპონია) გამოთქვა საკმაოდ კონკრეტული აზრი ტერორიზმისა და

ორგანიზებული დანაშაულის აღრევის შესახებ და მიზანშეუწონლად მიიჩნია დანაშაულთა ამ ორი კატეგორიის მიმართ საერთო პროფილაქტიკური ზომების მიღების საკითხის განხილვა.

თანამედროვე საერთაშორისო ინიციატივების მიმოხილვებში კომისია საგანგებო ყურადღებას უთმობს გაეროს მე-8 კონგრესის რეკომენდაციებს, ტერორისტული ძალადობის პრევენციის მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის ზომების შემუშავებასა და გავრცელებას.

2. ტრანსნაციონალური ეკონომიკური და კორუფციული დანაშაულობის პრევენცია (17). თავის სხდომებზე კომისიამ არსებითად გააგრძელა სახელმწიფოთა შენიშვნებისა და წინადადებების განხილვა ქვეყნის თანამდებობის პირთა ქცევის საერთაშორისო კოდექსის პროექტის ხაზით, რომელიც მომზადებულ იქნა გაეროს ბოლო ოთხი კონგრესის რეზოლუციების შესაბამისად. ამ მიმართულებით ასევე გამოითქვა აზრი, რომ განსახილველი კოდექსის ეფექტიანობა შეიძლება საკმარისი იყოს იმ შემთხვევაში, თუ ის შეეხამება სხვა საორგანიზაციო დონისძიებების სისტემას, როგორებიცაა დასაქმების სამართლიანი პროცედურები, პროფესიული მომზადება, თანამდებობის პირთა სათანადო ანაზღაურება და სხვ. კომისიის მასალებში წარმოდგენილია ასევე კორუფციასთან ბრძოლის ბოლოდროინდელი ინიციატივების მიმოხილვა. ამ მიმოხილვის გაცნობა გვაფიქრებინებს, რომ კორუფციასთან საერთაშორისო ბრძოლის ინიციირება ხდება არა სამართალდამცავი ორგანოების, არამედ ძირითადად საერთაშორისო ორგანოების მიერ, რომელთაოვისაც ამ ბოროტებისთვის წინააღმდეგობის გაწევა არის არა იმდენად პრესტიჟის, არამედ გადარჩენის საკითხი, აგრეთვე ნორმალური ფუნქციონირების პირობა.

ამ მიმართულებით ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში საქმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო შესყიდვების სისტემების სრულყოფის სახელმძღვანელოები. ასევე დიდია საერთაშორისო კომერციული გარიგებების განხორციელების დროს მექრთამეობის პრობლემაზე მუშაობის დარგში სამუშაო ჯგუფის წვლილი. ეს ორგანიზაცია 1994 წელს დაფუძნდა. ევროპის საბჭოს სამართლებრივ საკითხთა სამმართველოში შეიქმნა კორუფციის პრობლემების შემსწავლელი მრავალდისციპლინური ჯგუფი, რომლებიც შეიძლებოდა შესულიყო საერთაშორისო დონეზე კორუფციასთან ბრძოლის

ზომების პროგრამაში. შემდგომ ასეთი პროგრამა საბოლოოდ დამუშავდა და განხილულ იქნა კორუფციასთან ბრძოლის კონვენციის პროექტი. არანაკლებ როლს ასრულებს დოკუმენტი კორუფციის პრაქტიკისა და „ფულის გათეორების“ შესახებ საბანკო ოპერაციების კონტექსტში, რომელიც მომზადებულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის იურიდიული განყოფილების მიერ. 2010-2011 წლებში ამ პრობლემებზე არაურთი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა.

როგორც ანალიზიდან ჩანს, კორუფციასთან ბრძოლის ორგანიზების გამოცდილება შესაძლებელია ქვეყნების ეროვნულ საზღვრებს გამცდარი კორუფციის პრევენციის მიზნით წარმატებით გამოიყენონ სახელმწიფო, მათ შორის, სამართალდამცავმა და კომერციულმა ორგანოებმა და ორგანიზაციებმა (4).

3. ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის და მიგრანტების კონტრაბანდული გადაყვანის სიმბიოზის წინააღმდეგ მიმართული პრევენცია (68) ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა გაეროს მე-9 კონგრესი. ერთ-ერთ რეზოლუციაში, რომელიც ეხებოდა ქალების მიმართ ძალადობის აღმოფხვრას, გაეროს წევრებისთვის შეთავაზებულ იქნა ისეთი დანაშაულებისთვის სისხლის სამართლის დევნის გზების შესწავლა, როგორებიცაა ადამიანებით ვაჭრობა, პროსტიტუციისათვის ექსპლუატაცია და სხვ. მითითებული საკითხები კომისიამ მიგრანტების კონტრაბანდული გადაყვანის უფრო ფართო კონტექსტში განიხილა. იმ სახელმწიფოთა პასუხების საფუძველზე, რომლებიც აღნიშნულ პრობლემატიკას შეეხნენ, გაეროს სისტემის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, აგრეთვე ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის სფეროში ინიციატივების ანალიზის საფუძველზე კომისიამ მოამზადა მესამე მოხსენება.

ამ პრობლემის ირგვლივ გაეროს ფარგლებში მიღებულ უახლეს გადაწყვეტილებებს შორის უნდა გამოვყოთ გენერალური ასამბლეის არაურთი რეზოლუცია, რომლებიც ეხება მშრომელ მიგრანტ ქალთა მიმართ ძალადობის, ქალებითა და გოგონებით ვაჭრობის საკითხს. ამ კუთხით საინტერესოა გენერალური ასამბლეის ინიციატივა საკოორდინაციო ცენტრის შესახებ, რომელიც მოამზადებდა მოხსენებას და წინადადებებს საერთაშორისო მიგრაციის საკითხის განხილვის გზებისა და საშუალებების შესახებ.

ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სისხლის სამართლისა და მიგრაციის პროცესების რეგულირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სხვა სფეროებში ზოგიერთი სახელმწიფოს ინიციატივების ანალიზს. აღნიშნულ ანალიზს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფისთვისაც, ვინაიდან მითითებული პროცესების დარეგულირებისა და თანმდევი მოვლენების მასში არსებული სარვეზები სულ უფრო საგრძნობი ხდება.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ საბერძნებოს კანონი უცხოეთის მოქალაქეების ქვეყანაში შემოსვლა-გასვლის, იქ ყოფნის, დასაქმების პირობებისა და დეპორტაციის შესახებ დაწვრილებით ახდენს მოსახლეობის სამიგრაციო გადაადგილებასთან დაკავშირებული ყველა დებულების რეგლამენტირებას. ამასთანავე, იმ პირებისთვის, რომლებიც მიგრანტების კონტრაბანდული შემოყვანით არიან დაკავებული, გათვალისწინებულია ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. პორტუგალიის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, უკანონო მიგრაციის ხელშეწყობა გამორჩენის მოტივით ისჯება სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ხოლო როდესაც აღნიშნულ ქმედებებს სჩადის ადამიანთა ჯგუფი, ორგანიზაცია ან ასოციაცია, სასჯელი შესაძლებელია რვა წლამდე გაიზარდოს. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში მოტყუების გზით პირთა ქვეყანაში უკანონო შემოსვლის ხელშეწყობა ექვემდებარება შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთას. ზოგიერთ ქვეყანაში საქმაოდ ეფექტიანი გამოდგა არალეგალური მიგრაციის პრევენციის პოლიციური საორგანიზაციო ზომები – სასაზღვრო პოლიციის, პოლიციის სპეციალურობების შექმნა, კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების დანერგვა და ა. შ.

4. ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის და დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციის სიმბიოზის წინააღმდეგ მიმართული პრევენცია (58). მნიშვნელოვან მოქენტებს შორის, რომლებიც რესპონდენტი სახელმწიფოების პასუხებში აისახა, გამოიყოფა დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის ნეგატიური როლი ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის განვითარებაში. ამასთან დაკავშირებით, იმ საერთაშორისო დოკუმენტების რიცხვში, რომლებითაც ფულის გათეთრებასთან ბრძოლის კანონმდებლობის ეფექტიანობის ამაღლების

მოსურნე სახელმწიფოები ხელმძღვანელობენ, ყველაზე ხშირად მოიხსენიება 1988 წლის დეკლარაცია დანაშაულებრივი გზით მიღებულ შემოსავლებთან ბრძოლაში და მსხვილი განვითარებული ქვეყნების მიერ დაფუძნებული ფინანსური მექანიზმების მიზნობრივი ჯგუფის მიერ მიღებული 40 რეკომენდაცია. ასეთ არსებით მომენტებს ასევე მიეკუთვნება თვით ფულის გათეთრების მოვლენის მეტი საკანონმდებლო სტრუქტურირება და კონკრეტიზაცია. დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციასთან ბრძოლის მნიშვნელოვანი მომენტია დაზარალებულთა ინტერესების დაცვა. განსაკუთრებით აქტუალურია და დანაშაულის აღნიშნული სახეობის პრევენციის მექანიზმი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო თანამშრომლობას.

ფულის გათეთრებასთან ბრძოლაში სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქმიანი პრესტიჟითა და საიმედოობით დაინტერესებული საბანკო და კომერციული სტრუქტურების ინიციატივები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეროვნული კანონმდებლობის ადაპტირებას დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციასთან ბრძოლის მოთხოვნებთან. ამ მიმართულებით საზღვარგარეთის ქვეყნებში დიდი გამოცდილებაა დაგროვილი. ასე, ავსტრალიაში აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად გამოყენებულ იქნა საერთოსისტემური მიდგომა. მისი ფუნდამენტი გახდა კანონი დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებთან ბრძოლის შესახებ და კანონი ფინანსურ გარიგებებზე ანგარიშგების შესახებ. კანონმდებლობა უზრუნველყოფს შესაძლებლობების ფართო სფეროს: მატერიალური სანქციების გამოყენება, აქტივების გაყინვა, კონფისკაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება. 1991 წელს ქვეყანაში დაარსდა ჩამორთმეული აქტივების მიზნობრივი ფონდი, რომლის დახმარებით, ბიუჯეტის გამოუყენებლად, შესაძლებელია პროფილაქტიკური და პოლიციური ხასიათის დონისძიებების დაფინანსება. კანადის სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა იგება დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებთან ბრძოლის შესახებ კანონის შესაბამისად, რომელიც საკმარის უფლებამოსილებას იძლევა. სასჯელის მაქსიმალური ვადაა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც რუსეთის კანონმდებლობას (რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 174-ე მუხლი) ეხმაურება. 1994

წლის სექტემბერში კანადაში ამოქმედდა კანონი ჩამორთმეული ქონების მართვის წესის შესახებ, რომლის შესაბამისად, კანადის სამართალდამცავ ორგანოებს შეუძლიათ ჩამორთმეული აქტივების წილი დანაშაულთან ბრძოლის საჭიროებისთვის განკარგონ.

გერმანიაში ახალი კანონმდებლობით სისხლის სამართლის ქმედებადაა მიჩნეული ზოგიერთი სახის დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებულ აქტივებზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ორგანოების ხელმისაწვდომობის შეფერხება ან გაძნელება. დანაშაულის მიმანიშნებელი ქონების ადგილმდებარეობის დადგენის, კონფისკაციის ან დაყადაღებისთვის დაბრკოლების შექმნა ასევე დანაშაულია.

იტალიის კანონმდებლობა საგანგებო ადგილს უთმობს უკანონო შემოსავლების მიღების თავიდან აცილების ზომებს. კანონი ნოტარიუსებს და ქალაქის კლერკებს ავალდებულებს პოლიციის ადგილობრივი ზემდგომი ორგანოსთვის კომპანიების სახსრებისა და აქციების მოძრაობის, აგრეთვე კომერციული ლიცენზიების გაცემის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ბანკებს და ფინანსურ შუამავლებს ევალებათ, შეატყობინონ პოლიციის ორგანოებს ყველა საეჭვო გარიგების შესახებ, რაც ამ ბანკებს ათავისუფლებს სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციული სანქციებისგან.

გაერთიანებულ სამეფოში ასევე გათვალისწინებულია უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის პრევენციისკენ მიმართული მნიშვნელოვანი საორგანიზაციო და საკანონმდებლო სიახლეები. ასე, საძიებო და პროფილაქტიკური დონისძიებების გატარების მიზნით ფულის გათეთრების საეჭვო ოპერაციების შესახებ ფინანსური და სხვა წყაროებიდან ინფორმაციის მისაღებად და გასავრცელებლად შექმნილია დიდი ბრიტანეთის ეროვნული სამსახური ფინანსური გამოძიებების დარგში.

მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში გრანსინაციონალურ ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლაში შეიძლება აღმოვაჩინოთ არაერთი სამართლებრივი კურიოზი. ასე, მექსიკაში ცნება „ქონების კონფისკაცია“ აკრძალულია კონსტიტუციით, ხოლო ესპანეთში არ არსებობს ცნება „გათეთრება“. მაგრამ ამ ქვეყნებშიც ნაპოვნია

დანაშაულებრივი გზით მიღებულ შემოსავლებთან ბრძოლის ეფექტიანი კანონიერი გზები.

#### თავი IV

##### ტრანსნაციონალური დანაშაულობის ძირითადი ეკონომიკური ფორმების პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები

###### §1. ფულის გათეთრების პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები

1.1 განვიხილოთ საერთაშორისო ინიციატივები ფულის გათეთრების სფეროში. ეს ინიციატივები განვითარებული იყო გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიებზე (341). მათ საფუძველი ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იან წლებში ჩაეყარა.

1994 წლის 25 ივნისის 1994/13 რეზოლუციაში ეკონომიკური და სოციალური საბჭო გაეროს გენერალურ მდივანს სთხოვდა, დაემყარებინა და გაეგრძელებინა მჭიდრო თანამშრომლობა წევრ ქვეყნებთან, სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციებთან და სხვა დაწესებულებებთან, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გამოყენებასთან ბრძოლაში, ინფორმაციის რეგულარული გაცვლის ჩათვლით.

საბჭო გენერალურ მდივანს ასევე სთხოვდა, დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიისთვის მე-5 სესიაზე წარედგინა მოხსენება დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული ფულის გათეთრების თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის მიზნებისათვის საერთაშორისო, რეგიონული და სხვა ინიციატივების შესახებ, გლობალურ დონეზე შემდგომი შეთანხმებული მოქმედებების თაობაზე რეკომენდაციების ჩათვლით, აგრეთვე დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული შემოსავლების გამოყენებასთან ბრძოლის შესახებ საბჭოს 1993 წლის 27 ივნისის 1993/30 რეზოლუციის განხორციელების თაობაზე.

უნდა გვახსოვდეს, რომ 1995 წლის 24 ივლისის 1995/11 რეზოლუციაში საბჭომ შესთავაზა კომისიას ორგანიზებული ტრანსნაციონალური დანაშაულის შესახებ მინისტრების დონეზე ნეაპოლში (იტალია) 1994 წლის 21–23 ნოემბერს გამართული მსოფლიო კონფერენციის მიერ მიღებული ნეაპოლის პოლიტიკური დეკლარაციის და მოქმედებათა გლობალური გეგმის (A/49/748, დანართი, კარი I. A) განხორციელების მსვლელობისთვის თვალყურის დევნება და მისი სრული განხორციელების უზრუნველყოფა. იმავე რეზოლუციაში საბჭო სთხოვდა გენერალურ მდივანს სხვა საერთაშორისო, გლობალურ და რეგიონულ ორგანიზაციებთან და მექანიზმებთან თანამშრომლობისკენ მისწრაფებას და ერთობლივ ძალისხმევას, რომლებიც აქტიურ როლს ასრულებენ ფულის გათეთრებასთან ბრძოლაში, ამ სფეროში ზოგადი მარეგულირებელი და სამართალდამცავი სტრატეგიების გამყარების მიზნით.

აღნიშნული საკითხები განხილულ იქნა დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიის მე-19 სესიაზე ვენაში (2010 წლის 17-21 მაისი) (336).

ზემოხსენებული რეზოლუციების შესრულების მიზნით გენერალურმა მდივანმა მთავრობებს შესთავაზა, სამდივნოსთვის წარედგინათ ინფორმაცია, რომელიც ეხება, კერძოდ, ინიციატივებს დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული შემოსავლების თავიდან აცილებისა და ასეთ შემოსავლებთან ბრძოლის თაობაზე.

მრავალ ქვეყანაში ფულის გათეთრება სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთანაა დაკავშირებული.

ზოგიერთმა მთავრობამ საზღახმით აღნიშნა მაღალგანვითარებული მრეწველობის მქონე უმსხვილესი ქვეყნების – „შვიდთა ჯგუფის“ – და ევროპის თანამეგობრობათა კომისიის თავმჯდომარის მიერ დაფუძნებული ფინანსური მექანიზმების მიზნობრივი ჯგუფის მიერ მიღებული 40 რეკომენდაციის, როგორც ფულის გათეთრებასთან ეფექტიანი და ქმედითი ბრძოლის საკვანძო მექანიზმის, მნიშვნელობა. სხვა ქვეყნებმა აღნიშნეს ახალი კანონმდებლობის ამოქმედების ეფექტიანობა, რომელიც ითვალისწინებს ყველა დანაშაულებრივი საქმიანობიდან

მიღებული შემოსავლების კონფისკაციას, და ამ ჩამორთმებული სახსრების სამართალდამცავი ორგანოების დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან ბრძოლის საქმიანობის დაფინანსებისთვის გამოყენების შესაძლებლობა.

რესპონდენტი სახელმწიფოების უმრავლესობამ აღნიშნა კომპლექსური და კოორდინირებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის სისტემის შექმნის დიდი მნიშვნელობა, აგრეთვე საერთაშორისო ფინანსური, მარეგულირებული და სამართლებრივი რეჟიმების შეთანხმების აუცილებლობა მძიმე დანაშაულთა ჩადენის გზით მოპოვებული შემოსავლების გათეთრებასთან ბრძოლის მიზნებისათვის.

1988 წელს „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის (ე. წ. ვენის კონვენცია) მიღებით არა მარტო პირველი მტკიცე ნაბიჯი გადაიდგა საერთაშორისო საზოგადოების ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლისთვის მობილიზაციის საქმეში, არამედ მან შექმნა ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების განსაზღვრის საშუალება. კონვენცია ავალდებულებს თავის მონაწილეებს, ამ სამართალდარღვევებს მიანიჭონ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულების კვალიფიკაცია, რომელთა ჩადენისთვისაც სასჯელის მკაცრი ზომები უნდა იყოს გათვალისწინებული, ხოლო მათ ჩადენაში ბრალდებულები გადაცემას უნდა ექვემდებარებოდნენ. კონვენცია შეიცავს მოწოდებას იდენტიფიკაციისა და თვალყურის დევნების მექანიზმის შექმნისკენ, აგრეთვე საბანკო, ფინანსური ან კომერციული ანგარიშების არსებობის უზრუნველმყოფი პროცედურების შემუშავებისკენ; ამასთანავე, სახელმწიფოებს ეკრძალებათ საბანკო ოპერაციების საიდუმლოების დაცვის მიზეზით შესაბამისი ზომების მიღებაზე უარის თქმა (342).

ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ზომების შესწავლის მიზნით შეიქმნა ფინანსური მექანიზმების მიზნობრივი ჯგუფი. 1995 წლის ნოემბრის მდგომარეობით, ამ ჯგუფის წევრი იყო 26 სახელმწიფო ან ტერიტორია, ევროპის საბჭო და სპარსეთის უურის არაბულ სახელმწიფოთა თანამშრომლობის საბჭო – მსოფლიოს უმსხვილესი ფინანსური ცენტრები. ფინანსური მექანიზმების მიზნობრივი ჯგუფის 40-მა რეკომენდაციამ განამტკიცა და შეავსო 1988 წლის

კონვენციის დებულებები და საბანკო საქმიანობისა და კონტროლის მეთოდების ბაზების კომიტეტის მიერ 1988 წელს მიღებული პრინციპები, რომლებიც, კერძოდ, ეხებოდა ფინანსური სისტემისა და სამართალდამცავი ორგანოების მომავალ ურთიერთქმედებას საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში.

90-იან წლებში ფინანსური მექანიზმების მიზნობრივმა ჯგუფმა დაასრულა ურთიერთშეფასებების პირველი რაუნდი, რომლებიც ეხებოდა მისი წევრების მიერ 40 რეკომენდაციის შესრულების საქმეში მიღწეულ პროგრესს. ამავე პერიოდში დაიწყო ასეთი შეფასებების მეორე რაუნდი, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ჯგუფის თითოეული წევრის მიერ მიღებული ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ზომების პრაქტიკაში განხორციელების ეფექტიანობას. ჯგუფის საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფულის გათეთრებასთან ბრძოლის მიზნით ეროვნული სამართლებრივი სისტემების სრულყოფის აუცილებლობას, ფინანსური სისტემის როლის გაზრდას, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებას. ფინანსური მექანიზმების მიზნობრივმა ჯგუფმა დააფუძნა ავსტრალიის სამდივნო აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში შესაბამისი დონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით. გარდა ამისა, პრობლემური ადგილების გამოვლენის მიზნით, რომლებიც აადგილებს ფულის გათეთრების ოპერაციების განხორციელებას, ფინანსური მექანიზმების მიზნობრივი ჯგუფი განაგრძობს მსოფლიო ფინანსური ნაკადების, საბანკო და ფინანსური სისტემების და ფულის გათეთრების მეთოდების ანალიზს.

ფინანსური მექანიზმების მიზნობრივი ჯგუფის კოორდინაციის მექანიზმის კონტექსტში, რომელიც აერთიანებს დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული ფულის გათეთრების თავიდან აცილების და მასთან ბრძოლის საკითხებით დაკავებულ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული იმ სფეროების განსაზღვრაში, რომლებშიც შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა უფრო ეფექტიანი იქნებოდა. ამასთან დაკავშირებით აშკარა გახდა, რომ ერთ-ერთი სფერო, რომელშიც აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობა, არის დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული შემოსავლების გათეთრების და ასეთი შემოსავლების გამოყენების თავიდან აცილების ეროვნული ზომების შესახებ უტყუარი ინფორმაციის შეგროვება. ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების სტანდარტული ფორმა შეიმუშავა სისხლის სამართლის პოლიციის

საერთაშორისო ორგანიზაციამ, ერების თანამეგობრობისა და სხვა  
საერთაშორისო ორგანიზაციების მსარდაჭერით (49). 2010-2012 წლებში  
საფუძველი ჩაეყარა ამ სტანდარტული ფორმის გაფართოებას.

ამერიკის სახელმწიფოთა უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რომელიც 1995 წელს  
მაიამიში გაიმართა, რეგიონის ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა  
მეთაურებმა აღიარეს, რომ ფულის გათეთრება სერიოზული საფრთხეა ამ  
ნახევარსფეროში წესრიგის შენარჩუნებისთვის, მთავრობათა საიმედოობისა და  
სტაბილურობისთვის და შესაძლებელია ემუქრებოდეს მთავრობების, ფინანსური  
და კომერციული სისტემების მოლიანობას, საიმედოობასა და სტაბილურობას (7;  
9).

დასახული დონისძიებების ისტორია მეტად საყურადღებოა. ჯერ კიდევ ფულის  
გათეთრების პრობლემების შესახებ კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა  
მინისტრების დონეზე, ამერიკის სახელმწიფოთა უმაღლესი დონის შეხვედრის  
ფარგლებში, ბუენოს-აირესში, 1995 წლის 30 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით,  
მიღებულ იქნა დასავლეთ ნახევარსფეროს გეგმა და პრინციპების დეკლარაცია.  
კონფერენციის კომუნიკეში შეტანილ იქნა სტანდარტები და პრინციპები,  
რომლებიც ეხებოდა გამჭვირვალობის, კონტროლის და ფულის გათეთრების  
ადგვეთის პრაქტიკული ზომების გამოყენების გაუმჯობესებას. გარდა ამისა, ამ  
კომუნიკეში შეტანილ იქნა პრინციპების დეკლარაცია, რომელშიც მონაწილეობმა  
გამოხატეს თანხმობა, დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული  
შემოსავლების გათეთრებისთვის სისხლის სამართლის დანაშაულის  
კვალიფიკაცია მიეცათ. დეკლარაცია ზოგადად აღწერდა იმ სამართლებრივ,  
მარეგულირებელ და სამართალდამცავ ზომებს, რომელთა მიღებაც საჭიროა  
დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან ბრძოლის მიზნით.

კონფერენციაზე მიღწეულ იქნა იმის გაგება, რომ ფულის გათეთრება – ეს არის  
პრობლემა, რომელიც სცდება ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ფარგლებს და  
დაკავშირებულია ტრანსნაციონალური დანაშაულის სხვა სახეობებთან და რომ  
ფულის გათეთრება არის არა მარტო მართლწესრიგის უზრუნველყოფის, არამედ  
ასევე ფინანსური და ეკონომიკური საკითხი, რომელიც კოორდინირებულ,  
ერთობლივ მიღვომას მოითხოვს. ამის გარდა, სახელმწიფოები შეთანხმდნენ,  
ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ამერიკული კონვენციის განხილვის მიზნით

დაეფუძნებინათ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის სამუშაო ჯგუფი. მიღებული კომუნიკე ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენებასთან ბრძოლის ამერიკული კომისიის მეშვეობით განხორციელდება.

ამ მიმართულებით გაერთიანებული ქრების ორგანიზაციის ეგიდით გაიმართა შემდეგი კონფერენციები, რომლებიც ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ეფექტიანი ზომების შემოღების აუცილებლობასთან იყო დაკავშირებული:

- ფულის გათეთრებისა და დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გამოყენების თავიდან აცილების და მათთან ბრძოლის შესახებ საერთაშორისო კონფერენცია „გლობალური მიდგომა“;
- ორგანიზებული ტრანსნაციონალური დანაშაულის შესახებ მსოფლიო კონფერენცია მინისტრების დონეზე;
- გაეროს დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევებისადმი მოპყრობის მე-9 კონგრესი;
- რეგიონული სემინარ-პრაქტიკუმი მინისტრების დონეზე, შემდგომი საქმიანობის საკითხებზე, ორგანიზებული ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ნეაპოლის პოლიტიკურ დეკლარაციასთან და მოქმედებათა გლობალურ გეგმასთან დაკავშირებით და ა.შ.

მსოფლიოს ყველაზე თვალსაჩინო სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა, რომელიც XX საუკუნის ბოლო ათწლეულში აღინიშნა, არის გლობალიზაცია. ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სიახლეების პირობებში მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკური სივრცე ამჟამად სერიოზულ სტრუქტურულ ცვლილებებს განიცდის. სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევის შეზღუდვის პროცესები, ახალი ტექნოლოგიები, მიღწევები კავშირის საშუალებების სფეროში და ფართო ეკონომიკური ზონების შექმნა, აგრეთვე ბაზრების ლიბერალიზაცია შესამჩნევ გავლენას ახდენს განვითარების პროცესზე და არის კატალიზატორი წარმადობის შესამჩნევი ზრდის და მოგების მიღების ახალი შესაძლებლობების გაჩენისა არა მარტო ლეგალური ეკონომიკის, არამედ ასევე ორგანიზებული დანაშაულის ფარგლებში, რომელიც ლეგალური ეკონომიკის პარალელურად არსებობს და მისგან თავის წილ მოგებას იღებს (57. 61-67; 187. 46-51).

თავისუფალი ვაჭრობის სფეროში შეთანხმებების და სავაჭრო და ეკონომიკური ზონების შექმნის შესახებ რეგიონული შეთანხმებების შესრულებას, რომლებიც სცდება სახელმწიფო საზღვრების ფარგლებს, შეუძლია გაზარდოს საერთაშორისო ვაჭრობის, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაციების შემოსავლების გათეთრების მექნიზმის, გამოყენება. ამ ზონების ფარგლებში სასაზღვრო და სხვა საბაჟო ბარიერების ლიბერალიზაციის, საბანკო პროცედურების ლიბერალიზაციის და მოქმედების თავისუფლების შედეგები სამომავლოდ დამატებით პოტენციურ საფრთხეს ქმნის. ამ ტენდენციების შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ მათთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმ დამლუპველი შედეგების გათვალისწინება, რომლებიც მათ შეიძლება მოუტანონ მცირე, დამოკიდებულ, განსაკუთრებით – განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკებს.

კორუფციის ძლიერი ბერკეტების მქონე ტრანსნაციონალურმა დანაშაულებრივმა ორგანიზაციებმა ღრმად გაიდგეს ფესვი პრივატიზაციის პროგრამებში. ისინი შეუდგნენ ადრე სახელმწიფოს კუთვნილი ბანკების, ფინანსური დაწესებულებების, კავშირის დაწესებულებების და მომსახურების სფეროს საწარმოების შეძენას. მოულოდნელად მათ დაქვემდებარებაში შეიძლება აღმოჩნდეს – თუ დაუყოვნებლივ არ იქნება მიღებული ეფექტიანი ზომები – არა მარტო აქტივები, არამედ მთელი ქვეყნები.

მრავალმა მსხვილმა ფინანსურმა ცენტრმა მიიღო კანონმდებლობა ნარკოტიკებთან დაკავშირებული ფულის გათეთრების აღკვეთის მიზნით. მაგრამ კიდევ უამრავ მნიშვნელოვან ფინანსურ ცენტრს ჯერ არ მიუღია აუცილებელი კანონმდებლობა და არ მოუხდენია კონვენციის რატიფიცირება. გარდა ამისა, არსებობს დიდი კითხვა, უპასუხებს თუ არა მრავალი სახელმწიფოს მიერ მიღებული, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ კანონები ახლანდელ მოთხოვნებს, ფულის გათეთრების პრაქტიკაში ბოლოდროინდელი ცვლილებების, საბანკო საქმეში გამოყენებული ახალი ტექნოლოგიების და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ორგანიზებული ტრანსნაციონალური დანაშაულის მრავალფეროვნებისა და მოქნილობის და მისი სხვა, უფრო მოგებიანი სფეროების ოპერაციებზე გადართვის უნარის გათვალისწინებით.

ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები სულ უფრო ხშირად ხდებიან ისეთი სისტემების განუყოფელი ნაწილი, რომელთა ფარგლებშიც ჭარბობს ფულის გათეთრება. მათი შემოსავლის უამრავი წყარო აღრმავებს სიძნელეებს, რომლებიც თან ახლავს სავალუტო გარიგებების დაკავშირებას ერთ პრედიკატულ დანაშაულთან, როგორიცაა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა. ამავე დროს, სულ უფრო მეტი ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფება დაკავებულია არა უშუალოდ თავიანთი შემოსავლების გათეთრებით ან კონფერტაციით, არამედ ყველაზე ხშირად მიმართავს ფულადი ბაზრის პროფესიონალ ბროკერებს. ასეთი ბროკერები ინტენსიურად იგონებენ ისეთ ეფექტიან სისტემებს, რომლებიც კონტროლის, აღმოჩენის და ანგარიშგების წარდგენის ჩვეული მექანიზმებისთვის თავის არიდების საშუალებას იძლევა.

იმისათვის, რომ გავიგოთ, რა არის ფულის გათეთრება, რომელიც ამჟამად მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, აუცილებელია განვიხილოთ ფული, როგორც საქონელი. ფულადი ბაზრის ბროკერები, სანდო ინვესტიციების პორტფელის მფლობელების მსგავსად, რომელშიც აუცილებლად შედის აქციები, ობლიგაციები და სხვა ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტები, თავიანთი აქტივების დივერსიფიკაციას ახდენენ. ფულის გათეთრების ინდუსტრიას, ისევე, როგორც დანაშაულებრივ ქმედებებს, რომელიც მას საფუძვლად უდევს, არ აქვს საზღვარი. ეს გლობალიზაცია, ვალუტის გადარიცხვის ტექნოლოგიების განვითარების დაჩქარებისა და გამარტივების კვალობაზე, სულ უფრო გაფართოვდება. ცოტა მთავრობას თუ აქვს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც ასეთი გარიგებების განხორციელების შემთხვევაში მათი გამოაშკარავებისა და თვალყურის დევნების ამოცანებს უპასუხებს. ზარალის გარდა, რომელსაც ფინანსურ დაწესებულებებს ფულის გათეთრების ოპერაციების ხელშემწყობი თანამშრომლები აყენებენ, ფინანსური დაწესებულებების დაუცველობა ყველაზე მეტად საკორესპონდენტო საბანკო კავშირების და სახსრების ელექტრონული გადარიცხვების კონტექსტში ვლინდება (271. 55-77).

ფულის გათეთრების პროცესის დაწყებისა და ინტეგრაციის ეტაპებზე სულ უფრო დახვეწილ მეთოდებს იყენებენ. ამჟამად ნაღდი ფული ინახება შეკვრებად ან ვალუტის გადამცვლელი პუნქტების და სხვა არასაბანკო ფინანსური დაწესებულებების მეშვეობით გარკვეულ ფინანსურ სისტემაში ბანდდება. ნაღდი

ფულის მოძრაობა ხორციელდება არა მარტო სატელეგრაფო გადარიცხვებით, არამედ ასევე უთვალავი კანონიერი და არაკანონიერი ფინანსური ინსტრუმენტის (აკრედიტივების, ობლიგაციების და სხვა ფასიანი ქაღალდების, პირველი კლასის საბანკო ბილეთების და გარანტიების ჩათვლით) საშუალებით, მსოფლიო ფინანსური სისტემის ბენეფიციარების სტატუსის ან ინსტრუმენტის ნამდვილობის შემოწმების მრავალი ელემენტის პოტენციალის პარალელური გაზრდის გარეშე (36. 139-161; 203. 174-194).

შეშფოთებას იწვევს ახალი საბანკო პრაქტიკა, მაგალითად, პირდაპირ ხელმისაწვდომი საბანკო ოპერაციები, რაც კლიენტებს აძლევს საშუალებას, გარიგებები უშუალოდ თავიანთი ანგარიშებიდან, ბანკის მიერ შეთავაზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით გააფორმონ. ეს სისტემა ზღუდავს ბანკის შესაძლებლობას, აკონტროლოს ანგარიშებზე წარმოებული ისეთი ოპერაციები, როგორებიცაა ერთობლივ ანგარიშებთან დაკავშირებული გარიგებები და გამჭოლი საბანკო ოპერაციების სისტემები, რომლებიც სხვადასხვა დონის გავლის ტრადიციული მეთოდია. ფულის მფლობელ- ბენეფიციარს ბანკის მუშაკთა მხრიდან რაიმე კონტროლის განხორციელების გარეშე შეუძლია საბოლოო მიმღების სახით ცრუმაგიერი პირი გამოიყენოს. გამჭოლი საბანკო ოპერაციები უკვე თავისთავად უამრავ პრობლემას უქმნის მაკონტროლებლებს, რადგან ახლა მეანაბრეებს შესაძლებლობა აქვთ, ანგარიშების შიგნით ცალმხრივად გახსნან ანგარიშები, ან ავტონომიურ კლიენტებს კვაზისაბანკო მომსახურებაც კი გაუწიონ, ბანკის შიგნით არსებული ბანკის მსგავსად. ამ ახალ საბანკო მომსახურებებს შეუძლია შეზღუდოს მოქმედი სისტემების სარგებლიანობა, რომლებიც შესაძლებელს ხდის სახსრების პირველადი მფლობელისა და მიმღების შესახებ ინფორმაციის გაუზვას ფულის ელექტრონულად გადარიცხვის დროს (133. 1-127; 175. 63-76; 278. 320-327).

მსოფლიოს ქვეყნების უმეტეს ნაწილში არასაბანკო ფინანსური სისტემების საქმიანობის რეგულირება კვლავ უკიდურესად არათანაბრად ხორციელდება, განსაკუთრებით – ნადდი ფულის განთავსების სტადიაზე. არასაბანკო ფინანსური დაწესებულებების წრე ძალზე ფართოა; მათ რიცხვს განეკუთვნება გალუტის გადამცვლელი პუნქტები, ჩეკების განაღდების სამსახურები, სადაზღვევო კომპანიები, პირები, რომლებიც გირაოში დებენ უძრავ ქონებას,

ბროკერები, იმპორტიორები, ექსპორტიორები, საგაჭრო კომპანიები, ოქროთი და ძვირფასი ლითონებით მოგაჭრენი, კაზინოები, სწრაფი მიწოდების სერვისები, ფულის მოძრაობის სხვადასხვა სირთულისა და სიმძლავრის სხვა არხები, აგრეთვე იატაკებები საბანკო სტრუქტურები.

კონტროლის ზომები ძალზე რთულდება სატელეგრაფო გადარიცხვების ახალი, დამოუკიდებელი სამსახურების შექმნის შედეგად. ზოგიერთი მათგანი ბანკების მცირე ჯგუფებს ემსახურება. ეკონომიკური მაჩვენებლების ანგარიშები, როგორც წესი, არ ასახავს ფინანსურ სისტემაში გადარიცხული ფულადი სახსრების მოცულობას, რადგან ამგვარი გარიგებები იმაზეა გათვლილი, რომ ისინი არ მოხვდება ადმინისტრაციული კონტროლის და სხვაგვარი ანგარიშგების სფეროში.

ელექტრონული არხების დანერგვა, რომლებიც ამჟამად აკავშირებს ბანკებს და არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებებს მთელ მსოფლიოში და რომლებიც მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ მსოფლიო ვაჭრობისა და ფინანსური მომსახურების გაფართოებას, ბანკებს მფლობელი-ბენეფიციარების ვინაობისა და მათი სახსრების წყაროების დადგენის კუთხით კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს. ელექტრონული გადარიცხვების კონტროლის ზომები არ არის ბევრი. ეს პრობლემა იმითაც ღრმავდება, რომ ბანკები და არასაბანკო დაწესებულებები სულ უფრო ხშირად განლაგებულია მსხვილი ფინანსური ცენტრების საზღვრების გარეთ, იმ იურისდიქციის მოქმედების სფეროში, რომელიც არ ითვალისწინებს ფულის გათეთრებასთან და სხვა ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლის სათანადო ზომებს.

ელექტრონულ სისტემაში ფინანსური გარიგებების შესრულება მიკროპროცესორიანი საკრედიტო ბარათებისა და ინტერნეტის ქსელის საშუალებით სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს გადახდების ეროვნულ და საერთაშორისო სისტემებში. მიკროპროცესორების მეშვეობით განხორციელებული ეს ელექტრონული კიბერგადახდები საკმაოდ სწრაფი ტექნიკით ვითარდება. შესაძლებელია კიბერგადახდებმა მალე შეავსონ ძირითადი საგადახდო საშუალებების რიგები, როგორებიცაა ვალუტა, ჩეკები, საკრედიტო ბარათები, სადებეტო ბარათები და ავტომატიზებული უნაღდო გადარიცხვები, რომლებიც ამჟამად გამოიყენება შენაძენების განსახორციელებლად.

ახალი კიბერგადახდების განმასხვავებელი ერთ-ერთი შნიშვნელოვანი ნიშანი ისაა, რომ მათი განხორციელებისას გამოიყენება ვალუტის ახალი ფორმა – კიბერვალუტა, რომელიც ქაღალდის ფულის ელექტრონული შემცვლელი უნდა გახდეს. კიბერვალუტას ჩვეულებრივი ფულის ყველა ატრიბუტი და თავისებურება აქვს: ის არის „ლირებულების შენარჩუნების“, მიმოქცევის, გამოანგარიშების საშუალება; ამას ემატება ანონიმურობა და გამოყენების სიმარტივე. ამასთანავე, მისთვის დამახასიათებელია სხვა თავისებურებებიც, კერძოდ: გადარიცხვის სისწრაფე (თითქმის მომენტალური გადარიცხვები ერთი ადგილიდან მეორეზე) და ქაღალდის ფულის და გადახდის სხვა ფიზიკური საშუალებების ელექტრონულით შეცვლა. ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია დარწმუნებით ვისაუბროთ გადახდების მექანიზმის ახალ დანამატზე, მაგრამ ეს დანამატი დიდ ყურადღებას მოითხოვს, რადგან მიკროპროცესორებისა და კავშირის ელექტრონული საშუალებების გამოყენება სამართალდამცავ ორგანოებს ახალ პრობლემებს უქმნის (244. 202-214).

ანგარიშგების საკითხების მარეგულირებელი წესები ძირფესვიანად უნდა შეაცვალოს, რათა ისინი ითვალისწინებდეს ანგარიშგებას ვალუტის სხვა ქვეყნებში ელექტრონული ფორმით, ინტერნეტით ან მიკროპროცესორიანი საკრედიტო ბარათის ან ელექტრონული საგადახდო მოწყობილობის საშუალებით გადარიცხვასთან მიმართებით. ამ სფეროში სამართალდამცავ ორგანოებს შესაძლებელია ისეთი პრობლემები შეექმნათ, როგორებიცაა თაღლითობა, ყალბი ფულის დამზადება, კომპიუტერული „მეკობრეობა“. გარდა ამისა, საერთაშორისო ფულადი გადარიცხვების განხორციელების მაღალი სიჩქარე, რომელიც კიბერგადახდების ტექნოლოგიის ერთ-ერთი ელემენტია, ართულებს სამართალდამცავი ორგანოების ამოცანას კრიმინალური საქმიანობისთვის თვალყურის დევნების და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვიდან მიღებული შემოსავლების ამოღების კუთხით (203. 48-61).

მარეგულირებელი ორგანოების თანამშრომლები, ფულის გათეთრების საქმეთა გამომძიებლები და საერთაშორისო დირექტიული ორგანოები უზარმაზარ სიძნელეებს აწყდებიან საბანკო ოპერაციების სამყაროში, რომლებსაც არა მარტო გეოგრაფიული საზღვრები არ აქვს და მთელი დღე-დამის განმავლობაში ხორციელდება, არამედ სულ უფრო ურთიერთდაკავშირებული ხდება, ვინაიდან

მსხვილი ტრანსნაციონალური ბანკები ოპერაციებს ახორციელებენ როგორც თავიანთი განყოფილებების და დამხმარე ქსელების, ისე საკორესპონდენტო კავშირების საშუალებით, რომლებიც მთელ მსოფლიოს მოიცავს (211. 334-352).

პრობლემაა არა უმსხვილესი ბანკების რიცხვის ზრდა, მათი დომინანტური მდგომარეობა ან მათი ქსელების გაფართოება, არამედ ის, დაცულია თუ არა კეთილსინდისიერი ზედამხედველობის სტანდარტები საკორესპონდენტო საბანკო კავშირების ამ ფართოდ განტოტილი ქსელის ნებისმიერ მონაკვეთზე. ფინანსური მომსახურების გაწევის აქტიური სექტორების ფორმირება ყველა ქვეყანაში, რომლებიც ყველაზე თანამედროვე დონეზე ელექტრონული სისტემების საშუალებით შეიძლება გახდნენ საბანკო საქმის ორგანიზების აქტიური ელემენტები, როგორც არასდროს მანამდე, დაბეჯითებით მოითხოვს წარმოშობის ბანკებში გარიგებების აკრძალვას. საჭიროა, რომ ახლანდელი პოლიტიკის – „იცნობდე შენს კლიენტს“ – სფერო მოიცავდეს ფინანსური გარიგებების უმრავლესობას მათი განხორციელების ადგილზე.

მზარდ შეშფოთებას იწვევს ოფშორული ბანკების საქმიანობის რეგულირება. ოპერაციების აბსოლუტური საიდუმლოების გარანტია მრავალ ზონაში, სადაც ასეთ ბანკებზე ლიცენზიებს გასცემენ, მათ უკანონო შემოსავლების მოძრაობასთან და დამალებასთან ან დაგროვებასთან დაკავშირებული მანიპულაციების შესრულების შესაძლებლობას აძლევს. მათი საქმიანობის რეგულირება კვლავ ბევრ კითხვას აჩენს (114. 299-314).

საგანგებო ყურადღებას მოითხოვს ასევე შემდეგი პრობლემები:

- ყალბი ფულის და სხვა ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტების, კერძოდ, ობლიგაციების დამზადება; კონტრაბანდის ბუმი; ბანკებისა და სხვა ფინანსური დაწესებულებების საჭირო დანაშაულებრივი დაჯგუფებების მიერ შეძენა; დანაშაულებრივი ელემენტების მიერ წვრილი, სუსტად კონტროლირებადი ბანკების გამოყენება (112. 867-880; 146. 1321-1327).
- ნაღდი ფულით ოპერაციებისთვის ისეთი სიახლეების დახვეწილი გამოყენება, როგორებიცაა პირდაპირი ხელმისაწვდომობა და გამჭოლი საბანკო ოპერაციები, აგრეთვე ელექტრონული სისტემები. ფინანსური სახის დანაშაული და ფულის გათეთრება მეტ-ნაკლები რეგულარულობით მრავალი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ხდება. ზოგიერთი მთავრობა ჯერ კიდევ არ ანიჭებს ფულის

გათეთრების ყველა სახეობას სისხლის სამართლის დანაშაულის კვალიფიკაციას. ზოგ მთავრობას ცენტრალური ბანკისთვის და სხვა დაწესებულებებისთვის საქმარისი მარეგულირებელი უფლებამოსილებები არ მიუნიჭებია; ბევრ მთავრობას არ აქვს სათანადო საინფორმაციო სისტემები მათ ტერიტორიებზე გამოყენებული ტენდენციებსა და მეთოდებზე დასაკვირვებლად და ბევრსაც არ მიუღია კანონის დებულებები ერთმანეთისთვის სამართლებრივი დახმარების გაწევის თაობაზე (235. 977-984).

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ფულის გათეთრება ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია, რადგან დანაშაულებრივ ორგანიზაციებს უკანონო გზით მოპოვებული შემოსავლების გამოსაყენებლად ვარგის რესურსად ქცევა ესაჭიროებათ. შემოსავლი, რომლის დახარჯვაც შეუძლებელია, შემოსავლად არ ითვლება. ამგვარად, აუცილებელია სათანადო ყურადღებით მიუდგეთ პრობლემის ამ ასპექტს, კომპლექსური და დაბალანსებული მიდგომიდან გამომდინარე. მრავალ საერთაშორისო ფორუმზე ფართოდ განიხილებოდა ფულის გათეთრების გამომწვევ დანაშაულთა კატეგორიისთვის (რომელთა ჩადენაც, როგორც წესი, კონფისკაციას ითვალისწინებს) არა მარტო ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულთა, არამედ სხვა მძიმე დანაშაულთა მიერთვნების საკითხები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პრედიკატული დანაშაული ფულის გათეთრების განუყოფელი ნაწილია და ბრალის წაყენებისთვის აუცილებელი იქნება პრედიკატული დანაშაულის ჩადენის ფაქტის დამტკიცება.

სამართლებრივ სისტემებში, სადაც კონფისკაცია მხოლოდ დანაშაულთა კონკრეტულ სახეობებთან დაკავშირებითაა დაშვებული, პრედიკატულ დანაშაულთა კატეგორიის მაქსიმალურად შესაძლო გაფართოება უკანონო შემოსავლების ამოღების საქმაოდ ეფექტიანი საშუალება იქნება, მაშინ, როცა იმ სისტემებში, სადაც კონფისკაცია ზოგადად ყველა სახის დანაშაულთან დაკავშირებითაა დაშვებული, პრედიკატულ დანაშაულთა კატეგორიის გაფართოება არ არის სასიცოცხლოდ აუცილებელი, რადგან უკანონო შემოსავლების ეფექტიანი ამოღება უკვე პრედიკატული დანაშაულის გულმოდგინე გამოძიების საფუძველზეა შესაძლებელი.

გარდა ამისა, უკანონო შემოსავლების ამოღების პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია დანაშაულის მსხვერპლთა ინტერესების გათვალისწინება. ვინაიდან ნარკოტიკების ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულების შეთხევაში დაზარალებულები, როგორც წესი, არ არსებობენ, უკანონო შემოსავლების მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ამოღებამ სერიოზული პრობლემები არ უნდა შექმნას. მაგრამ რაც შეეხება სხვა დანაშაულებს, როგორებიცაა თაღლითობა და გამომძალველობა, დაზარალებულთა ინტერესები სასტიკად იქნება ხელყოფილი, თუ ამოღებული ქონებით მხოლოდ სახელმწიფო ისარგებლებს. ამიტომ მოცემულ სფეროში კანონმდებლობის მიღებისას მიზანშეწონილია განვიხილოთ ისეთი სისტემის შექმნის საკითხი, რომლის დახმარებითაც სახელმწიფო შეძლებდა ჩამორთმეული აქტივების დაზარალებულთა შორის განაწილებას. ასეთი აქტივების განაწილება შეიძლებოდა მხოლოდ საბრალდებო აქტში მოხსენიებული დაზარალებულებით შემოფარგლულიყო (170. 261-268).

სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ასევე მარეგულირებელი დებულებების მიღებას, რომლებიც ადმინისტრაციული და პრევენციული ზომების გზით უკანონო შემოსავლების ფლობისა და დამალვის აღკვეთის საშუალებას იძლევა. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია განვიხილოთ ფინანსური დაწესებულებების საქმიანობის კონტროლის ადმინისტრაციული ზომები.

12. ფულის გათეორების კონტროლი აშშ-ში. აშშ-ში დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციასთან ბრძოლის სამართლებრივ ბაზას შეადგენს საკანონმდებლო აქტების ორი დონე – ფედერალური აქტები და შტატების კანონები.

ფედერალური კანონების რიცხვს განეკუთვნება „The Bank Records and Foreign Transaction Reporting Act“ (საბანკო ჩანაწერებისა და საერთაშორისო ოპერაციებზე ანგარიშგების აქტი), რომელიც ასევე ცნობილია სახელით „Bank Secrecy Act“ (BSA) (აქტი საბანკო საიდუმლოების შესახებ), და კანონი ფულის „გათეორებასთან“ ბრძოლის შესახებ (1986).

„Bank Secrecy Act“-მა დაადგინა ნორმები, რომლებიც ეხება დოკუმენტაციას და ანგარიშგებას კერძო პირებისთვის, ბანკებისთვის და სხვა ფინანსური

დაწესებულებებისთვის. აღნიშნული ნორმების მიღების მიზეზი იყო მისწრაფება, სამართალდამცავ ორგანოებს სხვადასხვა ქვეყნის მიერ მიღებული საბანკო საიდუმლოების შესახებ კანონების შედეგად გაჩენილი პრობლემების გადაჭრაში დახმარებოდნენ. BSA კანონი ხელს უწყობს ამერიკული ვალუტის და ქვეყანაში შემოტანილი ან გატანილი ანდა ფინანსურ დაწესებულებებში განთავსებული სხვა ფინანსური ინსტრუმენტების წყაროების, მოცულობისა და მოძრაობის დადგენას. ეს კანონი ასევე არეგულირებს მიღებული ინფორმაციის სისხლის სამართლის, საგადასახადო და სხვა სამართალდარღვევების გამოძიებისთვის გამოყენებას.

კანონი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი, რომელიც განზოგადებულია „United States Code“-ს (USC) (აშშ-ის კოდექსი) მე-12 კარში, მოითხოვს, რომ ბანკები და სხვა ფინანსური დაწესებულებები გარკვეულ დოკუმენტაციას ხეთი წლის განმავლობაში ინახავდნენ. მეორე ნაწილი, რომელიც განზოგადებულია USC-ის 31-ე კარში, ავალდებულებს კერძო პირებს, ბანკებს და სხვა ფინანსურ ორგანიზაციებს ანგარიშგებას გარკვეულ შიგა და საერთაშორისო ოპერაციებზე (რომლებიც 10 ათას დოლარს აჭარბებს).

ქვეყანაში შემოტანილი და გატანილი ანდა ამერიკულ ბანკებში და სხვა ფინანსურ დაწესებულებებში შეტანილი ან გატანილი ფულადი ინსტრუმენტები თავისთავად არც კონტროლირებადია და არც უკანონო. მაგრამ თვით ფაქტი თანხის გადატანისა, რომლის ეკვივალენტი 10 ათას დოლარს აღემატება, დეკლარირებული უნდა იქნეს საბაჟოზე შემდეგი ფორმით: „A Report of International Transportation of Currency or Monetary Instruments“ (CMIR) (ანგარიში ვალუტის ან ფულადი ინსტრუმენტების საერთაშორისო გადაადგილების შესახებ).

შიდა ბანკებში და სხვა ფინანსურ დაწესებულებებში 10 ათას დოლარზე მეტი თანხის გაცვლა, გატანა, შეტანა ან გადარიცხვა დეკლარირებული უნდა იქნეს Internal Revenue Service-ში (IRS) (საგასადახადო სამმართველო, ან შიგა შემოსავლების სამსახური) შემდეგი ფორმით: „A Currency Transaction Report“ (CTR) (ანგარიში საგალუტო ოპერაციების შესახებ). ის პირები და ორგანიზაციები, რომლებიც თავს არიდებენ ამ მოთხოვნების შესრულებას, შესაძლებელია

მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის და სამოქალაქო პასუხისმგებაში, თავად ფონდები კი კი კონფისკებულ იქნეს.

ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს ბანკში ხელმოწერის უფლება, და პირები, რომლებიც სხვა ქვეყნებში აკონტროლებენ ფასიან ქაღალდებს ან ანგარიშებს, რომელთა საერთო მოცულობა ერთი კალენდარული წლის განმავლობაში 10 ათას დოლარზე მეტია, ვალდებული არიან წარადგინონ ანგარიში „A Report of Foreign Bank and Financial Account“ (FBAR) (ანგარიში უცხოურ ბანკებში არსებული ფინანსური ანგარიშების შესახებ). ეს ანგარიში წარედგინება ხაზინას 30 ივნისის ჩათვლით.

და ბოლოს, 1986 წლიდან საცალოდ მოვაჭრე საწარმოები და კერძო პირები ვალდებული არიან შეავსონ ფორმა „Reports of Cash Payments over \$ 10,000 Received in a Trade or Business (IRS Form 8300)“ (ანგარიში ვაჭრობისა და ბიზნესის შედეგად მიღებული, 10 ათას დოლარზე მეტი ნაღდი ფულით წარმოებული გადახდების შესახებ) და გაუგზავნონ იგი IRS-ს.

„ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ“ აშშ-ის კანონმა დაადგინა ზოგი სხვა ზომაც, რომლებიც აუცილებელია დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციასთან ეფექტიანი ბრძოლისათვის. კანონმა ფულის „გათეთრებასთან“ დაკავშირებული მოქმედებების კრიმინალიზაცია მოახდინა. ამ ნორმატიული აქტის შესაბამისად, ფინანსური ოპერაცია ფულის გათეთრებად განიხილება, თუ პირმა იცის, რომ ასეთ ოპერაციაში გამოყენებულ სახსრებს უკანონო შემოსავლები მოაქვს, ან თუ ეს პირი ახორციელებს ამ ფინანსურ საქმიანობას, ან:

1. განზრას უწყობს ხელს ასეთ უკანონო საქმიანობას.
2. იცის, რომ ფინანსური ოპერაცია ხორციელდება შემოსავლების ნამდვილი ხასიათის, წყაროს, ადგილმდებარეობის, ფლობის ან განკარგვის დამალვის ან დაფარვის მიზნით.
3. იცის, რომ ოპერაციის ჩატარება აუცილებელია ოპერაციის შესახებ ანგარიშის წარდგენის შესახებ კანონის მოთხოვნების შესრულებისთვის თავის ასარიდებლად.

საგადახდო დოკუმენტების გადატანა, გადაგზავნა, გაგზავნა ასევე ფულის „გათეთრებად“ ითვლება. კანონში მითითებულია, რომ გადატანა დანაშაულია, თუ პირს ერთი ქვეყნიდან მეორეში უკანონოდ გადააქვს ფულად-საკრედიტო დოკუმენტი, ან:

1. განზრას უწყობს ხელს ასეთ უკანონო საქმიანობას.
2. იცის, რომ ასეთი დოკუმენტი უზრუნველყოფს უკანონო შემოსავლების მიღებას.
3. იცის, რომ ასეთი გადატანა აუცილებელია შემოსავლების ნამდვილი ხასიათის, ადგილმდებარეობის, წყაროს, ფლობის ან განკარგვის დამალვის ან დაფარვის მიზნით.
4. იცის, რომ გადატანა ოპერაციის შესახებ ანგარიშის წარდგენის ნაწილში კანონის მოთხოვნების შესრულებისთვის თავის ასარიდებლად ხორციელდება. მის შესაბამისად, ბანკები ვალდებული არიან შეატყობინონ სამართალდამცავ ორგანოებს 5 ათას დოლარის ზემოთ (ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებზე – 3 ათასი დოლარის ზემოთ) წარმოებული ყველა საეჭვო გარიგების შესახებ. ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციაში დაწვრილებით არის აღწერილი გარიგების „საეჭვოობის“ ნიშნები და ბანკის მოსამსახურის მოქმედებათა პროცედურა განსახილველ შემთხვევებში. მითითებული წესების დარღვევისთვის სასჯელი ასეთია: მსხვილი ჯარიმები, სამსახურიდან განთავისუფლება ან, განზრახი ქმედებების შემთხვევაში, – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა ფულის „გათეთრებაში“ მონაწილეობისთვის.

სავალდებულო მოთხოვნაა, ყოველ საბანკო დაწესებულებას პქონდეს ფულის „გათეთრებასთან“ ბრძოლის სპეციალური პროგრამა.

კანონით შემოღებული ანგარიშგების სისტემა ფულის „გათეთრების“ მითითებული ეტაპებისთვის თვალყურის დევნების საშუალებას იძლევა.

ამერიკის შეერთებული შტატები განუხრელად მისდევს საერთაშორისო კოორდინაციისა და თანამშრომლობის კურსს ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლაში, რითაც დამნაშავე ელემენტებს ართმევს მათი დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გამოყენების უფლებას და კანონით დანაშაულად აცხადებს ზომებს, რომლებიც მიიღება ყველა მძიმე დანაშაულის

ჩადენის შედეგად მოპოვებული შემოსავლების დაფარვის ან გათეთრების მიზნით.

ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაჩნია, რომ კანონმდებლობა, რომელიც დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების კონფისკაციას ითვალისწინებს, უნდა გაერთიანდეს სხვა ზომებთან, რომლებიც განეკუთვნება საერთაშორისო დანაშაულთან, კერძოდ, ორგანიზებულ ტრანსნაციონალურ დანაშაულთან, ბრძოლის ზომებს. დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიერ უკანონოდ შეძენილი აქტივების დაყადაღება და კონფისკაცია და ამ ჩამორთმებული აქტივების შემდგომი დაბანდება დანაშაულებრივი ორგანიზაციის ლიკვიდაციის სამართალდამცავი ზომების განსახორციელებლად ცალკეული სამართალდამრღვევების სასამართლო დევნის შემადგენელი მნიშვნელოვანი ელემენტია.

ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, იმ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, რომლებიც დანაშაულებრივ ორგანიზაციებს ეხება, ამუხრუჭებს დამნაშავეთა ეფექტიან სასამართლო დევნას და ზღუდავს მართლწესრიგის დაცვის შიგასახელმწიფოებრივი, ასევე საერთაშორისო ზომების ქმედითობას. როგორც მითითებულია კურმაიერში (იტალია) 1994 წლის 18-20 ივნისს გამართული ფულის გათეთრებისა და დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გამოყენების თავიდან აცილების და მათთან ბრძოლის შესახებ საერთაშორისო კონფერენციის „გლობალური მიდგომა“ მოხსენებაში (E/CONF. 88/7), სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ სახელმწიფოების ხელთ იყოს სხვადასხვა ნორმა და მეთოდი ყველა სახის დანაშაულის, მათ შორის, ფულის გათეთრებისა და უკანონო გზით მიღებული სახსრების გათეთრების მიზნით ვინმესთან შეკვრის, გამოძიებისა და სასამართლო დევნის განსახორციელებლად.

ამერიკის შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და სხვა გლობალური და რეგიონული ინიციატივების ძალისხმევას, რომლებიც მიმართულია საერთაშორისო ფინანსური, მარეგულირებელი დ სამართლებრივი რეჟიმების გაძლიერებისკენ, რითაც უზრუნველყოფს უფრო ეფექტიან ბრძოლას მძიმე დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული შემოსავლების გათეთრებასთან. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული

შტატები მოუწოდებს სახელმწიფოებს, მიიღონ და განახორციელონ ასეთი ზომები, და მხარს უჭერს დაწესებულებების შექმნას საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ კანონების გვერდის ავლის სულ უფრო დახვეწილ მცდელობათა აღკვეთაში შემდგომი დახმარების გაწევის მიზნით (39; 62; 43).

2006 წლიდან აშშ-ში რეგულარულად იმართება კონგრესები, რომლებიც ეხება გადასახადების გადახდის სისტემის გამჯვირვალობას (32; 200. 397-402; 300. 33-47; 321).

1.3. ფულის გათეთრების კონტროლი ამერიკის კონტინენტის ქვეყნებში. კანადაში უკანონო ფულის ყველაზე მსხვილ წყაროდ მიჩნეულია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა, მაგრამ „ჭუჭყიანი“ ფული მოიპოვება ასევე სხვა დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის გზით, როგორებიცაა თაღლითობა, ყალბი ფულის დამზადება და კონტრაბანდა. ფულის გათეთრება ხორციელდება ბანკების მეშვეობით, კაპიტალის უძრავ ქონებაში, ძვირფას ლითონებში, ნედლეულ მასალებში, დაზღვევაში, ფასიან ქაღალდებში ჩადების გზით და უცხოური ვალუტის შეძენის ხარჯზე, აგრეთვე ფართო საერთაშორისო ფინანსური ქსელის გამოყენებით. კანადის მთავრობის მიერ შექმნილია ფულის გათეთრებასთან ბრძოლის საკონსულტაციო კომიტეტი, რომლის წევრებიც არიან სახელმწიფო და კერძო სექტორების წარმომადგენლები და რომელიც მოწოდებულია გააკონტროლოს იმ ზომების შესრულება, რომლებსაც იღებს კანადა ფულის გათეთრებასთან საბრძოლველად, და შეიმუშაოს რეკომენდაციები ამ ზომების სრულყოფისთვის.

კანადაში მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ეხება დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს, ფედერალური მთავრობის ექსკლუზიურ ადმინისტრირებაში იმყოფება და ასახულია სისხლის სამართლის კოდექსში, სასურსათო საქონლისა და სამკურნალო პრეპარატების შესახებ კანონში, ნარკოტიკული საშუალებების კონტროლის შესახებ კანონში და დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებთან ბრძოლის შესახებ კანონში. დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებთან ბრძოლის შესახებ კანონში განსაზღვრულია ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული დანაშაულის ორი კატეგორია, კერძოდ: ნარკოტიკებთან

დაკავშირებული განზრახი დანაშაული და უკანონო მეწარმეობასთან  
დაკავშირებული დანაშაული. ქანონი ითვალისწინებს დანაშაულებრივი  
საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მოძიებას, დაყადაღებას და  
კონფისკაციას. სისხლის სამართლის წესით კონფისკაციის მექანიზმი  
განპირობებულია საქმეზე გასამართლებით. კონფისკაციის შესახებ  
გადაწყვეტილება მიიღება ბრალდებულისთვის განაჩენის გამოტანის სტადიაზე  
და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ეჭვის გონივრული საფუძვლების  
არარსებობისას დაადგენს, რომ შესაბამისი ქონება დანაშაულებრივი  
საქმიანობიდან მიღებული შემოსავალია. კანონი ასევე ითვალისწინებს  
შესაძლებლობას სასამართლო განხილვისა დანაშაულებრივი საქმიანობის  
შედეგად შეძენილ ქონებასთან მიმართებით, ბრალდებულის დაუსწრებლად და  
საბრალდებო დასკვნის ოქმი შეტანის გარეშე – საქმის კონკრეტული  
წინასწარი გარემოებების დადგენის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევებში  
ბრალდებული შეიძლება კანადის საზღვრების გარეთ იმყოფებოდეს, თუმცა  
დამტკიცებულობის სტანდარტული კრიტერიუმები კვლავ იმას ემყარება, რომ  
დამტკიცებულობა მიღწეულია ეჭვის გონივრული საფუძვლების არარსებობისას.

დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალში იგულისხმება  
ნებისმიერი ქონება, სარგებელი ან მოგება კანადის ტერიტორიაზე და მისი  
ფარგლების გარეთ, რომელიც შეძენილია ან მიღებულია პირადად ან ირიბად: ა)  
კანადაში ისეთი სამართალდარღვევების ჩადენის შედეგად, როგორიცაა  
დანაშაულებრივი სამეწარმეო საქმიანობა ან ნარკოტიკებთან დაკავშირებული  
განზრახი დანაშაული, ან ბ) მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად, სადაც არ  
უნდა ყოფილიყო, რომელიც, თუ კანადაში იქნებოდა ჩადენილი, დანაშაულებრივ  
სამეწარმეო საქმიანობად ან ნარკოტიკებთან დაკავშირებულ განზრახ  
დანაშაულად ჩაითვლებოდა. ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული  
დანაშაულის ჩადენას შეიძლება მოჰყვეს სისხლისსამართლებრივი დევნა  
მოცემულ ქმედებაში ბრალდების გამო; ამასთანავე, სასჯელის მაქსიმალური  
ზომა ითვალისწინებს 10 წლით თავისუფლების ადგვეთას ან გასამართლებას  
ჯამური წარმოების წესით (სასჯელის მაქსიმალური ზომაა თავისუფლების  
ადგვეთა ექვსი თვის ვადით) ან ჯარიმას 2000 კანადური დოლარის ოდენობით,  
ან ორივეს ერთად.

დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებთან ბრძოლის შესახებ კანონი ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური მომსახურების სექტორში ანგარიშგების შესახებ, რათა გაადვილებული იყოს გამოძიება და სასამართლო დეკნა სამართალდარღვევებისთვის. მისი დებულებების თანახმად, ასეთი მოთხოვნების დარღვევა ან შეუსრულებლობა დანაშაულად განიხილება. ეს კანონი ფინანსურ დაწესებულებებს ავალდებულებს, აწარმოონ ანგარიშგება ნადდი ფულით წარმოებული მსხვილი გარიგებების შესახებ, როდესაც გარიგებების ოდენობა შეადგენს 10000 კანადურ დოლარს და მეტს და როდესაც მათ ერთი და იმავე დღის განმავლობაში ერთი და იგივე პირისთვის ერთი და იგივე პირები ახორციელებენ. გარდა ამისა, საჭიროა ფინანსურ დაწესებულებასთან გარიგების განმახორციელებელ პირთა ვინაობის შემოწმება, მიუხედავად იმისა, ეს პირები თავიანთი სახელით მოქმედებენ თუ რომელიმე სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლების სახით. კანადის ბანკები და სხვა ფინანსური დაწესებულებები ვალდებული არიან, როგორც წესი, უზრუნველყონ კლიენტებთან მუშაობის პროცესში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა; მაგრამ, დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებთან ბრძოლის შესახებ კანონის დებულებების თანახმად, მათ შეუძლიათ შეატყობინონ ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული საეჭვო ოპერაციების შესახებ, ისე, რომ ასეთი შეტყობინების გამო სამოქალაქო ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების არ ეშინოდეთ.

კანადის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სასამართლო ორგანოს სანქციით კერძო სიტყვიერი შეტყობინებებისა და კავშირის არხებით მიღებული შეტყობინებების დაცვისა და ხელში ჩაგდების მექანიზმს. გამოძიების მიზნით სასამართლოებს უფლება აქვთ, გასცენ სანქცია, რათა განხორციელდეს დაკვირვება ელექტრონული ვიდეოსაშუალებების მეშვეობით, საუბრების სატელეფონო კავშირით მოსმენა აკრეფილი ტელეფონის ნომრების ჩაწერის მოწყობილობის გამოყენებით, ასევე თვალთვალი ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით.

კანადაში ასევე მოქმედებს კანონი ჩამორთმეული ქონების მართვის წესის შესახებ. ის ითვალისწინებს კანადის მთავრობის შემადგენლობაში ისეთი სტრუქტურის შექმნას, რომლის საშუალებითაც ის შეძლებს ადგილობრივ და საერთაშორისო სამართალდამცავ დაწესებულებებთან თანამშრომლობას ისეთ

საკითხებში, როგორებიცაა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული, ჩამორთმეული ქონების ადგილსამყოფლის გამოვლენა, დაყადაღება, მართვა და განკარგვა. მისი დებულებებით დაშვებულია კანადის სამართალდამცავი ორგანოების და უცხოეთის მთავრობების (რომელთა სამართალდამცავი ორგანოებიც მონაწილეობდნენ გამოძიებებში, რომელთა შედეგადაც აღნიშნული ქონება იქნა ჩამორთმეული) მიერ ჩამორთმეულ აქტივებში წილის მიღება.

კანადის ბანკირების ასოციაციამ ბანკების საკონსულტაციო ორგანოს სახით დაარსა ფულის გათეთრების პრობლემების მიზნობრივი ჯგუფი და უზრუნველყოფს მის მუშაობას. კანადის ბანკებმა გამოაქვეყნეს სახელმძღვანელო პრინციპები, რათა ბანკის მოსამსახურეებს ფულის გათეთრების შემთხვევების გამოსავლენად და ამ მოვლენასთან საბრძოლველად სათანადო ზომების განხორციელებაში დახმარებოდნენ. ბოლო წლების განმავლობაში კანადამ ფულის გათეთრების კონტროლის კომპლექსური გეგმა განავითარა (6; 249. 50-60).

14. ფულის გათეთრების კონტროლი ლათინურ ამერიკაში ზოგიერთი თავისებურებით ხასიათდება. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ ფულის გათეთრების კონტროლის და 1988 წლის კონვენციის დანერგვის მიზნით შეიმუშავა კანონების საკუთარი მოდელები, რომლებსაც ბევრი აქვთ საერთო ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის რეკომენდაციებთან, ანუ ფინანსური სისტემის მზარდი გამჭვირვალობა, როგორც ფულის გათეთრების პროფილაქტიკისა და ეფექტიანი წინააღმდეგობის საშუალება ფონდების გათეთრების შემთხვევებში.

მსხვილი გარიგებების შესახებ ცენტრალურ საინფორმაციო სააგენტოში სავალდებულო შეტყობინება ამ რეგიონების მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში არსებობს, მაშინ, როცა სხვები კრძალავენ მსხვილ გარიგებებს ნაღდი ფულით, გარდა იმ გარიგებებისა, რომლებიც სპეციალური წესით ხორციელდება. ბევრ ქვეყანაში გახსნილია ფულის გათეთრებასთან ბრძოლის სპეციალიზებული სააგენტოები.

ცენტრალური და ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობამ მოახდინა 1988 წლის კონვენციის რატიფიცირება, მაგრამ კონფისკაციის შესახებ კანონები

უფრო გავრცელებულია, ვიდრე სისხლის სამართლის სასჯელი ფულის გათეთრებისთვის, და ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულით შემოიფარგლება.

იამაიკის კანონმდებლობის თანახმად, ფულის გათეთრება სისხლის სამართლის დანაშაულად უნდა ყოფილიყო კვალიფიცირებული. იამაიკის საპოლიციო ძალებთან შექმნილია აქტივებისთვის თვალყურის დევნების და ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ქვედანაყოფი. ამავე დროს, განხორციელდა იამაიკის საპოლიციო ძალების თაღლითობასთან მებრძოლი განყოფილების რეორგანიზაცია, რათა ის ჩინოვნიკთა ფინანსური თაღლითობის საკითხებითა და დანაშაულებით ყოფილიყო დაკავებული. ამჟამად ეს განყოფილება ფინანსური მექანიზმების მიზნობრივ ჯგუფთან თანამშრომლობს (65; 101. 272-280).

მექსიკაში გადაიდგა სხვადასხვა ნაბიჯი და მიღებულ იქნა ზომები ფულის გათეთრების თავიდან აცილების, აღმოჩენის და მასთან ბრძოლის მიზნით, იმის გათვალისწინებით, რომ ამის ერთ-ერთი მთავარი წყაროა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა, რომლიდანაც უზარმაზარი შემოსავლები გადაიქაჩება ეროვნულ ფინანსურ და კომერციულ სისტემებში. ეს არის პროცესი, რომელიც საერთაშორისო ფინანსური სისტემის მზარდი ტექნოლოგიური სირთულის გამო სულ უფრო სწრაფი ტექნებით მიმდინარეობს. ორგანიზებული დანაშაული თავის სასარგებლოდ იყენებს საერთაშორისო თანამშრომლობის და მასთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდების არარსებობას. მექსიკა აცნობიერებს, რომ ფულის გათეთრების მასშტაბების გაფართოება ასევე განპირობებულია ფინანსური, საბანკო საქმისა და გადასახადებით დაბეგვრის სფეროს მარეგულირებელი მექანიზმების არასრულყოფილებით. მექსიკამ ეროვნულ დონეზე მიიღო შესაბამისი ზომები, კერძოდ, თავის კანონმდებლობაში ჩართო დებულებები, რომლებიც ფულის გათეთრებას დასჯად სისხლის სამართლის დანაშაულად განიხილავს, აგრეთვე ითვალისწინებს ჯარიმის დაკისრებას ნებისმიერი პირისთვის, რომელსაც ქვეყანაში შეაქვს 20000 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა მისი საბაჟო დეკლარაციაში მითითების გარეშე. სახელმწიფო ბრალმდებლის დეპარტამენტსა და ფინანსებისა და სახელმწიფო კრედიტების დეპარტამენტს შორის საქმიანობის კოორდინაციის შესახებ გაფორმებული შეთანხმების წყალობით, რომელიც ეხებოდა დანაშაულს მოსახლეობის

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ, შესაძლებელი ხდება იმ ოპერაციების გამოვლენა, რომლებიც, სავარაუდოდ, დაკავშირებულია ფულის გათეთრებასთან, საგადასახადო ინსპექციების საშუალებით, რომელთა შედეგადაც შესაძლებელია საქმაოდ დიდი მოცულობის ინფორმაციის მიღება ბრალის წასაყენებლად. 1993 წლის ოქტომბერში საბანკო სექტორისთვის შემუშავდა ფაქულტატიური რეკომენდაციები საეჭვო ოპერაციების ატრიბუტების შესახებ ინფორმაციის მიღების და მათი გამოვლენის მიზნით.

მექსიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობით ფულის გათეთრება კვალიფიცირებულია დამოუკიდებელ დანაშაულად, ანუ უკანონო ქმედებად, რომელიც აღარ უკავშირდება მხოლოდ გადასახადებისა და ბაჟის სფეროში ჩადენილ დანაშაულებს. ამასთან დაკავშირებით შესაბამისი კორექტივები იქნა შეტანილი საბანკო საქმის, საფონდო ბირჟის ფუნქციონირების და ფინანსური ოპერაციების მარეგულირებელ კანონებში, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობაში.

მოცემულ სფეროში მექსიკას აქვს შემდეგი ორი სტრატიული ცნობებისა და ინფორმაციის შეტყობინების მიზნით არხების შექმნა, რომლებიც შესაძლებელს გახდის თითოეულ ქვეყანაში არსებული მონაცემთა ბაზის გაფართოებას და მოწინავე მეთოდების მქონე ქვეყნებთან კავშირის პროცესის გაუმჯობესებას; 2) საერთაშორისო თანამშრომლობა დანაშაულებრივ საქმიანობასთან ბრძოლაში, რომელიც ხელყოფს მთავრობათა ძალისხმევებს მათი ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების წახალისებას და გადაწყვეტილებების დემოკრატიულ საფუძველზე მიღებას.

საერთაშორისო დონეზე ამოქმედდა სხვა ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულებები სამართლებრივი ურთიერთდახმარებისა და საბაჟო თანამშრომლობის შესახებ. 1995 წლის მაისში ამერიკის შეერთებულ შტატებთან ხელი მოეწერა ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური დაწესებულებების მეშვეობით განხორციელებული სავალუტო გარიგებების შესახებ ინფორმაციის გაცვლას.

მეორე მსგავს შეთანხმებას მოეწერა ხელი საფრანგეთთან. უკვე მოქმედებს ორმხრივი შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებთან ამ ქვეყანაში ნარკოტიკების მოვაჭრეებისთვის ჩამორთმეული ქონების წილობრივი განაწილების შესახებ. ჩამორთმეულ შემოსავლებს მექსიკა მოწყობილობის შესაძენად და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან და ნარკომანიასთან ბრძოლის პროგრამების დასაფინანსებლად გამოიყენებს.

მექსიკაში ისეთი ცნება, როგორიცაა „ქონების კონფისკაცია“, კონსტიტუციით არის აკრძალული. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც გამოიყენება ფედერალურ ოლქში ჩვეულებრივი იურისდიქციის საკითხებში და მთელი ქვეყნის მასშტაბით – ფედერალური იურისდიქციის საკითხებში, ითვალისწინებს ისეთ იურიდიულ კონცეფციას, როგორიცაა დანაშაულის იარაღის, საგნებისა და მიღებული შემოსავლების დაყადაღება, რასთან დაკავშირებითაც ფედერალური სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სახელმწიფო ბრალმდებლის ფედერალურ დეპარტამენტს უფლებამოსილებას ანიჭებს, დააყადაღოს დანაშაულის ნებისმიერი იარაღი ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება, ანდა ქონება, რომელიც არის დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული შემოსავალი ან აქვს ამის ნიშნები ან მასთან შესაძლო კავშირი, კომპეტენტური სასამართლო ორგანოსთვის ასეთი ქონების ჩამორთმების მიმართ გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ შემდგომი შუამდგომლობით მიმართვის მიზნით (128; 131; 297. 331-336).

პანამამ მიიღო კანონმდებლობა, რომლის თანახმად, ფულის გათეორება სისხლის სამართლის დანაშაულად კვალიფიცირდება. მან დაადასტურა თავისი თვალსაზრისი, გამოთქმული გაეროს დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევებისადმი მოპყრობის მე-9 კონგრესზე, იმის თაობაზე, რომ, ისევე, როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებს, პანამასაც სჭირდება უფრო მნიშვნელოვანი ტექნიკური დახმარება დანაშაულის თავიდან აცილების და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგრამის საზიო.

კუბამ მიიღო კანონმდებლობა, რომელიც უცხოური კაპიტალის უფრო თავისუფალ ხელმისაწვდომობას და ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობების გაფართოებას ითვალისწინებს. ტურიზმის მასშტაბების

ზრდასთან ერთად ეს ზომები შეშფოთებას იწვევს იმ ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობასთან მიმართებით, რომლებიც დაკავშირებულია უკანონო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულის გათეთრებასთან. თუმცა კუბის სისხლის სამართლის კოდექსში არ არის განსაზღვრება იმ დანაშაულისა, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ ფულის გათეთრების საქმიანობასთან, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია ერთი დანაშაული, რომლის განსაზღვრება სრული მოცულობით შეიძლება იქნეს გამოყენებული სენებული საქმიანობის მიმართ, კერძოდ, დანაშაული, რომელიც კვალიფიცირდება, როგორც დანაშაულის ჩადენაში დახმარების გაწევა მისი ჩადენის შედეგ. დანაშაულში თანამონაწილეობისთვის სასჯელი შემოღებულ იქნა ცნების „ძირითად დანაშაულში მონაწილეობა“ გაფართოების და ამ კატეგორიაში ნებისმიერი პირის შეტანის შედეგად, რომელიც იძლეოდა რჩევებს დასჯადი ქმედების უფრო ეფექტიანად ჩადენის მიზნით ან დებდა დანაშაულის შემსრულებლის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების დამალვის ანდა დანაშაულის კვალის დაფარვის პირობას. არსებობს სხვა დებულებებიც, რომლებიც ავსებს ზემოთ სენებულთ. კერძოდ, გათვალისწინებულია ნებისმიერი დანამდვილებით ცნობილი დანაშაულის შესახებ მონაცემების საგალდებულო შეტყობინება, ხოლო ასეთი მონაცემების შეუტყობინებლობა ინფორმაციის დამალვად კვალიფიცირდება და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვეს. ამ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის დანაშაულია დანაშაულებრივი მიზნით გაერთიანებების შექმნა და უკანონო გამდიდრება. ამგვარი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისას ასევე შესაძლებელია მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული აქტივების ჩამორთმევის შესახებ. მიმდინარეობს ზოგიერთი ადმინისტრაციული ნორმის შემუშავება, რომლებიც დაცული უნდა იქნეს საბანკო სფეროში; ძალისხმევა მიმართულია ასევე იმისკენ, რომ მომზადდეს კადრები მათთვის დაკისრებული მოვალეობების ყველაზე ეფექტიანად შესრულების მიზნით (16).

არგენტინაში ფულის გათეთრებასთან ბრძოლის კანონმდებლობა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას ეხება. დღეისათვის არგენტინის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ნორმას ფულის გათეთრების შესახებ (350. 246). 1990 წელს არგენტინაში შეიქმნა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული ფულის გათეთრების ოპერაციებთან ბრძოლის შერეული

კომისია. ამ კომისიას ევალება ფინანსური დაწესებულებებისთვის, მუნიციპალიტეტებისა და სასამართლოებისთვის რეკომენდაციების შემუშავება. ბრძოლის ზომები ასევე შეიმუშავეს ეროვნულმა საბაჟო ადმინისტრაციამ, რესპუბლიკის ცენტრალურმა ბანკმა, გენერალურმა საგადასახადო სამმართველომ და ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების, ნარკოტიკების უქანონო ბრუნვის და მათთან ბრძოლის სამდივნომ. არგენტინა აქტიურად მონაწილეობს დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნების მატერიალური და საპროცესო სამართლის ტიპური ერთგვაროვანი ნორმების მომზადებაში. გარდა ამისა, 1995 წლის დეკემბერში არგენტინა ფულის გათეთრების პრობლემების შესახებ მინისტრების დონეზე გამართული კონფერენციის მიმღები ქვეყნის როლში გამოდიოდა. მომდევნო წლებში იგი სხვა ქვეყნებთან ერთად რეგულარულად ატარებდა დონისძიებებს ფულის გათეთრების წინააღმდეგ (275. 85-87).

ჩილეში კანონში, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის ზომებს ნარკოტიკების უქანონო ბრუნვისათვის, შეტანილია სხვადასხვა ზომა ნარკოტიკების უქანონო ბრუნვის შედეგად მოპოვებული სახსრების გათეთრების თავიდან ასაცილებლად. საბანკო ოპერაციების საიდუმლოება ჩილეში აღარ არის დაბრკოლება გამოძიების ჩასატარებლად. საბანკო ოპერაციების საიდუმლოების მარეგულირებელი ორგანო ხელს არ უშლის პოლიციის თანამშრომლებისა და სასამართლოების მიერ გამოძიების ჩატარებას ფულის გათეთრებასთან ბრძოლის მიზნით, თუმცა გამოძიების მსვლელობის დასაჩქარებლად სასამართლო ორგანოს სპეციალური ნებართვაა აუცილებელი.

ჩილეს მთავრობამ მიიღო კანონი, რომელიც აძლიერებს კონტროლს საფონდო ბირჟაზე, ფინანსურ სისტემაზე, საპენსიო ფონდებზე და სადაზღვევო კომპანიებზე. 1995 წლის 20 სექტემბერს მიღებული მეორე კანონის საფუძველზე ჩილეს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნა შესწორებები, რომლებიც განსაზღვრავს ახალ სისხლის სამართლის დანაშაულებს, რომელთა ჩადენისთვისაც გათვალისწინებულია სასჯელის უფრო მკაცრი ზომები (64; 5).

15. გარკვეული თავისებურებით ხასიათდება ფულის გათეთრების კონტროლი ევროპაში. ამ მხრივ უურადღებას იმსახურებს იტალიის გამოცდილება. უერკიდევ გამა-ვასალის კანონმა (1990 წ.) დაადგინა სისხლის სამართლის

პასუხისმგებლობა ფულის „გათეთრების“ ოპერაციებისათვის და 20 მილიონ ლირაზე მეტი თანხის გადარიცხვისათვის, ასევე პირველად მსოფლიო სამართლებრივ პრაქტიკაში განსაზღვრა ცნება „მაფიის ტიპის დანაშაულებრივი ორგანიზაცია“.

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სასჯელს 7-დან 12 წლამდე თავისუფლების ადგენით და 2-დან 30 მილიონ ლირამდე ფულად ჯარიმას იმ პირთა მიმართ, რომლებიც დაკავებული არიან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლებისა და ქონების ლეგალიზაციით. სასჯელი შეიძლება გაიზარდოს, თუ ასეთივე ქმედებებს სჩადიან თანამდებობის პირები, რომლებიც ამ დროს თავიანთ თანამდებობრივ მდგომარეობას იყენებენ.

იტალიის კანონმდებლობის თანახმად ქვეყანა ვალდებულია განახორციელოს მონიტორინგი დანაშაულებრივი ფულის აღმოჩენისა და აღკვეთისათვის. მონიტორინგის სისტემა ითვალისწინებს, რომ ნებისმიერი თანხის საზღვარგარეთ გადარიცხვას თან ახლავს შემოსავლის იმავდროულად დეკლარირება.

03.05.91-ის №143 კანონის თანახმად, 20 მილიონ ლირაზე მეტი თანხის გადარიცხვა დაიშვება მხოლოდ უფლებამოსილი შუამავლების სააგენტოების საშუალებით, რომლებიც ახორციელებენ კლიენტის რეგისტრაციასა და იდენტიფიკაციას. ის პირები კი, რომლებიც უარს ამბობენ ოპერაციის ან იმ პირის შესახებ შეტყობინებაზე, რომლის სახელითაც მოცემულ ოპერაციას ახორციელებენ, ან რომლებიც ყალბ ინფორმაციას იძლევიან, ისჯებიან თავისუფლების აღკვეთით 6 თვით და მეტი ვადით და ჯარიმით 1-დან 10 მილიონ ლირამდე.

კანონში აღწერილია საბანკო სისტემის მიერ კომპეტენტური ორგანოებისთვის 20 მილიონი ლირის ზემოთ განხორციელებული ყოველი გადარიცხვის შესახებ სავალდებულო შეტყობინების მექანიზმი.

№689 კანონის თანახმად, არსებობს აგრეთვე ამბვარი ოპერაციების შესახებ ფინანსთა მინისტრის ინფორმირების მექანიზმი (24.11.84-ის №689 კანონი). უფლებამოსილი შუამავლებისათვის გათვალისწინებულია როგორც სისხლის

სამართლის, ისე ადმინისტრაციულ-ფინანსური პასუხისმგებლობის საკმაოდ ფართო სპეციალისტი. იმისთვის, რომ ფულის „გათეთრების“ მცდელობებზე იმსჯელონ, ბანკები და სხვა საშუალებლო ორგანიზაციები ვალდებული არიან ჰქონდეთ დაწვრილებითი დოკუმენტაცია რეზიდენტების მიერ განხორციელებული სავალუტო ოპერაციების შესახებ. ინფორმაცია ადამიანის ვინაობაზე, სოციალურ მდგომარეობაზე, სავალუტო ანგარიშის მისამართზე, იმაზე, თუ ვის სახელზე ირიცხება ფულადი სახსრები, ოპერაციის შესრულების თარიღზე, ოპერაციის შესრულებამდე და შემდგომ სავალუტო ანგარიშზე არსებული თანხის ოდენობაზე ასევე წარედგინება ფინანსური კონტროლის ორგანოებს. ბანკებში ინფორმაციის შენახვის ვადაა 5-დან 10 წლამდე.

იტალიაში მიღებულ იქნა სპეციალური კანონმდებლობა როგორც ორგანიზებულ დანაშაულთან, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე ფულის გათეთრებასთან ბრძოლის მიზნით. იტალიამ კანონით დანაშაულად გამოაცხადა ფულის გათეთრება როგორც ერთი ფულადი უზრუნველყოფის მეორით შეცვლის ფორმით, ისე ეკონომიკური საქმიანობის კანონიერ სახეობებში რეინვესტირების ფორმით. მიღებულ იქნა პრევენციული ზომები სააქციონერო მფლობელობის რეალური სტატუსისა და საწარმოთა მფლობელის დასადგენად, აგრეთვე კორპორაციების სამეურნეო ერთეულების გადაცემის შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად. იტალიის კანონმდებლობა ნოტარიუსებს და ქალაქის კლერკებს ავალდებულებს, შეატყობინონ Questore-ს (პოლიციის ადგილობრივი ზემდგომი ორგანო) კომპანიების სახსრებისა და აქციების მოძრაობის, აგრეთვე კომერციული ლიცენზიების გაცემის შესახებ. გარდა ამისა, კანონმდებლობა შეიცავს დებულებებს, რომელთა მიზანია სახელმწიფო ადმინისტრაციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

იტალიაში უკანონოდ შეძენილი საქონელი შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს გასამართლებასთან და აღმკვეთ ღონისძიებებთან დაკავშირებით, იმ პირთა საქმეებზე, რომლებიც მაფიოზური ტიპის ორგანიზაციებს ეკუთვნიან ან მათთან თანამშრომლობენ. ასეთი კონფისკაცია ხორციელდება სასამართლო პროცესის მსვლელობისას, დაცვისა და კეთილსინდისიერად მოქმედ მესამე პირთა უფლებების სრული პატივისცემის პირობებში. იტალიაში საბანკო ოპერაციების საიდუმლოების მარეგულირებელი ორგანო არ აფერხებს პოლიციის და მოსამართლეთა ძალისხმევას ფულის გათეთრებასთან ბრძოლაში.

კანონმდებლობა, რომელიც 20 მილიონ ლირაზე მეტი ნადღი ფულის გამოყენებას არეგულირებს, ითვალისწინებს ბანკებისა და ფინანსური შეამავლების იდენტიფიკაციას, ასევე აკისრებს მათ ვალდებულებას, შეატყობინონ Questore-ს ყველა საქვო გარიგების შესახებ, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული სანქციების გამოყენების გარეშე, ვინაიდან მათი მხრიდან თანამშრომლობა მათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს. იტალიური კანონმდებლობა შეიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებს ელექტრონული დაკვირვების, ფარული ოპერაციების და კონტროლირებადი მიწოდებების განხორციელების შესაძლებლობას. გარდა ამისა, იტალიაში შექმნილია საგამოძიებო ორგანოები, რომლებიც სპეციალიზდებიან ორგანიზებული დანაშაულის შესახებ ოპერატიული მონაცემების შეგროვებაზე, აგრეთვე ეკონომიკისა და ფულის გათეთრების სფეროში. სპეციალური კანონები აგრეთვე ითვალისწინებს მოთანამშრომლების მოწმეების დაცვას და ორგანიზებული დანაშაულის მსხვერპლთა რესტიტუციას.

იტალიის 1994 წლის კანონი გაერთიანებების შესახებ ითვალისწინებს ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ კანონების გამოყენების სფეროს საქმიანობის წმინდა ფინანსურ სახეობებზე გავრცელების შესაძლებლობას უკანონო გარიგებებთან ბრძოლის ორგანიზების მიზნით.

საერთაშორისო დონეზე იტალია თანამშრომლობს ფინანსური მექანიზმების მიზნობრივ ჯგუფთან, ევროპის საბჭოსთან და ევროკავშირთან და სრულად ახორციელებს მათ რეკომენდაციებსა და დირექტივებს. გარდა ამისა, იტალიაში ხელი მოაწერა ორმხრივ შეთანხმებებს სხვა ქვეყნებთან, მათ შორის, გაერთიანებულ სამეფოსთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ეს შეთანხმებები ითვალისწინებს საქონლის დაყადაღებასა და კონფისკაციას დანაშაულის თავიდან აცილების შესახებ საგანგებო კანონების საფუძველზე (24; 37; 126. 151-172; 262. 16-22; 126. 41-69).

ბელგიაში „ჰუკეიანად“ ითვლება ისეთი დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ფულადი სახსრები, როგორებიცაა ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული, ნარკოტიკების, იარაღის, ფასეულობათა კონტრაბანდა, სამუშაო ძალის არალეგალური გამოყენება, „ცოცხალი საქონლით“ ვაჭრობა. ფულის

„გათეთრების“ თავიდან აცილების მიზნით ფინანსური დაწესებულებები ვალდებული არიან დანიშნონ მოხელე ან შექმნან საგანგებო განყოფილება

ბელგიაში ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროების ეგიდით მოქმედებს სპეციალური სტრუქტურა – ფინანსური ინფორმაციის დამუშავების სექტორი (CTIF). ეს ორგანო შესაბამისი ექსპერტების მოზიდვით აანალიზებს ბანკების, ბირჟების და სხვა ფინანსური ინსტიტუტების დეკლარაციებს საეჭვო გარიგებებზე, იყენებს ინფორმაციას პოლიციის, საბაჟო და სხვა სახელმწიფო ორგანოებიდან.

აუცილებლობის შემთხვევაში მას უფლება აქვს, მონაცემების შემოწმების მიზნით შეაჩეროს საეჭვო ფინანსური ოპერაციები, მაგრამ არა უმეტეს 24 საათისა. ამავე დროს, მისი თანამშრომლები დამოუკიდებლად არ ახორციელებს საგამოძიებო მოქმედებებს. „ჭუჭყიანი“ ფულის „გათეთრების“ შესახებ ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში CTIF შესაბამის მასალებს აგზავნის ბრიუსელის პროკურატურაში, რომელიც, თავის მხრივ, ფედერალური პოლიციის სპეციალიზებულ ქვედანაყოფთან ერთად ატარებს ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებებს და აღძრავს სისხლის სამართლის საქმეებს. სპეციალური ქვედანაყოფი – ეკონომიკურ და ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლის ცენტრალური ბიურო, რომელიც მოქმედებს 1993 წლის ნოემბრიდან, სისხლის სამართლის პოლიციის გენერალური კომისარიატის ხელმძღვანელობით, ავლენს კანონმდებლობის დარღვევებს, აღკვეთს ვალუტის კონტრაბანდას და კაპიტალის „გათეთრებას“.

ამავე დროს, ფინანსური ორგანოები ვალდებული არიან აკონტროლონ ფულის გადაადგილება. ასე, სავალდებულო შემოწმებას ექვემდებარება ყველა გარიგება 10 ათასი ეკიუს ზემოთ. ფინანსური ოპერაციების შესახებ ყველა მონაცემი უნდა ინახებოდეს არანაკლებ 5 წლის განმავლობაში. კანონის დარღვევებისთვის გათვალისწინებულია სანქციები, კურძოდ, ჯარიმა 50 მილიონ ბელგიურ ფრანკამდე (214. 132-138; 389).

დანაშაულებრივი კაპიტალის „გათეთრების“ საქმიანობის კოორდინაციისთვის დიდ ბრიტანეთში შექმნილია სპეციალიზებული გაერთიანებული სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ფინანსური სექტორის წამყვანი

მოღვაწეები. ოპერატიულ მუშაობას ახორციელებს დიდი ბრიტანეთის ეროვნული სამსახური ფინანსური გამოძიებების დარგში, რომლის შემადგენლობაში შედის სავალუტო გამოძიებების ბიურო.

ამ სფეროს ძირითად ნორმატიულ დოკუმენტებში (ფულის „გათეთრებასთან“ ბრძოლის სახელმძღვანელო დებულებები ფინანსური სტრუქტურებისათვის, დიდი ბრიტანეთის სისხლის სამართლის კოდექსი და კაპიტალის „გათეთრებასთან“ ბრძოლის რეგლამენტი, რომლებიც გამოცემულია 1993 წელს) გათვალისწინებულია კაპიტალის „გათეთრებასთან“ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს დირექტივის მოთხოვნები და რეკომენდაციები.

სისხლის სამართლის ახალ კანონმდებლობაში დანაშაულებრივი გზით მიღებული, მათ შორის, ნარკობიზნესთან და ტერორიზმთან დაკავშირებული შემოსავლებისთვის გათვალისწინებულია უფრო მკაცრი სანქციები. სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება ასევე ფინანსური დაწესებულებების უმოქმედობა, რომლის შედეგადაც შესაძლებელი გახდა უკანონოდ მიღებული სახსრების ლეგალიზაცია. დანაშაულებრივად ითვლება ფიზიკურ პირთა მოქმედებები, რომლებიც ხელს უწყობენ ვინმეს ფულის „გათეთრებაში“ მათი დაფარვის, შენახვის ან ინვესტირების გზით, ასევე თუ ამ პირებმა იციან ან ეჭვობენ, რომ ფულადი სახსრები არის შემოსავალი სისხლის სამართლის სერიოზული დანაშაულიდან. სასჯელია 14 წლით თავისუფლების ადგენერაცია; დამნაშავისთვის ან მესამე პირისთვის ინფორმაციის გამხელისათვის – 5 წლამდე; ფულის „გათეთრების“ გახმაურებული ოპერაციების შეუტყობინებლობისათვის – 5 წლამდე.

მოცემულ სფეროში სავალუტო და საექსპორტო რეჟიმის დარღვევების შემთხვევების განხილვისას სასამართლოები ითვალისწინებენ მითითებულ დოკუმენტებს, რომლებიც შეიცავს ამონარიდებს მთლიანობაში ლიბერალური სავალუტო და საბანკო რეჟიმიდან. აღსანიშნავია, რომ 15 ათას ეკიუბე (12 ათასი დოლარი) მეტი თანხით შესრულებულ გარიგებებზე ტარდება კლიენტის იდენტიფიკაციის პროცედურები. არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ახლო მომავალში ბრიტანეთის მოქმედი კანონმდებლობა სავალუტო და საექსპორტო კონტროლის სფეროში დაიხვეწება ძირითადად უკანონოდ მიღებული კაპიტალის „გათეთრებასთან“ ბრძოლის რეკომენდაციებისა და

ზომების უფრო სრულყოფილად ასახვის მიმართულებით, რომლებსაც შეიმუშავებენ ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი და ეკროპის საბჭო.

გაერთიანებული სამეფო ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული ფულის გათეორების და შემოსავლების კონფისკაციის ადგენტის ზომებს. ბოლო წლებში ის გამოვიდა არაერთი ინიციატივით ფულის გათეორებასთან ბრძოლის და კონფისკაციის საკუთარი სისტემების გამყარების მიზნით. გარდა ამისა, ის კვლავ ამ სფეროში არსებული საერთაშორისო ძალისხმევის წინა რიგებშია და ისწრაფვის, ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას ფულის გათეორებასთან ბრძოლის საქმეში და ამასთან დაკავშირებული შემოსავლების კონფისკაციას ყველა შემთხვევაში, როდესაც ეს შესაძლებელია.

ბოლო წლებში მიღებულ იქნა უამრავი ზომა, რათა დამნაშავე ელემენტებს ვერ მოეხერხებინათ გაერთიანებული სამეფოს ფინანსური სისტემის ფულის გათეორების მიზნებისთვის გამოყენება. ამ მიმართულებით ფულის გათეორება დანაშაულად გამოცხადებულია. მის გარდა, ქვეყანაში მოქმედებს ფულის გათეორებასთან ბრძოლის სახელმძღვანელო მითითებები, რომელიც სავალდებულოა ბანკებისთვის, სამშენებლო, სადაზღვევო და საინვესტიციო კომპანიებისთვის. ეროვნული სისხლისსამართლებრივ ჯგუფს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა, რომელიც შეიქმნა ფინანსური დაწესებულებებისა და სხვა წყაროებიდან ფულის საეჭვო გათეორების შესახებ ინფორმაციის მისაღებად და გასავრცელებლად. ხელმშემწყობ ფუნქციას ასრულებს ფულის გათეორებასთან ბრძოლის რეჟიმი, რომელიც შეიქმნა საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებისთვის.

გაერთიანებული სამეფო ფინანსური მექანიზმების მიზნობრივი ჯგუფის შექმნის დღიდან ძალზე აქტიურად მონაწილეობს მის მუშაობაში. ის კვლავ უდიდეს ინტერესს იჩენს ფულის გათეორებასთან ბრძოლის და კონფისკაციის სფეროს პოლიტიკისადმი, რომელიც განიხილება სხვადასხვა ფორუმზე, როგორიცაა, მაგალითად, ევროპის საბჭო. ქვეყანაში მოქმედებს ყოვლისმომცველი კანონმდებლობა ყველა მძიმე დანაშაულიდან მიღებული შემოსავლებისთვის თვალყურის დევნებაში, გაყინვასა და კონფისკაციაში (გაყინვა და კონფისკაცია – ორმხრივ საფუძველზე) სხვა სამართლებრივი სისტემებისთვის დახმარების

გაწევის თაობაზე. კონფისკაციის სფეროში პრაქტიკული თანამშრომლობის წახალისების მიზნით გაერთიანებულმა სამეფომ მოახდინა ევრო-საბჭოს მრავალი კონფენციის რატიფიკაცია.

ყურადღებას იქცევს გაერთიანებულ სამეფოში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების შესახებ კანონი, რომელიც სამართალდარღვევად აცხადებს ნებისმიერი პირის მიერ მეორისთვის დახმარების გაწევას ნარკოტიკების უკანონო ბრუნვიდან მიღებული შემოსავლების ნამდვილი წარმოშობის დამალვაში. კანონი ასევე ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ პირებისათვის, რომლებიც ხელს უშლიან გამოძიებას.

ფულის გათეთრების თაობაზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კანონის დებულებების მთავარი მიზანია, გაერთიანებულ სამეფოს პქონდეს შესაძლებლობა, შეასრულოს ევროპის თანამეგობრობის დირექტივა ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ. დირექტივის თანახმად, მისი მოთხოვნის შესრულება, სავალდებულოა. ამასთანავე, წევრ ქვეყნებს, თავიანთი სურვილით, შეუძლიათ გააფართოონ ამ დებულებების გამოყენების სფერო და მათი მოქმედება სხვა მძიმე დანაშაულებიდან მიღებულ შემოსავლებზე გაავრცელონ. ამ მხრივ საინტერესოა ნორმა, რომლის საფუძველზე პირი ისჯება, თუ მან დამალა ინფორმაცია ნარკობრუნვის შესახებ

აღნიშნული კანონი ადგენს არაერთ ახალ დანაშაულს და სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობას.

კონფისკაციის შესახებ სასამართლო ბრძანება, კანონის ნორმების თანახმად, სიახლეს წარმოადგენს გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობისათვის. ამ ნოვაციის თანახმად კონფისკაცია ასევე გამოიყენება ნარკობრუნვისათვის ადრე ნასამართლევი პირის მიმართ. ბრძანებით კონფისკაციის ოდენობის დადგენისას სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს ნებისმიერი საჩუქარი, რომელსაც ბრალდებული უკეთებდა ოჯახს, ახლობლებს და სხვა პირებს ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, და ნებისმიერი საჩუქარი, რომელსაც ბრალდებული აკეთებდა ნებისმიერ დროს, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვიდან მიღებული შემოსავლების გამოყენებით. როდესაც საქმე კონფისკაციის შესახებ ბრძანების

შესრულების უზრუნველყოფაზე მიღება, მაშინ ამ საჩუქრების საფასური შეიძლება იძულების წესით იქნეს ამოღებული მათი მიმღებებისგან.

უზენაესი სასამართლო უფლებამოსილია გამოსცეს კონფისკაციის შესახებ ბრძანება იმ პირის მიმართ, რომელიც გარდაიცვალა მსჯავრის დადების შემდეგ. და გამოსცეს კონფისკაციის შესახებ ბრძანება in absentia იმ პირის მიმართ, რომელიც მიიმაღლა ან მსჯავრის დადებამდე, ან მის შემდეგ (28; 313).

სახელმწიფო პოლიტიკას გაერთიანებული სამეცო ახორციელებს „დანაშაულებრივი გზით მიღებული ფულის ლეგალიზაციის წინააღმდეგ“ კანონის თანახმად.

„ფულის გათეთრების“ შემადგენლობა გერმანიაში განსაზღვრულია ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში. სსკ-ის §261-ის შესაბამისად, სისხლის სამართლის სასჯელი ვრცელდება პირზე, რომელიც მალაგს ქონების საგანს. ასევე ისჯება პირი, რომელმაც შეიძინა კრიმინალური გზით წარმოშობილი ნივთი, რაც გათვალისწინებულია ნარკოტიკული საშუალებების შესახებ №1 კანონის 1-ლი აბზაცის §29-ით „ნარკოტიკებით ვაჭრობა“. აგრეთვე დასჯადია პირი, რომელიც მალაგს ამ საგნის წარმოშობას ან ხელს უშლის ან ჩაშლის საფრთხის ქვეშ აყენებს მისი წარმოშობის გამოვლენას, აღმოჩენას, გადახდევინებას (შდრ. სისხლის სამართლის კოდექსის §74). იგივე ეხება მითითებული საგნის მიღებას, შენახვას ან გამოყენებას. ჩამოთვლილი ქმედებების მცდელობისთვისაც კი იგი ისჯება. საეჭვო საგნის წარმოშობის გაუთვითცნობიერებლობაზე მითითება არ ხსნის პასუხისმგებლობას მიმღებს, განმკარგველს ან მომხმარებელს. პასუხისმგებლობას ექვემდებარება ისიც, ვინც დაუფიქრებლად, ანუ უხეში დაუდევრობის შედეგად, არ გაარკვია, რომ საგანი ერთ-ერთი ჩამოთვლილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგადაა წარმოშობილი.

საკრედიტო ინსტიტუტები ვალდებული არიან ფედერალურ ხელისუფლებას წარუდგინონ აუცილებელი ინფორმაცია მხოლოდ „ჭუჭყიანი“ ფულის ლეგალიზაციის აშკარა ნიშნების შემთხვევაში, მოახდინონ თავიანთი კლიენტების იდენტიფიცირება გარიგებების განხორციელებისას, ასევე გარკვეული დროის განმავლობაში შეინახონ ეს მონაცემები. ამ მიზნებისათვის

ის დოკუმენტებიც გამოიყენება, რომლებიც საგადასახადო ორგანოებში წარსადგენადაა გამიზნული.

გერმანიაში სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, ფულის გათეთრება, რომელიც ჩადენილია დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრის კვალიფიცირდება როგორც სისხლის სამართლის დანაშაულად. ეს დებულებები შექსაბამება ევრო-საბჭოს კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებს. ულის გათეთრებად ასევე ითვლება უკანონო აქტივების სისტემატური დაფარვა. გვრის სსკ-ი განასხვავებს „წარმოშობის დაფარვას“ ნივთების შეძენას, ფლობას ან გამოყენებას. კანონმდებლობის თანახმად, კვალიფიცირდება ქმედებები, რომლებიც აფერხებს ან აძნელებს მართლმსაჯულების ორგანოების ხელმისაწვდომობას ზოგიერთ აქტივებზე, რომლებიც მიღებული არიან კრიმინალური გზით. ასევე სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება, თუ რომელიმე პირი ხელს უშლის ან საფრთხეს უქმნის მამხილებელი ქონების ადგილმდებარეობის დადგენას, კონფისკაციას ან დაყადაღებას ანდა მისი წარმოშობის დადგენას. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების შეძენისა და ფლობისგან ან გამოყენებისგან განსხვავებით, არსებობს შეზღუდვები უკანონო ქმედებების დასჯადობასთან მიმართებით იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევმა ამ საგნების შეძენის მომენტში არ იცოდა მათი წარმოშობის შესახებ. ამიტომ მისატევებელი შეცდომის გამო პირს ბრალი არ წაეყენება. ფულის გათეთრების მცდელობა ასევე დასჯადი დანაშაულია.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ პირისთვის, რომელმაც საზღვარგარეთ ჩაიდინა ე.წ. პრედიკატული დანაშაული. სასამართლოებს თავიანთი შეხედულებისამებრ შეუძლიათ სასჯელის ზომის შემსუბუქება ან სასჯელისგან განთავისუფლება, თუ ბრალდებული ნებაყოფლობით ატყობინებს მის ხელთ არსებული ცნობების შესახებ და მნიშვნელოვნად ამსუბუქებს დანაშაულის გახსნის ამოცანას, რომელიც ფულის გათეთრებასთან არის მიმართებაში. ეს შემამსუბუქებელი ზომები გათვალისწინებულია ორგანიზებული დანაშაულის უფრო ეფექტიანი აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით, ვინაიდან ისინი ქმნიან სტიმულს ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული დასჯადი დანაშაულების შესახებ ცნობების მიწოდებისათვის. ვალუტის გაცვლის დაწესებულებებში, მაღალი ხარისხის ფუფუნების საგნებით და

ძვირფასი ლითონებით ვაჭრობის სფეროში გადატანის ტენდენციები, რომელიც შემოსავლების გათეთრებისკენ არის მიმართული, გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, დასჯადია (111. 52-56; 179. 481-578; 202. 7-22; 267. 234-250; 392).

ნორვეგიის ეროვნულ ბანკში ყოველთვიურად რეგისტრირდება და ელექტრონულ მესიერებაში იგზავნება მილიონზე მეტი საერთაშორისო ფულადი გზავნილი. ფულადი გზავნილები, რომლებიც აღემატება 3.400 აშშ დოლარს გაგზავნაზე და 5.400 აშშ დოლარს მიღებაზე, ავტომატურად ფიქსირდება, როგორც ზღვრული თანხები, რომლებიც დაკვირვებას ექვემდებარება. შესამოწმებელი პროცედურების შემდეგ მათი ნაწილი ფასდება, როგორც ფულის გათეთრების მცდელობა, რასაც ბანკი პოლიციას ატყობინებს.

დასავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანა იზიარებს ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის პრინციპებს მსხვილი სავალუტო გარიგებების აღდგენის მიზნით კლიენტების იდენტიფიკაციის და აღრიცხვის წარმოების შესახებ, ასევე საეჭვო გარიგებების თაობაზე შეტყობინებისას სამართლებრივი დაცვის შესახებ (29).

ფულის „გათეთრებასთან“ ბრძოლის მსგავსი ნორმატიული აქტები არსებობს არა მხოლოდ ევროპის თანამეგობრობის ქვეყნებში, არამედ მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაშიც.

აღმოსავლეთი ევროპა ზოგადად შეიძლება დახასიათდეს, როგორც სამართლებრივი და ეკონომიკური სტრუქტურების ყოველმხრივი გადაფასების პროცესში მყოფი. კაპიტალის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული ზომები განსახილველ ქვეყნებში შემუშავების, მიღებისა და გამოყენების სხვადასხვა სტადიაზეა. ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში კაპიტალის გათეთრების საწინააღმდეგო ზომები შემუშავების სტადიაში იყო, თუმცა ლიტვამ მიიღო რამდენიმე მნიშვნელოვანი დადგენილება (390). რაც შეეხება ყოფილი სსრკ-ის სხვა ქვეყნებს, მხოლოდ ბელორუსიამ დაიწყო კაპიტალის გათეთრების საწინააღმდეგო კანონმდებლობის შემუშავება (391). აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ამ კუთხით უფრო წინ არიან წასული; ზოგიერთმა მათგანმა მიიღო კაპიტალის გათეთრებასთან ბრძოლის ზომები.

ფულის გათეთრების პროცესში თავისებურად აისახება ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსში. ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს, კერძოდ: а) ალტერნატიულ სანქციებს, იმ პირთა მიმართ, ვისაც აქვთ უკანონო ფულადი შემოსავალი; ბ) აქტივების კონფისკაციის გაადვილებას იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულებრივი საქმიანობა ჩადენილია ან საზღვარგარეთ, ან უცნობი დამნაშავეების მიერ. ფულის გათეთრებას კანონი ასევე ებრძის თუ ქმედებები ჩადენილია იმ ქვეყანაში, სადაც ის არ არის დასჯადი.

ფულადი შემოსავლები, რომლებიც მიღებულია დანაშაულებრივი ორგანიზაციის ამა თუ იმ წევრის მიერ ამ ორგანიზაციაში მისი წევრობის პერიოდში, ან სახსრები, რომლებსაც ფლობენ დანაშაულებრივი ორგანიზაციები ან რომლებიც მოპოვებულია დასჯადი ქმედებების ჩადენის შედეგად, ჩამორთმეული იქნება, თუ არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ასეთი სახსრები არის აქტივები, რომლებსაც ეს დანაშაულებრივი ორგანიზაცია აკონტროლებს, ან მოპოვებულია დასჯადი ქმედების ჩადენის შედეგად. სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს რაიმე დეტალური ინფორმაციის არსებობას იმის შესახებ, თუ რა გზით მოიპოვა დანაშაულებრივმა ორგანიზაციამ ასეთ ფულზე კონტროლი. კოდექსის მოთხოვნა კონფისკაციის შესახებ ახალი დებულება ითვალისწინებს, რომ დანაშაულებრივი ორგანიზაციის აქტივები შეიძლება ამოღებულ იქნეს სასამართლოს სანქციის გარეშეც. შემოსავლების კონფისკაციის რეჟიმი ვრცელდება ასევე საშუალებებზე, რომლებიც ეპუთვნის უცხოელ პირს და რომელთა მიმართაც არ არის გათვალისწინებული შიგა იურისდიქცია, ასევე როდესაც ცნობილია, რომ ისინი მიღებულია დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შედეგად, მაგრამ ვერ მოხდება ამ დანაშაულებრივი ქმედებების ინკრიმინირება ამა თუ იმ კონკრეტული პირის მიმართ (273. 89-98; 325; 369; 388).

საბერძნეთში მიღებულია კანონი, რომელიც შეიცავს დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის თავიდან აცილებისა და აღკვეთის შესახებ დებულებებს, აგრეთვე სისხლის სამართლის სხვა ნორმებს.

კვიპროსში არსებობს კანონი კაპიტალის გათეთრების წინააღმდეგ, უკანასკნელი ის გარემოებაც რომ აქ მოქმედებს ფინანსური ინფორმაციის სამსახური.

ისრაელში მოქმედებს კანონი, რომელიც შემოსავლების გათეთრებისთვის ჯარიმის დაკისრებას და საეჭვო ოპერაციების საფალდებულო დეკლარირებას ითვალისწინებს (41; 103. 271-284).

ესპანეთმა ამ სფეროში თავისი კანონმდებლობა არა მხოლოდ 1988 წლის კონვენციაში მოცემულ კრიტერიუმებს შეუსაბამა, არამედ ფინანსური მექანიზმების მიზნობრივი ჯგუფის 40 რეკომენდაციასაც. ესპანეთის კანონმდებლობა არეგულირებს ფულის გათეთრების თავიდან აცილების. სისხლის სამართლის კოდექსი, სჯის ნებისმიერ დანაშაულს, რომელიც დაკავშირებულია ფულის გათეთრებასთან. მაგალითად, ნაქურდალის შეძენა თაღლითობა, ტერორიზმი, საგადასახადო დანაშაული და სხვა.

აქვე ავღნიშნავთ, რომ ესპანეთის კანონმდებლობაში არ არსებობს ცნება „გათეთრება“. ძველ სისხლის სამართლის კოდექსში იყო მითითებები ნაქურდალის შეძენაზე.

ესპანეთის კანონმდებლობით ისჯება დაუდევრობა, წამქეზებლობა და ფლობა, მიუხედავად იმისა, ფულის გათეთრების შესახებ ევროპის თანამეგობრობის დირექტივაში არ არის პირდაპირი მითითებები ასეთი ქმედებებისთვის დასჯადობაზე. ესპანეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულია უფრო მკაცრი სასჯელის გამოტანა, როგორიცაა ორგანიზაციის ლიკვიდაცია, მისი შენობების დახურვა, მისი საქმიანობის დრეობით შეჩერება და მისი წევრების პროფესიული დისკვალიფიკაცია (38; 124. 318-336).

თურქეთი მხარს უჭერს ყველა საერთაშორისო ინიციატივას ამ სფეროში. იგი არის ფინანსური მექანიზმების მიზნობრივი ჯგუფის სრულუფლებიანი წევრი. მას შემდეგ, ახალი კანონმდებლობის შემუშავების და მოქმედ კანონებსა და ნორმატიულ აქტებში შესწორებების შეტანის მიზნით, თურქეთი შეუდგა კვლევებს, რომლებიც აუცილებელია ხსენებული რეკომენდაციების შესასრულებლად. ასახულია ასევე მოთხოვნა, რომ ბანკებმა და სპეციალურმა

ფინანსურმა დაწესებულებებმა შეატყობინონ კომპეტენტურ ორგანოებს საზღვარგარეთ თურქულ ლირებში და უცხოურ ვალუტაში წარმოებული ყველა გადარიცხვის შესახებ, რომელთა თანხა აღემატება 50000 აშშ დოლარს ან მის ეკვივალენტს, ექსპორტის, იმპორტის და უხილავი მუხლებით გარიგებების შემთხვევების გარდა.

ფულის გათეთრება კვალიფიცირდება, როგორც დანაშაული, ფართო განსაზღვრებით, რომლის თანახმადაც, „დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებში“ იგულისხმება ფული და ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტები, ქონება და შემოსავალი, რომლებიც მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით; ამის გარდა გათვალისწინებულია აქტივების გაყინვა და დაყადაღება; თურქეთის კანონმდებლობით დასჯადია საეჭვო გარიგებები. ქვეყანაში შექმნილია ფინანსური დანაშაულის გამოვლენისა და გამოძიების სამმართველო, რომელიც ფუნქციონირებს პრემიერ-მინისტრის კანცელარიის ფარგლებში. ფინანსური დანაშაულის გამოვლენისა და გამოძიების სამმართველოში სამსახურში მიიღებიან როგორც სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები, ისე ფინანსური საკითხების ექსპერტები. ამის გარდა, ის შეინარჩუნებს მჭიდრო სამუშაო ურთიერთობებს უსაფრთხოების მთავარ სამმართველოსთან, საბაჟო ორგანოებთან, იუსტიციის სამინისტროსთან, ხაზინის სამდიგნოსთან და სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან. ფინანსური დანაშაულის გამოვლენისა და გამოძიების სამმართველოს აქვს ორგანოს სტატუსი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები ფინანსური და არაფინანსური დაწესებულებებისაგან, სახელმწიფო დაწესებულებების ჩათვლით, ასევე ცალკეული პირებისაგან. ამის გარდა, მას ენიჭება უფლებამოსილება, შექმნას გარიგებებზე ანგარიშგების საერთო სისტემა (259. 88-92; 394. 279-296).

რუსეთში დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების ადმინისტრაციული და ფინანსური კონტროლის საფუძველს შეადგენს: რუსეთის ფედერაციის ფედერალური კანონი „მოხმარების მსხვილი ხარჯების ფიზიკური პირების მიერ ფაქტობრივად მიღებულ შემოსავლებთან შესაბამისობის სახელმწიფო კონტროლის შესახებ“. ქვეყანაში შემუშავებულია მეთოდური რეკომენდაციები უკანონო გზით მიღებული შემოსავლების ბანკებში და სხვა საკრედიტო ორგანიზაციებში შეღწევის თავიდან ასაცილებლად მუშაობის

ორგანიზების საკითხებზე, ასევე სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც ოფშორულ კომპანიებთან წარმოებული ფინანსური თპერაციების კონტროლისკენაა მიმართული.

ფინანსური მექანიზმების მიზნობრივი ჯგუფის ექსპერტების საქმიანობის საგანია:

- მუშაობა კაპიტალის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის სრულყოფაზე;
- გამოძიების სტადიაზე ინფორმაციის გაცვლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა;
- საგადასახადო სისტემებში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების დახერგვა, თანხის ზედა ზღვრის დადგენა, რომელიც ჩაწერილია ბარათზე და ანგარიშებზე ინტერნეტში, დაინტერესებული მხარეების ურთიერთქმედება, საანგარიშსწორებო თპერაციების ჩატარებისას შეალედური რგოლების გამოვლენა და საბუღალტრო თპერაციების კვალის შენახვა (181. 3395-3399; 285. 19-32; 289. 215-225).

1.6. აფრიკისა და აზიის რეგიონებში გატარებული დონისძიებები ასევე გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. აფრიკაში შედარებით ცოტაა ქვეყანა, რომლებმაც მოახდინეს 1988 წლის კონვენციის რატიფიცირება და მიიღეს სკეციალური ზომები ფულის გათეთრების წინააღმდეგ, რაც შეიძლება უბრალოდ ნიშნავდეს ნარკობიზნების და ფულის გათეთრების პრობლემების იმ მასშტაბით არარსებობას, რომელიც სხვა რეგიონებშია. აზიის ქვეყნებს აქვთ ძლიერი და კომპეტენტური სამართალდამცავი ორგანოები, მაგრამ მათი ფინანსური სისტემების გამჭვირვალობა არასაკმარისია, რომ ფულის გათეთრების ხარისხზე ვიმსჯელოთ.

აზიის რეგიონის ქვეყნები კაპიტალის გათეთრებასთან ბრძოლისათვის სხვადასხვა დონის მზადყოფნას გამოხატავენ. ზოგიერთმა მათგანმა ამ სფეროში დამატებითი ზომები მიიღო. მაგალითად, პაკისტანში შემუშავებულია კანონი, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმებს ნარკოტიკებით გაჭრობასთან დაკავშირებული კაპიტალის გათეთრებისთვის და ბანკებს და ფინანსურ ორგანიზაციებს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს.

სპარსეთის ყურის ქვეყნებში ფინანსურმა ინსტიტუტებმა მიიღეს კლიენტების იდენტიფიკაციისკენ, ბუღალტრული „კვალის“ შენახვისკენ და საჭვო ოპერაციების შესახებ დეკლარირებისკენ მიმართული ზომები.

რეგიონის ქვეყნების უმეტესობაში კაპიტალის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული არანაირი ზომა არ არის მიღებული. ქვეყნების უმეტესობა გამოხატავს სურვილს, შეიმუშაოს ერთიანი მიდგომა კაპიტალის გათეთრებასთან ბრძოლის პრობლემებისადმი, ასევე დაარსოს რეგიონში კაპიტალის გათეთრებაზე ზემოქმედების ფინანსური მეთოდების სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია (35; 116. 474-489; 281. 49-55; 212. 323-339).

იაპონიაში გამოტქვა აზრი, რომ უკანონო შემოსავლებთან ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს უკანონო შემოსავლების კონფისკაციასთან და სახსრების დამალვის და ფულის გათეთრების თავიდან აცილებასთან ერთად. ამასთანავე, საჭიროა ფინანსური გარიგებების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ამავე დროს, ეს ზომები უნდა განხორციელდეს მაქსიმალურად ეფექტურად, თითოეულ ქვეყანაში დამნაშავეობის ტენდენციებისა და პირობების გათვალისწინებით. უფრო მეტიც, ეს ზომები უნდა შეესაბამებოდეს თითოეული ქვეყნის ძირითადი სამართლებრივი სისტემის პრინციპებს და უნდა ასახავდეს დაზარალებულთა ინტერესებს.

იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს კონფისკაციას და „ეკვივალენტური ღირებულების შეკრებას“ (ჯარიმა), რომლებიც გამოიყენება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მიმართ, ძალიან წვრილმანის გარდა. ნარკოტიკებთან ბრძოლის შესახებ სპეციალური კანონი, რომელიც 1992 წელს ამოქმედდა, ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენის შედეგად მოპოვებულ უკანონო შემოსავლებთან ბრძოლისკენაა მიმართული. ფინანსთა სამინისტრო და სხვა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოები აკონტროლებენ ყველა ფინანსური დაწესებულების საქმიანობას და ახორციელებენ ზედამხედველობას ამ საქმიანობაზე. ფინანსურ დაწესებულებებს ევალებათ კლიენტების გულმოდგინედ იდენტიფიცირება, განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა კონკრეტული გარიგებებისთვის და შესაბამისი დოკუმენტების დოსიქს წარმოება. ამის გარდა, ამჟამად მოქმედებს გარიგებების შედეგად გარკვეული სახის კაპიტალის მოძრაობის კონტროლის სისტემა.

არსებობს იმ გარიგებების შესახებ შეტყობინების ვალდებულება, იმ შემთხვევაში როდესაც არსებობს ეჭვი ნარკობუნვასთან კავშირის შესახებ. იაპონიაში არ მოქმედებს კანონი საბანკო ოპერაციების საიდუმლოების შესახებ. ამიტომ, ფინანსური დაწესებულებები თანამშრომლობენ საგამოძიებო ორგანოებთან, რომლებსაც მოსამართლის მიერ გაცემული სანქციის საფუძველზე შეუძლიათ ჩერეკის ჩატარება და გარიგებების ატრიბუტებისა და ამ დაწესებულებებში შენახული სხვა დოკუმენტების ამოღება. მნიშვნელოვანი ძალისხმევის მიუხედავად, ნადდი ფულის მსხვილი თანხები, დანაშაულებრივ დაჯგუფებებს აძლევს საშუალებას, ადვილად გამოიყენონ თავიანთი უკანონო შემოსავლები.

რაც შეეხება დანაშაულის თავიდან აცილების და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგრამის პრაქტიკულ ასპექტებს, იაპონის აზრით, წევრ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესება ძალიან სასარგებლო იქნებოდა დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებთან ბრძოლისათვის. ამასთან დაკავშირებით, ამ პროგრამის განხორციელებისას გამახვილებულია ინფორმაციის გაცვლის საკითხზე (197. 63-68; 209. 261-263).

კატარის კომპეტენტური ორგანოები რეგულარულად იღებენ სათანადო ზომებს საერთაშორისო შეთანხმებების ფარგლებში დანაშაულთან ბრძოლის, კოორდინაციისა და თანამშრომლობის, ასევე ორგანიზებული დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გაცვლის სფეროში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეკომენდაციების შესასრულებლად. ეს ორგანოები შეისწავლიან ასევე კანონმდებლობას, რომელიც კრძალავს დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გათეთრებას. კატარის შინაგან საქმეთა სამინისტრო კორუმპირებულად მუშაობს კატარის ცენტრალურ ბანკთან. ცენტრალური ბანკი როგორც წესი აგზავნის ბანკებში და უცხოური ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში შესაბამის მითითებებს, რომლებშიც განისაზღვრება ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ზომები (145).

ტაილანდის კანონმდებლობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული ფულის გათეთრების თავიდან აცილებას და მასთან ბრძოლას, ასევე ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის აღკვეთას.

პარლამენტს განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინა კანონპროექტი ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ქონების დამალვის ან შეცვლის თავიდან აცილებისა და აღკვეთის შესახებ. შემოთავაზებული კანონის საფუძველზე შეიქმნა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ქონების დამალვასთან ან შეცვლასთან მიმართებით მონაცემების შემკრები სპეციალური დაწესებულება. ეს დაწესებულებებისგან, ასევე თანამდებობის პირებისაგან, რომლებიც პასუხს აგებენ მსხვილი თანხებით განხორციელებულ გარიგებებზე ანგარიშგების წარდგენისათვის, რომლებიც აღემატება სამინისტროებისა თუ უწყებების ნორმატიულ აქტებში მითითებულ თანხებს, და იძლევიან გონივრულ საფუძველს ეჭვისთვის, რომ ისინი დაკავშირებული არიან დანაშაულის ჩადენასთან.

აღნიშნული კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთიდან ათ წლამდე ვადით, ან ჯარიმას, რომელიც არ აღემატება 200 000 ბატს, ან ორივეს, ნებისმიერი პირის მიმართ, რომელმაც გადასცა (ან მიიღო) დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქონება, ქონების და მისი წყაროს დამალვის ან დაფარვის ან მითითებული ქონების მიმართ ნებისმიერი უფლების გადაცემის სახით. ამ კანონის საფუძველზე ნებისმიერი პირი, რომელიც შედის ჯგუფში დანაშაულის ჩადენის მიზნით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, რომლის ვადაც არ აღემატება ხუთ წელს, ან ჯარიმით, რომელიც არ აღემატება 60 000 ბატს, ან ორივეთი. თუ დამნაშავე მთავრობის თანამდებობის პირია, ასეთი დანაშაულისათვის მისჯილი სასჯელის ზომა სამჯერ იზრდება. კანონის პროექტით ასევე გათვალისწინებულია, რომ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ქონება, მასზე პროცენტების ჩათვლით, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე სახელმწიფოს საკუთრებაში გადადის (23).

ავსტრალიამ შეიმუშავა ზომების ყოვლისმომცველი კომპლექსი, რომელიც არის საერთო სისტემური მიდგომა მოცემული პრობლემის გადაწყვეტისადმი. ამ მიდგომის ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი თავისებურება არის კანონმდებლობის მიღება, რომელიც მიმართულია ორგანიზებული დანაშაულის კერძოდ, დანაშაულებრივი საქმიანობიდან და ფულის გათეთრებიდან მიღებული შემოსავლების, გამოვლენისკენ. ავსტრალიაში ფულის გათეთრებასთან ბრძოლის

კუთხით ზომები ეფუძნება ფინანსური მექანიზმების მიზნობრივი ჯგუფის 40 რეკომენდაციას. კანონმდებლობაში მნიშვნელოვანია კანონი დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებთან ბრძოლის შესახებ და კანონი ფინანსურ გარიგებებზე ანგარიშგების შესახებ. დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებთან ბრძოლის შესახებ კანონი სასამართლოს ანიჭებს ფართო უფლებებს. ამის გარდა კანონი ითვალისწინებს აქტივების დახარჯვის და გატანის თავიდან აცილების მიზნით მათი გაყინვის შესახებ გადაწყვეტილებების გამოტანას, ასევე გადაწყვეტილებას ქონების კონფისკაციის შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გამოიყენებოდა დანაშაულის ჩასადენად.

ფინანსურ გარიგებებზე ანგარიშგების შესახებ კანონის საფუძველზე ავსტრალიაში შემოღებულია საზედამხედველო ორგანოსათვის – ავსტრალიის ფინანსური დაზვერვის სამმართველოსთვის (AUSTRAC) – ნადდი ფულით მსხვილი და საეჭვო გარიგებების შესახებ მონაცემების სავალდებულო წესით წარდგენის რეჟიმი.

ამის გარდა, ავსტრალიაში დაფუძნებულია ჩამორთმეული აქტივების მიზნობრივი ფონდი. ყველა აქტივი, რომლებიც ჩამორთმეულ იქნა დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებთან ბრძოლის შესახებ კანონის და საბაჟო კანონის შესაბამისად, ირიცხება ამ მიზნობრივი ფონდის ანგარიშზე, მაგრამ არ შეიტანება საერთო ბიუჯეტში. ეს მიზნობრივი ფონდი განკუთვნილია ასევე ყველა სახსრების შესაკრებად, რომლებიც მოპოვებულია ეკოლოგიური დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული ინსტრუმენტების, მოგებისა და შემოსავლების გამოყენების გზით. ხსენებული ფონდები პროექტების ფართო სპექტრის განსახორციელებლად გამოიყენებოდა. მაგალითად, ავსტრალიის ფედერალურ პოლიციას გამოეყო ფული თანამგზავრული კავშირით აღჭურვილი ხომალდებისა და სატრანსპორტო საშუალებების დახმარებით სათვალთვალო სისტემის, ასევე რადიოსისშირეებზე სახმელეთო სათვალთვალო სისტემის შესაქმნელად.

ავსტრალია 1988 წლის კონვენციის მონაწილეა. მან ხელი მოაწერა სტრასბურგის 1990 წლის კონვენციას „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და

კონფისკაციის „შესახებ“ და განიხილავდა ამ კონვენციის რატიფიკაციის საკითხს. ავსტრალიას მიაჩნია, რომ ფინანსური მექანიზმების მიზნობრივმა ჯგუფმა აზიის ქვეყნები ფულის გათეთრებასთან ბრძოლის სტრატეგიით უზრუნველყო. ამ სტრატეგიის ერთ-ერთი ელემენტია აზიის ქვეყნების სამდივნოს შექმნა, რომელსაც მინიჭებული აქვს უამრავი ფუნქცია, კონსულტაციების ორგანიზების გზით ინფორმაციის გაფრცელების და დახმარების კოორდინაციის, ასევე ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ეფექტიანი ზომების შემუშავებისა და განხორციელებისათვის კადრების მომზადების ჩათვლით. ავსტრალია ჩამორთმეული აქტივების თავისი მიზნობრივი ფონდის სახსრებს იყენებდა ამ სამდივნოს დაფინანსებისათვის მისი საქმიანობის პირველი სამი წლის განმავლობაში (247; 283. 43-54).

საქართველოში ფულის გათეთრების კონტროლის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული კორუფციასთან ბრძოლის ღონისძიებებთან. კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანასთან ერთად, საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 17 თებერვლის №3345-რს დადგენილებით საქართველო შეუერთდა სტრასბურგის 1990 წლის 8 ნოემბრის კონვენციას „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ“. აღნიშნული კონვენციის დებულებების იმპლემენტაციის მიზნით 2003 წლის 6 ივნისს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“.

საქართველო სხვადასხვა საერთაშორისო ანტიკორუფციული ორგანიზაციის წევრია. ესენია:

- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელი (ACN) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიისათვის, რომელიც შეიქმნა 1998 წელს ამ ქვეყნების კოორდინაციისა და მათთან პოლიტიკური დიალოგის წარმოებისათვის.
- კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფი (GRECO), რომელიც შეიქმნა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1999 წლის 1 მაისის (99) 5 რეზოლუციით და რომლის წესდებასაც იმავე წელს შეუერთდა საქართველო (351).

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პროცერორებს გაუფართოვდათ უფლებები, მიმართონ სასამართლოს სახელმწიფოს სასარგებლოდ უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ამოდების თაობაზე. მოცემულ კანონთა მოთხოვნების თანახმად, თუ სასამართლო განხილვის პროცესში დადასტურდება, რომ თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრებს ან ახლო ნათესავებს აქვთ უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონება (ანუ ქონება, რომლის ფლობის დადასტურებაც დოკუმენტურად შეუძლებელია), ის უნდა გადაეცეს კანონიერ მფლობელს ან, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოს (1. 21).

კანონის თანახმად საჯარო მოსამსახურეთა აღნიშნული კატეგორიის მიმართ ინტერესთა კონფლიქტით ნაკარნახევი უფრო მკაცრი შეზღუდვები გამოიყენებოდა. თუმცა 2009 წლის 27 მარტს ცვლილებების შეტანის შემდეგ ეს კანონი ყველა საჯარო მოსამსახურის მიმართ გამოიყენება.

აღნიშნული კანონის თანახმად, პირი ვალდებულია თანამდებობაზე გამწერებიდან ორი თვის ვადაში, თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში ყოველწლიურად (ყოველი წინა დეკლარაციის შევსების დღიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ ერთი კვირის ვადაში), ასევე თანამდებობის დატოვებიდან ორი თვის ვადაში შეავსოს და წარადგინოს საჯარო სამსახურის ბიუროში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის საჯაროობას და დეკლარაციის დროულად ჩაბარებაზე კონტროლს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამსახურის ბიურო უზრუნველყოფს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიღებას, შესაბამისი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის საჯაროობას და დეკლარაციის დროულად ჩაბარებაზე კონტროლს.

ამავე კანონის მიხედვით, ყველა საჯარო მოსამსახურე სამსახურის დაწყებამდე და შემდეგ ყოველი საფინანსო წლის ბოლოს ვალდებულია წარადგინოს დეკლარაცია საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და შემოსავლების თაობაზე.

კორუფციის აღკვეთის საკითხში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში 2009 წლის 12 ივნისს შეტანილი ცვლილება.

საზოგადოების დაუინებული ინტერესის დაქმაყოფილებისთვის გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად ისახება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების პუბლიკაცია. ამ დროიდან ქონებრივი მდგომარეობის ყველა დეკლარაცია ავტომატურად ქვეყნდება ბიუროს ინტერნეტგვერდზე, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების მხრიდან კონტროლის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ მანამდე დეკლარირებული ინფორმაცია მხოლოდ მოთხოვნის საფუძველზე ქვეყნდებოდა. კორუფციის პრევენციის შემდგომ ნაბიჯად მიგვაჩნია ბიუროსთვის მოცემულ დეკლარაციებში ასახული ინფორმაციის შემოწმების უფლების მინიჭება.

დადებით ტენდენციად იკვეთება ის ფაქტიც, რომ თანამდებობის პირთა რაოდენობა, რომლებიც ვალდებული არიან წარადგინონ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, ყოველწლიურად იზრდება. საქართველოს ხელისუფლების მონაცემებით, ეს ძირითადად იმ თანამდებობის პირთა ჩამონათვალის გაფართოებამ განაპირობა, რომლებიც ვალდებული არიან ქონების დეკლარირება მოახდინონ.

კანონში „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში დაკონკრეტებულია „საჩუქრის“ ცნება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება ნებისმიერი საჩუქრის ან მომსახურების მიღება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე.

საქართველოს კანონმდებლობაში „საჩუქრის“ შესახებ წესები დეტალურია. განსაზღვრულია საჩუქრის მაქსიმალური ღირებულება. კერძოდ, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს. საჯარო მოსამსახურის ოჯახის თითოეული წევრის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება ოჯახის თითოეულ წევრზე არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს. კანონით გათვალისწინებულია გამონაკლისი შემთხვევების ჩამონათვალი, რომლის მიხედვით, საჩუქრად არ მიიჩნევა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გადაცემული

გრანტი, სტიარნდია, ჯილდო, პრემია, დიპლომატიური საჩუქარი, სიმბოლური ნიშანი ან სუვენირი და სხვა. საჩუქრის შესახებ წესები ყველა საჯარო მოსამსახურები ვრცელდება, მანამდე კი ისინი მხოლოდ თანამდებობის პირებს ეხებოდა (მუხლი 2<sup>1</sup>) (1. 22).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, აქტიურ და პასიურ მექრთამეობასთან დაკავშირებული ქმედებები მოიცავს ქრთამის აღებას მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, ასევე ქრთამის მიცემას (338-ე და 339-ე მუხლები).

საქართველო არის ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც დაადგინა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ზოგიერთი დანაშაულისთვის, კორუფციის ჩათვლით. კანონმდებლობა ითვალისწინებს ქონების ჩამორთმევის კორუფციასთან დაკავშირებულ ყველა საქმეში, თუმცა ცნობილია, რომ ამ მექანიზმის პრაქტიკული გამოყენება უმნიშვნელოა და საჭიროა ქონების იდენტიფიკაციისა და ამოღების პროცედურების შემდგომი სრულყოფა. ასევე აუცილებელია საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარების გარკვეულწილად გაუმჯობესება კორუფციული დანაშაულების გამოძიებისა და მის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში.

პრინციპული ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, სადაც გათვალისწინებულია სამართლებრივი ინსტრუმენტი „საპროცესო შეთანხმების“ სახელით. მისი არსი მდგომარეობს პროკურორსა და ბრალდებულის (ადგოკატს) შორის შეთანხმების მიღწევაში ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარებისა და გამოძიებასთან ნებაყოფლობითი თანამშრომლობის თაობაზე კონკრეტული თანამდებობის პირის/პირების მიერ კორუფციული დანაშაულის ჩადენის შესახებ ბრალდებულისგან სანდო ინფორმაციის მიღების მიზნით (1. 22-23).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნისგან იმუნიტეტი აქვთ პრეზიდენტს, პარლამენტის წევრს, მოსამართლეს, კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, სახალხო დამცველს და სხვ. იმუნიტეტი ვრცელდება მათ ყველა ქმედებაზე, იმის მიუხედავად, ქმედება ჩადენილია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების

დროს თუ მის გარეშე გარკვეული გარემოებების შესაბამისად, იმუნიტეტი შეიძლება მოიხსნას. იმუნიტეტის მოხსნის კრიტერიუმები და წესები განსხვავებულია და იმ კონკრეტულ თანამდებობაზეა დამოკიდებული, რომელიც სახელმწიფო თანამდებობის პირს უქავია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფო თანამდებობის პირებს სისხლისსამართლებრივი დეპნისგან იმუნიტეტს ანიჭებს, მათ მიმართ საგამოძიებო ქმედებებზე იმუნიტეტი არ ვრცელდება. ამგვარად, ოფიციალური გამოძიების პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი საგამოძიებო ან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, რომელსაც ადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მათ შორის, მოწმეთა დაკითხვა, ჩერეკა, საბანკო და ფინანსური დოკუმენტების ამოღება.

კორუფციასთან ბრძოლის საქმეში დიდი მნიშვნელობა შეიძინა საქართველოს ახალმა ზოგადმა ადმინისტრაციულმა კოდექსმა. ეს კოდექსი არ შეიცავს მუხლებს, რომლებიც პირდაპირ იქნებოდა მიმართული კორუფციის წინააღმდეგ, მაგრამ მის კერძო ნაწილს, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების დაცვას არეგულირებს, მაღალი პრევენციული დანიშნულება აქვს (1. 26).

საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საჯარო მოსამსახურეთა გამჭვირვალედ დაქირავების, მათ დამსახურებებზე დაფუძნებული დაჯილდოებისა და სამსახურებრივი წინსვლის სამართლებრივი და ინსტიტუციური საფუძვლების შექმნაში.

ქვეყანაში მოქმედებს სამსახურებრივი დაწინაურებისა და თანამდებობაზე დანიშვნის საერთო წესები. საჯარო მოსამსახურეთა შერჩევის, დაწინაურების, დათხოვნის და სხვა წესები აღწერილია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში, ასევე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“. პირველი მათგანი განსაზღვრავს საჯარო სექტორში გაკანტური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის პირობებსა და

პრინციპებს, მეორე კი – იმ საჯარო მოსამსახურეთა შეფასების პრინციპებს, რომლებიც უკვე მუშაობენ თანამდებობებზე.

მიღებისა და შეფასების წესები გამოიყენება სახელმწიფო თანამდებობებზე მომუშავე (მისადები) სპეციალისტების მიმართ. იმ პირებზე კი, რომლებიც სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობებზე იმყოფებიან, ეს წესები არ ვრცელდება. ისინი ასევე არ ეხებათ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითი ორგანოების წევრებს, აგრეთვე იმ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მომუშავე პირებს, რომლებიც საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან (მაგალითად, საჯარო სამსახურის ბიურო, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო და ა. შ.) (1. 27).

ქართველ კრიმინოლოგთა აზრით, კორუფციის აღკვეთის თვალსაზრისით, ფრიად მნიშვნელოვანია, რომ საჯარო მოსამსახურეები იცნობდნენ ეთიკის ნორმებს და ინტერესთა კონფლიქტის შესახებ წესებს და ეთანხმებოდნენ მათ (1. 28).

კრიმინოლოგები ასევე აღნიშნავენ, რომ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ წესების პრაქტიკაში გამოყენება როგორია, ვინაიდან არ არსებობს ცენტრალური ორგანო, რომელიც პასუხს აგებდა აღნიშნულ საკითხებზე. აუცილებელია ამ კუთხით ცალკეული დაწესებულებების ან ნებისმიერი ცენტრალური ორგანოს როლის დაზუსტება.

საქართველოში დაინერგა აუდიტის სისტემა, სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების კანონის (26.03.2010) შესაბამისად. ამ მიმართულებით გრძელდება ამ კანონის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხის გადაწყვეტა (1. 27-29).

საქართველოში მოქმედებს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, რომლის თანახმადაც, შესაბამისი სტრუქტურა აღჭურვილია ოპერატიული დამოუკიდებლობით და აქვს შიდა კონტროლის ქვედანაყოფების ფორმირებისა და შიდა აუდიტის პრაქტიკული რეალიზაციისთვის აუცილებელი რესურსები.

სახელმწიფო საჭიროებისათვის შესყიდვების სფეროში (რომელიც კორუფციისთვის ნოჟიერ ნიადაგად ითვლება) საქართველოში არსებობს შემსყიდველი ორგანიზაციების დეცენტრალიზებული სისტემა და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომელიც გარკვეულ როლს ასრულებს მონიტორინგის კოორდინაციაში. აუცილებელია გაგრძელდეს სახელმწიფო საჭიროებისათვის შესყიდვების სისტემის რეფორმა ახალი კანონის მიღებით, რომელიც უზრუნველყოფს გამჭვირვალობისა და მონიტორინგის უფრო მაღალ ხარისხს და გაითვალისწინებს საჩივრების დამოუკიდებელი და ეფექტური განხილვის პროცედურებს.

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების სისტემა საქართველოში ჩამოყალიბების შემდეგ რამდენჯერმე შეიცვალა. ეს სისტემა ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო დაფინანსებას, ადგენს შეზღუდვებს კერძო შემოწირულებებზე, კრძალავს ანონიმურ შემოწირულებებს და შემოწირულებებს იურიდიული პირებისგან, ასევე შემოწირულებების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გახმაურებას. აუცილებელია შემოწირულებებზე და მათი ხარჯვის კამპანიაზე მონიტორინგის სრულყოფა.

სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მიმართ ნდობის საკითხი საქართველოსთვის პრობლემურია და ხელისუფლების მიერ დამატებით განხილვას საჭიროებს. აუცილებლად გვესახება სასამართლოების მეტი გამჭვირვალობა, მათ შორის, მოსამართლეების შერჩევის ან მათი გათავისუფლების საფუძვლების შესახებ ინფორმაციის ღიაობა, აგრეთვე კორუფციული საქმეების სწრაფი და გამჭვირვალე განხილვის უზრუნველყოფა.

გაეროს დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მე-11 კონგრესის (ბანგკოკი, ტაილანდი, 2005 წლის 18-25 აპრილი) შესაბამისად საქართველოსთვისაც რეკომენდებულია:

- ყოვლისმომცველი შიგა რეგულირების რეჟიმისა და ზედამხედველობის დაწესება ბანკებსა და სხვა ფინანსურ დაწესებულებებზე, მათ შორის, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც ახორციელებენ ფულადი სახსრების გადარიცხვასთან დაბავშირებულ ოფიციალურ და არაოფიციალურ მომსახურებას, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ფულის გასათეთრებლად განსაკუთრებით მიმზიდველ სხვა ორგანოებზედაც;

- ფულის გათეთრებასთან მებრძოლი სამართალდამცავი და სხვა ორგანოების მიერ ფინანსური და ოპერატიული საინფორმაციო დანაყოფის შექმნა, რომელიც იფუნქციონირებდა, როგორც ფულადი სახსრების გათეთრების შემთხვევების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და გავრცელების ეროვნული ცენტრი;
- სახელმწიფო საზღვარზე ნაღდი ფულის გადაადგილების გამოვლენაზე კონტროლის დაწესების საკითხის განხილვა, იმ მოთხოვნის გათვალისწინებით, რომ ფიზიკურმა პირებმა და კომერციულმა ორგანიზაციებმა შესაბამის ორგანოებს აცნობონ საზღვარზე დიდი რაოდენობით ნაღდი ფულის გადაადგილების შესახებ და ა. შ. (322). როგორც აღნიშნავენ, ფულის გათეთრების კონტროლის სისტემაში ჯერჯერობით ზოგიერთი ნაკლოვანება შეინიშნება. აღსანიშნავია, რომ დარღვეულია ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა.

საქართველოში დაწყებულმა გამოკვლევებმა საინტერესო კანონზომიერება დაადგინა. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ეფექტიანი საშუალოვადიანი ხარჯვითი გეგმის შედგენასთან დაკავშირებით ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამით და საშუალოვადიანი ხარჯვითი ჩარჩო დოკუმენტით – „ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2006-2009 წლებისთვის“ – გათვალისწინებული პროგრამების ვადები ერთმანეთს უნდა დამთხვეოდა. აქ კი პრობლემას ვაწყდებით: პროგრამების უმეტესობა, რომლებიც მოცემულია დოკუმენტში „ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2006-2009 წლებისთვის“, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, 2006-2009 წლებზე იყო გათვლილი, მაშინ, როდესაც ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის მიხედვით პროგრამების უმეტესობა 2005-2007 წლებში უნდა დასრულებულიყო. ასევე აღნიშნავენ, რომ გარკვეული შეუსაბამობები არსებობდა დარგობრივი სამინისტროების მიერ წარმოდგენილ სტრატეგიულ მიმართულებებსა და ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამით და დოკუმენტით „ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2006-2009 წლებისთვის“ განსაზღვრულ სტრატეგიულ პრიორიტეტებს შორისაც, რაც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენდა წლიური საბიუჯეტო პროექტის ფორმირებაზე (81).

როგორც ცნობილია, ეუთოს მისის და ეუთოს ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საქმიანობის კოორდინატორის ოფისის ორგანიზებით 2004

წლის 25 ნოემბერს თბილისში ორდღიანი სემინარი გაიხსნა. სემინარზე ეუთოს, მსოფლიო ბანკისა და ინტერპოლის წარმომადგენლებმა ფულის გათეთრების საკითხებზე თავიანთი გამოცდილება საქართველოს სამთავრობო და ფინანსური სტრუქტურების წარმომადგენლებს გაუზიარეს. როგორც ეუთოს მისის ხელმძღვანელმა განაცხადა, „ფულის უკანონო მოძრაობა ტერორიზმის პირდაპირ და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებას. მთელ მსოფლიოში ეს დაკავშირებულია ორგანიზებულ დანაშაულთან და ტერორიზმის დაფინანსებისთვის გამოიყენება. ფულის გათეთრების შედეგები უარყოფითად აისახება ქვეყნის განვითარებაზე, ბიზნესზე, მთავრობასა და კანონის უზენაესობაზე“ (348; 92).

## §2. ხელოვნების ნაწარმოებების და კულტურის საგნების ქურდობის პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები

საკითხის არსებით განხილვამდე მოკლედ შევეხოთ მის ისტორიას. 1954 წლის 7 აგვისტოს ძალაში შევიდა კონვენცია „შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ“ (ე. წ. ჰაგის კონვენცია). კონვენცია და მისი ოქმი მიღებულ იქნა კონფერენციაზე ჰააგაში (ნიდერლანდი), რომელიც 1954 წლის 21 აპრილიდან 14 მაისამდე მიმდინარეობდა. ეს საერთაშორისო შეთანხმება ისტორიაში პირველი დოკუმენტია, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურული ფასეულობების დაცვას ეძღვნება. ის შემუშავებულია ეგრეთ წოდებული რერიხის პაქტის საფუძველზე, მეორე მსოფლიო ომის დროს კულტურული ფასეულობების მასობრივი განადგურებიდან რამდენიმე წლის შემდეგ.

ჰააგის კონვენციაში საერთაშორისო პრაქტიკაში პირველად იქნა მოცემული კულტურული ფასეულობების განსაზღვრება. კონვენციის თანახმად, კულტურულ ფასეულობებად, მათი წარმოშობის და მფლობელის მიუხედავად, ითვლება მოძრავი და უძრავი ფასეულობები, რომლებსაც აქვთ დიდი მნიშვნელობა თითოეული ერის კულტურული მემკვიდრეობისათვის. მათ მიეკუთვნება არქიტექტურის, ხელოვნების ან ისტორიის ძეგლები, არქეოლოგიური ობიექტები, ხელოვნების ნაწარმოებები, ხელნაწერები, წიგნები, მხატვრული, ისტორიული ან არქეოლოგიური მნიშვნელობის საგნები, ასევე სხვადასხვაგვარი სამეცნიერო კოლექციები, მიუხედავად მათი წარმოშობისა და კუთვნილებისა. კულტურული ფასეულობების დაცვაში იგულისხმება მათი დაცვა და პატივისცემა, რომელსაც

საფუძვლად უდევს საომარი მოქმედებების ან ოკუპაციის პერიოდში კულტურული ფასეულობების „იმუნიტეტის“ პრინციპი.

1999 წლის 26 მარტს პააგაში გამართულ დიპლომატიურ კონფერენციაზე მიღებულ იქნა მეორე ოქმი. მოცემულმა ხელშეკრულებამ პააგის კონვენციის დებულებები შეავსო ახალი ნორმებით, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში კულტურული ფასეულობების დაცვის გაძლიერებისკენ და ამ სფეროში სახელმწიფოთა მიერ თავიანთი საერთაშორისო ვალდებულებების უფრო ეფექტიანად შესრულების უზრუნველყოფისკენ არის მიმართული.

კონვენციით გათვალისწინებული კულტურული ფასეულობების დაცვის სისტემა შეიცავს საერთო დაცვას, რომელიც ითვალისწინებს კულტურული ფასეულობების დაცვას მშვიდობიან დროს და მათ პატივისცემას შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში, ანუ მათ დაცვას დაზიანებისა და ნგრევისაგან, ქურდობისაგან, ძარცვისაგან, ვანდალიზმისაგან, ნებისმიერი რეპრესიული ზომებისაგან, რომლებიც მიმართულია ამ ფასეულობების წინააღმდეგ. კონვენციით ასევე გათვალისწინებულია შესაძლებლობა სპეციალური დაცვის რეჟიმის შეთავაზებისა იმ კულტურული ფასეულობებისათვის, რომლებსაც „ძალიან დიდი მნიშვნელობა“ აქვთ, ასევე გაძლიერებული დაცვის რეჟიმის შეთავაზებისა იმ ფასეულობებისთვის, რომლებსაც „კაცობრიობისათვის უდიდესი მნიშვნელობა“ აქვთ.

შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული ფასეულობები სპეციალური განმასხვავებელი ნიშნებით უნდა აღინიშნოს. კონვენციის განმასხავებელი ნიშანია ფარი, წაწვეტებული ქვემოდან, გაყოფილი ოთხ ლურჯ და თეთრ ნაშილად (ფარი შედგება ლურჯი კვადრატისგან, რომლის ერთი კუთხე ჩახაზულია ფარის წაწვეტებულ ნაშილში, და კვადრატის ზევით ლურჯი სამკუთხედისგან; კვადრატი და სამკუთხედი ორიგე მხრიდან თეთრი სამკუთხედებით იმიჯნება).

კონვენციის ხელმომწერი ქვეყნები იღებენ ვალდებულებას, შეძლებისდაგვარად ფართოდ გაავრცელონ კონვენციის ტექსტი, როგორც მშვიდობიან დროს, ისე შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში, მათ შორის, ჩართონ მისი შესწავლა სამხედრო და სამოქალაქო სწავლებაში, იმისათვის, რომ კონვენციის პრინციპები

ცნობილი იყოს მთელი მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით – შეიარაღებული ძალებისათვის და პერსონალისათვის, რომლის დანიშნულებაა კულტურული ფასეულობების დაცვა. დღესდღეობით კონვენციის მონაწილეა 60-ე მეტი სახლმწიფო.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ტარდება კულტურული ფასეულობებისა და ხელოვნების საგნების ეროვნული ინვენტარიზაცია გამოაშკარავებული ქურდობების ფონზე, რომლებიც, როგორც ზოგიერთი დამკვირვებელი აღნიშნავს, მიუთითებს დაცვის უზრუნველყოფის და აღრიცხვის წარმოებაში სისტემურ პროცესებზე რუსეთის მუზეუმებში, რომლებიც ფულადი სახსრების უკმარისობას განიცდიან.

ქურდებისათვის ბაზარი – თვით შავი ბაზარიც კი მისი ყოველწლიური ბრუნვით (6 მილიარდი დოლარით) – ძალიან სახიფათო ადგილია მოპარული ხელოვნების ნაწარმოებების გასაყიდად. როგორც დამკვირვებლები ამბობენ, ერთადერთ ვარიანტად რჩება ამ ნამუშევრების გაურკვეველი ვადით შენახვა.

ხელოვნების ნაწარმოებების ქურდობაზე საერთაშორისო რეაქცია ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. ჩვენს დროში ხელოვნების საგნები მაშინვე შეიტანება სპეციალურ სიებში, რომელთაგან ყველაზე მსხვილია დაკარგული ხელოვნების ნიმუშების რეესტრი და „Trace“; გარდა ამისა, ინტერპოლი დაკარგული ნამუშევრების შესახებ საერთაშორისო შეტყობინებებს აგზავნის.

ასეთი დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მიიღება როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ზომები. დიდი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობას ინტერპოლის ფარგლებში. სამწუხაროდ, ინტერპოლს არ აქვს ხელოვნების სფეროში დანაშაულის მსოფლიო სტატისტიკა, მაგრამ, მასში შემავალი ქვეყნების მოხსენებებიდან გამომდინარე, პირველი ოთხი ადგილი საფრანგეთს, იტალიას, რუსეთს და გერმანიას უკავიათ (118. 15-28; 159. 115-132).

საქართველოს კანონმდებლობა კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების,

„კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტებისაგან. ხელოვნების ნაწარმოებების და კულტურის საგნების ქურდობის კონტროლის ძირითადი სამართლებრივი საფუძველი „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონი (22. 06. 2001). ამ კანონის მიზანია დაიცვას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობები საქართველოდან მათი უკანონო გატანისა და უნებართვო არქეოლოგიური გათხრებისაგან. კანონი ხელს უწყობს საქართველოსა და სხვა სახელმწიფოების ხალხთა კულტურული ურთიერთობების განმტკიცებასა და კულტურულ ფასეულობათა გაცნობას, უზრუნველყოფს საქართველოსა და უცხო ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ საქართველოში დროებით შემოტანილ და საქართველოდან დროებით გატანილ კულტურულ ფასეულობათა დაცვასა და სახელმწიფოში დაბრუნებას. ეს კანონი ადგენს საქართველოს კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ერთიან წესს.

კანონის მე-7 მუხლის თანახმად, უკანონოდ ითვლება კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანა, საქართველოში შემოტანა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემა, თუ დარღვეულია ამ კანონით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. უკანონოდ ითვლება აგრეთვე კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანა, საქართველოში შემოტანა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემა, თუ იგი უცხო სახელმწიფოს მიერ ქვეყნის ნაწილობრივი ან სრული ოპებაციის ან ქვეყნის ცალკეულ ტერიტორიაზე სახელმწიფო იურისდიქციის სხვა მიზეზით დაკარგვის პირდაპირი ან არაპირდაპირი შედეგია.

კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კულტურული ფასეულობის მესაკუთრეს უფლება აქვს, თხოვნით მიმართოს საქართველოს შესაბამის ორგანოებს, მხარდაჭერა აღმოუჩინონ საქართველოდან უკანონოდ გატანილი ან უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკანონო მფლობელობაში მყოფი კულტურული ფასეულობის საქართველოში დასაბრუნებლად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი უზრუნველყოფს აღნიშნული კანონის მოთხოვნას. კერძოდ, კოდექსის 259<sup>4</sup> მუხლი კრძალავს ძეგლების, არქეოლოგიური ობიექტების ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა კულტურული ფასეულობების საქართველოდან უნდაართვო გატანას და სჯის ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

ამ დანაშაულთან ბრძოლაში საქართველო ჩაბმულია, როგორც ინტერპოლის წევრი. საქართველო ინტერპოლის წევრად მიიღეს ინტერპოლის გენერალური ასამბლეის 62-ე სესიაზე 1993 წლის 29 სექტემბერს. საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს ფუნქციებში შედის: ინტერპოლის წევრი სახელმწიფოების ანალოგიურ ორგანოებთან და მის გენერალურ სამდივნოსთან საქართველოს პოლიციის ურთიერთობის კოორდინაცია; სამქებრო საქმიანობის ორგანიზაცია და წარმართვა; საქართველოში საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნების შესრულების პრაქტიკის ანალიზი და განზოგადება; საერთაშორისო ხასიათის დანაშაულებთან დაკავშირებულ პირებზე, ორგანიზაციებზე, მოვლენებსა და დოკუმენტებზე მონაცემთა ბანკის შექმნა; საქართველოში დანაშაულის მდგომარეობისა და სტრუქტურის, ტერორიზმთან, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან, ყალბი ფულის დამზადებასთან, ისტორიული და კულტურული ფასეულობების ხელყოფასთან კავშირში მყოფი დამნაშავე პირების, საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ სტატისტიკაში ჩართული სხვა დანაშაულების შესახებ დადგენილი ფორმით მონაცემების შეგროვება და ინტერპოლის გენერალური სამდივნოსთვის გადაცემა.

შექმნილია საქართველოში ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროსთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზა. კერძოდ, არსებობს საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 12 თებერვლის №99 ბრძანებულება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს საქმიანობისა და მასთან თანამშრომლობის წესის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 23 აგვისტოს №1024 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

გასული დროის განმავლობაში საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო აქტიურად მუშაობდა სამართალდამრღვევთა საერთაშორისო ძებნის მიმართულებით. მისი შუამდგომლობის საფუძველზე ინტერპოლის გენერალურმა სამდივნომ მხოლოდ 2006 წლის პირველ ნახევარში 39 პირზე გამოსცა საერთაშორისო ძებნის სპეციალური ნიშანი – ცირკულარი.

2001 წლის მაისში დსთ-ის ისტორიაში პირველად, დანაშაულთან საერთაშორისო ბრძოლის საქმეში საქართველოს როლის ხაზგასასმელად თბილისში ინტერპოლის 30-ე ევროპული რეგიონული კონფერენცია გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღო ევროპის 44-მა ქვეყანამ (რუსეთის ჩათვლით). მსოფლიოს კიდევ 10 ქვეყანა, მათ შორის, აშშ და ისრაელი, კონფერენციაზე დამკვირვებლის სტატუსით იყო წარმოდგენილი. ფორუმში მონაწილეობდნენ ინტერპოლის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი. განიხილეს ინტერპოლის ეროვნული ბიუროების მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის, ინფორმაციის გაცვლის, აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები.

2007 წლის იანვარში საქართველოში (თბილისი) ინტერპოლის „მილენიუმის“ პროექტის ფორმატში გაიმართა ევრაზიაში ტრანსსასაზღვრო დანაშაულის პრობლემებისადმი მიძღვნილი ინტერპოლის სამუშაო ჯგუფის პირველი სხდომა. სხდომაში მონაწილეობდა 18 ქვეყნის ეროვნული ბიუროების 25 წარმომადგენელი; მათ შორის იყვნენ სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლები ევროპის ქვეყნებიდან, აშშ-დან და კანადიდან. თბილისის შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო ორგანიზებული დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობის გაღრმავება ინტერპოლის საშუალებებისა და მონაცემთა ბაზის გამოყენებით. საქართველოს ინტერპოლის ეროვნულმა ცენტრალურმა ბიურომ პარტნიორებს ქართული კრიმინალური ავტორიტეტების და დანაშაულებრივი დაჯგუფებების შესახებ სრული ინფორმაცია წარუდგინა.

ინტერპოლის გენერალური სამდივნო „შავი ცირკულარის“ მეშვეობით აუწყებს ორგანიზაციის წევრებს ამოუცხობი გვამის აღმოჩენის თაობაზე. ამ ცირკულარში აღწერილია გვამის აღმოჩენის ვითარება, მოცემულია მისი ფოტოსურათი, თითების ანაბეჭდები და სხვ.

გატაცებული ფასეულობის საერთაშორისო ძებნა ხორციელდება ავტომობილებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების, ხელოვნების ნაწარმოებების (მხატვრული ტილოები, ქანდაკებები, ანტიკვარიატი, სხვა სამუზეუმო ექსპონატები), არქეოლოგიური ფასეულობების, იარაღისა და სხვათა მიმართ. ეს საქმიანობა წევრ სახელმწიფოებთან, მუზეუმების საერთაშორისო საბჭოსთან, იუნესკოსთან, როგორც „პულტურული ფასეულობების უკანონო შემოტანის, გატანის და საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვისა და თავიდან აცილების ღონისძიებების შესახებ კონვენციის“ (1970) და „მსოფლიო კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციის“ (1972) ინიციატორთან, მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ხორციელდება. ამასთანავე, სახელმწიფოები იღებენ გალდებულებას, ხელი შეუწყონ უკანონოდ გატანილი ხელოვნების ნაწარმოებების ძებნას და მათ დაბრუნებას, გამოავლინონ ყიდვა-გაყიდვის ფაქტები, საბაჟოებზე მოითხოვონ სპეციალური ნებართვა ნივთების სხვა ქვეყნებში გატანის შესახებ.

---

### §3. ინტელექტუალური საკუთრების ქურდობის პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები

საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის მიზნით საქართველოში მიღებულ იქნა კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, რომელმაც განსაკუთრებული საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელებს მიანიჭა უფლება დამრღვევისაგან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნისა, დაკარგული სარგებლის, დამრღვევის მიერ მიღებული შემოსავლების ამოღების, კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის სხვა ზომების მიღების ჩათვლით. საქართველოში მოქმედებს ასევე კანონი „ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ“, რომელიც აწესრიგებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის – ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის – რეგისტრაციასთან, გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს.

ამასთანავე, შექმნილი უფლებრივი მექანიზმი (კერძოდ, მისი სისხლის სამართლის კომპონენტი) პრაქტიკაში არასაკმარისად ეფექტურიანი აღმოჩნდა.

უფლების მფლობელების ინტერესების დაცვა უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის ნორმებითაც. სისხლის სამართლის სანქციები საავტორო უფლებების დარღვევის პრევენციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. უცხოელი სპეციალისტების აზრით, მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი ქვეყანა, რომელიც შეძლებდა საავტორო უფლებების დარღვევის გაკონტროლებას მკაცრი სამართლებრივი სანქციების გამოყენების გარეშე.

საქართველოს კანონმდებლობა ასევე შეიცავს სისხლის სამართლის ნორმებს, რომლებიც საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა უფლებების დაცვისკენაა მიმართული. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლით დანაშაულად აღიარებულია საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების ხელყოფა.

კანონმდებლობა უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტების დაცვასაც, რომლებსაც მიეკუთვნება გამოგონებები და სასარგებლო მოდელები (სამრეწველო საკუთრება). საქართველოს საპატენტო კანონი აწესრიგებს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის შექმნასთან, გამოყენებასთან და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი კი შეიცავს ნორმებს, რომლებიც აღნიშნული სახის ინტელექტუალური საკუთრების დაცვისკენაა მიმართული. კერძოდ, კოდექსის 189<sup>1</sup> მუხლით დანაშაულად აღიარებულია სამრეწველო საკუთრების უფლების ხელყოფა.

საგამოგონებლო და საპატენტო უფლებების დარღვევა შეიძლება გამოხატული იყოს გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის უკანონო გამოყენებაში, გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის შესახებ ცნობების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე ავტორის ან განმცხადებელის თანხმობის გარეშე მისი არსის გახმაურებაში, ავტორობის მითვისებაში ან თანაავტორობაზე იძულებაში.

ავტორობის მითვისება არის საკუთარი სახელით განცხადების შეტანა სხვის აღმოჩენაზე ან გამოგონებაზე, ან უკანონო გზით აღმოჩენის ან გამოგონების შესახებ დოკუმენტების საკუთარ სახელზე მიღება პირის მიერ, რომელიც არ

არის მისი ავტორი. ავტორობის მითვისება შეიძლება ჩადენილ იქნეს მოტყუების გზით, ადმონის ან გამოგონების ანდა რაციონალიზატორული წინადაღების რეპროდუცირების გზით, რომელზედაც უკვე გაცემულია დოკუმენტები, რომლებიც მოწმობს ავტორობას.

საგამომგონებლო და საპატენტო უფლებების დარღვევა არაკეთილსინდისიერი კონკურენტული ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ფორმაა და საწარმოო ჯაშუმობის მეთოდების გამოყენებით ხორციელდება.

ინტელექტუალური საკუთრების მოცემული ობიექტების გამოყენების უფლებრივი რეგულირება უზრუნველყოფილია სპეციალური კანონებით „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ და „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“.

აღნიშნული ობიექტების დაცვა უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის ნორმებითაც. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლით გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენებისათვის, ხოლო 202-ე მუხლით – ინსაიდერული ინფორმაციის, კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვებისათვის, გადაცემისათვის, გახმაურებისათვის ან გამოყენებისათვის.

ინფორმაცია სამსახურებრივი ან კომერციული საიდუმლოა იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ნამდვილი ან პოტენციური კომერციული ფასეულობა მესამე პირების მიერ არცოდნის გამო, იგი არ არის თავისუფლად ხელმისაწვდომი კანონიერ საფუძველზე და ინფორმაციის მფლობელი იღებს ზომებს მისი კონფიდენციალურობის დასაცავად.

უკანონო ქმედებები იმ ინფორმაციასთან მიმართებით, რომელიც სამსახურებრივი ან კომერციული საიდუმლოა (შეგროვება, გახმაურება, უკანონო გამოყენება, უკანონო საქმიანობა, მიმართული იმ ცნობის მიღებისკენ, რომელიც კომერციულ საიდუმლოს შეადგენს), ფართოდ გავრცელდა ყველა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყანაში. მისი რენტაბელურობა იმ საკვანძო

როლით განისაზღვრება, რომელსაც თითოეული კომერციულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია თანამედროვე კონკურენტულ ბრძოლაში ასრულებს.

საკითხის მკვლევარები გამოყოფენ კონფიდენციალური ინფორმაციის გადინების შემდეგ ძირითად არხებს:

- იმ სპეციალისტების მიგრაცია, რომელთაც საქმე პქონდათ კონფიდენციალურ ინფორმაციასთან. ეს ინფორმაციის გადინების ყველაზე მთავარი და მნელად საკონტროლირებელი არხია.
- პუბლიკაციები პრესაში, დეპონირებული ხელნაწერები, მონოგრაფიები, ანგარიშები სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, თანამშრომლების ზეპირი მოხსენებები და გამოსვლები. გადინების ამ არხს თავისი მნიშვნელობით მეორე ადგილი უჭირავს.
- ერთობლივი სამუშაოები სხვა ფირმებთან, კონტაქტები კლიენტებთან და ინვესტორებთან, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოლაპარაკებებს.
- ინფორმაციის შეკრების ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

მიღებულია კომერციული საიდუმლოს შიგა და გარე საფრთხეების განსხვავება. გარე საფრთხეები არაკეთილსინდისიერი კონკურენტების, დანაშაულებრივი ელემენტების უშუალო საქმიანობის შედეგად, სახელმწიფო სტრუქტურებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ფირმის ურთიერთობების არაოსტატურად ჩამოყალიბების გამო ჩნდება, შიგა საფრთხეები კი საწარმოს პერსონალის მიერ ინიციირდება.

გარე მოქმედებები შეიძლება ინფორმაციის პასიური მატარებლებისკენ იყოს მიმართული და გამოიხატებოდეს, მაგალითად, შემდეგში:

- დოკუმენტების გატაცების, დოკუმენტების ასლებისა და დისკეტების გადაღების მცდელობები;
- ინფორმაციის გადაღება, რომელიც ჩნდება კომუნიკაციის პროცესში;
- ინფორმაციის განადგურება ან მისი მატარებლების დაზიანება; კომერციული საიდუმლოს შემცველი დოკუმენტების ან მასალების შემთხვევით ან განზრას დაყვანა კონკურენტებამდე.

გარე მოქმედებები შეიძლება ასევე მიმართული იყოს კომპანიის პერსონალისკენ და გამოიხატებოდეს კომერციული საიდუმლოს შემცველი ინფორმაციის

მოსყიდვის, მუქარის, შანტაჟის, გამოტეხის გზით მიღებაში ან გულისხმობდეს წამყვანი სპეციალისტების კონკურენტულ ფირმაში გადაბირებას და ა. შ.

ფსიქოლოგების შეფასებით, ვინაიდან ფირმის მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 25% ნებისმიერი ხერხით და ნებისმიერ ფასად, ხშირად თავისი ფირმის ინტერესების საზიანოდ, სახსრების მოპოვებისკენ მიისწრაფვის, იგი უცდის ხელსაყრელ შემთხვევას კომერციული საიდუმლოებების გასამუდავნებლად, მათ გასაყიდად. უდიდესი საფრთხეა ამ უკანონო საქმიანობის განსაკუთრებული ნაირსახეობა, რომელიც მაღალი ორგანიზებულობით, შემსრულებლების და ორგანიზატორების პროფესიონალიზმით, დაზვერვითი საქმიანობის წარმოების ახალი საშუალებების გამოყენებით გამოირჩევა და რომელმაც „საწარმოო ჯაშუშობის“ სახელწოდება მიიღო.

იურიდიული პირის ინდივიდუალიზაციის, პროდუქციის ინდივიდუალიზაციის, სამუშაოების, მომსახურების შესრულების საშუალებებს მიუკუთვნება: სავაჭრო ნიშანი და მომსახურების ნიშანი, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება, გამაფრთხილებლი მარკირება, მსგავსი აღნიშვნები.

დღესდღეობით საქონელი, რომელსაც აქვს კანონით დადგენილი წესით დამტკიცებული ინდივიდუალიზაციის საშუალებები, იმდენად დასელოვნებულად ყალბდება, რომ ხანდახან გაყალბების დადგენა მხოლოდ საგულდაგულო ექსპერტის შემდეგ შეიძლება. განსაკუთრებით ხშირად ყალბდება საქონლის იარღიულები იმ ფირმების დასახელებით, რომლებსაც ბაზარზე მაღალი რეპუტაცია აქვთ.

მსოფლიოში კარგად არის ცნობილი ფრანგული ფირმა BIC – საკანცელარიო ნივთების მსხვილი მწარმოებელი. ბოლო დროს ეს ფირმა მნიშვნელოვან დანაკარგებს განიცდის. ჩინეთში, ინდოეთში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში BIC-ის გაყალბებების მთელი ინდუსტრია გაჩნდა. ამ პროდუქციის რეალიზება ხდება რუსეთშიც (34).

მითითებული პრობლემების მიუხედავად, საქონლის მწარმოებლები ზოგჯერ უშვებენ შეცდომებს, რომლებიც დამნაშავეებს მათი საქონლისა და იარღიულების გაყალბების საშუალებას აძლევს. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული

შეცდომაა იმ საქონლისა და იარღიყების გამოყენება, რომლებსაც უკვე დიდი ხანია წარმატებულად აყალბებენ დამნაშავეები. მაგალითად, გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც სპარსეთის ყურის ქვეყნებში ხდებოდა ყალბი საპის ექსპორტი, რომელიც თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა ნამდვილისაგან და მაღალი რეპუტაციის მქონე ფირმის ყველა ეტიკეტით იყო აღჭურვილი.

ექსპერტების აზრით, გაყალბების თავიდან აცილების საერთო პროგრამა შეიძლება შემდეგი ძირითადი დონისძიებებისგან შედგებოდეს:

- სახელმწიფოს საკანონმდებლო და სამართალდამცავი ორგანოების მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- მჰიდრო კონტაქტების შენარჩუნება მწარმოებელსა და პოლიციის ქვედანაყოფს შორის, რომელიც პასუხისმგებელია თაღლითობასა და გაყალბებაზე;
- გაყალბებისგან და გაყალბების ტექნოლოგიისგან დაცვის დონეების შექმნის სფეროში მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა ძირითადი მიღწევის შესახებ ინფორმაციის ფლობა;
- დილერებთან მუდმივი კავშირის შენარჩუნება;
- წარმოების ადგილების რაოდენობის შეზღუდვა, საქონლის წარმოებისა და გაყიდვის ყოველმხრივი კონტროლის განხორციელება;
- გაყალბების ხერხების გამოვლენასთან მიმართებით მომხმარებელთა ორიენტირებისათვის რეკლამის გამოყენება.

დაცვის საშუალებების შემუშავების შესახებ თხოვნით რომელიმე ორგანიზაციისთვის მიმართვამდე საჭიროა იმაში დარწმუნება, რომ ამ ორგანიზაციის საქმიანობა ფარული დანაშაულებრივი ხასიათის არ არის.

მაგრამ მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის სახელმწიფოები და ფირმები გამოხატავენ სახსრების გაყალბებისგან დაცვის საშუალებების შემუშავებაში ჩადების სურვილს, ამ დანაშაულისგან მიღებული მნიშვნელოვანი ზარალის მიუხედავად. ფირმები ამარტივებენ გაყალბების მიმართ თავიანთ დამოკიდებულებას და ცდილობენ ამ პრობლემას საკუთარი საქონლის გაძვირებით, ანუ მომხმარებლის ხარჯზე აუარონ გვერდი.

გაყალბებისაგან დაცვის მასშტაბური პროგრამები ძალიან ძვირია, მაგრამ შესაძლებელია ზოგიერთი ელემენტარული დონისძიების განხორციელება, რომლებიც ხარჯების მხრივ უმნიშვნელოა, მაგრამ შეძლებს თადღითობისგან დაცვას. სპეციალისტები შემდგათ დონისძიებების განხორციელების რეკომენდაციებს იძლევიან:

- ფირმაში ყოველთვის უნდა იყოს საქონლის გაყალბებისგან დაცვაზე პასუხისმგებელი თუნდაც ერთი ადამიანი;
- აუცილებელია საკუთარი სავაჭრო აგენტებისათვის რეგულარულად შეტყობინება გაყალბებისგან დაცვის გამოყენებული საშუალებების შესახებ;
- მიზანშეწონილია საქონლის გაყალბების წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობასთან შეერთება;
- გაყალბებისგან დაცვის მარტივი, მაგრამ ეფექტიანი საშუალებების გამოყენება;
- გაყალბებისგან დაცვის საშუალებების პერიოდული განახლება;
- საქონელზე სპეციალური იარღიყის გამოყენება, რომელიც პროდუქციას გაყალბებისგან იცავს;
- აუცილებლობის შემთხვევაში, გაყალბებისგან დამცავი ყველაზე მძლავრი საშუალებების გამოყენება, რომლებიც გამოიყენება, მაგალითად, პასპორტების დამზადებისას.

თუ ფირმაში მიღებულია თადღითობასთან ბრძოლის პროგრამა, მაშინ მთელ მის პერსონალს უნდა შეასწავლონ გაყალბების გამოვლენის მეთოდები. სწავლების პროცესი უწყვეტად, მმართველის ხელმძღვანელობით უნდა მიმდინარეობდეს.

ინტელექტუალური საკუთრების ქურდობის კონტროლის ღონისძიებები კომპლექსური ხასიათისაა. მათ შორის წამყვანი როლი სამართლებრივი რეგულირების საკითხებს ენიჭება. 1997 წლამდე, საქართველოს ახლანდელი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე, ავტორთა უფლებების დაცვას ითვალისწინებდა საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსი, რომელიც შეიცავდა სპეციალურ, მეოთხე კარს სათაურით „საავტორო სამართალი“. კარი შედგებოდა 40 მუხლისაგან და სრულად ეთანადებოდა სსრ კავშირის საავტორო სამართალს. აღნიშნული კოდექსი სამოქმედოდ 1965 წლიდან იქნა შემოღებული. მან დააწესა ავტორთა როგორც ქონებრივი (სახელმწიფოს მიერ განკარგვით), ისე პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მომიჯნავე უფლებების დაცვა გათვალისწინებული არ იყო.

ვითარება გამოასწორა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემულმა საავტორო სამართალმა (წიგნი მეოთხე – „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“, კარი პირველი – „საავტორო სამართალი“, 1017-ე–1099-ე მუხლები). მან საქართველოს ისტორიაში პირველად დაამკვიდრა შემსრულებლების, ფონოგრამის (ვიდეოგრამის) დამამზადებლებისა და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებების დაცვა. კოდექსის მიხედვით, საავტორო უფლების მოქმედების ხანგრძლივობაა 50 წელი ავტორის გარდაცვალებიდან. მომიჯნავე უფლების მოქმედების ხანგრძლივობაც 50 წლით განისაზღვრა, ოდონდ ამ ვადის ათვლა დაუკავშირდა პირველ შესრულებას, ფონოგრამის (ვიდეოგრამის) პირველად ჩაწერას ან გამოქვეყნებას, მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ პირველ გადაცემას.

კოდექსმა საბჭოთა კავშირის დროს დაცული საავტორო და მომიჯნავე უფლებების მოქმედება უკუქვევით 50 წლამდე გაახანგრძლივა (ნაცვლად 25-ისა). 1999 წელს ამოქმედდა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიღებამაც გამოიწვია სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საავტორო სამართლის ნორმების მოქმედების შეწყვეტა. სამოქალაქო კოდექსში საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვასთან დაკავშირებით დარჩა ერთი ნორმა (მუხლი 1017) „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონზე მითითებით. აღნიშნულმა კანონმა გაერთიანებული ევროპის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით საავტორო უფლებების მოქმედება 70 წლამდე გაახანგრძლივა.

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში უფლებათა დარღვევას დამტკიცება უნდა, რაც ხშირ შემთხვევაში გადაულახავ სიძელეებთან არის დაკავშირებული. დარღვევა რომ გამოვლინდეს და დამტკიცდეს, დროული ქმედებები უნდა განხორციელდეს, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს კი უნდა პქონდეთ ქმედითი ღონისძიებების გატარების უფლება. იმისათვის, რომ აღიკვეთოს საავტორო ან მომიჯნავე უფლებების დარღვევა, საჭიროა სპეციალურ კანონთან ერთად დაცვის საშუალებებსა და სანქციებს სხვა კანონებიც ითვალისწინებდეს. ვგულისხმობთ სამოქალაქო სამართალს, აგრეთვე სამოქალაქო საპროცესო, სისხლის, სისხლის სამართლის საპროცესო, ადმინისტრაციულ სამართალს (3. 31-33).

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით მოქმედებს საქართველოს შემდეგი აქტები (მათგან ზოგიერთზე ზემოთაც იყო საუბარი):

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“;
- საქართველოს საპატენტო კანონი;
- საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“.

საქართველოს რატიფიცირებული აქვს ან შეერთებულია მრავალ მნიშვნელოვან საერთაშორისო აქტთან. მათ შორისაა:

- ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი სტოკოლმის კონვენცია;
- ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ ბერნის კონვენცია;
- ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის 1996 წლის 20 დეკემბრის ხელშეკრულება „საავტორო უფლებების შესახებ“;
- „შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ“ რომის 1961 წლის 26 ოქტომბრის საერთაშორისო კონვენცია;
- ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულება „შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ“;
- სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია;

- შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე (1994 წლის 15 აპრილის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელი მარაკეშის შეთანხმების დანართი);
- საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება;
- ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმი;
- „საპატენტო პროცედურების მიზნებისათვის მიკროორგანიზმთა დეპონირების საერთაშორისო აღიარების შესახებ ბუდაპეშტის ხელშეკრულება“;
- „სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების შესახებ“ ჰაგის შეთანხმება და მისი უენევის აქტი;
- „ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ“ ლისაბონის 1958 წლის 31 ოქტომბრის შეთანხმება;
- „ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ“ ნიცის ხელშეკრულება;
- მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენცია.

ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ ბერნის კონვენციას, რომელიც მიღებულია 1886 წლის 9 სექტემბერს, საქართველო შეურთდა ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლასთან დაკავშირებით. კონვენციის თანახმად, ქვეყნების მთავრობები იტოვებენ ერთმანეთთან სპეციალური შეთანხმებების დადგების უფლებას, თუ ეს შეთანხმებები ავტორებს ამ კონვენციით მინიჭებულ უფლებებზე უფრო ფართო უფლებებს ანიჭებს, ან შეიცავს სხვა დებულებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კონვენციას. უკვე არსებულ შეთანხმებათა დებულებები, რომლებიც აკმაყოფილებს აღნიშნულ პირობებს, შემდგომშიც გამოიყენება.

„შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ“ რომის 1961 წლის 26 ოქტომბრის საერთაშორისო კონვენციას საქართველო საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 17 თებერვლის №3344-რს დადგენილებით შეუერთდა. კონვენციის 22-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები იტოვებენ უფლებას, დადონ ერთმანეთთან სპეციალური შეთანხმებები, თუ ისინი შეძლებენ შემსრულებლებისათვის, ფონოგრამების დამამზადებლებისა და მაუწყებლობის ორგანიზაციებისათვის უფრო ფართო უფლებების უზრუნველყოფას, ვიდრე მათ

ამ კონვენციით ენიჭებათ, ან თუ ისინი შეიცავს სხვა დებულებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კონვენციას (12; 19; 59; 61; 63; 176. 144-145; 257. 594-596; 328).

#### §4. იარაღით უკანონო ვაჭრობის პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები

ამ მიმართულებით განსაკუთრებულ როლს ასრულებს პრობლემის საკანონმდებლო დარეგულირება. დღესდღეობით არ არსებობს მკაფიო საერთაშორისო კანონმდებლობა, რომელიც იარაღით ვაჭრობის რეგულირებას მოახდენდა. ამიტომ ექსპორტიორ ქვეყნებს შეუძლიათ განსაკუთრებული პრობლემების გარეშე მიაწოდონ მომაკვდინებელი ჭურვები ცხელ წერტილებს და დაუსჯელები დარჩენენ.

იარაღით უკანონო ვაჭრობასთან დაკავშირებულ სკანდალში ბოლო დროს გარეული იყო ამ ბაზრის პრაქტიკულად ყველა ძირითადი მოთამაშე: აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ჩინეთი. გამოქვეყნებულ მოხსენებაში „იარაღი საზღვრების გარეშე“, რომელიც შედგენილია ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია Oxfam-ის, „საერთაშორისო ამნისტიის“ და „სასროლი იარაღის გავრცელებასთან ბრძოლის საერთაშორისო ქსელის“ სამართალდამცავების მონაწილეობით, ნათქვამია, რომ ბრიტანეთის და ამერიკის მთავრობების მონაწილეობით იარაღი სუდანს, კოლუმბიას და უზბეკეთს მიეწოდებოდა და სამოქალაქო პირების წინააღმდეგ გამოიყენებოდა.

იარაღის მიწოდებასთან დაკავშირებით ქვეყნების მისამართით არაერთი ბრალდება ისმოდა. მაგრამ რაიმეს დამტკიცება, მით უმეტეს, იარაღით უკანონო ვაჭრობისთვის სახელმწიფოს პასუხისმებაში მიცემა, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთან დაკავშირებით მეცნიერები არაერთხელ აღნიშნავდნენ, რომ იარაღით ვაჭრობაზე შეთანხმებები იმდენად მოძველდა, რომ სამხედრო ჩაფეუტების ექსპორტი უკეთესად რეგულირდება, ვიდრე მომაკვდინებელი იარაღისა. და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ამ ბაზარზე ძირითადი მოთამაშეები – აშშ, კანადა, ინდოეთი, ჩინეთი, რუსეთი – მნიშვნელოვან როლს

ასრულებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებების მიღებაში და არ არიან დაინტერესებული კოლოსალური მოგების დაკარგვაში, რომელიც იარაღით ვაჭრობას მოაქვს.

დღესდღეობით არ არსებობს არც საერთო კანონი შეიარაღების კონტროლის შესახებ და არც საერთაშორისო სასამართლო, რომელიც ამასთან დაკავშირებულ საჩივრებსა და საქმეებს განიხილავდა. ამიტომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პუმანიტარული მოსაზრებების მიუხედავად, ზოგიერთი სახელმწიფო განაგრძობს იარაღის აქტიურ მიწოდებას საომარი კონფლიქტების ზონებში.

საერთაშორისო დონეზე იარაღის გავრცელების კონტროლის და არალეგალურად მოვაჭრებზე ქმედითი ზემოქმედების რეალური მექანიზმების განსაზღვრის არაერთი მცდელობის მიუხედავად, სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულებში ვერ მოხერხდა დადებითი შედეგების მიღწევა. პრობლემაა არა მარტო მონაწილე სახელმწიფოების პოლიტიკური ნების არარსებობა, არამედ მნიშვნელოვანი იურიდიული ხარვეზებიც. საქმე ის არის, რომ, მუდმივი კონფერენციების, სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფების, მიღებული რეზოლუციების და სხვა ზომების მიუხედავად, დღემდე საერთაშორისო დონეზე „იარაღის“ ცნების საბოლოოდ შეთანხმებული განსაზღვრებაც კი არ არსებობს.

იარაღის ბრუნვის რეგულირების სფეროში საყოველთაოდ სავალდებულო საერთაშორისო ნორმებისა და განსაზღვრებების დადგენის მცდელობები ჯერ კიდევ 1970 წელს დაიწყო. ეკროპის სახელმწიფოთა მთავრობები უკვე იმ დროს ოფიციალურად აღიარებდნენ საფრთხეს, რომელიც დანაშაულის ჩადენისას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ზრდასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ გადაიდგა პირველი ნაბიჯები ეკროპის შიგნით ცეცხლსასროლი იარაღის გადადგილების კონტროლის ეფექტიანი მეთოდების საერთაშორისო დონეზე დანერგვისათვის.

მნიშვნელოვანი პრობლემაა „შაგ“ ბაზართან მიმართებით პრევენციული ზომების მიღება. იარაღით უკანონო ვაჭრობის ბაზრის მოცულობას ექსპერტები წელიწადში დაახლოებით 2,5 მილიარდ დოლარად აფასებენ.

შეფასებების მიხედვით, უკანონო ბრუნვაში ჩართულია სასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, სამხედრო აღჭურვილობა და ექიპირება, ასაფეთქებელი ნივთიერება, ამ შეიარაღების მიმღებები კი არიან უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, ექსტრემისტული და ტერორისტული დაჯგუფებები. იარაღით მსოფლიო ვაჭრობის ანალიზის ცენტრის მონაცემებით, იარაღის „შავი“ ბაზრის მოცულობა შეიარაღების ლეგალური გაყიდვების 5%-ს შეადგენს.

იარაღის არალეგალური წარმოება (ვადაგასული ლიცენზიებით ან მათ გარეშე), ანუ კონტრაფაქტიული პროდუქცია, შეიარაღების „შავ“ ბაზარზე მიწოდების ძირითადი წყაროა.

იარაღით უკანონო ვაჭრობის სფეროში რეალური სიტუაციის გაკონტროლება და შეფასება ძალიან ძნელია. უპირველეს ყოვლისა, ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ ბრუნვაში უკვე არის უამრავი იარაღი. ამის გარდა, „შავი“ ბაზრის დიდ ნაწილს შეადგენს მცირეგაბარიტიანი პროდუქცია, რომლის კონტრაბანდული გადაზიდვის მთლიანად დაბლოკვა ძალიან როგორია. შეიარაღების მძიმე სისტემები, რომელთა გადაცემის კონტროლის მოწესრიგებაც უფრო იოლია, იარაღის „შავი“ ბაზრის საერთო დირექტულებით მოცულობაში შედარებით მცირე წილს იკავებს.

ზომები, რომელთა მიღებაც აუცილებელია იარაღით უკანონო ვაჭრობის მოცულობების შესამცირებლად, სრულიად ნათელია.

პირველ რიგში, შესაბამისმა ქვეყნებმა სახელმწიფო დონეზე უნდა მიიღონ ზომები იარაღის კონტრაფაქტიული წარმოების დაუშვებლობისთვის.

შეიარაღების ჭარბი მარაგის განადგურება დაყენებული უნდა იყოს მკაცრ, მათ შორის, საერთაშორისო კონტროლზე, რისთვისაც უნდა დაიდოს შესაბამისი შეთანხმებები. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში სამხედრო საწყობებში ხანგრძლივად შესანახად არსებული შეიარაღების კონტროლი და აღრიცხვა არ არის საკმარისად საიმედო. პირველ რიგში, ეს ეხება სასროლ იარაღს და საბრძოლო მასალას.

ამ ზომების პრაქტიკული რეალიზაცია იარაღით უკანონო ვაჭრობის სეგმენტის შემცირების საშუალებას იძლევა. დღეისათვის „შავ“ ბაზარზე გაყიდვების ლომის წილს კონტრაფაქტული მსუბუქი სასროლი იარაღი შეადგენს. პოპულარობით მეორე ადგილი უკავია ჭურვის მსროლელ იარაღს და გადასატან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსს. იარაღით მსოფლიო ვაჭრობის ანალიზის ცენტრის შეფასებით, ამ სამ კატეგორიაზე არალეგალური ვაჭრობის მოცულობის წილმა შეიძლება ლეგალური გაყიდვების 10-20%-ს მიაღწიოს (143. 134-158; 150. 26-57; 218. 188-189; 253. 45-47; 258. 1737-1747; 282. 323-346; 332. 66-89).

ქართველი კრიმინოლოგები აღნიშნავენ, რომ თანამედროვე ტერორიზმი ორგანიზების მაღალი დონით, სერიოზული ტექნიკური აღჭურვილობისა და მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრების ქონით ხასიათდება. ფართოვდება ტერორისტული ორგანიზაციების კავშირები ნარკობიზნესთან და იარაღით უკანონო ვაჭრობის ქსელთან. შეიმჩნევა ტერორისტული დაჯგუფებების ზრდის დინამიკაც. ამასთანავე, იშლება საზღვრები საერთაშორისო და ლოკალურ ტერორიზმს შორის, რასაც თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაცია და ფინანსური და საინფორმაციო სისტემების გაერთიანება განაპირობებს.

გაეროს დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მე-11 კონგრესმა ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანი ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილა. ამის შედეგად მიღებულ იქნა ბანგკოკის დეკლარაცია: „ურთიერთქმედება და საპასუხო ზომები: სტრატეგიული კავშირები დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში“.

კონგრესმა დაადასტურა ორგანიზებულ დანაშაულთან ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ბრუნვის კავშირი. კანონდარღვევის ეს სახე განაპირობებს იმას, რომ იარაღი ხელმისაწვდომი გახდა და უკანონოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში, რაც იწვევს სხვადასხვა ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ნებატიურ შედეგს: კონფლიქტების გაჭიანურებას; ძალადობის დონის ზრდას; სამოქალაქო მოსახლეობის გადაადგილებას; საერთაშორისო სამართლის მიმართ პატივისცემის დაქვეითებას; შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთათვის ჰუმანიტარული დახმარების გამოყენების შეფერხება-შეუძლებლობას, დანაშაულის მასშტაბების გაფართოებას.

იარაღი ბრუნვაში ძირითადად ცუდად დაცული სახელმწიფო საწყობებიდან კორუმპირებული მოხელეებისა თუ გამტაცებლების მეშვეობით ხვდება, მაგრამ ხშირად შეთანხმება იდება არალეგალური შუამავლების მონაწილეობით, რომლებიც უკანონო ბრუნვისათვის იმპორტსა და ექსპორტზე არასაკმარის კონტროლს ან მის არარსებობას იყენებუნ. ამის შედეგად იარაღი შეიძლება შეიარაღებულ კონფლიქტებში მონაწილე ჯგუფების, აგრეთვე ტერორისტების ხელში აღმოჩნდეს. შეიარაღებული დაჯგუფებებისა და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მომარაგების მთავარი წყარო ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო დამზადებაცაა. ამ პოცესების დასარეგულირებლად გაეროში სამი მიმართულებით მუშაობენ:

- პირველი მიმართულება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მიმართული ოქმის ფარგლებში ითვალისწინებს სახელმწიფო ლიცენზიების გაცემის სისტემის შექმნას და იარაღის კანონიერი წარმოების, გაყიდვის, აგრეთვე მისი მარკირებისა და გამოვლენის შესაძლებლობის უზრუნველყოფას. იგი ასევე გულისხმობს უკანონოდ წარმოებული ან შემოტანილი ცეცხლსასროლი იარაღის კონფისკაციას, დაყადაღებასა და განადგურებას;
- მეორე მიმართულება ითვალისწინებს უკანონო ცეცხლსასროლი იარაღისა და მსუბუქი შეიარაღების გამოვლენის, აგრეთვე მათთვის თვალყურის დევნების მიზნით დამატებით საერთაშორისო ღონისძიებებზე მუშაობის გაგრძელებას;
- მესამე მიმართულება ეხება იარაღითა და მსუბუქი შეიარაღებით ვაჭრობის სფეროში საშუალებრივ საქმიანობაზე კონტროლის დაწესებას (2. 239).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოვისა) საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენისათვის, შენახვისათვის, ტარებისათვის, დამზადებისათვის, გადაზიდვისათვის, გადაგზავნისათვის ან გასაღებისათვის.

## **§5. ტრანსნაციონალური თაღლითობის პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები**

ამ ტიპის თაღლითობასთან ბრძოლის აუცილებლობა მთლიანობაში განპირობებულია არა მხოლოდ თაღლითობის ტრანსნაციონალური ფორმების დაჩქარებული განახლებით, არამედ მათი დარეგისტრირებული მოცულობის განსაკუთრებულად სწრაფი ზრდით. ბოლო წლებში ბევრ ქვეყანაში თაღლითობის დარეგისტრირებული მოცულობის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად უსწრებს მსოფლიოს ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს. ტრანსნაციონალურ თაღლითობასთან ბრძოლის პრობლემას ართულებს თაღლითობის ლატენტურობის მაღალი დონე, რომელიც არ იძლევა საშუალებას, დარწმუნებით ვიმსჯელოთ თაღლითობის ნიშნების შემცველი საშიში ქმედებების რეალურ მოცულობაზე, ასევე დანაშაულის აღნიშნული სახეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი თვისებების ცვლილებებში რეალურ ტენდენციებზე.

დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიის მასალებში (E/CN.15/2009/2) „საერთაშორისო თანამშრომლობა პირადი მონაცემების გამოყენებით ჩადენილი ეკონომიკური თაღლითობის და დანაშაულის შემთხვევების თავიდან აცილებისა და გამოძიების, აგრეთვე ასეთი ქმედებებისათვის დევნისა და დასჯის საქმეში“ დასახულია ტრანსნაციონალურ თაღლითობასთან ბრძოლის ყველაზე ზოგადი რეკომენდაციები (353). პირველ რიგში აუცილებელ ზომებს მიეკუთვნება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში თაღლითობასთან ბრძოლის კონცეფციის შემუშავება, რომელიც უპასუხებს საბაზო ეკონომიკის დამზოგავი სახელმწიფო რეგულირების მიზნებს, რომლის დროსაც თაღლითობასთან ბრძოლის პოლიციური მეთოდები ეკონომიკური, ინფორმაციული, პოლიტიკური, სამოქალაქო-სამართლებრივ მეთოდებთან შედარებით უფრო დაბალ პოზიციას დაიკავებდა.

დიდი მნიშვნელობა აქვს თაღლითობასთან ბრძოლის ეფექტიანი ზომების კომპლექსის შემუშავებას, რომლებიც ექვემდებარება მართვის ყველა დონეზე დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების მიზნობრივ პროგრამაში ჩართვას.

პრობლემად რჩება სხვადასხვა ქვეყანაში თაღლითობასთან ბრძოლის საკანონმდებლო რეგულირება. ამიტომ ამ მიზნით მნიშვნელოვანია

საერთაშორისო კანონმდებლობის (მათ შორის, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, სამოქალაქო სამართლის) და თაღლითობასთან ბრძოლის სხვა ნორმატიული უზრუნველყოფის დახვეწა.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს თაღლითობასთან ბრძოლის ორგანიზაციულ-სტრუქტურული უზრუნველყოფის განვითარებას ტრანსნაციონალური თაღლითობის გამოძიების საკითხებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მიერ დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით.

თაღლითობის დროს საინფორმაციო მოტყუების განვითარებასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პრევენციის, გამოძიების, თაღლითობის დასჯის, თაღლითობის ჩამდენ პირთა პოსტპენიტენციური კონტროლის უზრუნველყოფის, თაღლითობის კონტექსტში მიყენებული ზარალის ანაზღაურების საქმიანობის ინფორმაციულ-მეთოდური უზრუნველყოფის განვითარება.

უდავოდ აქტუალურია თაღლითობასთან ბრძოლის სფეროში კომპეტენციის მქონე სამართლდამცავი ორგანოებისათვის კადრების მომზადების სისტემის სრულყოფა, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ჩადენილი თაღლითობების სპეციფიკას.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია ტრანსნაციონალურ თაღლითობასთან, უპირველეს ყოვლისა, მის ორგანიზებულ ფორმებთან, ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება.

უქმებელია, რომ სოციალური კონტროლის თითოეული დასახელებული მიმართულება დამოუკიდებელ ღრმა კვლევას იმსახურებს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სხვადასხვა სექტორში თაღლითობასთან ბრძოლის კონცეფციის შემუშავების პრობლემების გადაწყვეტის პრიორიტეტულობის განსაზღვრაში ბრძოლის პოლიციურ მეთოდებს ინფორმაციულ, პოლიტიკურ, სამოქალაქო-სამართლებრივ ნორმებთან შედარებით დაქვემდებარებული მდგომარეობა უნდა ეკავოს (152. 466-476; 165. 14-17; 268. 531-547; 248. 174-194).

მიგვაჩნია, რომ ტრანსნაციონალურ თაღლითობასთან ბრძოლის კონცეფცია საქართველომაც უნდა შეიმუშაოს. ამ მიდგომას თანამედროვე მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ტრანსნაციონალური თაღლითობა მოიცავს ფაქტობრივად ეკონომიკის ყველა სფეროს, ნედლულის წარმოებით დაწყებული და და პროდუქტების წარმოებით დამთავრებული.

#### §6. ადამიანებით გაჭრობის პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები

სექსუალური ექსპლუატაციის მიზნებისათვის ქალებით გაჭრობა ახალი მოვლენა არ არის. მასთან ბრძოლის მიზნით ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში იქნა შემუშავებული და რატიფიცირებული საერთაშორისო კანონები. მესამე პირების მიერ ადამიანებით გაჭრობის და პროსტიტუციის ექსპლუატაციის ადგვეთის შესახებ კონვენცია მიუთითებს, რომ „პროსტიტუცია და ადამიანებით გაჭრობის თანმხლები დანაშაული შეუთავსებელია ადამიანის დირსებასა და ფასეულობასთან და ემუქრება ადამიანის, ოჯახისა და საზოგადოების კეთილდღეობას“. ეს კონვენცია ასევე მიუთითებს, რომ გაყიდული ადამიანების თანხმობას კავშირი არა აქვს ექსპლუატატორის დასჯასთან. კონვენციისთვის ბევრს არ მოუწერია ხელი და იგი არ ქმნიდა საზედამხედველო ორგანოს; ამიტომ არ არსებობდა მისი შესრულების ან ეფექტიანობის მუდმივი შეფასება.

ამჟამად 1949 წლის კონვენციას ისინი აკრიტიკებუნ, ვინც სარგებელს იღებს პროსტიტუციის ლეგალიზაციიდან და „შეთანხმებით გაჭრობიდან“. ტენდენციები სექსინდუსტრიის ლეგალიზაციისა და გაჭრობის უფრო ვიწრო განსაზღვრებისა, რომელიც მოითხოვს ძალდატანების ან ძალადობის დამტკიცებას, გაჭრების დასჯის პროცესს ძალიან რთულს გახდის და ხელს შეუწყობს ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებს (174. 283-295; 213. 91-111; 301. 114-141).

ყურადსაღების სხვა მიდგომა ქალებით გაჭრობისადმი. 1998 წელს შვედეთმა მიიღო კანონი ქალებზე ძალადობის შესახებ, რომელმაც განსაზღვრა დანაშაულის ახალი სახეობა – „ქალის პიროვნების მთლიანობის

მნიშვნელოვანი დარღვევა“ პროსტიტუცია ჩართულ იქნა ქალის წინააღმდეგ ძალადობის სახეობებში. 1999 წლის 1 იანვრიდან „სექსუალური მომსახურების შეძენა“ აიკრძალა და ჯარიმებით ან/და ექვს თვემდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. შვედეთის მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ ეს ახალი განსაზღვრება აჩვენებს შვედეთის დამოკიდებულებას პროსტიტუციისადმი, როგორც „არასასურველი სოციალური მოვლენისა“ და ქალების წინააღმდეგ ძალადობის აქტისადმი. ქალის პიროვნების მთლიანობის მნიშვნელოვანი დარღვევის ახალი დანაშაული და სექსუალური მომსახურების შეძენის აკრძალვა მიმართულია ძალადობის აქტების აღმოფხვრისკენ, რომლებიც აფერხებს ქალების თანასწორობას.

შვედური მიდგომა აღიარებს ზიანს, რომელიც ქალებს სექსუალური ექსპლუატაციის პირობებში ადგება. მათი მიდგომა იწყება იმის აღიარებით, რომ ქალს აქვს საკუთარი დირსების, პიროვნული მთლიანობის და თანასწორობის უფლება. ეს ახალი კანონი პირველია იმ კანონთაგან, რომლებიც მიმართულია ძალადობისგან ქალების დაცვისკენ, კერძოდ, იგი დამნაშავედ აღიარებს მამაკაცებს და, ამგვარად, აღიარებს, რომ მათ კავშირი აქვთ იმ ქალებზე მოთხოვნილებასთან, რომლებიც პროსტიტუციისათვის იყიდებიან (98. 96-111; 201. 10-19). ასეთ მიდგომას სექსუალური ექსპლუატაციისათვის ქალებით ვაჭრობასთან ბრძოლის გზად განიხილავს ნორვეგიაც (51).

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სისხლისსამართლებრივი ბრძოლა ქალების საზღვარგარეთ უკანონო გაყვანასა და ექსპლუატაციასთან, რომელიც ძირითადად პროსტიტუციაში ჩათრევასთან ან იძულებასთან არის დაკავშირებული, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგენის გზით ხორციელდება (123. 213-248; 276. 31-56; 225. 381-409; 274. 137-164).

ბავშვებით ვაჭრობის კონტროლის საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია ევროპის (225. 381-409), აზიის (260. 23-34; 293. 347-395) და აფრიკის (172. 44-51; 245. 38-42) მრავალ ქვეყანაში. განსხვავების მიუხედავად, მათ საერთო მიდგომებიც აქვთ (45).

ჩვეულებრივ, ასეთ დანაშაულთან ბრძოლის სამართლებრივი საფუძველია საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, სახელმწიფოების კონსტიტუციები და

კანონმდებლობა. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა ბავშვთა ექსპლუატაციასთან და ამორალურ ქცევასთან ბრძოლის ორგანიზების აშშ-ის გამოცდილება (121. 287-288; 215. 181-187; 241. 243-252).

ბავშვთა ექსპლუატაციასთან და ამორალურ ქცევასთან ბრძოლის საკითხებით დაკავებულია ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის კრიმინალური ქვედანაყოფის სექცია (CEOS). ის ფედერალურ პროკურორებს რეკომენდაციებს აძლევს, იმათ წინააღმდეგ საქმეების გამოძიებისას, ვინც არღვევს აშშ-ის სისხლის სამართალს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შემდეგ დარღვევებს: არასრულწლოვანი მოზარდების ექსპლუატაცია (ფედერალური მიზნების შესაბამისად, ასაკი განისაზღვრება 18 წლამდე); საბავშვო პორნოგრაფია (ფლობის, მიღების, გადაცემის, განაწილების და წარმოების ჩათვლით); ამორალური ქცევა; სექსტურიზმი; სექსუალური შეურაცხყოფა ფედერალურ მიწაზე (სექსუალური ხელყოფის და გაუპატიურების ჩათვლით); ქალებისა და ბავშვების გაყიდვა დანაშაულებრივი სექსუალური საქმიანობისათვის.

CEOS და ფედერალური სისტემის სხვა სექციები პასუხს აგებენ დანაშაულებისთვის, რომლებზედაც ვრცელდება ერთზე მეტი იურისდიქცია, ან რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო ან საგარეო ვაჭრობასთან. პოლიცია, პროკურორები, სასამართლოები და კანონმდებლები აერთიანებენ თავიანთ ძალისხმევას ადგილობრივ და ფედერალურ სამართალდამცავ ორგანოებთან; ამასთანავე, ფუნქციები მკაფიოდ არის განაწილებული.

CEOS მუშაობს ფედერალურ პროკურორებთან, შეერთებული შტატების იურიდიულ უწყებებთან იმათ წინააღმდეგ საქმეებზე, ვინც ფედერალურ დანაშაულს სჩადის. ამის გარდა, CEOS კონსულტაციას უწევს იუსტიციის დეპარტამენტს იმ საკითხებში, რომლებიც ეხება პოლიციასთან, ასევე სხვა დეპარტამენტებთან მუშაობას, პროგრამების თანამიმდევრულად შესრულების უზრუნველსაყოფად.

CEOS-ის საქმიანობაში შეიძლება რამდენიმე ძირითადი ამოცანის გამოყოფა. მთავარი ამოცანაა დამნაშავეების დევნა. მისი მიზნებია: ქალებისა და ბავშვების დაცვა ექსპლუატაციისაგან, მომავალი ზიანის პრევენცია მსხვერპლის ან მათ მიმართ, ვინც ექსპლუატატორებისათვის მისაწვდომ ფარგლებში იმყოფება,

დამნაშავეთათვის ბრალდების წაყენება და ძალადობის შეწყვეტა. ამის გარდა, CEO დაკავებულია იმით, რომ გამოყოფს განსაკუთრებით დაუცველ ჯგუფებს, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას ექსპლუატაციონური სამართალში მიცემამდე, სამართალში მიცემის განმავლობაში და მას შემდეგ; ზოგიერთ მათგანთან მუშაობა კონფიდენციალურად მიმდინარეობს. იუსტიციის დეპარტამენტს ასევე აქვს ქალების მიმართ ძალადობასთან ბრძოლის განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია შიგასახელმწიფოებრივი ძალადობის შემცირებისკენ მიმართული მეთოდების სრულყოფისათვის.

ბავშვთა პორნოგრაფიის და დანაშაულებრივი სექსუალური მიზნებისათვის ვაჭრობის საკითხები რეგულარულად განიხილება როგორც საკანონმდებლო ორგანოში, ისე სამართალდამცავ ორგანოებში. განხილვის საგანია სამართლის მიზნები, დანაშაულთა ელემენტები, შეგროვებულ მტკიცებულებათა ტიპები და დამნაშავეთა მიმართ გამოყენებული ზომების შედეგები.

საინტერესოა, რომ აშშ-ის კანონი მოსახლეობის დაცვის შესახებ კრძალავს ბავშვის გაყიდვას, მაგრამ არ კრძალავს მის გაყიდვას სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით (238. 41-67).

განსაკუთრებით აქტუალურია საერთაშორისო თანამშრომლობა ქალებისა და ბავშვების საზღვარგარეთ უკანონოდ გაყვანასთან და ექსპლუატაციასთან ბრძოლაში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების, მათ შორის, საქართველოს, მიერთება იმ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებთან, რომლებიც ახდენს მუშახელის საზღვარგარეთ უკანონო გაყვანის, ბავშვების შვილად აყვანის და მონებით ვაჭრობის სხვა ფარული ფორმების უკუქმედების ზომების რეგლამენტირებას.

ამ მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის ჩამოყალიბების პრიორიტეტული მიმართულებაა სპეციალიზებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების მომზადების პრაქტიკა, რომლებსაც თან ახლავს სამართლებრივი ნორმების დაწვრილებითი პარალელური კომენტარები.

ქვეყნებში აქტუალურია ერთიანი სახელმწიფოთაშორისი მონაცემთა ბაზის შექმნა უკანონო გადაადგილების და ქალებისა და ბავშვების ექსპლუატაციის

სხვადასხვა ფორმის ყველა შემთხვევის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული ეროვნული სამართალდამცავი ორგანოებისათვის. ერთიანი საინფორმაციო ბაზის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე არაერთხელ მიუთითებდნენ გაეროს დანაშაულის თავიდან აცილების ბოლო კონგრესები. ამასთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და ევროპის საბჭოს მისწრაფება თავიანთი წარმომადგენლებისთვის უკანონოდ შვილად აყვანის და საზღვარგარეთ ბავშვების გაყვანის, ასევე საზღვარგარეთ ქალების გაყვანის და ექსპლუატაციის პრევენციის საკითხებზე სპეციალური ფუნქციების დაკისრების კუთხით.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დანაშაულის ამ ფორმასთან ბრძოლის კომპლექსური ზომების კოორდინაცია. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია საქართველოს მთავარ პროკურატურასთან შეიქმნას ეროვნული საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც სხვადასხვა სამინისტროს და უწყების ეფექტიან ურთიერთქმედებას უზრუნველყოფს. საგარეო საქმეთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შესაბამისი სასაზღვრო და მიგრაციული სამსახურების ურთიერთქმედების ორგანიზების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქალებისა და ბავშვების სექსუალურ ექსპლუატაციასთან, მათ შორის, გლობალური საინფორმაციო ქსელების გამოყენებით განხორციელებულ ექსპლუატაციასთან, ბრძოლის დადებითი საერთაშორისო გამოცდილება.

ამავე მიმართულებით მიზანშეწონილია მუდმივი საპარლამენტო კონტროლის დაწესება სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ყველაზე საშიშ, მათ შორის, ქალებისა და ბავშვების უკანონო გაყვანის და ექსპლუატაციის ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლასთან.

ამასთან ერთად დიდ მნიშვნელობას იძენს სპეციალისტების მომზადება, რომლებიც სპეციალიზდებიან იმ დანაშაულთა გამოვლენაზე, გახსნასა და გამოძიებაზე, რომლებიც დაკავშირებულია უკანონოდ შვილად აყვანის, ბავშვების საზღვარგარეთ გაყვანის და მათი ნებისმიერი ფორმით ექსპლუატაციის ორგანიზებულ ფორმებთან, ასევე საზღვარგარეთ ქალების მოტყუებით გაყვანასთან (მოტაცებასთან) და მათ სექსუალურ ექსპლუატაციასთან.

იძულებითი შრომისათვის გამოყენების მიზნით ადამიანებით ვაჭრობის კონტროლი რამდენიმე მიმართულებას მოიცავს: საერთაშორისო შეთანხმებების გაფართოებას; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პრინციპების ფორმირებას; ბრძოლის ძირითადი პრევენციული ზომების ფორმირებას; პრევენციული ზომების კომპლექსური ხასიათის განვითარებას; ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან შესაბამებას; შრომის სტანდარტების დაცვის კონტროლის განხორციელებას; მსხვერპლისათვის დახმარების გაწევას; შრომის პირობების საკანონმდებლო რეგულირებას; იძულებითი შრომის გამოყენებაზე სანქციების დაწესებას (224. 816-818).

2000 წელს „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის და მისი „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, ადგვეთისა და დასჯის შესახებ“ ოქმის მიღება ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ საერთაშორისო საქმიანობის განახლების მთავარი შედეგია. ამ საერთაშორისო შეთანხმების მიზანია, ხელი შეუშალოს ადამიანებით ვაჭრობას და იბრძოლოს მის წინააღმდეგ, დაიცვას დაზარალებულები და დაეხმაროს ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთ, ასევე გააფართოოს სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა ამ მიზნების მისაღწევად. ოქმი ძალაში 2003 წლის დეკემბერში შევიდა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები, რომლებიც ეხება ადამიანებით ვაჭრობას, და ოქმი სხვადასხვა წყაროდან იღებს სათავეს და სხვადასხვა გარემოებასთან დაკავშირებით გაჩნდა. ისინი არ ანაცვლებენ ერთმანეთს იურიდიული თვალსაზრისით; პირიქით, ავსებენ ერთმანეთს ადამიანებით ვაჭრობის საერთო პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისით. უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ მიღღომაშ ხელი შეუწო 2010-2012 წლებში ქალთა ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლის არაერთ პროგრამას (333. 100-109).

ვინაიდან ადამიანებით ვაჭრობა მჭიდროდ არის დაკავშირებული იძულებით შრომასთან, ასევე სახელმწიფოების მხრიდან უარის თქმასთან, დაიცვან მშრომელთა ინტერესები, როგორც საკუთარი მოქალაქეებისა, ისე უცხოელებისა, გასაკვირი არ არის, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ებრძვის ამ მოვლენას. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ვალდებულება, ებრძოლოს იძულებით შრომას და ადამიანებით ვაჭრობას, სათავეს იღებს XX საუკუნის

სოციალური მოძრაობებიდან, რომელთა მონაწილეებიც კოლონიაში დასაქმების პირობების გაუმჯობესებისათვის და ადამიანების შრომის გამოყენების მიზნით მათი იძულებით გადაადგილების წინააღმდეგ იბრძოდნენ (106. 160-165).

მსოფლიო საზოგადოებების მისწრაფებები იძულებითი შრომის წინააღმდეგ XX და XXI საუკუნეებში გახდა იმპულსი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ორი ფუნდამენტური კონვენციის – „იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ“ 1930 წლის №29 კონვენციის და „იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ“ 1957 წლის №105 კონვენციის – მისაღებად. ამის გარდა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1999 წლის №182 კონვენცია „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ“ მკაფიოდ განსაზღვრავს ბავშვებით ვაჭრობას, როგორც ბავშვთა შრომის უკიდურეს ფორმას, რომელიც გადაუდებელი ზომების მიღებას მოითხოვს. ამასთანავე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სხვა კონვენციები მონაწილე ქვეყნებს აკისრებს ვალდებულებებს, დაიცვან უცხოელი მშრომელები მუშაობის უსამართლო მეთოდებისაგან, მათ შორის, ისეთი მეთოდებისგან, როგორებიცაა მშრომელი მიგრანტების არალეგალური გადაადგილება და უკანონო დასაქმება, ადამიანებით ვაჭრობის ჩათვლით.

XX საუკუნის 80-იან და განსაკუთრებით 90-იან წლებში აშკარა გახდა, რომ იძულებითი შრომა, ადამიანებით ვაჭრობა და გლობალიზაციის სხვა პრობლემები შეთანხმებულ მოქმედებებს და ადრინდელი ვალდებულებების განახლებას მოითხოვს. ასეთი ახლებური გააზრების ერთ-ერთი მთავარი შედეგი გახდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 1998 წელს მიღებული დეკლარაცია შრომის სფეროში ფუძემდებლური პრინციპების და უფლებების შესახებ, რომელიც ამ მიმართულებით ორგანიზაციის მუშაობისათვის მყარ საფუძველს უზრუნველყოფს (354).

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია გამოყოფს შემდეგ პრინციპებს:

- იძულებითი ან სავალდებულო შრომის ყველა ფორმის გამორიცხვა: ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა უმეტესობას ისეთი სამუშაოს შესრულებას აიძულებენ, რომელიც მათ თავისუფლად არ აურჩევიათ. ხშირად ასეთი ვაჭრობის მსხვერპლთ არ ძალუბთ იძულებითი შრომის თავიდან აცილება, თუ

მათ არ სურთ გაძევებულ იქნენ წარმოშობის ქვეყანაში (205. 142-163; 210. 1-11; 246. 831-855).

• ბავშვთა შრომის ეფექტიანი აღმოფხვრა: ბავშვები შეადგენენ ერთ-ერთ საკვანძო ჯგუფს, რომლის მიმართაც ვლინდება განსაკუთრებული ზრუნვა, დაკავშირებული ადამიანებით ვაჭრობასთან. ბავშვებით ვაჭრობა, რა თქმა უნდა, მიეკუთვნება ბავშვთა შრომის ერთ-ერთ უკიდურეს ფორმას, რომელიც განხილული უნდა იქნეს დაუყოვნებლივ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №182 კონვენციის თანახმად. ოქმი ასევე განსაკუთრებულად მიუთითებს ბავშვებზე, როგორც მსხვერპლთა დაუცველ ჯგუფზე, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ. როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №182 კონვენციაში, ისე მის ოქმში, „ბავშვები“ განისაზღვრებიან, როგორც 18 წლამდე ახალგაზრდა პირები. ეს არის მკაფიო განსაზღვრება, რომელიც შეესაბამება „ბავშვთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციიდან აღებულ პრინციპს. გაყიდული ბავშვები განსაკუთრებით დაუცველი არიან მათი ასაკის გამო. მათი ყოფნა უცხო ქვეყანაში, რომლის ენაც არ იციან, და ოჯახის არარსებობა, სადაც შეუძლიათ დაბრუნება, მათ განსაკუთრებულად მჩიმე მდგომარეობაში აყენებს. ის ფაქტი, რომ მათი ნათესავები შესაძლოა ჩართული იყვნენ ბავშვებით ვაჭრობაში, ასეთი ბავშვების დაცვასთან მიმართებით უველა სახელმწიფო ორგანიზაციას განსაკუთრებით სერიოზულ ვალდებულებებს აკისრებს.

• დასაქმების და საქმიანობის სახის მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა: გამოვლენილია, რომ არსებული უთანასწორობა და დისკრიმინაცია სქესის, რასის, ეთნიკური ნიშნის, ასევე სხვა ნიშნების მიხედვით, როგორც საზოგადოებაში, ისე შრომის ბაზარზე, მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანებით ვაჭრობას. ამის გარდა, შემზღვდველი მიგრაციული კანონმდებლობის გამო ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი ხშირად არალეგალური მიგრანტი ხდება, რაც გამოც ის უფრო მეტად დაქვემდებარებულია. სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაცია აძლიერებს ადამიანებით ვაჭრობაში ჩაბმის რისკს, ვინაიდან ქალებისათვის უფრო რთულია ლეგალურად მიგრირება. დისკრიმინაცია ხელსაყრელია ადამიანებით მოვაჭრებისათვის და დამსაქმებლებისათვის, ვინაიდან ასეთ პირობებში მშრომელი მიგრანტები კიდევ უფრო დაუცველი არიან. ეს ქმნის სპეციფიკურ პრობლემებს სახელმწიფოებისათვის, რომლებიც, თუმცა შეწუხებული არიან იმიგრაციის შესახებ საკუთარი კანონების მთლიანობის შენარჩუნებით,

იმავდროულად ისწრაფვიან, დაუცველი მშრომელები დისკრიმინაციისა და ექსპლუატაციისაგან დაიცვან (213. 91-111; 301. 114-141).

• გაერთიანების თავისუფლებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლების ეფექტიანი აღიარება: ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლს, ჩვეულებრივ, არა აქვს შესაძლებლობა, განახორციელოს თავისი უფლება თავისუფალ გაერთიანებაზე ან დამსაქმებელსა და პროფკავშირებს შორის შრომის პირობების შესახებ მოლაპარაკებაზე, ვინაიდან ის შეიძლება აღმოჩნდეს სიტუაციაში, როდესაც სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი ყოფნაც და მისი დასაქმებაც არალეგალურია. მსგავს გარემოებებში არ არსებობს დამსაქმებელსა და პროფკავშირებს შორის შრომის პირობების შესახებლობა. როგორც აღნიშნულია გაეროს გენერალური ასამბლეის 2000 წლის 15 ნოემბრის 55/25 რეზოლუციაში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მუშაკი შეეცდება, განახორციელოს თავისი უფლება, მოვაჭრეს ან დამსაქმებელს შეუძლია ოფიციალურ ორგანოს საჩივრით მიმართოს; ამ დროს არალეგალურ პირს ქვეყნიდან გაძევება ემუქრება.

„ტრანსნაციონალური თრგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“  
გაერთიანებული ერების თრგანიზაციის კონვენციის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის „შესახებ“ ოქმი, საკანონმდებლო ორგანოებისათვის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „შესრულების სახელმძღვანელოში, ასევე „ტრანსნაციონალური თრგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“  
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საშუალებებით მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ“ ოქმი სპეციალურად განიხილება ადამიანის ვაჭრობასთან ბრძოლის ყველა ელემენტი. ბრძოლის ძირითადი მიმართულებებია: ადამიანებით ვაჭრობის, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის პრევენცია და მასთან ბრძოლა, ასეთი ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვა, ასევე მონაწილე სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა ამ მიზნების მიღწევისათვის. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“  
გაერთიანებული ერების თრგანიზაციის კონვენციის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების,

ადგვეთისა და დასჯის „შესახებ“ ოქმი მიღებულია გენერალური ასამბლეის 2000 წლის 15 ნოემბრის 55/25 რეზოლუციით (33. 9-10).

2010-2011 წელს გაეროს მიერ შემუშავებულ დოკუმენტებში ამ სამ მიმართულებას ერთნაირი მნიშვნელობა აქვს, თუმცა მათი უზრუნველყოფისათვის სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ პირობებს მოითხოვს. მაგალითად, ადამიანებით ვაჭრობის პრევენციას შესაძლოა პოლიციის სწორად ორგანიზებული მოქმედებები დასჭირდეს, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს შრომითი ურთიერთობების სფეროში ადამიანებით მოვაჭრებისათვის სტანდარტების შემოღება ეკონომიკური სარგებლის შესამცირებლად. ადამიანებით მოვაჭრეთა დასასჯელად, ჩვეულებრივ, საჭიროა კანონმდებლობის მიღება, რომლითაც დგინდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ასეთი საქმიანობისთვის. მსხვერპლის დაცვა მოითხოვს ადმინისტრაციული სამართლის გამოყენებას უცხოელების მიმართ, რომლებიც დანიშნულების ქვეყანაში იმუოფებიან, ასევე სპეციალური ზომების მიღებას იმ მსხვერპლთა მიმართ, რომლებიც წარმომავლობის ქვეყანაში დაბრუნდნენ. ასევე საჭიროა სამოქალაქო სამართლის ან/და შრომის სამართლის გამოყენება დაქირავებით მუშაობის სფეროში მსხვერპლის უფლებების დასაცავად.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ამ მიმართულებების განსაკუთრებული ინტერპრეტირება ხდება გაეროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციით. ეს კონვენცია გამოიყენება მაშინ, თუ დანაშაულს ტრანსნაციონალური ხასიათი აქვს და მასში ადამიანების ორგანიზებული ჯგუფი მონაწილეობს (კონვენციის 34-ე მუხლის §2).

ბევრ ქვეყანაში ან არ არსებობს სპეციალური კანონები იძულებითი შრომის შესახებ, ან ისინი ისეთი ზოგადი ხასიათისაა, რომ სამართალდამცავი ორგანოებისათვის ძალიან რთულია იძულებითი შრომის გამოყენების თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენის იდენტიფიცირება, გამოძიება და გამოტანა. უფრო მეტიც, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გამოცდილება აჩვენებს, რომ სამართალდამცავ ორგანოებს არ შეუძლიათ განცალკევებით პრობლემის ეფექტიანი გადაწყვეტა (174. 283-295). აქ საჭიროა პრობლემისადმი ორმხრივი მიღვომა, რომელშიც სასამართლო დევნა და

მართლწესრიგის უზრუნველყოფა შეხამებული იქნება ზომებთან დასაქმების და სხვა სოციალური ქმედებების სფეროში, იძულებითი შრომის მსხვერპლთა გაჩენის პრევენციის, ასევე მათი რეაბილიტაციის მიზნით.

საერთაშორისო პარტნიორები და მთავრობები სულ უფრო ხშირად მიმართავენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას დახმარებისათვის ამ რთული საკითხების გადასაწყვეტად. ეს ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, რომ შემუშავდეს კომპლექსური მიდგომა, აქტუალური, უპირველეს ყოვლისა, საკანონმდებლო ორგანოებისათვის და სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის. მომზადებული რეკომენდაციები უეჭველად სასარგებლოა სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, დამსაქმებელთა და მშრომელთა გაერთიანებების, როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი სოციალური პარტნიორების, ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამართლებრივ ბაზას ამ ფორმის დანაშაულთან ბრძოლაში შეადგენს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1930 წლის №29 კონვენცია „იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ“, 1957 წლის №105 კონვენცია „იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ“, ასევე 1999 წლის №182 კონვენცია „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ“. აღნიშნული კონვენციები რატიფიცირებულ იქნა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი მრავალი ქვეყნის მიერ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სხვა კონვენციები, რომლებიც ეხება მშრომელი მიგრანტების უფლებების დაცვის საკითხებს, ასევე ხელს უწყობს ადამიანებით ვაჭრობის საკითხების ნათელყოფას, განსაკუთრებით 1949 წლის №97 კონვენცია მშრომელი მიგრანტების შესახებ (გადასინჯული), 1975 წლის №143 კონვენცია მშრომელი მიგრანტების შესახებ (დამატებითი დებულებები) და 1997 წლის №181 კონვენცია „დასაქმების კერძო სააგენტოების შესახებ“.

ზოგადი სახელმძღვანელო ხასიათისაა გაეროს დანაშაულის თავიდან აცილების კონგრესების გადაწყვეტილებები, აგრეთვე რეზოლუციების მთელი წელია, რომლებიც მომზადებულია გაეროს ნარკოტიკებისა და დამნაშავეობის სამმართველოს მიერ. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების დაცვის მთავარი კომისრის მიერ

რეკომენდებულ პრინციპებსა და მითითებებს და სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკროპაში ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლ ბავშვთა უფლებების დაცვის გაეროს ბავშვთა ფონდის სახელმძღვანელოს.

აღნიშნული საერთაშორისო აქტები ზოგადი დებულებების ეროვნულ კანონმდებლობაში გამოყენებას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით იძულებით შრომასთან ბრძოლის მიზნობრივი პროგრამა შემდეგ მიმართულებებს გამოყოფს:

1) ცალკეულ ქვეყნებში არსებული სისხლის სამართლის და სხვა კანონების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა; 2) დანაშაულთა შემადგენლობების ელექტრონული განსაზღვრულობით კავშირი სხვა კანონების ანალოგიურ განსაზღვრულებთან; 3) დამტკიცებულობის კრიტერიუმის მიმართ ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დაცვა; 4) ეროვნული სისხლის სამართლის ნორმების ფარგლებში დანაშაულის ჩადენის მიზნის მქონე განზრახვის განსაზღვრა; 5) მტკიცებულებების და მათი დასაშვებობის მიმართ ეროვნული კანონმდებლობის სამართლებრივი ნორმების დაცვა; 6) ბრალდებულებისათვის უფლებების მიცემა, როგორც ისინი განსაზღვრულია ეროვნულ სისხლის სამართალში (33. 9-10).

უცხოეთში დირსეული სამუშაოს ძებნის დროს ემიგრანტების უმეტესობა იძულებითი შრომის მსხვერპლი ხდება. მაშასადამე, დირსეული შრომის პირობების შექმნაზე მუშაობა უნდა მოიცავდეს ისეთ ზომებს, როგორებიცაა შრომის სტანდარტების დაცვის კონტროლი, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებიც ცნობილია არაკეთილსინდისიერი შრომითი მეთოდებით, სამშობლოში სამუშაო ადგილების შექმნა, დანიშნულების ქვეყნებში არალეგალურ დასაქმებასთან ბრძოლა და მიგრაციის მართვის გაუმჯობესება. „სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ“ 1973 წლის №138 კონვენციით, ასევე „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ“ 1999 წლის №182 კონვენციით და №183 კონვენციით დგინდება ძირითადი ვალდებულებები ბავშვთა შრომის აღმოფხვრის სფეროში, აგრეთვე განისაზღვრება პირობები ახალგაზრდების შრომითი ურთიერთობების სამყაროში შესასვლელად. შრომის რეგულირების სხვადასხვა ასპექტი ასევე ასახულია „მამაკაცთა და ქალთა თანაბარი დირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ“ 1951 წლის №100 კონვენციაში, „შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის

შესახებ“ 1958 წლის №111 კონვენციაში, „ასოციაციის თავისუფლებისა და ორგანიზაციის დაცვის შესახებ“ 1948 წლის №87 კონვენციაში და „კოლექტიური მოლაპარაკების ორგანიზებასა და გამართვაზე უფლებათა პრინციპების გამოყენების შესახებ“ 1949 წლის №98 კონვენციაში.

იძულებითი შრომის განვითარების პრევენციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსხვერპლისათვის დახმარების გაწვას. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ ოქმი მითითებულია ზომები, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, როდესაც საუბარია ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლზე. აღნიშნული ოქმის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლები, ასევე მითითებული კონვენციის 24-ე და 25-ე მუხლები შეიცავს დებულებებს მსხვერპლისა და მოწმეების დაცვის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით ოქმი აღნიშნულია, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ ყოველმხრივი პოლიტიკა, პროგრამები და სხვა ზომები, იმისათვის, რომ: а) მოახდინონ ადამიანებით ვაჭრობის პრევენცია და ებრძოლონ მას; და ბ) დაიცვან ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი, განსაკუთრებით ქალები და ბავშვები, განმეორებით აბუზად აგდებისაგან.

გათვალისწინებულია შემდეგი ზომები:

- სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა;
- განვითარების ზომები და სხვა ზომები, მაგალითად, ორმხრივი შრომითი ხელშეკრულებების დადება;
- საგანმანათლებლო, სოციალური და კულტურული ზომები, რომლებიც ხელს უშლის ადამიანებით ვაჭრობის სფეროში მოთხოვნილების გაჩენას და ზრდას;
- საზღვრებზე ადამიანებით ვაჭრობის ფაქტების პრევენცია და აღმოჩენა ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ დანაშაულებში კომერციული გადამზიდავი კომპანიების გამოყენების თავიდან აცილების მიზნით;
- დამნაშავეთა მიმართ სანქციების გამოყენება, ასევე შემოსვლაზე უარის თქმა ან ვიზის ანულირება იმათვების, ვინც ადამიანებით დანაშაულებრივი ვაჭრობის განხორციელებაშია ჩართული;

- ადამიანების უსაფრთხოების და დოკუმენტების კონტროლის, ასევე დოკუმენტების კანონიერებისა და ნამდვილობის გარანტირება;
- პროფილაქტიკური ზომების, ძირითადად არაიურიდიული ინიციატივების, შემუშავება;
- ზომების გამოყენება კომერციული გადამზიდავების მიმართ (რომლებიც დაკავშირებული არიან დანაშაულებში მონაწილეობასთან);
- საკანონმდებლო ზომების მიღება, რათა ადამიანებით მოვაჭრეებს შეძლებისდაგვარად არ მიეცეთ კომერციული გადამზიდავების გამოყენების საშუალება.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის „წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ ოქმის თანახმად, სახელმწიფოებმა, რომლებიც ახდენენ ამ კონვენციის რატიფიცირებას, უნდა განახორციელონ თავიანთი შიგა კანონების და სამართალგამოყენების პროცედურების ადაპტირება ადამიანებით ვაჭრობის მზარდი მასშტაბების გათვალისწინებით. ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კონკრეტული კანონები და სამართლებრივი ნორმები. მაგრამ რეალური ზეგავლენის მოსახლეები ამ სერიოზული საკითხის გადაწყვეტაზე, რომელიც ბოლო დროს სულ უფრო აქტუალური პრობლემა ხდება ადამიანის უფლებების დარღვევის გამო, მხოლოდ კანონები არ არის საკმარისი. სამართალდამცავი ორგანოების და სასამართლო სისტემის თანამშრომლებმა უნდა გაიარონ აუცილებელი სწავლება იმისათვის, რომ ესმოდეთ თანამედროვე იძულებითი შრომის თავისებურებანი, რომელიც ხშირად ადამიანებით ვაჭრობის შედეგია.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრმა 160-ზე მეტმა ქვეყანამ მოახდინა იძულებითი შრომის შესახებ მისი ორი კონვენციიდან ერთის რატიფიცირება, ხოლო ქვეყნების უმეტესობამ – ორივე კონვენციისა; უკვე 150-მა წევრმა ქვეყანამ მოახდინა „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ“ კონვენციის რატიფიცირება, რომელიც შეიცავს მოწოდებას ბავშვებით ვაჭრობასა და ბავშვთა იძულებით შრომასთან ბრძოლაში აქტიური მოქმედებისაკვენ.

მნიშვნელოვან პრევენციულ ფუნქციას ასრულებს შრომის პირობების საკანონმდებლო რეგულირება. შრომის კანონმდებლობა უზრუნველყოფს სხვა მექანიზმს და სანქციებს, რომლებიც სცდება სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის ფარგლებს. საკანონმდებლო აქტების თანახმად, შესაძლებელია მსხვერპლისათვის მატერიალური კომპენსაცია, უფლებების აღდგენა და სხვა ვარიანტები. ამიტომ შრომის კანონმდებლობაზე სასამართლოებს შეუძლიათ გამოიტანონ გადაწყვეტილებები, რომლებიც უფრო ფართო ზემოქმედებას ახდენს შრომით ურთიერთობებზე ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ შრომის კანონმდებლობასთან მიმართებაში ადმინისტრაციული განკარგულებები ბევრ ქვეყანაში წარმაოდგენენ გარკვეულ პრობლემას (174. 283-295). სამოქალაქო სამართლის ტრადიციის მქონე ქვეყნების უმეტესობამ მიიღო შრომის კოდექსები, რომლებიც შეიცავს მითითებას შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შრომის სტანდარტებზე შრომის სფეროში, ან თავად ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებს. საერთო სამართლის ტრადიციის მქონე ქვეყნებში საკანონდებლო ორგანოები მიისწრაფვიან, სულ უფრო აქტიურად ჩაერიონ შრომის კანონმდებლობის სფეროში; ასე რომ, ბევრ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები კანონმდებლობით დაწვრილებით და ყოველმხრივ რეგულირდება. შრომის კანონმდებლობა შეიძლება წარმოადგენდეს დახვეწის გზით მნიშვნელოვან პირობას იძულებითი შრომის პრობლემების გადაჭრისათვის. ეს მოქმედებები ბევრ ქვეყანაში კრიტიკულია.

უმეტეს იურიდიულ პრაქტიკაში შრომის კოდექსები ადგენს დასაქმების სტანდარტებს. ამიტომ მსხვერპლთა უმეტესობა ამჯობინებს, ჯერ სამოქალაქო სარჩელი შეიტანოს და ამის შემდეგ მიმართოს სამრეწველო ტრიბუნალს ან შრომით დავებზე სასამართლოს ხელფასის გადაუხდელობის ან იძულებითი შრომის სხვა ელემენტების არსებობის შესახებ სარჩელით. არსებობს ბევრი ორგანიზაცია, რომლებსაც სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში დაზარალებულთა მხარდაჭრის უზრუნველყოფა შეუძლიათ.

ბევრ იურისდიქციაში ასევე არსებობს არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ცნება, როდესაც მხარეს გაუჩნდება უფლება კომპენსაციის მიღებაზე ან ზარალის ანაზღაურებაზე. დამსაქმებელს, რომელიც თანამშრომლის წინააღმდეგ სექსუალურ ან ფიზიკურ ძალადობას იყენებს, ეკისრება პასუხისმგებლობა

როგორც სისხლის სამართლის დანაშაულისთვის, ისე არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობისთვის. ამის გარდა სამართალში ხშირად არსებობს ასევე ძალიან მნიშვნელოვანი პროცედურული მექანიზმი.

სამოქალაქო და შრომის კანონმდებლობა, ჩვეულებრივ, ეყრდნობა დამტკიცებულობის სხვადასხვა კრიტერიუმს, რომლებიც ზოგიერთ იურისდიქციაში ცნობილია, როგორც „შესაძლებლობების ბალანსი“. აქ შესაძლოა დადგეს ზარალის ანაზღაურების საკითხი. თუმცა სისხლის სამართლის ხაზით შეიძლება იყოს ქმედითი დამსაქმებლის მიმართ გამოყენებული სანქცია, მაგრამ არ დადგეს ზარალის ანაზღაურების საკითხი.

იძულებითი შრომის პრობლემის გადაჭრის სფეროში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადმინისტრაციული სამართალი, რადგან არეგულირებს სახელმწიფოს მოქმედებების კანონიერებას. სახელმწიფოს ვალდებულია, დაიცვას მშრომელი ემიგრანტი იძულებითი შრომისგან, ასევე მისი სტატუსი.

ამის გარდა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, ადგვეთისა და დასჯის შესახებ“ ოქმის თანახმად, ადმინისტრაციული სამართლის ამ სფეროში მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ სამუშაო ადგილების კონტროლი. სამუშაო ადგილების სახელმწიფო ინსპექციების განმტკიცება და მათი უფლებამოსილებების გაზრდა, რათა მათ შეძლონ ადმინისტრაციული საქმეების აღძვრა და სასჯელის სახით გამოიყენონ ჯარიმები და სხვა სანქციები დამსაქმებლების წინააღმდეგ, რომლებიც უარს ამბობენ შრომითი სტანდარტების შესრულებაზე, საკვანძო მომენტია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს სტანდარტები არასოდეს არ შემცირდება იმდენად, რომ იძულებით შრომამდე დავიდეს. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ბრალის წაყენება დამსაქმებლებისათვის, რომლებიც მნიშვნელოვნად არღვევენ დადგენილ ნორმებს, ძალიან მნიშვნელოვანია ასევე სამუშაო ადგილების სახელმწიფო ინსპექციებსა და პოლიციას შორის კოორდინაცია სამართალდამცავი საქმიანობის ფარგლებში. როდესაც იძულებითი შრომის მსხვერპლი უცხოელი მოქალაქეა, სხვადასხვა ორგანოების შეთანხმებულ მოქმედებებში სახელმწიფო ხელისუფლებაც უნდა ჩაერთოს.

იძულებითი შრომის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის გამოყნება განსაკუთრებული პრევენციული მიმართულებაა. ჯერ კიდევ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1930 წლის №29 კონვენციაში აღნიშნული იყო, დანაშაულის კლასიფიკაცია. რომელიც გულისხმობს, რომ დამნაშავის მიზანი ადამიანის ექსპლუატაციაა. „ექსპლუატაცია“ კი განისაზღვრება, როგორც ქმედება, რომელიც ერთმნიშვნელოვნად შეიცავს იძულებით შრომას.

ადამიანებით გაჭრობის სოციალური კონტროლის საკითხებს ქართველი კრიმინოლოგები რამდენიმე მიმართულებით განიხილავენ. პირველი მიმართულება სახელმწიფოს ფუნქციონირების გაძლიერებას უკავშირდება (83. 44-47). მეორე მიმართულება კი - სამართლებრივი რეგულირების საკითხებს. ამასთან ერთად, როგორც გ. დლონტი აღნიშნავს, რომ კანონმდებელმა ვერ შეძლო ტრეფიკინგის ცნების მკვეთრი ფორმულირება და სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლის პირველ ნაწილში გამოიყენა იურიდიულად ბუნდოვანი ტერმინები „ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა“. მსგავსი დეფინიცია სირთულეებს უქმნის საგამოძიებო ორგანოებს სწორი კვალიფიკაციის მიცემისას და დამნაშავისათვის ბრალდების წაყენებისას (96. 126-128). ავტორის აზრით, ამ მუხლის სერიოზული ნაკლია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ტრეფიკინგი არ განიხილება ტრანსნაციონალურ დანაშაულად, რომელიც ობიექტური მხარის კვალიფიკაციისას აუცილებელ პირობად ითვალისწინებს დაზარალებულის გადაყვანას ან ტრანზიტს სხვა ქვეყანაში ან წარმოშობის ქვეყნის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე (მაგალითად, საქართველოსთვის – აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში). ამგვარი მიდგომა ნაკარნახევია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციით, რომლის რეკომენდაციითაც, ტრეფიკინგი განხილული უნდა იქნეს ტრანსნაციონალურ დანაშაულად, რომელიც საფრთხეს უქმნის ნორმალურ საერთაშორისო ურთიერთობებსა და ადამიანის უფლებების დაცვას. თვით ტერმინი “traffic”-იც ხომ „გადაადგილებას“, „ტრანსპორტირებას“ ნიშნავს. ცალკე მუხლადაა გამოყოფილი არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი სისხლის სამართლის კოდექსში. ესაა კოდექსის 143<sup>2</sup> მუხლი – „არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“. იმის გათვალისწინებით, რომ ეს მუხლი პრაქტიკულად 143<sup>1</sup> მუხლის იდენტურია, მიზანშეწონილია მათი გაერთიანება და არასრულწლოვნის

ან მცირებლოვნის ტრეფიკინგის დამამიმებელ გარემოებად გამოტანა (96. 126-128).

მესამე მიმართულება პრობლემის ვიქტიმოლოგიურ ასპექტებს უკავშირდება. გამოძიების პროცესში დაზარალებულის პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა ამ ეტაპზე შეუძლებელია; ამიტომ ტრეფიკიორს უოველთვის უქნება საშუალება, გავლენა მოახდინოს დაზარალებულზე, რომელიც საქმეში ფიგურირებს, როგორც ბრალმდებელი ან როგორც მოწმე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართველი კრიმინოლოგები აკეთებენ შემდეგ დასკვნებს:

1. საქართველოს კანონმდებლობა არ შეესაბამება ანტიტრეფიკინგულ კანონმდებლობას და, საერთოდ, ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო ნორმები საქართველოს კანონმდებლობაში საკმარისად არ არის იმპლემენტირებული.
2. გამოძიებისა და სამართალწარმოების პროცედურები არ უზრუნველყოფს პირადი მონაცემების კონფიდენციალურობას.
3. ადამიანებით ვაჭრობით (ტრეფიკინგით) დაზარალებულთა რეფერალური მექანიზმები არასაკმარისად უზრუნველყოფს პირადი მონაცემების კონფიდენციალურობას.
4. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთ არ აქვთ საკმარისი მოტივაცია, რათა სამართალდამცავ ორგანოებს მიმართონ.
5. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის სფეროში ინფორმირებულობის დონე დაბალია.
6. საჭიროა სამართალდამცავი სტრუქტურების, საკონსულო დაწესებულებათა და საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების, მოსამართლეებისა და ადვოკატების პროფესიული დონის ამაღლება.
7. საჭიროა კანონმდებლობაში საერთაშორისო ნორმების (სტანდარტების) შესაბამისი ცვლილებების შეტანისა და ჰარმონიზაციის ლობირება.
8. საჭიროა ტრეფიკინგით დაზარალებულთა მოწმეების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის მიზნით სასამართლო გამოძიებისას, სასამართლო დარბაზში შესვლისას, გამოსვლისას და ა. შ. მათი დაცვის პროგრამის მიღება.

9. საჭიროა ტრეფიკინგით დაზარალებულ იდენტიფიცირებულ მსხვერპლთათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენა უშუალოდ იდენტიფიკაციის შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისცემენ თუ არა ისინი ჩვენებას ტრეფიკიორების წინააღმდეგ, რათა მათ სამშობლოში დაბრუნებისას შეუმსუბუქდეთ ადაპტაციის პროცესი.
10. საჭიროა საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ტრეფიკინგით დაზარალებულთა რეფერალური მექანიზმების ოპტიმიზაცია მათი პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით.
11. საჭიროა ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის სამშობლოში დასაბრუნებელი დოკუმენტების მიღების პროცედურის გამარტივება; მათ ასევე არ უნდა გადაიხადონ საკონსულო მოსაკრებელი.
12. საჭიროა არასამთავრობო და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის რაციონალური მექანიზმების შექმნა.
13. ადამიანებით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის სფეროში არსებული მიღწევების ინდიკატორებმა უნდა გაზარდოს დაზარალებულთა გამოვლენა. ისინი უფრო ხარისხობრივი უნდა იყოს, ვიდრე რაოდენობრივი. აუცილებელია მონაცემთა ანალიზის კორელაციური მეთოდების გამოყენება (89. 129-134).

მეოთხე მიმართულება საქართველოში საჯარო პოლიტიკის საკითხების სრულყოფას უკავშირდება. საერთაშორისო ნორმების შესაბამისად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით გამკაცრდა ტრეფიკინგის ჩადენისათვის გათვალისწინებული სანქცია. ასევე საქართველის პარლამენტმა მიიღო კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. ამ კანონის საფუძველზე 2006 წელს შეიქმნა სხიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი. კანონმა ასევე გაითვალისწინა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების – თავშესაფრის – შექმნა. პირველი თავშესაფარი უკვე ამოქმედდა; მასში მოთავსებული არიან ტრეფიკინგის დანაშაულის შედეგად დაზარალებულად ან მსხვერპლად ცნობილი ადამიანები.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 25 იანვრის №23 განკარგულებით დამტკიცდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც სამთავრობო სტრუქტურების,

არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ერთობლივად შეიმუშავეს. 2009-2012 წლებში ის ჯერ კიდევ უცვლელია.

საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის 22 დეკემბერს მოახდინა „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირება, რითაც ჩვენი ქვეყანა ევროპის საბჭოს წევრ 47 ქვეყანას შეუერთდა და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ამ პრობლემის გადაჭრის გზაზე.

კონვენციის ძირითადი შესაძლებლობები მოიცავს გაძლიერებული საერთაშორისო თანამშრომლობის სისტემას და დამოკიდებულ მექანიზმს (GRETA), რომელიც მონიტორინგს გაუწევს მონაწილე მხარეთა მიერ მის სათანადო განხორციელებას (82. 1345-139).

მ. ბაძალუას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სახელმწიფომ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა უფრო ეფექტიანად მოახდინონ ტრეფიკინგის არსის, მეთოდების, მასთან ბრძოლის პოპულარიზაცია, რაც შედეგიანი ზომა იქნება (82. 1345-139).

მეხუთე მიმართულება შრომითი მიგრაციისა და ადამიანებით ვაჭრობის წყაროს დადგენის საკითხებთანაა დაკავშირებული. იმისათვის, რომ შრომით ტრეფიკინგთან ბრძოლა უფრო წარმატებული იყოს, საჭიროა გადაიდგას შედეგი ნაბიჯები:

- უნდა გადაიჭრას შრომის ინსპექციების გაუქმების პრობლემა, რადგანაც შრომის ინსპექტორები დიდ როლს სრულებრივ შრომითი ტრეფიკინგის მსხვერპლთა პირველად იდენტიფიცირებაში და მათ გადამისამართებაში.
- უნდა დაიხვეწოს ეროვნული რეფერალური მექანიზმი, რათა მან შრომითი ტრეფიკინგის პრობლემაც მოიცვას, აგრეთვე რათა შრომის ბაზრის ინსტიტუტები – პროფკავშირები და დამსაქმებლები – ამ მექანიზმის მონაწილეები გახდნენ.
- ყურადღება უნდა მიექცეს შიდსის და იმუნოდეფიციტის ვირუსის საკითხს ტრეფიკინგის მსხვერპლთან მიმართებით – სამწუხაროდ, ეროვნული რეფერალური მექანიზმი ამ საკითხს არც ერთ ეტაპზე არ ეხება. ასევე სამწუხაროა, რომ არსებობს სტერეოტიპი, თითქოს ტრეფიკინგის ყველა

მსხვერპლი დაავადებულია შიდსით, თუმცა, როგორც სხვა ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, ეს ასე არ არის (84. 152-156).

მექქსე მიმართულება კორუფციისა და ტრეფიკინგის კავშირის გარკვევასთან არის დაკავშირებული. კორუფცია შეიძლება ერთდროულად განვიხილოთ, როგორც ადამიანებით ვაჭრობის მიზეზი და პირობა. ამასთანავე, ის აღნიშნული კრიმინალური ბიზნესიდან მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის საშუალებას იძლევა. სამწუხაროდ, ამ ორი ფენომენის ურთიერთქმედება და ურთიერთდამოკიდებულება გამოუკვლევი რჩება. ეს იმითაა განპირობებული, რომ მოცემული ურთიერთქმედება არ შემოიფარგლება მექრთამეობის უბრალო ფორმებით სახელმწიფო საზღვარზე ან საბუთების (პასპორტები, ვიზები და ა. შ.) გაფორმებისას. ადამიანით ვაჭრობასთან მიმართებით კორუფცია როგორც ფორმებით ხასიათდება.

აღნიშნულ მოვლენებთან ბრძოლის მიზნით საერთაშორისო საზოგადოებამ შეიმუშავა სამართლებრივი ბაზა, რომელიც ეფუძნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას „კორუფციის წინააღმდეგ“ (2003 წ.) და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ ოქმს (1. 40).

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კორუფციის შესაძლებლობებს ტრეფიკინგის ქსელებში. ამ მიმართულებით ყურადღებას იმ გარემოებაზე ამახვილებენ, რომ ტრეფიკინგის იგნორირება შეიძლება იყოს სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი, იმ შემთხვევაში თუ ქვეყანაში გავრცელებულია კორუფცია.

ქართველი კრიმინოლოგები ასევე ყურადღებას ამახვილებენ ე. წ. კრიმინალური შეილად აყვანის საკითხებზედაც. „საბავშვო ბიზნესს“ არა მარტო მიღიონობით დოლარი მოაქვს, არამედ დასავლეთში გადასახადებისთვის თავის არიდების საშუალებასაც იძლევა. საქართველოში შეილად აყვანის ბაზრის პოტენციალი დიდია. ნიუ-იორკის გაზეთ „News Day“ს უურნალისტების სოციოლოგიური გამოკვლევის თანახმად, მხოლოდ აშშ-ში სხვა ქვეყნებიდან (მათ შორის, საქართველოდან) ყოველწლიურად 50 000-მდე ბაზშვი შედის. ბაზშვებით ვაჭრობა საქართველოში ხდება როგორც მათი ექსპლუატაციისათვის (ეკონომიკური,

სექსუალური, ფიზიოლოგიური პარამეტრების გამოყენებით), ისე სხვა მიზნებითაც, როგორებიცაა მათი კომერციული გაშვილება, ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმა (მათხოვრობა, მაწანწალობა) (1. 42-49).

## §7. ნარკობიზნესის პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები

ნარკომანია და ნარკობიზნესი მრავალი სახელმწიფოსათვის მეტად პრობლემურია, რადგან ნარკობიზნესის ექსპანსია მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა რეგიონში აღინიშნება. უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ამ პრობლემის გადაწყვეტის რადიკალური საშუალებები ჯერ არ არის მოძებნილი. ნარკოტიკების გავრცელებასა და მოხმარებასთან დაკავშირებით არსებულ ეროვნულ მოდელებს პირობითად სამ ჯგუფში აერთიანებენ:

პირველი ჯგუფი – „ხისტი პოლიტიკის ჯგუფი“, რომელშიც ბრძოლა მიმდინარეობს ყველაზე მკაცრი მეთოდებით, სიკვდილით დასჯამდე, და ნარკოტიკების გამავრცელებლების მიმართ კანონმდებლობა მაქსიმალურად გამკაცრებულია. მათ მიეკუთვნება, პირველ რიგში, მალაიზია (46; 255. 220-228), ირანი (236. 112-120; 269. 182-190) და პაკისტანი (271. 55-77; 363).

ამასთანავე, სტატისტიკური მონაცემები მოწმობს, რომ, ასეთი ზომების მიუხედავად, ნარკოტიკებთან (კერძოდ, მათ ტრანსპორტირებასთან) დაკავშირებული დანაშაულის რაოდენობა ყოველწლიურად 2-3 პროცენტით იზრდება.

მეორე ჯგუფი – „ხისტი კონტროლის ჯგუფი“. აქ ხორციელდება მკაცრი კონტროლი ნარკოტიკების ყველა სახეობაზე, მიმდინარეობს ნარკომაფიასთან აქტიური დაპირისპირება, მაგრამ უკიდურესი ზომები არ მიიღება. მათ მიეკუთვნებიან, კერძოდ, აშშ (190. 54-61; 252. 939-947), დიდი ბრიტანეთი (25; 193) და საფრანგეთი (11; 159. 415-431). აშშ-ში, მაგალითად, შტატების უმეტესობაში სასჯელი არა მარტო ნარკოტიკების შენახვისა და გამოყენებისთვის, არამედ მათი შეძენის მცდელობისთვისაც არსებობს. ინგლისსა და საფრანგეთში

ნარკომანს სასამართლო წესით აგზავნიან იძულებით სამკურნალოდ. ბოლო წლებში ამ ქვეყნებში შეინიშნება ტენდენცია უფრო მეტი გამპაცრებისაკენ.

ამ ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ში, კანონის სფეროში ნარკოტიკებთან ბრძოლა შეხამებულია უძლიერეს საინფორმაციო-პროპაგანდულ კამპანიასთან, რომელიც, პირველ რიგში, მოსახლეობის ყველაზე დაუცველი კატეგორიისკენ (უმუშევრები, სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები) არის მიმართული.

ეს, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია საზოგადოებისთვის იმ გიგანტური დანაკარგების გაცნობიერებასთან, რომლებიც ნარკომანიის გავრცელების შედეგია; მისით გამოწვეული ყოველწლიური ზარალი დაახლოებით 150 მილიარდ დოლარად ფასდება.

მესამე – „ლიბერალური ჯგუფი“. მისი ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები არიან ჰოლანდია (263. 629-631) და შვეიცარია (30).

მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მრავალწლიანი გამოცდილება რამდენიმე შედეგიანი ზომის გამოყოფის საშუალებას იძლევა ((137; 149. 515-517; 266. 117-128; 298. 374-386). ნარკობიზნესის ეფექტიანი კონტროლი შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ზომების კომპლექსის რეალიზაციის მეშვეობით, რომელთა შორის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ ზომებს:

- კვლევების ორგანიზება, რომლებიც მიმართულია ნარკოტიკების ინდუსტრიის და გასაღების ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმების შესწავლისკენ, სპეციალური პოლიციური პროგრამის ეფექტიანობის საექსპერტო შეფასების სისტემის შექმნისკენ. მხოლოდ მკაცრ და გადამწყვეტ საკანონმდებლო პროექტებს შეუძლია მნიშვნელოვანი შედეგების მოცემა ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლაში;
- ნარკობიზნესის ცენტრების განადგურება;
- ნარკოდანაშაულთან ბრძოლის ერთიანი კონცეფციის და სტრატეგიის შემუშავება ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე;
- მნიშვნელოვანი ფინანსური საშუალებების და მატერიალური რესურსების გამოყოფა, კომპლექსური გეგმების შემუშავება ნარკოორგანიზაციებისთვის დარტყმის მისაყენებლად, ზომების ეფექტიანი სისტემების შემუშავება უკანონო

შემოსავლების გამოვლენის და კონფისკაციის, ფულის „გათეთრების“ არხების ლიკვიდაციის და, რა თქმა უნდა, ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის მიზნით;

- პრეკურსორების გადაადგილების კონტროლის სისტემის შექმნა.

პრეკურსორები უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია, რომლებიც გამოიყენება ნებისმიერი ნარკოტიკის დამზადებისას. მათ მიეკუთვნება ნივთიერებები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ შედიან ნარკოტიკული საშუალებების შემადგენლობაში. პრეკურსორების გარდა, ქიმიური სინთეზის პროცესში გამოიყენება რეაგენტები, რომლებიც ქიმიური დამუშავების შედეგად ხდებიან საბოლოო პროდუქტის ნაწილი, გამხსნელები – სითხეები, რომლებიც ექსტრაჰირებენ ან ამოილებენ სხვა ნივთიერებებს გასახსნელი სუბსტანციის ქიმიური შემადგენლობის შეცვლის გარეშე, და კატალიზატორები – ნივთიერებები, რომლებიც აჩქარებენ ქიმიურ რეაქციას. მაგრამ ყოველდღიურ პრაქტიკაში „პრეკურსორებს“ ხშირად უწოდებენ ქიმიური ნივთიერებების ყველა ჩამოთვლილ ნაირსახეობას, რომლებიც ნარკოტიკების უკანონო წარმოებისათვის გამოიყენება.

ქიმიკატები, რომლებიც იატაკქვეშა ლაბორატორიებში გამოიყენება, მხოლოდ ლეგალური ქიმიური და ფარმაცევტული მრეწველობის საწარმოებში (ბაზებში, საწყობებში) მოიპოვება. ზოგიერთი ეს ნივთიერება სამამულო წარმოებისაა; ასევე ხდება მათი იმპორტირება სხვა ქვეყნებიდან. ლეგალური საწარმოებიდან პრეკურსორების გადინების პრობლემის სერიოზულობის გაცნობიერებიდან გამომდინარე, საერთაშორისო საზოგადოებამ და საკანონმდებლო ორგანოებმა ზოგიერთ ქვეყანაში მიიღეს სპეციალური ნორმატიული აქტები პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის მართვის შესახებ.

1988 წელს მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, რომლის შესაბამისადაც, სახელმწიფო კონტროლი დამყარებული უნდა იყოს ხშირად გამოყენებად ნარკოტიკული ნივთიერების ბრუნვაზე. პრეკურსორების სია, რომლებიც ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ფარგლებში კონტროლდება, გაფართოებულია და 49 დასახელების პრეკურსორს შეიცავს. ამავე დროს, აშშ-ის იუსტიციის

დეპარტამენტის ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოს მონაცემებით, ბოლო წლებში მსოფლიოს იატაკებებში ლაბორატორიებში აღმოჩენილია დაახლოებით 280 სხვადასხვა ქიმიური ნივთიერება, რომლებიც ნარკოტიკების წარმოებისას გამოიყენება.

უმსხვილეს ლაბორატორიებს ქიმიური პროდუქტების მიმწოდებლების ფართო ქსელი აქვთ. მაგალითად, ბრძოლის შედეგების შეჯამებისას კოლუმბიის საგარეო გაჭრობის სამინისტრომ გამოაქვეყნა უკროპის, ამერიკისა და აზიის ქვეუნების 104 საწარმოს სია, რომლებიც პრეკურსორებს ყალბ ფირმებს აწვდიან. ამ ჩამონათვალში აღნიშნული იყო აშშ-ის, ესპანეთის, გერმანიის, დანიის, ვენესუელის, ჩინეთის და მსოფლიოს ზოგი სხვა ქვეუნის კომპანიები, მათ შორის, ისეთი რესპექტაბელური ფირმა, როგორიცაა „მერსედეს-ბენცი“ (177. 421-426).

ნარკოტიკებთან ბრძოლის გზაზე უდიდეს წარმატებას მიაღწია აშშ-მა და ბოლო ათწლეულებში ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა აქ ორჯერ შემცირდა. ნარკოტიკებთან ბრძოლაში აშშ-ის სტრატეგია ეფუძნება რამდენიმე პრინციპს, რომელთაგან უმთავრესია მისი საერთო-ეროვნული ხასიათი და ძალისხმევის გაერთიანება როგორც მთავრობის, ისე არასამთავრობო სტრუქტურების ხაზით.

ბოლო წლებში აშშ-ში ანტინარკოტიკულ კამპანიაზე ხარჯები ყოველწლიურად დაახლოებით ერთ მილიარდ დოლარს შეადგენდა.

საერთაშორისო დონეზე გარკვეულ ძალისხმევას იჩენს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ეს ძალისხმევა ძირითადად მდგომარეობს ნარკოტიკებთან დაკავშირებული საქმეების მდგომარეობის გლობალური მონიტორინგის ჩატარებაში და ნარკომანიასთან ბრძოლასთან მიმართებით მთავრობებისათვის საერთო რეკომენდაციების შემუშავებაში. ნარკომანიის პრობლემა წამოწეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის) პრაქტიკულად ყველა საკვანძო დოკუმენტში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა პრაქტიკული დახმარების გაწევა ნარკოტიკების მწარმოებული ზოგიერთი ქვეყნისათვის, პირველ რიგში, ლათინური ამერიკის სახელმწიფოებისათვის, სახოფლო-სამეურნეო სტრუქტურების მოყვანაზე გლეხების ორიენტაციის შეცვლის კუთხით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აწარმოებს აკრძალული ნარკოტიკული ნივთიერებების რეესტრს, რომელიც დღესდღეობით შეიცავს დაახლოებით 200 ნაირსახეობას, რომელთაგან მხოლოდ 7-ია ნატურალური, დანარჩენები კი სინთეტიკურია.

ნარკობიზნესის საკითხი სხვა პრობლემათა შორის ქართველ კრიმინოლოგთა გამოკვლევების ყურადღების ცენტრშია. მათი აზრით, ნარკოტიკების უკანონო ტრანზიტთან და ქვეყანაში შემოტანასთან ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს საბაჟო სამსახურის ეფექტიან საქმიანობას.

ნარკომაფიის რთული და მრავალწახნაგოვანი ბუნების შეფასებისას ქართველი იურისტები იზიარებენ მოსაზრებას, რომ ნარკოტიკების კონტრაბანდული ორგანიზების თავიდან აცილებისას „პაწაწინა თაღლითს“ ხშირად იჭერენ, ხოლო მნიშვნელოვანი დამნაშავეები სისხლისსამართლებრივი დეპნის გარეშე რჩებიან. სწორედ ამიტომ ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ჯგუფების ლიდერების დასადგენად და დასაკავებლად საჭიროა ისეთი სამართლებრივი ბაზის შემუშავება, რომ საგამოძიებო და ოპერატორულ ჯგუფებს გაუადვილდეთ და ეფექტიანად შეეძლოთ სათანადო დონისძიებების გატარება სხვა სახელმწიფოების ტერიტორიებზე (97. 15-16).

ქართულ კრიმინოლოგიაში დავას იწვევს საკითხი, თითქოს ნარკოტიკების ნაწილობრივი ლეგალიზება (კერძოდ, მარიხუანისა) ხელს შეუწყობს ნარკომანების გამოვლენას. ჯ. ჯანაშიას მიერ გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ნარკოტიკების ნაწილობრივი ან მთლიანი ლეგალიზება ნარკობიზნესს ახალ ბიძგს მისცემს, გაძლიერდება მისი მასშტაბები – დაიწყება კონკურენცია შიგა ბაზარზე, საგრძნობლად მოიმატებს ნარკოტიკების

„იმპორტი“ (კონტრაბანდა) ქვეყნის ფარგლების გარედან. თუმცა საპირისპირო მოსაზრებაც არსებობს (97. 15-16).

ყურადღების ცენტრშია ასევე საკანონმდებლო რეფორმის საკითხები. ამ მიმართულებით აღინიშნება, რომ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ხაზით საქართველოში არასწორი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა გამოიკვეთა. კერძოდ, ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და ალბათ მაღლ 10 000-ს გადააჭარბებს. დაკავებულთა უმეტესი ნაწილი ნარკოტიკების საცალო მომხმარებელია, რომლებიც მათ პირადი მოხმარების მიზნით ინახავენ და საზოგადოებას არანაირ საფრთხეს არ უქმნიან. ამის მირითადი მიზეზია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი, რომელშიც გაერთიანებულია ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, შემდეგნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა და გასაღება.

ჯ. ჯანაშია აღნიშნავს, რომ სრულყოფას მოითხოვს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი („პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება“). ამ მუხლშიც უნდა გაიმიჯნოს უკანონოდ მოხმარება დანაშაულის სხვა სახეებისგან (97. 15-16).

ქართულ კრიმინოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ვიქტიმოლოგიურ პრობლემატიკას. როგორც აღინიშნება, შიდსის და სხვა ინფექციური დაავადებების გავრცელების შეზღუდვა, სახელმწიფოს მიერ ნარკოტიკების ლეგალიზაცია და ეფექტიანი კომპლექსური ღონისძიებების გატარება ხელს შეუწყობს ნარკომანთა შორის შიდსის, პეპატიტების, ტუბერკულოზისა და სხვა ინფექციური დაავადებების გავრცელების შეზღუდვას.

ამასთანავე, აღნიშნავენ, რომ ნარკოტიკები ძალადობასა და ნარკოგაჭრობასთან დაკავშირებულ არალეგალურ ქმედებებს წარმოშობს (88. 9-87).

თანამედროვე ქართულ კრიმინოლოგიაში ვითარდება ნარკობიზნესთან ბრძოლასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც შემუშავებულია გაეროს დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მე-11 კონგრესის მიერ.

ამ მიმართულებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოში, როგორც ნარკოტიკების მომხმარებლის სტატუსის მქონე ქვეყანაში, საჭიროა პრევენციული მოდელი ორი მიმართულებით განხორციელდეს: 1) ნარკობიზნესის საქართველოში შეღწევის შეჩერების გზით; 2) სამომხმარებლო ბაზრის რეგულირების მოქნილი მეთოდების დამკვიდრებით (2. 273-289).

პირველი მიმართულების ჭრილში წამყვანი როლი უნდა მიენიჭოს კონტრაბანდის განვითარების აღკვეთის ღონისძიებებს. ამ მხრივ საჭიროა ისეთი სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი, რომელიც მეზობელ ქვეყანასთან შეთანხმებით იქნება შექმნილი უნიფიკაციის გზით. ამ შემთხვევაში აქტუალურია შედარებითი კრიმინოლოგიური ანალიზი. აღნიშნულ მიმართულებას ასევე ეხება ოპერატიულ-სამქებრო მეთოდების გარდაქმნა. ამასთან დაკავშირებით, როგორც ცნობილია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საკითხის დასმის წესით მოითხოვა, რომ ნარკოტიკების კონტრაბანდის ფაქტებზე გამოძიება აწარმოოს იმ უწყებამ, რომელიც ასეთ ფაქტს გამოავლენს.

მეორე მიმართულებას მიეკუთვნება სოციალური კონტროლისა და რეაბილიტაციის ღონისძიებები. სოციალური კონტროლის გაძლიერების მიზნით საჭიროა საკანონმდებლო გზით მოწესრიგდეს დანაშაულთან ბრძოლაში საზოგადოების აქტიურობის საკითხები (85. 58-61).

#### §8. კონტრაბანდის პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები

საქონლის კონტრაბანდის შემცირება შესაძლებელია საერთაშორისო დონეზე მოქმედებების კოორდინირებით და საგაჭრო მარშრუტების გასამარტივებლად

ზომების მიღებით. საქონლის საერთაშორისო ტრანსპორტირება მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული დღევანდელი სიტუაცია, როცა ყოველწლიური გლობალური ექსპორტის მესამედი კონტრაბანდული ხდება.

კონტრაბანდის შეზღუდვისათვის ყველაზე ეფექტიანი ზომა ქვეყნებში საჯარიმო სანქციების გაზრდაა. კონტრაბანდისტები საქონლის კონტრაბანდით იმიტომ არიან დაკავებული, რომ მისგან მიღებული სარგებელი ბევრად აღემატება რისკს. ეფექტიანია ჯარიმების გადახედვა გაზრდის მიმართულებით, რათა მათმა ოდენობამ დაკავების შესაძლებლობასთან ერთად კონტრაბანდა ფინანსურად არამიმზიდველი გახადოს.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ნაწარმზე აქციზური მარკის არსებობის მოთხოვნა. ამის მიზანია ლეგალურ და ალალეგალურ საქონელს შორის განსხვავების გამოკვეთა, რათა გაადვილდეს კონტრაბანდული საქონლის აღმოჩენა და კანონის შესრულება. ასეთი მარკები თვალსაჩინო უნდა იყოს და უნდა მოთავსდეს თითოეულ კოლოფზე, ცელოფნის შეფუთვის ქვეშ (სიგარეტის შემთხვევაში). დიზაინი ისეთნაირად უნდა დამუშავდეს, რომ მნელი იყოს მათი გაყალბება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია პროდუქციის სპეციალური შეფუთვა და მარკირება, რომელიც მის დაუბეგრავ სტატუსზე მიუთითებს. კონტრაბანდასთან ბრძოლა დაუბეგრავი საქონლის ტრანსპორტირების მკაცრად გაკონტროლებას მოითხოვს. იქ, სადაც ეს ნებადართულია, უბაჟო ვაჭრობის მაღაზიებში ან სხვაგან, საქონელი მკაფიოდ უნდა იყოს მარკირებული, როგორც დაუბეგრავი. ამ შემთხვევაში საცალო მოვაჭრები, მომხმარებლები და პირები, რომლებიც კანონის შესრულებას აკონტროლებენ, ადვილად შეძლებენ იმის განსაზღვრას, თუ რომელი საქონელია დაუბეგრავი და რომელი – არა.

კონტრაბანდული გზების გადაპეტვა საქონლის წარმოებისათვის, ექსპორტისათვის, იმპორტისათვის, საბითუმო ვაჭრობისათვის, საცალო ვაჭრობისათვის, ასევე შენახვისათვის სპეციალური ლიცენზიის არსებობის მოთხოვნის მკაცრი დაცვით ხდება. ლიცენზიები სხვადასხვა სფეროში

სხვადასხვა პირის მოქმედების განსაზღვრის და თვალყურის დევნების საშუალებას იძლევა და ხელს უწყობს ანტიკონტრაბანდული კანონების რეალიზაციას. როგორც წესი, ლიცენზია შეიცავს გარკვეულ პირობებს, რომელთა დარღვევისას ან შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევისას ის შეიძლება შეჩერდეს. ამიტომ ლიცენზიის დაკარგვის საფრთხეს კონტრაბანდული საქონლისაგან პოტენციური ვაჭრების განრიდება შეუძლია.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმ მოთხოვნის დაცვა, რომ თითოეულმა მწარმოებელმა ყველა ნაწარმზე აღნიშნოს თავისი უნიკალური სერიული ნომერი. ასეთი მიღგომა ეხმარება ხელისუფლებას, განსაზღვროს ნაწარმის მწარმოებელი, გამოშვების ადგილი და თარიღი. თუ ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, ეს ნომერი შეიძლება შეიცვალოს მფლობელთა ჯაჭვის ნიშნით, რომელიც დაეხმარება ხელისუფლებას, არა მარტო მწარმოებელი განსაზღვროს, არამედ ასევე გამოავლინოს დისტრიბუტორი, ბითუმად მოვაჭრე და ექსპორტიორი.

უდავოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს აღრიცხვის წარმოების მოთხოვნა. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იგრძნობა აღრიცხვის წარმოების და თვალყურის დევნების სისტემის აუცილებლობა, რომლებიც მწარმოებლებს დააკისრებს პასუხისმგებლობას, რათა საქონელი ლეგალურად იქნეს მიწოდებული ბაზარზე, დანიშნულების ადგილზე. საქონლის ტრანსპორტირება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ ყველა შუალედური საგაჭრო კომპანიის, მარშრუტის და დანიშნულების საბოლოო პუნქტის შესახებ ინფორმაციის არსებობისას. კონტროლის კომპიუტერიზებული სისტემები დაეხმარება სახელმწიფოებს, რეალური დროის რეაქტიულობის განახორციელონ შემოწმება და გააანალიზონ შესაძლო რისკი ნაწარმის თითოეული პარტიის მარშრუტზე გაშვების წინ. ამ შემთხვევაში მათ ექნებათ ინფორმაცია ყოველ კონკრეტულ პარტიაზე და შეძლებენ განახორციელონ შერჩევითი შემოწმებები ადგილზე, როგორც და როდესაც ისინი მოისურვებენ.

კონტრაბანდის აღკვეთა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სრულდება მოთხოვნა, რომ საექსპორტო საქონელზე აღინიშნოს დანიშნულების ქვეყანა და გაფრთხილება მის მოხმარებასთან დაკავშირებით. მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში არსებობს წესები, რომლებიც კომპანიებს ასეთი გაფრთხილებების

დაბეჭდვას ავალდებულებს. მათი სტილი, ფორმულირება, განლაგება და ენა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. ექსპორტიორებმა უნდა აღნიშნონ დანიშნულების ქვეყანა და უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ფორმის გაფრთხილების არსებობა ნაწარმზე. მნიშვნელოვანია ასევე განსაკუთრებული ეტიკეტების არსებობა საქონელზე, რომლის ექსპორტიც არ ხდება.

ყველაზე ეფექტიანია იმის მოთხოვნა, რომ ექსპორტიორებმა გააფორმონ საბაჟო გირავნობის საბუთები საქონლის მიწოდებაზე, რომლებიც მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიხურება, თუ დამტკიცდება, რომ პარტიამ მიაღწია დანიშნულების პუნქტს.

ასევე ეფექტიანია გადასახადების და საბაჟო მოსაკრებლის ზომიერი განაკვეთების დაწესება. ამ სფეროში ბრძოლის გამოცდილება ამტკიცებს, რომ, თუ ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა ამკაცრებს დაბეგვრის სისტემას, ამით ის მეტ საშუალებას აძლევს კონტრაბანდისტებს, დააკმაყოფილონ მომხმარებლის მოთხოვნილება. მაგალითად, XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში კანადაში სიგარეტზე ზომიერი გადასახადი არსებობდა და კონტრაბანდა უმნიშვნელო იყო. 1986 წელს ფედერალურმა მთავრობამ თამბაქოზე გადასახადი მნიშვნელოვნად გაზარდა, რის გამოც სიგარეტის ბაზარზე კონტრაბანდული გაყიდვების რაოდენობაც გაიზარდა. ამ პირობებში კონტრაბანდა უაღრესად შემოსავლიანი გახდა, ხოლო ორგანიზებული დანაშაული – ბაზრის მომსახურებაში უფრო ეფექტიანი. 1993 წელს ლეგალური სიგარეტის კოლოფი 45-50 დოლარი დირდა, კონტრაბანდული სიგარეტის კოლოფი კი 18 დოლარად იყიდებოდა. კვლევებმა აჩვენა, რომ კანადის მთელი ბაზრის დაახლოებით 30%-ს კონტრაბანდა შეადგენდა და საგადასახადო შემოსავლების დანაკარგი 1 ბილიონ კანადურ დოლარს უდრიდა (6; 53).

თანამედროვე პირობებში კონტრაბანდასთან ბრძოლაში ყველაზე აქტუალურია ნარკობიზნების ტრანსნაციონალური კავშირების დადგენისა და აღმოფხვრის პრობლემა. როგორც ცნობილია, საზღვრო პოლიციის ეგიდით, „ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონტრაბანდასთან ბრძოლის საკითხებში, სასაზღვრო და სხვა შესაბამისი უწყებების თანამშრომლობის მუშა ჯგუფის“ მორიგი შეხვედრა თბილისში გაიმართა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს 14 ქვეყნის სასაზღვრო და სხვა შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკის მიხედვით, ქვეყანაში რეგისტრირებულ დანაშაულთა შორის პირველი ადგილი ნარკოდანაშაულს უქავია. 2011 წლის მონაცემებით, გასულ წელს მხოლოდ თბილისის მასშტაბით ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო ბრუნვის 2 973 შემთხვევა დარეგისტრირდა, რომელთაგან 817 მძიმე კატეგორიისა იყო. მთლიანად ქვეყნის მასშტაბით კი გამოვლინდა 5 054 შემთხვევა, მათგან 2 316 – მძიმე კატეგორიის. მათ შორის რეგისტრირებულია ნარკოტიკის კონტრაბანდის 116, რეალიზაციის 167, ნარკოტიკების შემცველი მცენარეების უკანონოდ დათესვის 121 ფაქტი. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ქართველმა სამართალდამცველებმა დარეგისტრირებული 5 054 ნარკოდანაშაულიდან 4 699 საქმე გახსნეს, 355 საქმე კი ჯერჯერობით გაუხსნელად ითვლება. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ, შარშანდელთან შედარებით, წელს ამ კატეგორიის დანაშაულმა საგრძნობლად იკლო. შარშან სამ თვეში აღირიცხა ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო ბრუნვის 1209 ფაქტი, წელს კი – 749. შარშან სამ თვეში ნარკოტიკების კონტრაბანდის 40 ფაქტი გამოვლინდა, წელს იმავე პერიოდში – 7. შარშან ნარკოტიკების რეალიზაციის 31 ფაქტი აღირიცხა, წელს – 22.

აღსანიშნავია, რომ „სუბოტექსის“ ბრუნვა შემცირებულია – წინა წლებში გაცილებით მეტი „სუბოტექსი“ ამოიდეს სამართალდამცველებმა, ვიდრე 2010 წელს. მესამე ადგილზე „ოპიუმი“. ოუმცა შარშან მისი ბრუნვაც შემცირებული იყო. შარშანწინ სამართალდამცველებს საქართველოში ისეთი ძვირად ღირებული ნარკოტიკი, როგორიც „კოკაინია“, საერთოდ არ აღმოუჩენიათ. შარშან 0,0099 გრამი ამოიდეს, წელს – ჯერჯერობით არც ერთი. შემდეგ მოდის „მეტადონი“ და „მორფინი“. შედარებით ნაკლებად მოხმარებადი ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებებია „კოდეინი“ (სამართალდამცველებმა შარშანწინ 0,125 გრამი აღმოაჩინეს, შარშან კი – 2,09 გრამი) და „ციკლობარბიტალი“ (შარშან 1,6 გ აღმოჩნდა, წელს კი საერთოდ არ გამოვლენილა). უკანონო ბრუნვიდან შარშან არ ამოუღიათ მეტამფეტამინი, ამფეტამინი და ყაყაჩო (90).

ასევე მნიშვნელოვანია იარაღის კონტრაბანდასთან ბრძოლის პრობლემატიკა. ამ მიმართულებით დასახული ზომები კომპლექსურად, ინტერპოლთან და მეზობელ ქვეყნებთან (რუსეთის გარდა) ერთად ხორციელდება (2. 247).

## **დასკვნა და რეკომენდაციები**

ტრანსნაციონალური დანაშაულობის ეკონომიკურ ფორმებთან ბრძოლის პრობლემების შესაწავლამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა დასკვნები და ჩამოგვეყალიბებინა პრაქტიკული რეკომენდაციები:

1. ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის ტენდენციების დადგენისას აუცილებელია იყოს გათვალისწინებული, რომ ის არის კომერციული საქმიანობის ფორმა, რომელიც ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო საშუალებებით. შესაბამისად მას გააჩნია შემდეგი ნიშნები: 1) ანგარება, 2) პროფესიულ საქმიანობის პროცესში მისი განხორციელების შესაძლებლობა, 3) ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტების მიერ სამართლებრივი ფორმების გამოყენება, 4) მსხვერპლთა დიდი მასშტაბი, 5) მსხვერპლისგან ვიქტიმიზაციის პროცესის ფარული “წარმოება”, 6) მრავალსუბიექტურობა (იურიდიული და ფიზიკური შემსრულებლები), 7) სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესებისადმი, აგრეთვე კერძო მეწარმეთა და მოქალაქეთა ინტერესებისადმი მიყენებული ზარალი, 8) ეკონომიკური დანაშაულის ჩადენის შედეგად არაერთგზის მატერიალურ ფასეულობათა გადანაწილება, 9) სისტემატიკური ხასიათი, 10) ლატენტურობის მაღალი დონე.
2. ტრანსნაციონალური დანაშაულობის ეკონომიკურ ფორმებთან ბრძოლის პრობლემატიკის გადაწყვეტა უნდა იყოს დაკავშირებული გაეროს მიერ შემუშავებულ კლასიფიკაციურ მიდგომასთან, რომელიც ადგენს ამ დანაშაულობის რვა ტრანსნაციონალური ფორმას: ფულის გათეთრებას, ხელოვნების ნაწარმოებათა და კულტურის საგნების ქურდობას, ინტელექტუალური საკუთრების ქურდობას, იარაღით უკანონო ვაჭრობას, თაღლითობას, ადამიანებით ვაჭრობას, ნარკობიზნებს და კონტრაბანდას.
3. სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების მასალების განზოგადოების შედეგად დადგენილია, რომ ტრანსნაციონალური დანაშაულობის ეკონომიკური ფორმების კონტროლის სრულყოფის მიზნით დონისძიებათა სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს ორი მიმართულებით: 1) ზოგადი და 2) სპეციფიკური ხასიათის ზომებად.

4. სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული კონტროლის ზოგადი ხასიათის ზომები უნდა მოიცავდნენ:

- სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ და მეთოდურ უზრუნველყოფას,
- ტრანსნაციონალური დანაშაულის გახსნის პრობლემების დამლევას, რაც ხშირად დაკავშირებულია ქვეყნების სამართლებრივ ე.წ. შეუთავსებლობასთან,
- საგამოძიებო დავალებებისა და შეკითხვების შეუსრულებლობის დამლევის მიზნით იმ ქვეყნებთან ურთიერთობების მექანიზმის ფორმების მოძიებას, ვისთანაც არ არსებობს სამართლებრივი ურთიერთდახმარების ხელშეკრულებები,
- ოპერატიულ-საგამოძიებო საქმიანობის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გამყარებას გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1994 წლის 21–23 ნოემბერის ნებაოლის პოლიტიკურ დეკლარაციის და ორგანიზებულ ტრანსნაციონალურ დანაშაულობის წინააღმდეგ მოქმედებათა მინისტერიალის გლობალური გეგმის შესაბამისად,
- იმ მუშაკების სპეციალიზაციის ამაღლებას, რომლებიც დაკავებულნი არიან ტრანსნაციონალურ დანაშაულთა პრევენციით და გახსნით, ამ საქმიანობით დაკავებულ პირთა სპეციალური მომზადებას, საზღვარგარეთის სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთქმედების გამოცდილებას.

5. ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის სოციალური კონტროლის მართვადობის სრულყოფის მიზნით ზომები უნდა მოიცავდნენ:

- ტრანსნაციონალური დანაშაულის სისტემის აგებას, რომელიც დაეფუძნება ქვეყნების კოორდინაციის პრინციპს, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს დაქვემდებარებულ დანაშაულობის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პრევენციის კომისიების მუშაობის გაძლიერებას,
- დანაშაულობის გადაცემისა და მათი გამოაშეკარავების საკითხებში, აგრეთვე დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გამოვლენის საკითხებზე დანაშაულობის პრევენციისა და

სამართალდამრღვევებთან მოპყრობის შესახებ გაეროს მე-9 და მე-12 კონგრესების გადაწყვეტილებათა განხორციელებას,

- შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესახებ ინფორმაციის პერიოდული შეკრებისა და გავრცელების კომპლექსური სისტემის შექმნას,
- მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფას იმ ორგანოებთან, (პირველ რიგში გაეროს სისტემაში არსებულთ), რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ მიზანმიმართულ ბრძოლას ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ, კერძოდ ადამიანის უფლებათა ცენტრთან, ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის გაეროს პროგრამასთან, სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან და სხვ.,
- ინფორმაციას ტერორიზმის და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ვაჭრობის

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობასთან კავშირის შესახებ,

- პრევენციის ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორიცაა: ტრანსნაციონალური ეკონომიკური და ტერორისტული დანაშაულობის სიმბიოზის წინააღმდეგ მიმართული პრევენცია; ტრანსნაციონალური ეკონომიკური და კორუფციული დანაშაულობის პრევენციის მიმართულება; ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის და მიგრანტების კონტრაბანდული გადაყვანის სიმბიოზის წინააღმდეგ მიმართული პრევენცია; ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულის სიმბიოზისა და დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ მიმართული პრევენცია;

6. პრევენციის პოლიტიკაში საჭიროა ისეთი ზომების დახვეწა, რომელიც დაკავშირებულია ფულის ტრანსნაციონალური გათეთრების კონტროლთან. ამ მიმართულებით საჭიროა განხორციელდეს შემდეგი სახის ზომები:

- ყოვლისმომცველი შიდა რეგულირების რეჟიმისა და ზედამხედველობის დაწესება ბანკებსა და სხვა საფინანსო დაწესებულებებზე, მათ შორის, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზეც, რომლებიც ახორციელებენ ფულადი სახსრების გადარიცხვასთან დაკავშირებულ ოფიციალურ და არაოფიციალურ მომსახურებას, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ფულის გასათეთრებლად განსაკუთრებით მიმზიდველ სხვა ორგანოებზეც,

- ფულის გათეთრებასთან მებრძოლი სამართალდამცავი და სხვა ორგანოების მიერ კიდევ უფრო ეფექტურად ფუნქციონირება, რომელიც სრულყოფილად შეაგროვებდა ფულადი სახსრების გათეთრების შემთხვევების შესახებ ინფორმაციას და მოახდენდა მის ანალიზისს,
- ნაციონალურ საზღვარზე ნადდი ფულის გადაადგილების გამოვლენაზე კონტროლის დაწესების შესახებ საკითხის განხილვა იმ მოთხოვნის გათვალისწინებით, რომ ფიზიკურმა პირებმა და კომერციულმა ორგანიზაციებმა აცნობონ შესაბამის ორგანოებს დიდი რაოდენობით ნადდი ფულის საზღვარზე გადაადგილების შესახებ,
- კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებით გარიგებების გაფორმების მექანიზმის კონტროლის დახვეწა,
- ელექტრონული გზავნილების კონტროლის ზომების გაძლიერების მიზნით მფლობელი-ბენეფიციარების ვინაობისა და მათი სახსრების წყაროების დადგენა იმ პირობების გათვალისწინებით, რომ ბანკები და არასაბანკო დაწესებულებები სულ უფრო ხშირად განლაგებულია მსხვილი ფინანსური ცენტრების საზღვრებს გარეთ, იმ იურისდიქციის მოქმედების სფეროში, რომელიც არ ითვალისწინებს ფულის გათეთრებასთან ბრძოლის და სხვა ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლის სათანადო ზომებს,
- საერთაშორისო ფულადი გზავნილების განხორციელების მაღალი სიჩქარე, რომელიც წარმოადგენს კიბერგადახდების ტექნოლოგიის ერთ-ერთ ელემენტს, ართულებს სამართალდამცავი ორგანოების ამოცანას კრიმინალური საქმიანობის თვალყურის დევნის და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ამოღების კუთხით. ამიტომ ანგარიშგების საკითხების მარეგულირებელი წესები ძირფესვიანად უნდა იქნას შეცვლილი იმისათვის, რომ მასში გათვალისწინებული იქნას ანგარიშგება ელექტრონული ფორმით – ინტერნეტით, ან მიკროპროცესორიანი საკრედიტო ბარათის საშუალებით სხვა ქვეყნებში ვალუტის გადარიცხვასთან მიმართებით,
- საჭიროა განვითარდეს საერთაშორისო კონტროლი ოფშორული ბანკების საქმიანობის რეგულირება, რადგან ოპერაციების აბსოლუტური საიდუმლოების გარანტია იმ მრავალ ზონაში, სადაც ასეთ ბანკებზე გასცემენ ლიცენზიებს, აძლევს მათ უკანონო შემოსავლების მოძრაობასთან ან დამალვასთან დაკავშირებული მანიპულაციების ჩადენის შესაძლებლობას, ხოლო მათი საქმიანობის რეგულირება კვლავაც იწვევს ბევრ კითხვას,
- უკანონო შემოსავლების მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ამოღება ნარკოტიკების ბრუნვასთან დაკავშირებულ დანაშაულთა შეთხვევაში არ ქმნის სერიოზულ პრობლემებს. მაგრამ რაც შეეხება სხვა სახის დანაშაულს, ისეთის, როგორიცაა თაღლითობა და გამოძალვა, აქ დაზარალებულთა ინტერესები სასტიკად იქნება ხელყოფილი, თუ ამოღებული ქონებით მხოლოდ სახელმწიფო ისარგებლებს. ამიტომ

უკანონო შემოსავლების ამოდების პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია დანაშაულის მსხვერპლთა ინტერესების გათვალისწინება.

- სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ასევე მარეგულირებელი დებულებების მიღებას, რომლებიც ადმინისტრაციული და პრევენციული ზომების გზით იძლევა უკანონო შემოსავლების ფლობისა და დამალვის აღკვეთის საშუალებას. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ფინანსური დაწესებულებების მუშაობის კონტროლის ადმინისტრაციული ზომების სხვეწა,
- კანონი ითვალისწინებს ქონების ჩამორთმევას კორუფციასთან დაკავშირებულ ყველა საქმეში, თუმცადა ცნობილია, რომ ამ მექანიზმის პრაქტიკული გამოყენება უმნიშვნელოა და საჭიროა ქონების იდენტიფიკაციისა და ამოდების პროცედურების შემდგომი სრულყოფა. ასევე აუცილებელია საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარების გარკვეულწილად გაუმჯობესება კორუფციული დანაშაულების გამოძიებისა და მის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში.
- აუცილებელია გაგრძელდეს საერთაშორისო სტანდარტებთან - INTOSAI-თან და IIAT-თან „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართვლოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა,

7. პრევენციის პოლიტიკი საჭიროა ასევე ისეთი ზომების დახვეწა, რომელიც დაკავშირებულია ხელოვნების ნაწარმოებების და კულტურის ნივთების ქურდობის კონტროლთან. ამ მიმართულებით საჭიროა განხორციელდეს შემდეგი სახის ზომები:

- აუცილებელია 1999 წლის 26 მარტს დიპლომატიურ კონფერენციაზე პააგაში მიღებული მეორე ოქმის შესაბამისად დაიხვეწოს კულტურული ფასეულობების დაცვის სისტემა შემდეგი მიმართულებით: 1) ფასეულობების და ხელოვნების საგნების ნაციონალური ინვენტარიზაცია, 2) შემუშვედეს კონფლიქტის პერიოდში დაზიანებისაგან და ნგრევისაგან, ქურდობისაგან, ძარცვისაგან, ვანდალიზმისგან, ნებისმიერი რეპრესიული ზომებისაგან ამ ფასეულობათა დაცვის საერთაშორისო გარანტიები,
- საჭიროა სისტემური მიდგომა მოქლაქის თხოვნისადმი, რომელმაც განცხადებით მიმართა საქართველოს შესაბამის ორგანოებს, რათა მათ კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ საქართველოს კანონის მქ-7 მუხლის თანახმად მხარდაჭერა აღმოუჩინონ საზღვარგარეთ უკანონოდ გატანილი ან უცხო სახელმწიფოს

ტერიტორიაზე უკანონო მფლობელობაში მყოფი პულტურული ფასეულობის საქართველოში დასაბრუნებლად,

- აუცილებელია დაინერგოს საზოგადოების რეგულარული ინფორმირება საქართველოს ინტერპოლაციის თანამშრომლობის შესახებ ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორიცაა: ინტერპოლის წევრ-სახელმწიფოების ანალოგიურ ორგანოებთან და მის გენერალურ სამდივნოსთან საქართველოს პოლიციის ურთიერთობის კოორდინაცია; სამძებრო საქმიანობის ორგანიზაცია და წარმართვა; საქართველოში საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნების შესრულების პრაქტიკის ანალიზი და განზოგადება; საერთაშორისო ხასიათის დანაშაულებთან დაკავშირებულ პირებზე, ორგანიზაციებზე, მოვლენებზე და დოკუმენტებზე მონაცემთა ბანკის შექმნა; საქართველოში დანაშაულის მდგომარეობისა და სტრუქტურის, ტერორიზმთან, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან, ყალბი ფულის დამზადებასთან, ისტორიული და პულტურული ფასეულობების ხელყოფასთან კავშირში მყოფი დამნაშავე პირების, საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ სტატისტიკაში ჩართული სხვა დანაშაულების შესახებ დადგენილი ფორმით მონაცემების შეგროვება და ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსთვის გადაცემა.

8. პრევენციის პოლიტიკაში საჭიროა ასევე ისეთი ზომების დახვეწა, რომელიც დაკავშირებულია ინტელექტუალური საკუთრების ქურდობის კონტროლთან. ამ მიმართულებით საჭიროა განხორციელდეს შემდეგი სახის ზომები:

- ინტელექტუალური საკუთრების ქურდობასთან ბრძოლის სისტემა უნდა ემყარებოდეს სისტემურ მიღებას, რათა გაკონტროლდეს ინფორმაციის გადინების ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: იმ სპეციალისტების მიგრაცია, რომელთაც საქმე პქონდათ კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, პუბლიკაციები საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, ინფორმაციის შეკრების ტექნიკური საშუალებების გამოყენება, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია კრიმინალების მოშველიებით კომერციულ საქმიანობაში და ა.შ.,

- აუცილებელია დაიხვეწოს საქონლის მანიშნებელი ატრიბუტიკის (ნიშნის და სხვ.) გაყალბებასთან ბრძოლის პრაქტიკა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს ექსპერტიზის დახვეწის საკითხეს. შესაბამისად აუცილებელია: სახელმწიფო საკანონმდებლო და სამართალდამცავი ორგანოების მხარდაჭერის უზრუნველყოფა; მჭიდრო კონტაქტების შენარჩუნება მწარმოებელსა და პოლიციის ქვედანაყოფს შორის, რომელიც პასუხისმგებელია

თაღლითობაზე და გაყალბებაზე; ინფორმაციის ფლობა მეცნიერების და ტექნიკის უველა ძირითადი მიღწევების შესახებ გაყალბებისგან და გაყალბების ტექნოლოგიისგან დაცვის დონეების შექმნის დარგში; დილერებთან მუდმივი კავშირის შენარჩუნება; წარმოების ადგილების რაოდენობის შეზღუდვა, საქონელის წარმოების და გაყიდვის ყოველმხრივი კონტროლის განხორციელება; რეკლამის გამოყენება მომხმარებლის ორიენტაციაზე გაყალბების ხერხების გამოვლენასთან მიმართებაში,

- იმისათვის, რომ ქმედითი იყოს გაყალბების მიმართ მეწარმეთა ბრძოლა, აუცილებელია: ფირმაში ყოველთვის იყოს საქონელის გაყალბებისაგან დაცვაზე პასუხისმგებელი პირი; საკუთარი სავაჭრო აგენტებისათვის შეტყობინება გაყალბებისგან დაცვის გამოსაყენებელი საშუალებების შესახებ; იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციებთან მუდმივი კონტაქტები, რომლებიც იბრძვიან საქონელის გაყალბების წინააღმდეგ; გაყალბებისგან დაცვის საშუალებების პერიოდული განახლება; საქონელზე სპეციალური ნიშის გამოყენება, რომელიც დაიცავს პროდუქციას გაყალბებისგან, მომუშავე პრსონალის მუდმივი იმფორმირება,
- აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი რეგულირების საკითხების გადაწყვეტის შესახებ. მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს ქონებრივი, არაქონებრივი და მომიჯნავე უფლებების დაცვის საკითხებს,
- აუცილებელია დაიხვეწოს სანქციების სისტემა. ამ მიმართულებით საჭიროა სპეციალურ კანონებთან (საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, საქართველოს საპატენტო კანონი, სასაქონლო ნიშების შესახებ, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა, და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ და სხვ.) ერთად დაცვის საშუალებებსა და სანქციებს ფართოდ გათვალისწინება სხვა კანონებშიც, რათა უფლებამოსილ ორგანოებს პქონდეთ უფლება ქმედითი ღონისძიებების გასატარებლად,

9. პრევენციის პოლიტიკაში საჭიროა ასევე ისეთი ზომების დახვეწა, რომელიც დაკავშირებულია იარაღით უკანონო ვაჭრობის კონტროლთან. ამ მიმართულებით საჭიროა განხორციელდეს შემდეგი სახის ზომები:

- აუცილებელია საერთაშორისო დონეზე სამართლებრივად დარეგულირდეს ეს საკითხი, რადგან დღესდღეისობით არ არსებობს მკაფიო საერთაშორისო კანონმდებლობა, რომელიც მოახდენდა იარაღით ვაჭრობის რეგულირებას. ამიტომ ექსპორტიორ ქვეყნებს შეუძლიათ განსაკუთრებული პრობლემების გარეშე მიაწოდონ იარაღი ცხელ წერტილებს, და ამასთან დაუსჯელები დარჩნენ,
- საჭიროა ისეთი საერთაშორისო სასამართლოს შექმნა, სადაც განიხილება იარაღით უკანონო ვაჭრობასთან დაკავშირებულ საჩივრებს და საქმეებს,
- მნიშვნელოვანია ისეთი პრევენციული ზომების ჩატარება, რომლებიც უშუალოდ მიმართულია შავი ბაზარის პირობების აღმოფხვრისაკენ, კერძოდ აუცილებელია: იარაღის კონტრაფაქტული წარმოების არდაშვების ზომების მიღება; შეიარაღების ჭარბი მარაგის (პირველ რიგში იარაღის და საბრძოლო მასალის) განადგურება საერთაშორისო კონტროლის ქვეშ,
- საჭიროა შემუშავდეს სისტემური მიღგომა კონფლიქტების გაჭიანურებასთან, ძალადობის დონის ზრდასთან, სამოქალაქო მოსახლეობის იძულებით გადაადგილებასთან, დანაშაულობის მაშტაბების გაფართოებასთან და სხვა ნეგატიურ მობლებთან ბრძოლაში. ამ პროცესის დასარეგულირებად აუცილებელია: სახელმწიფო ლიცენზიების გაცემის სისტემის შექმნასა და იარაღის კანონიერი წარმოების, გაყიდვის, აგრეთვე მისი მარკირებისა და გამოვლენის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. შესაბამისად - უკანონოდ წარმოებული ან შემოტანილი ცეცხლსასროლი იარაღის კონფისკაცია, დაყადაღება და განადგურება; უკანონო ცეცხლსასროლი იარაღისა და მსუბუქი შეიარაღების გამოვლენა, აგრეთვე მათზე თვალთვალის დაწესების მიზნით, დამატებითი ხასიათის საერთაშორისო დონისძიებებზე მუშაობის გაგრძელება; იარაღითა და მსუბუქი შეიარაღებით ვაჭრობის სფეროში საშუალებლო საქმიანობაზე კონტროლის დაწესება,
- აუცილებელია საერთაშორისო მონიტორინგის დაწესება რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციებულ რეგიონებში, რათა იქ შეწყდეს ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფერქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა ან გასაღება.

10. პრევენციის პოლიტიკაში საჭიროა ასევე ისეთი ზომების დახვეწა, რომელიც დაკავშირებულია ტრანსნაციონალური თაღლითობის კონტროლთან. ამ მიმართულებით საჭიროა განხორციელდეს შემდეგი სახის ზომები:
- აუცილებელია ტრანსნაციონალურ თაღლითობასთან ბრძოლის კონცეფციის შემუშავება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში, რომელიც უპასუხებს საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მიზნებს,
  - დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს თაღლითობასთან ბრძოლის მაღალეფების ზომების კომპლექსურ შემუშავებას, რომელიც გათვალიწინებული იქნება მიზნობრივ პროგრამაში მართვის ყველა დონეზე,
  - მნიშვნელოვანია საერთაშორისო კანონმდებლობის (მათ შორის სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, სამოქალაქო სამართლის) და თაღლითობასთან ბრძოლის ნორმატიული უზრუნველყოფის დახვეწა, რადგან პრობლემად რჩება სხვადასხვა ქვეყნებში თაღლითობასთან ბრძოლის საკანონმდებლო რეგულირება,
  - განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს თაღლითობასთან ბრძოლის ორგანიზაციულ-სტრუქტურული უზრუნველყოფის განვითარებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით ტრანსნაციონალური თაღლითობის გამოძიების საკითხებში,
  - აუცილებელია თაღლითობის ჩამდენ პირთა პენიტენციარული კონტროლის ინფორმაციულ-მეთოდური უზრუნველყოფის განვითარება,
  - აქტუალურია კადრების მომზადების სისტემის სრულყოფა სამართალდამცავი ორგანოებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ კომპეტენცია თაღლითობასთან ბრძოლის სფეროში, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში ჩადენილი თაღლითობის სპეციფიკას,
  - საქართველომ ასევე უნდა შეიმუშაოს ტრანსნაციონალურ თაღლითობასთან ბრძოლის კონცეფცია. ამ მიდგომას თანამედროვე მსოფლიოში აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგანაც ტრანსნაციონალური თაღლითობა ფაქტიურად მოიცავს ეკონომიკის ყველა სფეროს, წარმოებიდან დაწყებული და ნედლეულის და პროდუქტების წარმოებით დამთავრებული.

11. პრევენციის პოლიტიკაში საჭიროა ასევე ისეთი ზომების დახვეწა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანებით ვაჭრობის კონტროლთან. ამ მიმართულებით საჭიროა განხორციელდეს შემდეგი სახის ზომები:

- აუცილებელია განვითარდეს ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებით და ბავშვებით ვაჭრობის პრევენციის სისტემა. ამ მიზნით საჭიროა ერთობლიობაში იყოს გათვალისწინებული შემდეგი ზომები:

- თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასთან;
- განვითარების ზომები და სხვა ზომები, მაგალითად, ორმხრივი შრომითი ხელშეკრულების დადება;
- საგანმანათლებო, სოციალური და კულტურული ზომები, რომლებიც ხელს უშლიან მოთხოვნილების გაჩენას და ზრდას ადამიანებით ვაჭრობის დარგში;
- საზღვრებზე ადამიანებით ვაჭრობის ფაქტების აღმოჩენა და პრევენცია, კომერციული გადამზიდი-კომპანიების გამოყენების პრევენციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ დანაშაულებებში;
- სანქციების გამოყენება, ანუ, უარის თქმა შემოსვლაზე ან ვიზის ანულირება იმათვის, ვინც გარეულია ადამიანებით დანაშაულებრივი ვაჭრობის განხორციელებაში;
- ადამიანების უსაფრთხოების გარანტია და დოკუმენტების კონტროლი, დოკუმენტების კანონიერების და ნამდვილობის გარანტია;
- პროფილაქტიკური ზომების, განსაკუთრებულად არა იურიდიული ინიციატივების შემუშავება;
- ზომების გამოყენება კომერციული გადამზიდების მიმართ (რომლებიც დაკავშირებულნი არიან დანაშაულებებში მონაწილეობასთან);
- საკანონმდებლო ზომების მიღება, რათა შეძლებისდაგვარად არ მიეცეს საშუალება ადამიანებით მოვაჭრებს გამოიყენონ კომერციული გადამზიდები.

- აუცილებელია გათვალისწინებული იყო ქართველი კრიმინოლოგის გ. ღლონტის მოსაზრება ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლის სისხლის სამართლებრივი ასპექტების სრულყოფის შესახებ. კერძოდ, საჭიროა სსკ-ს 143<sup>1</sup>-ე მუხლის პირველ ნაწილში დაზუსტდეს იურიდიულად ბუნდოვანი ტერმინი “ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა”, რადგან ეს დეფინიცია სირთულეებს უქმნის

საგამოძიებო ორგანოებს სწორი კვალიფიკაციის მიცემისა და დამნაშავისათვის  
ბრალდების წაყენებისას,

- საჭიროა დაიხვეწოს სსკ-ს 143<sup>1</sup>-ე მუხლი, სადაც არაა გათვალისწინებული  
ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს  
კონვენციის მოთხოვნა, რომლის რეკომენდაციითაც ტრეფიკინგი უნდა  
განიხილებოდეს, როგორც ტრანსნაციონალური დანაშაული, რომელიც  
საფრთხეს უქმნის ნორმალურ საერთაშორისო ურთიერთობებსა და ადამიანის  
უფლებების დაცვას. საკითხის ასეთი გადაწყვეტა ქმედების სუბსუმციისას  
აუცილებელ პირობად გაითვალისწინებს დაზარალებულის გადაყვანას ან  
ტრანზიტს სსვა ქვეყანაში ან წარმოშობის ქვეყნის არაკონტროლირებად  
ტერიტორიაზე (მაგალითად საქართველოსვის აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში).
- ამავე მიმართულებით საჭიროა დაზუსტდეს არასრულწლოვანთა  
ტრეფიკინგი, რადგან სსკ-ს 143<sup>2</sup>- მუხლი იმეორებს სსკ-ს 143<sup>1</sup>-ე მუხლის ნაკლს,
- აუცილებელია დაიხვეწოს ტრეფიკინგთან ბრძოლის ინფორმაციულ-  
ორგანიზაციული ბაზა ქართველ კრიმინოლოგთა რეკომენდაციების  
გათვალისწინებით, რადგან:

- ანტიტრეფიკინგული კანონმდებლობა არ შეესაბამება საქართველოს  
მოქმედ კანონმდებლობას და, საერთოდ, ადამიანებით ვაჭრობის  
(ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო ნორმები საკმარისად  
არ არის იმპლემენტირებული მოქმედ კანონმდებლობაში;
- გამოძიებისა და სამართალწარმოების პროცედურები არ  
უზრუნველყოფს პირადი მონაცემების კონფიდენციალურობას;
- ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგით) დაზარალებულთა რეფერალური  
მექანიზმები არასაკმარისად უზრუნველყოფს პირადი მონაცემების  
კონფიდენციალურობას;
- ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლებს არ აქვთ საკმარისი  
მოტივაცია რათა მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს;
- არსებობს ინფორმირებულობის დაბალი დონე ადამიანებით ვაჭრობის  
(ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის ნაციონალური და საერთაშორისო  
კანონმდებლობის სფეროში;
- სამართალდამცავი სტრუქტურების, საკონსულო დაწესებულებათა და  
საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს, მოსამართლეებსა და  
ადვოკატებს არ გააჩნიათ საონადო პროფესიონალური დონე,

- აუცილებელია განსაკუთრებით ტრეფიკინგით დაზარალებულთა მოწმეების კონფიდენციალობის უზრუნველყოფის მიზნით დაცვის პროგრამის მიღება გამოძიებისას, სასამართლო დარბაზში შესვლისას, გამოსვლისას და ა.შ.,
- მნიშვნელოვანია ტრეფიკინგით დაზარალებულთა იდენტიფიცირებულ მსხვერპლთა მატერიალური დახმარების აღმოჩენა უშუალოდ იდენტიფიკაციის შემდეგ მიუხედავად იმისა, მისცემენ თუ არა ისინი ჩვენებას ტრეფიკიორების წინააღმდეგ, რათა მათ შეუმსუბუქდეთ ადაპტაციის პროცესი სამშობლოში დაბრუნებისას,
- აუცილებელია საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ტრეფიკინგით დაზარალებულთა პირადი მონაცემების კონფიდენციალობის დაცვა,
- საჭიროა არასამთავრობო და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის რაციონალური მექანიზმების შექმნა,
- აუცილებელია სრულყოფილად გადაწყდეს საჯარო პოლიტიკის პრობლემატიკა, კერძოდ საჭიროა გაძლიერდეს საერთაშორისო თანამშრომლობის სისტემა და მონიტორინგს დამოკიდებული მექანიზმი,
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქართველი კრიმინოლოგის მ. ბაძაღუას მოსაზრების პრაქტიკული რეალიზაცია, რომლის თანახმად საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სახელმწიფომ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა უფრო ეფექტურად უნდა მოახდინონ ტრეფიკინგის არსის, მეორდების, მასთან პრძოლის პოპულარიზაცია,
- პრაქტიკულად მეტად აქტუალურია ისეთი ზომების განხორციელება, რომელიც დაკავშირებულია შრომითი მიგრაციისა და ადამიანებით ვაჭრობის წყაროს დადგენის საკითხებთან, კერძოდ:

  - ან საჭიროა შრომის ინსპექციის გაუქმების პრობლემის გადაჭრა, რადგანაც შრომის ინსპექტორებს დიდი როლი გააჩნია შრომითი ტრეფიკინგის მსხვერპლების პირველად იდენტიფიცირებაში,
  - საჭიროა ეროვნული რეფერალური მექანიზმის დახვეწა, რათა მან მოიცვას შრომითი ტრეფიკინგის პრობლემა და შრომის ბაზრის ინსტიტუტები – პროფკავშირები და დამსაქმებლები – გახდნენ ეროვნული რეფერალური მექანიზმის მონაწილეები,

- ყურადღება უნდა მიექცეს შიდსის და იმუნოდეფიციტის ვირუსის საკითხს ტრეფიკინგის მსხვერპლებთან მიმართებაში,

- კორუფციისა და ტრეფიკინგის კავშირი აღმოფხვრის მიზნით აუცილებელია დაინერგოს სისტემური მიდგომა ტრეფიკინგის ქსელებში კორუფციის შესაძლებლობებთან ბრძოლის პოლიტიკისადმი; ამ მიზნით აუცილებელია კვლავ განხორციელდეს კორუფციასთან ბრძოლის კონვენციასა ( წ ჩ) და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ ოქმის მოთხოვნათა თანმიმდევრული განხორციელება,
- საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა შვილადაყვანის კრიმინალურ ფორმებთან, დროულად გამოვლინდეს ყველა კავშირი ტრეფიკინგის ფაქტებთან.

12. პრევენციის პოლიტიკაში საჭიროა ასევე ისეთი ზომების დახვეწა, რომელიც დაკავშირებულია ნარკობიზნების კონტროლთან. ამ მიმართულებით საჭიროა განხორციელდეს შემდეგი სახის ზომები:

- კვლევების ორგანიზება, რათა დეტალურად შესწავლილი იქნეს მათი ინდუსტრიის და გასაღების ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმები,
- ნარკოდანაშაულთან ბრძოლის ერთიანი კონცეფციის და სტრატეგიის შემუშავება ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე,
- მნიშვნელოვანი ფინანსური საშუალებების და მატერიალური რესურსების გამოყოფა, კომპლექსური გეგმების შემუშავება ნარკოორგანიზაციებზე დარტყმის მისაყენებლად, ზომების ეფექტური სისტემების შემუშავება უკანონო შემოსავლების გამოვლენის და კონფისკაციის, ფულის „გათეთრების“ არხების ლიკვიდაციის და ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის მიზნით,
- პრეკურსორების გადაადგილების კონტროლის სისტემის შექმნა.
- სრულყოფას მოითხოვს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი, პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზღვება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება. ამ მიმართულებით უნდა იყოს გათვალისწინებული ქართველი კრიმინოლოგის ჭ. ჭანაშიას მოსაზრება იმის შესახებ, რომ უნდა გაიმიჯნოს უკანონოდ მოხმარება დანაშაულის სხვა სახეებისგან,
- საჭიროა დაინერგოს ვიქტიმოლოგიურ პრობლემატიკის გადაჭრის ქმედითი ზომები. ამ მიმართულებით აუცილებელია დაინერგოს ნარკომანთა შორის შიდსის, ჰეპატიტების, ტუბერკულიოზისა და სხვა ინფექციური დაავადებების გავრცელებისადმი სისტემურული პრევენციული მიდგომა,

- ნარკობიზნების საქართველოში შედწევის შეჩერებისა და სამომხმარებლო ბაზრის რეგულირების მიზნით აუცილებელია:

- მიენიჭოს წამყვანი როლი კონტრაბანდის განვითარების აღკვეთის დონისძიებებს. ამ მხრივ საჭიროა ისეთი სამართლებრივი რეგულირების მქანიზმი, რომელიც მეზობელ ქვეყანასთან შეთანხმებით იქნება შექმნილი უნიფიკაციის გზით. ამ შემთხვევაში აქტუალურია შედარებითი-კრიმინოლოგიური ანალიზი. აღნიშნულ მიმართულებას ასევე ეხება ოპერატიულ-სამძებრო მეთოდების გარდაქმნა. ამასთან დაკავშირებით, როგორც ცნობილია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საკითხის დასმით მოითხოვა, რომ ნარკოტიკების კონტრაბანდის ფაქტებზე გამოძიება აწარმოოს იმ უწყებამ, რომელიც ასეთ ფაქტს გამოავლენს,
- გაძლიერდეს სოციალური კონტროლისა და რეაბილიტაციის დონისძიებათა სისტემა. სოციალური კონტროლის გაძლიერების მიზნით საჭიროა საკანონმდებლო გზით დანაშაულობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის აქტიურობის საკითხების მოწესრიგება.

13. პრევენციის პოლიტიკაში საჭიროა ასევე ისეთი ზომების დახვეწა, რომელიც დაკავშირებულია კონტრაბანდის კონტროლთან. ამ მიმართულებით საჭიროა განხორციელდეს შემდეგი სახის ზომები:

- აუცილებელია საერთაშორისო დონეზე საქონელის კონტრაბანდის შემცირებათა ზომების კოორდინირება და სავაჭრო მარშრუტების გამარტივება,
- საჭიროა განვითარდეს საქონლის საერთაშორისო ტრანსპორტირების კონტროლის სისტემა, რათა თავიდან იქნას აცილებული კონტრაბანდული საქონლის ექსპორტირება,
- აუცილებელია ქმედითი სანქციების შემუშავება, რათა კონტრაბანდა ფინანსურად არამიმზიდველი გახდეს,
- განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია აქციზური მარკირების სისტემის დახვეწა,
- აუცილებელია პროდუქციის სპეციალური შეფუთვისა და მარკირების სისტემის საერთაშორისო სტანდატების სრულყაფილი რეალიზაცია,
- პრევენციის ამოცანების გადაწყვეტის მიზნით აუცილებელია კონტრაბანდული გზების გადაკეტვა წარმოებისათვის, ექსპორტისათვის, იმპორტისათვის, საბითუმო ვაჭრობისათვის, საცალო ვაჭრობისათვის, ასევე საქონელის

შენახვისათვის სპეციალური ლიცენზიის არსებობის მოთხოვნის მკაცრი დაცვით,

- მნიშვნელოვან როლი უნდა მიენიჭოს წარმოებებში აღრიცხვის განხორციელების მოთხოვნა. ამ მიმართულებით აუცილებელია კონტროლის გაძლიერება, რათა საქონელი ლეგალურად იქნას მიწოდებული ბაზარზე, დანიშნულების აღგილზე,
- აუცილებელია ფართო მასშტაბიანი კომპიუტერიზებული კონტროლის სისტემების დანერგვა, რათა სახელმწიფომ შეასრულოს და გააანალიზოს შესაძლო რისკი ნაწარმის თითოეული პარტიის მარშრუტზე გაშვების წინ,
- საჭიროა, რომ ექსპორტიორებმა გააფორმონ საბაჟო გირავნობის საბუთები საქონლის მიწოდებაზე, რომლებიც დაიხურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ პარტიამ მიაღწია თავის დანიშნულების პუნქტს,
- ასევე ეფექტურია გადასახადების ზომიერი განაკვეთის და საბაჟო მოსაკრებლის დაწესება,
- კონტრაბანდასთან ბრძოლაში აუცილებელია ნარკობიზნების ტრანსნაციონალური კავშირების დადგენისა და აღმოფხვრის პრობლემის გადაწყვეტა,
- ასევე მნიშვნელოვანია იარაღის კონტრაბანდასთან ბრძოლის პრობლემატიკის გადაწყვეტა კომპლექსურად ინტერპოლაცია და მეზობელ ქვეყნებთან ერთად.

მონოგრაფიები და წიგნები:

1. ავტორთა ჯგუფი. 2011. *კორუფცია საქართველოში. თბილისი: მერიდიანი*
2. ავტორთა ჯგუფი. 2008. *კრიმინოლოგია. თბილისი: მერიდიანი*
3. ძამუკაშვილი დ. 2002. *ინტელექტუალური საქუთრების სამართლი.* თბილისი. Sani.
4. Ackerman S. 2007. *International Handbook on the Economics of Corruption (Elgar Original Reference).* Edward Elgar Publishing.
5. W. Muller, C. Kalin, J. Goldsworth. 2007. *Anti-Money Laundering: International Law and Practice.* Wiley. June 1, 19.
6. Beare M., Schneider S. 2011. *Money Laundering in Canada: Chasing Dirty and Dangerous Dollars.* University of Toronto Press.
7. Borchert I., Aaditva M. 2009. *The crisis resilience of services trade - Policy Research Working.* Washington.
8. Brown S. 2008. *Combating international crime: the longer arm of the law.* Routledge - Cavendish is of the Taylor & Francis Group.
9. Latin America and the Caribbean in the World Economy. 2009-2010. *Caribbean trade and integration: trends and future prospects.* Latin America and the Caribbean in the World Economy.
10. Carlos A., Neal L., Wandschneider K. 2007. *Dissecting the Anatomy of Exchange Alley: The Dealings of Stockjobbers during and after the South Sea Bubble.* Cambridge University. January 12.
11. Collin C. 2001. *NATIONAL DRUG POLICY: FRANCE - Political and Social Affairs Division.* Prepared For The Senate Special Committee On Illegal Drugs.
12. Jay S. Albanese. 2009. *Combating Piracy: Intellectual Property Theft and Fraud.* Published New Jersey.
13. J. Albanese. 2009 .*Combating Piracy: Intellectual Property Theft and Fraud.* New Brunswick, NJ,
14. Cooney M. 2010. *An inside look at intellectual property theft.* Network World. April 13.
15. Cornez A. 2000. *Offshore Money Book, the: How to Move Assets Offshore for Privacy, Protection, and Tax Advantage.* Contemporary Publishing Group.
16. C. Mesa-Lago. 1989. *Cuban Studies.* Published by the University of Pittsburgh Press.

17. Duncan R. 2011. *The Corruption of Capitalism: A Strategy to Rebalance the Global Economy and Restore Sustainable Growth*. Richard Duncan.
18. J. Albrecht, D. Das. 2011. *Effective Crime Reduction Strategies: International Perspectives*. CRC Press; 1 edition.
19. Examining the theft of American intellectual property at home and abroad: hearing before the Committee on Foreign Relations - US. Congress. Senate. [http://www.amazon.com/s/ref=ntt\\_athr\\_dp\\_sr\\_1?encoding=UTF8&sort=relevancerank&search-alias=books&field-author=United%20States. Congress. Senate. Books%20LLC, Reference%20Series.](http://www.amazon.com/s/ref=ntt_athr_dp_sr_1?encoding=UTF8&sort=relevancerank&search-alias=books&field-author=United%20States. Congress. Senate. Books%20LLC, Reference%20Series.) (2011).
20. Fakumi S. 2008. *Cocaine Trafficking in Latin America (Global Security in a Changing World)*. Ashgate.
21. International Labour Organization. 2008. *Fighting forced labour in Latin America-imposed forced labour*. International Labour Organization 12th Asian Regional Meeting. Child labour is growing in Africa. International Labour Organization
22. M. Pieth. 2010. *Financing Terrorism*. Springer; Soft cover reprint of hardcover 1st ed.
23. FinckenauerJ., Chin K. 2004. *ASIAN TRANSNATIONAL ORGANIZED CRIME AND ITS IMPACT ON THE UNITED STATES: DEVELOPING A TRANSNATIONAL CRIME RESEARCH AGENDA*. Submitted to the National Institute of Justice. Washington.
24. Fing H. 1991. *New Italian Penal Code*. Unknown.
25. Forston R. 2001. *Misuse of Drugs and Drug Trafficking Offences (Criminal Practice Series)*. Sweet & Maxwell; 4th edition.
26. GLOBAL PROGRAMME AGAINST TRANSNATIONAL ORGANIZED CRIME. 2002. *Results of a pilot survey of forty selected organized criminal groups in sixteen countries*. UN Office Drugs and Crime.
27. International Labour Organization. 2009. *Global Report on Forced Labour in Asia: debt bondage, trafficking and state-imposed forced labour*. International Labour Organization.
28. Gold M., Levi M. 1994. *Money laundering in the UK: An Appraisal of Suspicion-based Reporting*. Police Foundation.
29. Gottschalk P. 2011. *Corporate Social Responsibility, Governance and Corporate Reputation*. World Scientific Publishing Company. March 11,1.
30. Harrendorf S., Heiskanen M., Malby St. 2010. *International Statistics on Crime and Justice*. United Nations Office on Drugs and Crime (UNODC). Helsinki
31. Haughton S. 2011. *Drugged Out: Globalization and Jamaica's Resilience to Drug Trafficking*. University Press of America.

32. Hornbeck J. 2011. *The Proposed U.S.-Panama Free Trade Agreement*. Congressional Research Service.
33. International Labour Office. 2005. *Human Trafficking and Forced Labour Exploitation - Guidance for Legislation and Law Enforcement*. Geneva.
34. US, Congress. 2011. *Intellectual property theft in China and Russia: hearing before the Subcommittee on Courts*. US, Congress. Books LLC, Reference Series.
35. Isaku E., Jane N., Anoma K. 2010. *Uganda's Remittance Corridors from United Kingdom, United States and South Africa: Challenges to Linking Remittances to the Use of Formal Services*. World Bank Publications.
36. Jakobi A. 2010. *The OECD and Crime: The Fight against Corruption and Money Laundering - Mechanisms of OECD Governance*. Oxford Scholarship Online Monographs.
37. Jamieson A. 2000. *The Antimafia: Italy's Fight against Organized Crime*. Palgrave Macmillan. May 12.
38. Jesús B. E. 2005. *Fight against money laundering in Spain*. Difusora de Informacion Periodica, S.A.
39. Jonathan E. 2011. *Money Laundering Prevention: Deterring, Detecting, and Resolving Financial Fraud*. : Wiley. 1 edition.
40. Julietta H. 2011. *Trafficking Women's Human Rights*. University Of Minnesota Press.
41. Konstantinos M. 2000. *Criminal Law in Greece*. Kluwer Law International. 1 edition.
42. La Verne M. Peter Standish. 2008. *Culture and customs of Panama*. Greenwood Publishing Group.
43. Levy S. 2003. *Federal Money Laundering Regulation: Banking, Corporate and Securities Compliance*. Aspen Publishers. Lslf edition.
44. Lyman M. 2010. *Drugs in Society: Causes, Concepts and Control (Sixth Edition)*. Anderson.
45. Malarek M. 2009. *The Johns: Sex for Sale and the Men Who Buy It*. Arcade Publishing.
46. MALAYSIA COUNTRY REPORT. 2010. *National Anti Drugs Agency Ministry of Home Affairs*.
47. Manacorda S. D. Editors. 2006. *Crime in the Art and Antiquities World*. University of Sydney.
48. Mason P. 2010. *The European Union's Fight against Corruption: The Evolving Policy towards Member States and Candidate Countries (Cambridge Studies in European Law and Policy)*. Cambridge University Press. 1 edition.

49. MDG Gap Task Force Report 2010. 2010. *Millennium Development Goal: The Global Partnership for Development at a Critical Juncture as a United Nations*. United Nations. New York.
50. Nolan E., Crouch S. 2008. *Offshore Investments that Safeguard Your Cash: Learn How Savvy Investors Grow and Protect Their Wealth*. McG.-H.
51. Norwegian Ministry of Justice and the Police. 2006. *Norway's Plan of Action for Combating Trafficking in Women and Children (2003-2005)*.
52. OECD Organization for Economic Co-operation and Development. 2010. *Measuring the Non-Observed Economy: A Handbook (Complete Edition - ISBN 9264197451) - Source OECD General Economics & Future Studies, Measuring the Non-Observed Economy: A Handbook*. OECD - Organization for Economic Co-operation and Development.
53. L. Shelley, E. Scott, A. Latta. 2007. *Organized Crime and Corruption in Georgia*. Routledge; 1 edition.
54. F. Shanty, P. Mishra. 2007. *Organized Crime: From Trafficking to Terrorism (2 Volume Set)*. ABC-CLIO.
55. Pape R., Feldman J. 2010. *Cutting the Fuse: The Explosion of Global Suicide Terrorism and How to Stop It*. University Of Chicago Press.
56. Pashkowski J. 2005. *CCH Guide to Anti-Money Laundering and Bank Secrecy: Compliance and the USA Patriot Act*. CCH, Inc.
57. Phumaphi J. 2009. *Global Economic Outlook and Implications for Developing Countries - Achieving the Global Public Health Agenda. Dialogues at the Economic and Social Council*. UN.
58. Savona E., Manzoni F. 1999. *European Money Trails*. Routledge / Harwood Academic Publishers; 1 edition.
59. Schechter R., Thomas J. 2003. *Intellectual Property: The Law of Copyrights, Patents and Trademarks*. West Publishing Company.
60. Schemes P. 2008. *US Social Security Administration*.
61. Butterworth-Heinemann. 2008. *Securing Intellectual Property: Protecting Trade Secrets and Other Information Assets (Information Security)*. Butterworth-Heinemann.
62. Souza J. 2011. *Terrorist Financing, Money Laundering, and Tax Evasion: Examining the Performance of Financial Intelligence Units*. CRC Press; 1 edition.
63. Stamatoudi I. 2011. *Cultural Property Law and Restitution*. Published by Edward Elgar Publishing Limited.
64. L. Bernardi, A. Barreix, A. Marenzi, P. Profeta. 2008. *Tax Systems and Tax Reforms in Latin America (Routledge International Studies in Money and Banking)*. Routledge.

65. Todoroki E., Vaccani M., Noor W. 2009. *The Canada-Caribbean Remittance Corridor: Fostering Formal Remittances to Haiti and Jamaica through Effective Regulation*. World Bank Publications.
66. International Council on Social Welfare. 2007. *Trafficking and Related Labor Exploitation in the ASEAN region*. International Council on Social Welfare.
67. TR Young. 1989. *CRIME AND SOCIAL JUSTICE: Theory and Policy for the 21st Century. Organized crime: sacred and profane uses of goods and services*. The Red Feather Institute.
68. Vermeulen G., Van Damme Y., Bondt W. 2010. *Organized Crime Involvement in Trafficking in Persons and Smuggling of Migrants*. Maklu Uitgevers N.V.
69. Александров С., Башкиров В. 2008. *Крупнейшие мировые аферы. Искусство обмана и обман как искусство*. М.
70. Амир М. 1999. *Организованная преступность в Израиле - Неясности и дилеммы организованной преступности*. Чикаго, Иллинойс: Офис Международной криминальной юстиции.
71. Аникин А. В. 2000. *История финансовых потрясений. От Джона Ло до Сергея Кириенко*. М. ЗАО Олимп-Бизнес.
72. Бекряшев А. К., Белозеров И. П. 2003. *Теневая экономика и экономическая преступность*. М.
73. Голубицкий С. 2009. *Великие аферы XX века*. Том 1. М.
74. Жуков Е. Ф. 2009. *Рынок ценных бумаг*. Юнити-Дана.
75. Карпович О. Г. 2011. *Актуальные уголовно-правовые проблемы борьбы с финансовым мошенничеством*. Юнити-Дана.
76. Кисилева О. В. 1999. *Дети из неблагополучных семей*. Пятигорск.
77. Дж. Уэллс. 2011. *Корпоративные мошенничества. Уроки негативной стороны бизнеса (Fraud Casebook: Lessons from the Bad Side of Business)*. Маросейка.
78. Ломакин В. К. 2002. *Мировая экономика*. М.
79. Маккей Ч. 1998. *Наиболее распространенные заблуждения и безумства толпы*. М.
80. Хирш М. 1996. *План действий против торговли женщинами и проституции по принуждению*. Страсбург: Совет Европы.

## პერიოდული გამოცემები:

81. ბასიაშვილი დ. 2005. საშუალო ვადიანი ხარჯების ეფექტურობა - ეკონომიკური დანაშაული და ფულის გათეთრება. სამართალი. თბილისი.
82. ბაძალუა მ. 2008. ადამიანთა ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და საჯარო პოლიტიკა საქართველოში. კრიმინოლოგი, 2 (3). თბილისი.
83. ბაძალუა მ. 2010. საზოგადოებრივი აზრი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ. კრიმინოლოგი, 1 (5). თბილისი.
84. დადუნაშვილი ი. 2008. საქართველო, როგორც შრომითი მიგრაციისა და ადამიანებით ვაჭრობის წყარო ქვეყანა. კრიმინოლოგი, 2 (3), თბილისი.
85. თოდრია გ. 1999. საქართველოზე ნარკობიზნესის ზეგავლენის შედეგიანობის პრობლემისათვის - ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები. სამართალი. თბილისი.
86. კუხიანიძე ა., კუპატაძე ა., გოცირიძე რ. 2004. კონტრაბანდის პრობლემა საქართველოში: აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. თბილისი. *Transnational Crime and Corruption Center (TraCCC) Georgia Office*.
87. მირცხულავა გ. 2008. ნარკოტიკების ლეგალიზაციის უპირატესობები აკრძალვასთან შედარებით. კრიმინოლოგი, 2 (3), თბილისი.
88. მოსულიშვილი ა. 2008. მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზაციის შესაძლო თანხმედრი შედეგები საქართველოში. კრიმინოლოგი, 2 (3), თბილისი.
89. ნაზაროვა წ. 2008. სამხრეთ კავკასიაში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო თანამშრომლობა. კრიმინოლოგი, 2 (3), თბილისი.
90. ნარკობრუნვა საქართველოში. 24 საათი აპრილი 9. 2011
91. რიზეში კონტრაბანდა დააკავეს. თავისუფალი სიტყვა. აგვისტო 9. 2011
92. საგამოძიებო სამსახურმა კონტრაბანდული გზით შემოტანილი ნახევარი კილო ოქრო ამოიღო. თავისუფალი სიტყვა. აგვისტო 22. 2011
93. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. ფულის გათეთრება ქართულად - TS თარიღი: ოქტომბერი 28. 2011
94. სამართალდამცველებმა ოქროს კონტრაბანდა აღკვეთეს. თავისუფალი სიტყვა. ივლისი 26. 2011
95. სტამბულში საქართველოდან შეტანილი კონტრაბანდული ტვირთი დააკავეს - თავისუფალი სიტყვა. ივნისი 30. 2011

96. ღლონგი გ. 2008. ადამიანის „ტრეფიკინგის“ კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი საქართველოს ახალი კანონმდებლობის მიხედვით. *კრიმინოლოგი*, 2 (3), ობილისი.
97. ჯანაშია ჯ. 2008. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან და ნარკომანიასთან ბრძოლის სამართლებრივ-სოციალური ასპექტები და პერსპექტივები. *კრიმინოლოგი*, 2 (3), ობილისი.
98. Alalehto T. 2002. Eastern Prostitution from Russia to Sweden and Finland. *Journal of Scandinavian Studies in Criminology and Crime Prevention*. Routledge, part of Taylor & Francis Group. January, 3 (1).
99. Albanese J. 2004. North American Organized Crime. *Global Crime*. February 1,6.
100. Alexander R. 2007. *Insider Dealing and Money Laundering in the EU: Law and Regulation*. Ashgate Pub Co.
101. Ali S. Jamaica: 2006. Lawyers, money laundering and terrorist financing. *Journal of Money Laundering Control*. 9 (3). Emerald Group Publishing Limited.
102. Amir M. 1996. *Organized crime in Israel Transnational organized crime*. Trends in Organized crime.
103. Angell I., Demetis D. 2005. Systems thinking about anti-money laundering: considering the Greek case. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited.
104. Ayres R. 1998. *Crime and Violence as Development Issues in Latin America and the Caribbean - Crime and Violence as Development Issues in Latin America and the Caribbean*. World Bank.
105. Bagley B. 2004. Globalization and Latin American and Caribbean Organized Crime. *Global Crime. Routledge, part of the Taylor & Francis Group*
106. Bakirci K. 2009. Human trafficking and forced labour: A criticism of the International Labour Organization. *Journal of financial Crime*. Emerald Group Publishing Limited. <http://www.ingentaconnect.com/search/article?option2=author&value2=Bakirci%2c+Kadriye&sortDescending=true&sortField=default&pageSize=10&index=1>.
107. Balsamo A. 2006. Organized crime today: the evolution of the Sicilian mafia. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited.
108. Bartilow H., Eom K. 2009. *Busting Drugs While Paying With Crime: The Collateral Damage of U.S. Drug Enforcement in Foreign Countries - Foreign Policy Analysis*. Wiley-Blackwell. April 2,5.
109. Berman J. 2010. Biopolitical Management, Economic Calculation and Trafficked Women - *International Migration*. Wiley-Blackwell. August 4, 48.

110. Bettio F., Nandi T. 2010. Evidence on women trafficked for sexual exploitation: A rights based analysis. *European Journal of Law and Economics*. Springer, February 1, 29.
111. Biaker K. 2003. Reporting suspicions of money laundering and whistle blowing under German law. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited.
112. Block W. 2010. In Defense of Counterfeiting Illegitimate Money: Rejoinder to Murphy and Machaj. *The American Journal of Economics and Sociology*. Wiley-Blackwell. April 2,69.
113. Boekhout T. 1998. Drug Use and Drug Trafficking in Europe. *Tidschrift voor Economische en Sociale Geografie*. Wiley-Blackwell. February 1,89.
114. Bosworth-Davies R. 2009. Is America using this Legislation more a means of cementing her extraterritorial reach than as a legitimate method of preventing money laundering. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited.
115. Bourne M. 2011. Controlling the Shadow Trade. *Contemporary Security Policy*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. April 1,32.
116. Boyrie M., Nelson J., Pak A. S. 2007. Capital movement through trade missing voicing: the case of Africa. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 4,14.
117. Braithwaite J. 1989. Criminological theory and organizational crime. *Justice Quarterly*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. September 3,6.
118. Brisman A. 2011. Vandalizing Meaning, Stealing Memory: Artistic, Cultural, and Theoretical Implications of Crime in Galleries and Museums. *Critical Criminology*. Springer. March 1,19..
119. Brodeur J. 2010. Police in Uniform - The Policing Web. *Oxford Scholarship Online Monographs*.
120. Brophy S. 2008. Mexico: Cartels, corruption and cocaine: A profile of the Gulf cartel. *Global Crime*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. August 3,9.
121. Browne R. 2009. The Slave Next Door: Human Trafficking and Slavery in America Today by Kevin Bales and Ron Soodalter. *The Journal of American Culture*. Publisher: Wiley-Blackwell. September 3,32.
122. Bruinsma G., Bernasco W. 2006. Criminal groups and transnational illegal markets. *Crime, Law and Social Change*. 1,41.
123. Buckley M. 2009. Public Opinion in Russia on the of Human Trafficking - *Europe-Asia Studies*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. March 2,61.
124. Cabana P. 2007. Legal professionals and money laundering in Spain. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 3,10.

125. Calderoni F. 2011. Where is the mafia in Italy? Measuring the presence of the mafia across Italian provinces. *Global Crime*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. February 1,12.
126. Caneppelle S., Calderoni F., Martocchia S. 2009. Criminological models on the infiltration of public contracts by Italian organized crime. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 2,12.
127. Carr C. Erickson, Scott G. 2005. Rothberg H. Intellectual capital, competitive intelligence and the Economic Espionage Act. *International Journal of Learning and Intellectual Capital*. Inderscience Publishers. January 4,1.
128. Cartwright W. 1999. Mexico: Facing the Challenges of Human Rights and Crime. *Transnational Pub.*
129. Casas L. 2010. Money, Sex, Love and the Family: Economic and Affective Strategies of Latin American Sex Workers in Spain. *Journal of Ethnic and Migration Studies*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. January 1,36.
130. Caulkins J., Burnett H., Leslie E. 2009. How illegal drugs enter an island country: insights from interviews with incarcerated smugglers. *Global Crime*. Routledge, part of Taylor & Francis Group. February 1-2,10.  
<http://www.ingentaconnect.com/search/article?option1=tka&value1=smuggling&pageSize=10&index=82> <http://www.ingentaconnect.com/content/routledg>
131. Chabat B. 2002. Transnational Crime and Public Security: Challenges to Mexico and the United States. *Center for Us-Mexican Studies*.
132. Chang J., Chong D. 2010. Psychological influences in e-mail fraud. *Journal of Financial Crime*. Emerald Group Publishing Limited. 3,17.
133. Chatain P., McDowell J., Mousset C., Schott P., Does E. 2009. Preventing Money Laundering and Terrorism Financing - *Preventing Money Laundering and Terrorism Financing*. World Bank.
134. Chehtman Al. 2010. A Jurisdictional Theory of International Crimes - *The Philosophical Foundations of the territorial Punishment*. Oxford.
135. Chen Yun-Chung. 2008. Why Do Multinational Corporations Locate Their Advanced R&D Centers in Beijing? - *Journal of Development Studies*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. May 5, 44.
136. Cheurprakobkit S. 2000. The drug situation in Thailand: the role of government and police - Drug and Alcohol Review. *Informa Healthcare*. March 1,19.

137. Clarke R. 2008. Narcotics Trafficking in China: Size, Scale, Dynamic and Future Consequences - *Pacific Affairs*. Pacific Affairs, a division of the University of British Columbia.
138. Clark R. 1994. The United Nations Crime Prevention and Criminal Justice Program: formulation of standards and efforts at their implementation. *University of Pennsylvania Press*.
139. Cockayne J., Lupel A. 2009. Introduction: Rethinking the Relationship between Peace Operations and Organized Crime - International Peacekeeping. *Routledge, part of Taylor & Francis Group*, February 1, 16.
140. Commentary on Jossens et al (2010). 2010. Eliminating the global illicit cigarette trade - what do we really know? - Addiction. *Wiley-Blackwel journal*. September 9,105. <http://www.ingentaconnect.com/search/article?option1=tka&value1=smuggling&pageSize=10&index=90>
141. OECD Governance. 2009. Comparative analysis of trans-border co-operation in OECD countries . *OECD*. December 31, 2009.
142. Cook C. 2009. Mexico's Drug Cartels CRS Report for Congress. *Congressional Research Service*. <http://www.fas.org/sgp/crs/row/RL34215.pdf> 06.11.2009.
143. Cooper N. 2011. Humanitarian Arms Control and Processes of Securitization: Moving Weapons along the Security Continuum - Contemporary Security Policy. *Routledge, part of Taylor & Francis Group*. April 1, 32.
144. Costa C. 2008. Implementing the new anti-money laundering directive in Europe: legal and enforcement issues; the Italian case - *Global Business and Economics Review*. Inderscience Publisher. August 3,10.
145. Cronin S. 2008. IMF urges Qatar to extend anti-money laundering laws. *Arabian Business journal*.
146. Davidson L. 2010. The Ethic of Countering the Private Counterfeiter: Rejoinder to Block. *The American Journal of Economics and Sociology*. Wiley-Blackwell. October 4, 69.
147. Davis L., Wilson L. 2011. *Estimating JP Morgan Chase's Profits from the Madoff Deposits - Risk management & Insurance Review*. Wiley- Blackwell.
148. Dean M. 2008. Sold in Japan: Human Trafficking for Sexual Exploitation - *Japanese Studies*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. September 2,28.
149. Decker S. 2010. Shifts in Drug Policy: The More things Change, the More they stay the same: Sayaka Fukumi, Cocaine Trafficking in Latin America - *Crime, Law and Change*. Springer. June 5, 53.

150. Dellavigna S., Ferrara E. 2010. Detecting Illegal Arms Trade. *American Economic Journal: Economic Policy*. AEA. November 4,2.
151. Derrig R. 2002. Insurance Fraud. *Journal of Risk & Insurance*. Wiley-Blackwell, September 3,69.
152. Dion M. 2011. Corruption, fraud and cybercrime as dehumanizing phenomena. *International Journal of Social Economics*. Emerald Group Publishing Limited. 5,38.
153. Dobovšek B. 2008. Economic organized crime networks in emerging democracies. *International Journal of Social Economics*. Emerald Group Publishing Limited. 9, 35.
154. Dottridge M. 2002. *Trafficking in children in West and Central Africa - Gender and Development*. Routledge, part the Taylor & Francis Group. March 1, 10.
155. DPI/1594. Tenth UN Congress on the Prevention of Crime and Treatment of Offenders, Conference. 2000. "Crime and Justice: Meeting the Challenges of the Twenty-first Century". Vienna, Austria. 10-17 April.
156. Dreher A., Schneider F. 2010. Corruption and the shadow economy: an empirical analysis. *Public Choice*. July 1-2, 144.
157. Drugs in Switzerland. 1998. *Business school*. November 26.
158. DRUG TRAFFICKING: West Africa. 2007. *Africa Research Bulletin: Political, Social and Cultural Series*. Wiley-Blackwell. August 7,44.
159. Durand S. 1998. Latest Trends in French Policy on Drugs. *European Journal on Criminal Policy and Research*. Springer. 3,6.
160. Durney M., Proulx B. 2011. Art crime: a brief introduction - *Crime, Law and Social Change*. Springer, September 2,56.
161. Eberechi I. 2011. "Rounding Up the Usual Suspects": Exclusion, Selectivity, and Impunity in the Enforcement of International Criminal Justice and the African Union's Emerging Resistance. *African Journal of Legal Studies*. Martinus Nijhoff Publishers, an imprint of Brill. 1,4.
162. M. Pieth, G. Aiolfi. 2004. *A Comparative Guide to Anti-Money Laundering: A Critical Analysis of Systems in Singapore, Switzerland, the UK And the USA*. Edward Elgar Pub.
163. Enste D. 2010. Regulation and shadow economy: empirical evidence for 25 OECD-countries - *Constitutional Political Economy*. Springer. September 3, 21.
164. Vera Squarcialupi. 2001. Committee on Economic Affairs and Development. Europe's fight against economic and transnational organized crime: progress or retreat? *Parliamentary Assembly Doc. 9018* April 6.

165. Evola K. O'Grady N. 2009. As fraud schemes proliferate - are you the next investor to crash and burn? *Journal of Investment Compliance*. Emerald Group Publishing Limited. 2,10.
166. Farrell G. 1998. Routine activities and drug trafficking: the case of the Netherlands. *The International Journal of Drug Policy*. Publisher: Elsevier. February 1, 9
167. Finklea K. 2010. Organized Crime in the United States: Trends and Issues for Congress. *Congressional Research Service*.
168. Fisher J. 2010. Fraud and corruption is costing Britain £30 billion a year. *The Times*. March 11.
169. Fisher K. 2009. The Distinct Character of International Crime: Theorizing the Domain. *Contemporary Political Theory*. Palgrave Macmillan. February 1, 8.
170. Forfeiture of terrorist property and tracing (Sub-group 4: Impact of the initiatives on other areas of the law). 2003. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 3,6.
171. Francesca N., Giampiero S. 2001. *The New Georgics. Rural and Regional Motifs in the Contemporary European Novel*. Edited by Liesbeth Korthals Altes & Manet van Montfrans. Rodopi.
172. Francine P. 1998. More Words but No Action? Forced Migration and Trafficking of Women. *Gender and Development*. Taylor & Francis Ltd. 1, 6.
173. Francis J., Mauser G. 2011. Collateral damage: the 'War on Drugs', and the Latin America and Caribbean region: policy recommendations for the Obama administration. *Policy Studies*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. March 2,32.
174. Francis L. Francis J. 2010. Stateless Crimes, Legitimacy, and International Criminal Law: The Case of Organ Trafficking. *Criminal Law and Philosophy*. Springer. October 3,4.
175. Gao S., Xu D., Wang H., Green P. 2009. Knowledge-based anti-money laundering: a software agent bank application. *Journal of Knowledge Management*. Emerald Group Publishing Limited. 2,13.
176. Garry P. 2010. *Combating Piracy: Intellectual Property Theft and Fraud: Transaction Publishers*. Springer. June 2,26.
177. Geffray C. 2001. Introduction: Drug Trafficking and the State. *International Social Science Journal*. Wiley-Blackwell. September 169, 53.
178. Geoffrey P. 2004. Trafficking Cocaine: Colombian Drug Entrepreneurs in the Netherlands. *British Journal of Criminology*. Oxford University Press. July 4,44.
179. OECD. 2005. Germany - Implementing the OECD Anti-bribery Convention. *OECD*. April 1, 2005.

180. Ghosh S. 2011. Cross-border activities in everyday life: The Bengal borderland - *Contemporary South Asia*. Routledge, part of Taylor & Francis Group. March 1, 19. <http://www.ingentaconnect.com/search/article?option1=tka&value1=smuggling&pageSize=10&index=148>
181. Gidadhuli R. G., Kumar R. 1999. Causes and Consequences of Money Laundering in Russia. *Economic and Political Weekly*. November 27.
182. Gilinskiy Y., Kostjukovsky Y. 2004. From Thievish Article to Criminal Corporation: The History of Organized Crime in Russia. *Studies of Organized Crime*., 4, 1.
183. Gottschalk P. 2009. Illegal entrepreneurialism as determinant of organized business crime maturity. *International Journal of Business and Systems Research*. Inderscience Publishers. May 3 (3)
184. Gottschalk P., Solli-Saether H. 2011. Financial crime in business organizations: an empirical study. *Journal of Financial Crime*. Emerald Group Publishing Limited. 1, 18.
185. Gozdzia E. 2010. Identifying child victims of trafficking: toward solutions and resolutions. *Criminology and public policy* . Wiley- Blackwell. May 9 (2).
186. Gray P., Frieder L., Clark G. 2007. Financial Bubbles and Business Scandals in History. *International Journal of Public Administration*. Rouledge, part of The Taylor & Francis Group. July 8-9, 30.
187. Growth A. Poverty Eradication and Equity. Emerging Paradigm - Strengthening Efforts to Eradicate Poverty and Hunger - *Dialogues at the Economic and Social Council*. UN. 2007, p. 46-51
188. Guilfoyle D. 2010. Transnational Criminal Law as a Governance Strategy in the Global Labour Market: Criminalizing Globalization from Below. *Refugee Survey Quarterly*. Oxford University Press. 1, 29.
189. Gushulak B., Macpherson D. 2000. Health Issues Associated with the Smuggling and Trafficking of Migrants. *Journal of Immigrants Health*. Springer. April 2,2.
190. Harrison L., Kennedy N. 1996. *Drug use in the high intensity drug trafficking area of the US Southwest border - Addiction*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. January 1,91. <http://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/8822014>
191. Hemraj M. 2003. The detection of financial irregularities in US corporations. *Journal of Financial Crime*. Emerald Group Publishing Limited. 1,10.
192. Holmes J., Piñeres S. 2006. The Illegal Drug Industry, Violence and the Colombian Economy: A Department Level Analysis. *Bulletin of Latin American Research*. Wiley- Blackwell, January 1,25.
193. Huggans R. 2011. Dealing with Drugs. *Strategy, Policy and Practice*. Willan.

194. Hughe D. 2000. The “Natasha” Trade: The Transnational Shadow Market of Trafficking in Women. *Journal of International Affairs*. Springer. 2,53.
195. Huong Ha, Coghill K. 2008. Online shoppers in Australia: dealing with problems. *International Journal of Consumer Studies*. Wiley-Blackwell. January 1, 32.
196. Ilter C. 2009. Fraudulent money transfers: a case from Turkey. *Journal of Financial Crime*. Emerald Group Publishing Limited. 2,16.
197. Imai T. 2002. The hiding of wealth: organized crime in Japan. *Journal of Financial Crime*. Emerald Group Publishing Limited. 1,10.
198. Jensen N. Cheong-Ann Png. 2011. Implementation of the FATF 40+9 Recommendations: A perspective from developing countries. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 14,2.
199. Jeremy D. 1995. *Transatlantic Industrial Espionage in the Early Nineteenth Century: Barriers and Penetrations - Textile History*. Many Publishing.
200. Jerjen E. 2009. Panama: reasons for the popularity of private interest foundations. *Trusts & Trustees*. Oxford University Press. July 5, 15.
201. Johansso W. 2002. Crossing borders and building bridges: the Baltic Region Networking Project. *Gender and Development*. Routledge, part of Taylor & Francis Group. March 1, 10.
202. Johnson J., Lim D. 2003. Money laundering: has the Financial Action Task Force made a difference? *Journal of Financial Crime*. Emerald Group Publishing Limited. 1,10.
203. Johnston B., Carrington I. 2006. Protecting the financial system from abuse: Challenges to banks in implementing AML/CFT standards. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 1,9.
204. Jones J. 2011. Trafficking Internet brides. *Information & Communications Technology Law*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. March 1,20.
205. Jureidini R. 2010. Trafficking and Contract Migrant Workers in the Middle East. *International Migration*. Wiley-Blackwell. August 4,84.
206. Kala J. Melchiori 2010. A Locally Grounded, Feminist Analysis of Sex Trafficking in Nepal - *Analyses of Social Issues and Public Policy*. Wiley-Blackwell. December 1,10.
207. Kenney M. 2007. The Architecture of Drug Trafficking: Network Forms of Organization in the Colombian Cocaine Trade. *Global Crime*. Routledge, part of the Taylor & Francis Group . August 3,8.
208. Kilvington J., Day S., Ward H. 2001. Prostitution Policy in Europe: A Time of Change? *Feminist Review*. Palgrave Macmillan. 1, 67.

209. Kishima K. 2004. Japan's efforts in the global fight against money laundering and terrorist financing. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 3,7.
210. Kneebone S. 2010. Governance beyond Boundaries. *Refugee Survey Quarterly*. Oxford University Press. August 1, 29.
211. Koker L. 2009. Identifying and managing low money laundering risk: Perspectives on FATF's risk-based guidance. *Journal of Financial Crime*. Emerald Group Publishing Limited. 4, 16.
212. Koker L. 2009. The money laundering risk posed by low-risk financial products in South Africa: Findings and guidelines. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 4,12.
213. Koser K. 2000. Asylum Policies, Trafficking and Vulnerability. *International Migration*. Wiley-Blackwell. 1,38.
214. Koster P. 2010. The threats that terrorist and subversive organizations pose, particularly by penetration, to the stability and integrity of financial institutions and markets. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 2, 13. <http://www.ingentaconnect.com/content/mcb>
215. Kotrla K. 2010. Domestic Minor Sex Trafficking in the United States. *Social Work*. National Association of Social Work. April 2, 55.
216. Kruger T., Landman K. 2008. Crime and the Physical Environment in South Africa: Contextualizing International Crime Prevention Experiences - Built Environment. *Alexandrine Press*. April 1, 34.
217. Kukhianidze Al. 2009. Corruption and organized crime in Georgia before and after the Rose Revolution. *Central Asian Survey*. Routledge, part of Taylor & Francis Group. June 2,28.
218. Kuklick B. 2009. Rulers, Guns, and Money: The Global Arms Trade in the Age of Imperialism. *The Historian*. Springer. Wiley-Blackwell. 1,71.
219. Kupatadze A. 2008. Organized crime before and after the Tulip Revolution: the changing dynamics of upper world-underworld networks. *Central Asian Survey*. Routledge, part of Taylor & Francis Group. September 3-4, 27.
220. Lampe K. 1999. The Concept of Organized Crime in Historical Perspective (Paper presented at the international conference Crime organisé international: Mythe, pouvoir, profit..., sponsored by the Institute de recherches interdisciplinaires, Université de Lausanne), Switzerland, 6 October. *Forum on Crime and Society*. Volum 1 Number 2 December 2001. UN. New York, 2001.

221. Lange A. 2007. Child Labour Migration and Trafficking in Rural Burkina Faso. *International Migration*. Wiley-Blackwell. June 2,45.
222. Larue B., Pouliot S., Constantatos C. 2009. Exports to Smuggle and Smuggling Technologies. *Review of International Economics*. Wiley-Blackwell. August 3,17. <http://www.ingentaconnect.com/search/article?option1=tka&value1=smuggling&pageSize=10&index=4>
223. Law J., Cantillon R. 1989. *The First Mississippi Fortune - Phase One - Richard Cantillon: Entrepreneur and Economist*. Oxford Scholarship Online Monographs. January.
224. Leeuwen F. 2009. Legal Responses to Trafficking in Women for Sexual Exploitation in the European Union (Edited by Heli Askola). *European Law Journal*. Wiley-Blakwell. November 6,15.
225. León F. 2010. Spanish legislation against trafficking in human beings: punitive excess and poor victim's assistance. *Crime, Law and Society; Change*. Springer December 5,54.
226. Levison D., Langer A. 2010. Counting Child Domestic Servants in Latin America. *Population and Development Review*. Wiley-Blackwell. March 1,36.
227. Li X., Feigelman S., Stanton B., Galbraith J., Huang W. 1998. Drug trafficking and drug use among urban African-American adolescents - A developmental risk factor model. *Journal of Adolescent Health*. Elsevier. November 5, 23.
228. Africa Research Bulletin: Political, Social and Cultural Series. 2009. Liberia: Drug Trafficking Threatens Peace. *Africa Research Bulletin: Political, Social and Cultural Series*. Wiley-Blackwell. September 8, 46.
229. Lobasz J. 2009. Beyond Border Security: Feminist Approaches to Human Trafficking. *Security Studies*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. April 2,18.
230. Lobasz J. 2009. Feminist Approaches to Human Trafficking. *Security Studies*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. April 3,19.
231. Lodge T. 2008. *Transformation and Trouble: Crime, justice and participation in a democratic South Africa, by Diana Gordon - African Affairs*. Oxford University Press . July 428, 107.
232. Louw A. 1997. Surviving the Transition: Trends and Perceptions of Crime in South Africa. *Social Indicators Research*. Springer. July 1-3, 41.
233. Loza O., Patterson T., Rusch M., Martínez G., Lozada R., Staines-Orozco H., Magis-Rodríguez C., Strathdee S. 2010. *Drug-related behaviors independently associated with syphilis infection among female sex workers in two Mexico-US border cities - Addiction*. Wiley-Blackwell. August 8, 105.

234. Lyttleton C. 2004. Relative Pleasures: Drugs, Development and Modern Dependencies in Asia's Golden Triangle - *Development and Change*. Wiley-Blackwell. November 5,35. <http://www.ingentaconnect.com/search/article?option1=tka&value1=drug+trafficking+in+Thailand&pageSize=10&index=1>
235. Machaj M. 2007. Against Both Private and Public Counterfeiting. *The American Journal of Economics and Sociology*. Wiley-Blackwell. November 5, 66.
236. Madani S., Akbari A., Ali M., Hassan R., Setareh F., Shiani M. 2011. Drug management in Iran: A periodical schema. *Addiction Research and Theory*. Informa Healthcare. April 2, 19.
237. Madsen W. 2000. NSA Chief Denies Massive Eavesdropping, Industrial Espionage. *Computer Fraud & Security*. Elsevier. July 7-1, 2000.
238. Mapp S. 2010. *Child Trafficking. Global Child Welfare and Well-Being*. Oxford Scholarship Online Monographs. August.
239. Mapp S. 2007. *Forced Labor - Human Rights and Social Justice in Global Perspective*. Oxford Scholarship Online Monographs. October.
240. Marneffe P. 2009. *Government Moralism - Liberalism and Prostitution*. Oxford Scholarship Online Monographs. November.
241. McClain N., Garrity S. 2011. Sex Trafficking and the Exploitation of Adolescents. *Journal of Obstetric, Gynecologic, & Neonatal Nursing*. Wiley-Blackwell. March/April 2, 40.
242. McKetin R., Kozel N., Douglas J., Ali R., Vicknasingam B., Lund J., Li J. 2008. The rise of methamphetamine in Southeast and East Asia. *Drug and Alcohol Review*. Informa Healthcare. May 3, 27.
243. Mcsherry B., Cullen M. 2007. The Criminal Justice Response to Trafficking in Persons: Practical Problems with Enforcement in the Asia-Pacific Region. *Global Change, Peace & Security*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. October 3,19.
244. Merlonghi G. 2010. Fighting financial crime in the age of electronic money: opportunities and limitations. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 3,13.
245. Mike D. 2002. Trafficking in Children in West and Central Africa. *Gender and Development*. Taylor & Francis Ltd. 1, 10.
246. Molland S. 2010. The Petfect Business: Human Trafficking and Lao-Thai Closs-Border Migration. *Development and Change*. Wiley-Blackwell. September 5, 41.
247. FATF. 2010. *Money Laundering Using Trust and Company Service Providers*. FATF. October.

248. Mugarura N. 2011. The institutional framework against money laundering and its underlying predicate crime. *Journal of Financial Regulation and Compliance*. Emerald Group Publishing Limited. 2,19.
249. Murphy A. 1997. *The Rise and Fall of the Mississippi Company, 1719 - John law: Economic Theorist and Policy-maker*. Oxford Scholarship Online Monographs. June.
250. Murphy D. 2004. Canada's laws on money laundering and proceeds of crime: the international context. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 1,7.
251. Musto J. 2010. Carceral Protestionism and Multi-Professional Anti-Trafficking Human Right Work in Netherlands. *International Feminist Journal of Politics*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. December 3-4, 12.
252. Nadelmann E. A. 1989. Drug prohibition in the United States. *Costs, consequences, and alternatives*. Science 1. September 4921, 245. <http://www.ingentaconnect.com/content/bp>  
<http://www.sciencemag.org/search?author1=EA+Nadelmann&sortspec=date&submit=Submit>
253. Nanthikesan S. 1999. Arms Trade: A global epidemic - *Development*. Palgrave Macmillan. December 4, 42.
254. Nasheri H. 2009. Economic Espionage and Industrial Spying. Cambridge: *Cambridge University Press*.
255. Nerlich V. 2010. Core Crimes and Transnational Business Corporations. *Journal of International Criminal Justice*. Oxford University Press. July 3-8, 8
256. Nersessian D. 2010. The Role of Other International Crimes. *Genocide and Political Groups*. Oxford July.
257. New Polish law to fight intellectual property theft. 1999. *Computers and Security*. Elsevier. 7,18.
258. Okada K., Katsuki M., Okada Y., Miyatake T. 2011. Immature performance linked with exaggeration of a sexually selected trait in an armed beetle. *Journal of Evolutionary Biology*. August 8,24.
259. Okuyucu G. 2009. Anti-money laundering under Turkish law. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 1,12
260. Onsuki N., Hanano K. 2000. Japanese Perceptions of Trafficking in Persons: An Analysis of the 'Demand' for Sexual Services and Policies for Dealing with Trafficking Survivors. *Social Science Japan Journal*. January 12,9.
261. Onuoha B. 2011. The state human trafficking and human rights issues in Africa. *Contemporary Justice Review*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. June 2,14.

262. Opronolla G., Maccarini M. 2010. The control system in the Italian banking sector: recent changes in the application of Legislative Decree. *Journal of Investment Compliance*. Emerald Group Publishing Limited. 2,11.
263. Pearson G. 2004. Trafficking Cocaine: Colombian Drug Entrepreneurs in the Netherlands. *British Journal of Criminology*. Oxford University Press. July 4,44.
264. Pedneault S. 2010. *Anatomy of a Fraud Investigation*. John Wiley & Sons, Inc.
265. Peixoto J. 2009. New Migrations in Portugal: Labour Markets, Smuggling and Gender Segmentation. *International Migration*. Publisher: Wiley-Blackwell. August 3,47.
266. Perl R. 2004. State Crime: The North Korean Drug Trade. *Global Crime*. Routledge, part of Taylor & Francis Group. February 1,6.
267. Preller S. 2008. Comparing AML legislation of the UK, Switzerland and Germany. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 3,11.
268. Quirke B. 2009. EU Fraud: institutional and legal competence. *Crime, law and Social Change*. Springer. June 5,51.
269. Rahmdel M. 2003. Money laundering in Iranian law: present and future. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 2,6.
270. Rathi A. 2010. Smuggling key factor in China's rare earth actions. *RSC Advancing the Chemical Sciences*. October.
271. Renz B. 2011. Traffickers, terrorists, and a 'new security challenge': Russian counternarcotics strategy and the Federal Service for the Control of the Drugs Trade. *Small Wars & Insurgencies*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. March 1,22.
272. Reder J. 2001. *Report of the United Nations Conference on the Illicit Trade in Small Arms and Light Weapons in All Its Aspects* New York. United Nations July 9-20.
273. Ridley N. 2006. Financial enmeshment? Banking systems in Western, and Central and South-Eastern Europe: The interacting factors of anti-money laundering, the rigours of transitional economy, and the underground illicit economy. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 1,9.
274. Rittossa D. 2009. Trafficking of Minors in Croatia: Present Situation. *European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice*. 2,17.
275. Ruiz M. 2003. The hiding of wealth: an Argentinean perspective. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 1,6.
276. Salt J. 2000. Trafficking and Human Smuggling: A European Perspective. *International Migration*. Wiley-Blackwell. Special Issue 1, 3,38
277. Schloenhardt A., Beirne G., Corsbie T. 2009. Trafficking in persons in Australia: myths and realities. *Global Crime*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. August 3,10.

278. Shahin W. 2005. De-listing from NCCTs and money laundering control measures: a banking regulation perspective. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 4,8.
279. Shelley L., Hussain N. 2009. *Narco-jihad: drug trafficking and security in Afghanistan and Pakistan*. NBR Special report №2. 12.
280. Silverstone D. 2011. From Triads to snakeheads: organized crime and illegal migration within Britain's Chinese community. *Global Crime*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. May 2,12.
281. Simwayi M., Wang G. 2011. The role of money laundering reporting officers in combating money laundering in Zambia. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 3,12.
282. Spiegel S., Le Billon P. 2009. China's weapons trade: from ships of shame to the ethics of global resistance. *International Affairs*. Wiley- Blackwell. March 2,85.
283. Stamp. J., Walker. J. 2007. Money Laundering in and through Australia. *Trends and Issues in Crime and Criminal Justice*. Australian Institute of Criminology, Canberra. 342.
284. Stewart P. 2011. Transnational Crime. *Weak Links*. Oxford. April.
285. Subbotina N. 2009. Challenges those Russian banks face implementing the AML regulations. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 1,12.
286. Sutherland E. H. 1940. White Collar Criminality. *American Sociological Review*. V.
287. OCDE. 2009. *Tackling Inequalities in Brazil, China, India and South Africa*. OCDE Questions sociaux/Migrations/Sante. OCDE. 15,2009.
288. Tackling Inequalities in Brazil, China, India and South Africa: The Role of Labour Market and Social Policies (Edition complète - ISBN 9789264088368 - en angl. seulement). 2010. *Source OCDE Questions sociaux/ Migrations /Sante*. OCDE. October 19, 2010.
289. Tang J., Ai L. 2010. Combating money laundering in transition countries: the inherent limitations and practical issues. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 3,13.
290. Terpstra J., Trommel W. 2009. Police, manage realization and presentational strategies. *Policing: An International Journal of Police Strategies and Management*. Emerald Group Publishing Limited. 1,32.
291. The International Association of Penal Law. 1925. *Journal of the American Institute of Criminal Law and Criminology*. Northwestern University. February 4,15.  
<http://www.jstor.org/action/showPublisher?publisherCode=nwu>

292. Klaus von Lampe. 2003. The Use of Models in the Study of Organized Crime. Paper presented at the 2003 conference of the European Consortium for Political Research (ECPR), Marburg, Germany. September.
293. Tiefenbrun S. 2010. Gendercide and the cultural context of sex trafficking in china. *Decoding International Law*. Oxford Scholarship Online Monographs. March.
294. Türksen U., Misirlioglu I., Yükseltürk O. 2011. Anti-money laundering law of Turkey and the EU: an example of convergence? *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 3,14.
295. Tyldum G. 2010. Limitations in Research on Human Trafficking. *International Migration*. Wiley-Blackwell. October 4, 48.
296. Vargas A., Backhouse J. 2002. Mexican suspicious transaction reporting: legislation. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 2,4. [http://www.amazon.com/s/ref=ntt\\_athr\\_dp\\_sr\\_1?encoding=UTF8&sort=relevancerank&search-alias=books&field-author=Alberto%20Barranco%20Chavarr%C3%ADa](http://www.amazon.com/s/ref=ntt_athr_dp_sr_1?encoding=UTF8&sort=relevancerank&search-alias=books&field-author=Alberto%20Barranco%20Chavarr%C3%ADa)
297. Vargas A., Backhouse J. 2003. Mexican suspicious transaction reporting: legislation. *Journal of Money Laundering Control*. Emerald Group Publishing Limited. 4,6. [http://www.amazon.com/s/ref=ntt\\_athr\\_dp\\_sr\\_1?encoding=UTF8&sort=relevancerank&search-alias=books&field-author=Alberto%20Barranco%20Chavarr%C3%ADa](http://www.amazon.com/s/ref=ntt_athr_dp_sr_1?encoding=UTF8&sort=relevancerank&search-alias=books&field-author=Alberto%20Barranco%20Chavarr%C3%ADa)
298. Vellinga M. 2004. Some Observations on Changing Business Practices in Drug Trafficking: The Andean experience. *Global Crime*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. 3-4, 6.
299. Warde I. 2007. The War on Terror, Crime and the Shadow Economy in the MENA Countries. *Mediterranean Politics*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. July 2,12.
300. Warf B. 2002. Tailored for Panama: Offshore Banking at the Crossroads of the Americas. *Geografiska Annaler: Series B. Human Geography*. Wiley-Blackwell. April 1,84.
301. Wheaton E., Schauer E., Galli T. 2010. Economics of Human Trafficking. *International Migration*. Wiley-Blackwell. August 4, 48.
302. United Nation. 2007. *WORLD DRUG REPORT*.United Nations Publication.
303. Yik-Yi Chu C. 2011. Human Trafficking and Smuggling in China. *Journal of Contemporary China*. Routledge, part of the Taylor & Francis Group. January 68,20.
304. Yurekli A., Sayginsoy O. 2010. Worldwide organized cigarette smuggling: an empirical analysis. *Applied Economics*. Routledge, part of Taylor & Francis Group. February 5,42.
305. Zaitch D. 2003. Trafficking Cocaine: Colombian Drug Entrepreneurs in the Netherlands. *Crime, Law and Social Change*. Kluwer Academic Publishers. 2,40.

306. Zartner D. 2010. The Rise of Transnational Crime: International Cooperation, State Contributions, and the Role of the Global Political Economy. *The International Studies Review*. Wiley-Blackwell. June 2,12.
307. Болотский Б. С. 1996. Проблемы противодействия легализации (отмыванию) доходов от нелегальной экономической деятельности. *Теневая экономика: экономические, социальные и правовые аспекты*. Материалы научной конференции 9 июля 1996 года. М.
308. Буряк Р. 2009. Незаконная торговля оружием. *Свободный стиль*. №10
309. Вей Д. 1999. Количество секс рабов в Австралии возрастает вчетверо. *Австралийская Ассошиейтед Пресс*. Декабрь.
310. ГТК Беларусь: Россия должна остановить поток контрабанды из Калининградской области - *АФН*. 16.02.2007
311. Интернационализация преступности и ответ движения социальной защиты. Европейская модель уголовного правосудия. 1994. *Уголовная юстиция: проблемы международного сотрудничества*. М.
312. Кадак Ю. 2009. Переворот отменяется. *Молодежь Эстонии*. № 26.02.
313. Лавров В. В. 2000. Противодействие отмыванию денег в Великобритании и международное сотрудничество британских правоохранительных органов в борьбе с транснациональной экономической преступностью. *Право и политика*. №2
314. Лунеев В. В. 2005. Права человека и преступность в глобализирующемся мире. *Общественные науки и современность*. №3. <http://ecsocman.edu.ru/text/16136912/>
315. Радаев В. В. 1998. Возвращение толпы: анализ поведения вкладчиков «финансовых пирамид». *Вопросы социологии*. Вып. 8.
316. Радаев В. В. 2002. Уроки финансовых пирамид, или что может сказать экономическая социология о массовом финансовом поведении. *Мир России*. т. 11.. №2.
317. Фаляхов Р. 2010. Таможенный союз контрабандистов. *Бизнес*. [http://www.gazeta.ru/keywords.shtml?tag\\_name=src&tag=%D0%F3%F1%F2%E5%EC+%D4%E0%EB%FF%F5%EE%E2](http://www.gazeta.ru/keywords.shtml?tag_name=src&tag=%D0%F3%F1%F2%E5%EC+%D4%E0%EB%FF%F5%EE%E2) (24.08.2010).
318. Хьюз Д. 2000. Теневой рынок: способствование процветанию или подрыв стабильности? *Journal of International Affairs*. Весна
319. Шленхард А. 1999. Организованная преступность и Бизнес по торговле мигрантами. *Экономический анализ*. Канберра: Австралийский Институт Криминологии. Ноябрь.

**საერთაშორისო კონგრენციები და შეთანხმებები:**

320. GIABA Organisation. 2010. *CORRUPTION - MONEY LAUNDERING NEXUS: AN ANALYSIS OF RISKS AND CONTROL MEASURES IN WEST AFRICA*. INTER-GOVERNMENTAL ACTION GROUP AGAINST MONEY LAUNDERING IN WEST AFRICA. May.
321. GIABA Organisation. 1988. *Drugs and money laundering in Panama: Hearing before the Permanent Subcommittee on Investigations of the Committee on Governmental Affairs, United States....* Congress, second session. University of Michigan Library. January 28.
322. Eleventh United Nations Congress. 2005. *Crime Prevention and Criminal Justice..* Bangkok. A/CONF.203/18. April 18-25 .
323. Fifth UN Congress on the Prevention of Crime and Treatment of Offenders. 1975. *Report on the Fifth Congress containing a summary of the proceedings, conclusions and recommendations as adopted by the Congress .* Report prepared by the Secretariat. Geneva, Switzerland. A.CONF.56/10. September 1-12.
324. Fifty-fifth Session United Nations General Assembly, Agenda item 105 Resolution adopted by the General Assembly. 2001. *United Nations Convention against Transnational Organized Crime*. A/55/383. January 8.
325. FATF. 1999. Financial Action Task Force on Money Laundering Issues a Warning about Austrian Anonymous Savings Passbooks. PAC/COM/NEWS (99) 15 . February 12.
326. Forty-ninth session United Nations General Assembly, Agenda item 96. 1994. *REPORT OF THE WORLD MINISTERIAL CONFERENCE ON ORGANIZED TRANSNATIONAL CRIME*. General Assembly. A/49/748. December 2.
327. Forty-ninth United Nations. 1995. *Prevention of Crime and the Treatment of Offenders.* 97th plenary meeting 21 December 1995 - A/RES/50/145
328. Fox C. 1999. *THE UNIDROIT CONVENTION ON STOLEN OR ILLEGALLY EXPORTED CULTURAL OBJECTS: AN ANSWER TO THE WORLD PROBLEM OF ILLICIT TRADE IN CULTURAL PROPERTY*. Washington College of Law, the American University.
329. OECD. 2009. *Magnitude of counterfeiting and piracy of tangible products .* Paris.
330. Ninth UN Congress on the Prevention of Crime and Treatment of Offenders. 1995. *Action Against National and Transnational Economic and Organized Crime, and the Role of the Criminal Law in Protection of the Environment: National Experiences and International Cooperation*. Working paper prepared by the Secretariat. Cairo, Egypt 28 April - 5 May - A/CONF.169/5

331. Ninth UN Congress on the Prevention of Crime and Treatment of Offenders - Cairo, Egypt  
28 April - 5 May 1995 - A/CONF.169/INF.1
332. OECD. 2009. *Peace and Security in Africa*. OECD Papers. OECD, April 1, 2009.
333. PROTOCOL TO PREVENT, SUPPRESS AND PUNISH TRAFFICKING IN PERSONS,  
ESPECIALLY WOMEN AND CHILDREN, SUPPLEMENTING THE UNITED  
NATIONS CONVENTION AGAINST TRANSNATIONAL ORGANIZED CRIME.  
2002. *UNITED NATIONS - Refugee Survey Quarterly*. Oxford University Press. August 1,  
21.
334. Raphael P. 2001. *Taliban and the Drug Trade*. CRS Report for Congress. October 5.
335. Report of the Secretary-General. 2010. *Protection against trafficking in cultural  
property*. February 23. E/CN.15/2010/4
336. Resolution E/CN.15/2010/12. 2010. *19 February 2010 Commission on Crime Prevention  
and Criminal Justice Nineteenth session Vienna*. May 17-21.
337. Seventh UN Congress on the Prevention of Crime and Treatment of Offenders. 1985.  
*Youth, Crime and Justice. Research in juvenile delinquency*. Report of the Secretary.  
Milan, Italy. A/CONF.121/11. 26 August - 6 September.
338. Sixth UN Congress on the Prevention of Crime and Treatment of Offenders. 1980. *Report  
on the Sixth Congress containing a summary of proceedings, conclusions and  
recommendations as adopted by the Congress*. Report prepared by the Secretariat. Caracas,  
Venezuela. A/CONF.87/14/Rev. 25 August - 5 September.
339. Texts on Religious Defamation, Child Rights, World Drug Problem, UN Crime Prevention,  
African Refugees, Year of People of African Descent in 2011. 2010. GA/SHC/4001.  
November 23.
340. United Nations. 2010. *Twelfth United Nations Congress on Crime Prevention and  
Criminal Justice*. Salvador, Brazil. A/CONF.213/L.6/Rev.2. April 12-19.
341. UN. 1998. *General Assembly Special Session on the World Drug Problem*. June 8-10.
342. UN. 1988. *United Nations Convention against Illicit Traffic in Narcotic Drugs and  
Psychotropic Substances*. Vienna. December 20.
343. UN. 2004. *UNITED NATIONS CONVENTION AGAINST TRANSNATIONAL  
ORGANIZED CRIME AND THE PROTOCOLS THERETO-UNITED NATIONS OFFICE  
ON DRUGS AND CRIME*. Vienna, UNITED NATIONS. New York
344. UNITED NATIONS NORMS AND GUIDELINES IN CRIME PREVENTION AND  
CRIMINAL JUSTICE: IMPLEMENTATION AND PRIORITIES FOR FURTHER  
STANDARD-SETTING. 2001. *Implementation of the Basic Principles on the  
Independence of the Judiciary*. Report of the Secretary-General - A/CONF.144/19/Corr.1

345. Vienna Declaration on Crime and Justice: Meeting the Challenges of the Twenty-first Century 17 January 2001 - 55/59 on the report of the Third Committee (A/55/593)
346. MOT. 2004. *Отчет Комитета экспертов МОТ по применению конвенций и рекомендаций (I)*. Женева. (Отчет III, Часть IA)
347. ООН. 1999. *Официальные предупреждения ООН о появлении новых рабынь проституции*. Квинта. Сентябрь 21.

### ინტერნეტი და სხვა წყაროები:

348. ეუთო საქართველოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარება. სივილ ჯორჯია. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=8201> November 25, 2004
349. Drug addiction in Pakistan - Pakistan: November 3, 2011
350. Encubrimiento y Lavado de Activos de origen delictivo. Unidad de Información Financiera. Creación. Modificaciones al Código Penal. Ley 25. 246
351. Group of States against Corruption. GRECO. [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/default\\_en.asp](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/default_en.asp)
352. Holleyman R. Why intellectual property theft in emerging economies matters for America. <http://dailycaller.com/2011/05/23/why-intellectual-property-theft-in-emerging-economies-matters-for-america/#ixzz1YC7zyeVD>
353. E/CN.15/2009/2. <http://www.unodc.org/documents/commissions/CCPCJ-session18/CCPCJ18-Documents/ECN15200902-R.pdf>
354. ILO Declaration on Fundamental Principles and Rights at Work and its Follow-up. Adopted by the International Labour Conference at its Eighty-sixth Session, Geneva, 18 June 1998 (Annex revised 15 June 2010). <http://www.ilo.org/declaration/thedeclaration/textdeclaration/lang--en/index.htm>
355. Leitzel J. 1998. *Corruption and Organized Crime in the Russian Transition.* <http://www.college.uchicago.edu/Programs/CollegePublicPolicy/corrupt.html>
356. Masterpieces Stolen From Paris Museum. <http://online.wsj.com/article/SB10001424052748703559004575255903983038016.html>
357. Money Laundering and Financial Crimes. U.S. Department of State. 2010. <http://www.state.gov/documents/organization/141643.pdf>

358. Nigerian Scams - 419 Scam Information. <http://www.hoax-slayer.com/nigerian-scams.html#nigerian-scams>
359. PARK SUE J. THE CULTURAL PROPERTY REGIME IN ITALY: AN INDUSTRIALIZED SOURCE NATION'S DIFFICULTIES IN RETAINING AND RECOVERING ITS ANTIQUITIES. [http://www.law.upenn.edu/journals/jil/articles/volume23/issue4/Park23U.Pa.J.Int'lEcon.L.931\(2002\).pdf](http://www.law.upenn.edu/journals/jil/articles/volume23/issue4/Park23U.Pa.J.Int'lEcon.L.931(2002).pdf)
360. Picasso's 'Boy with a Pipe' sells for \$104 million. <http://today.msnbc.msn.com/id/4910225/ns/today-entertainment/t/picassos-boy-pipe-sells-million/>
361. Pros And Cons of Offshore Investing. <http://www.investopedia.com/articles/02/020602.asp#axzz1YZSCe4IV>
362. Shoup T. Frequently Asked Questions. <http://www.scu.edu/ethics/publications/iie/v8n3/faqs.html>
363. TENTH UNITED NATIONS CONGRESS ON THE PREVENTION OF CRIME AND THE TREATMENT OF OFFENDERS. CRIME AND JUSTICE: MEETING THE CHALLENGES OF THE TWENTY-FIRST CENTURY. Vienna, Austria, 10 to 17 April 2000. <http://www.uncjin.org/Documents/10thcongress/10thcongress.html>
364. The Polity News. <http://www.polity.ge/georgia/tbilisi/2408-2010-11-09-06-07-28.html> 09.11.2010
365. THE STATUTES OF THE INTERNATIONAL PENAL AND PENITENTIARY FOUNDATION. <http://fondationinternationalepenaleetpenitentiaire.org/Site/documents/Statutes%20of%20t he%20IPPF.pdf>
366. The world museum community. <http://icom.museum/>
367. UNIS/CP/618, 10 June 2010 - "Organized Crime Has Globalized and Turned into a Security Threat". <http://www.unodc.org/documents/data-and-analysis/tocta/GlobalizationofCrime-PR-Final-English.pdf>
368. Universal Declaration of Human Rights. [http://www.ichrp.org/en/article\\_27\\_udhr](http://www.ichrp.org/en/article_27_udhr)
369. U.S. Departament of State. Money Laundering and Financial Crimes. <http://www.state.gov/j/inl/rls/nrcrpt/2000/959.htm>
370. VAROLI J. 2001. ARTS ABROAD. Purloined Harem Girls, and Other Russian Mysteries. *New York Times*. November, 28. <http://www.cdi.org/russia/johnson/5569-12.cfm>

371. Vincent van Gogh Paintings - Vincent van Gogh Paintings; Famous Gustav Klimt Paintings. <http://www.artpaintings.info/articles/7259/Gustav-Klimt-Paintings>
372. Выявление мошенничества на рынке финансовых услуг. [http://www.sas.com/offices/europe/russia/whitepapers/fraud\\_detection.pdf](http://www.sas.com/offices/europe/russia/whitepapers/fraud_detection.pdf)
373. Глобальный альянс против принудительного труда. <http://www.enbek.gov.kz/node/24333>
374. За последние годы за рубежом были убиты 13 усыновленных детей из России, 12 из них - в США. [http://www.newsru.com/crime/04may2005/deti\\_5.html](http://www.newsru.com/crime/04may2005/deti_5.html); Криминал в приемных семьях. <http://gelievna.livejournal.com/67412.html>
375. Инвестиционные схемы. [http://onbusiness.ucoz.ru/load/interesnaja\\_informacija/vidy\\_moshennichestva/investicionnye\\_skhemy/45-1-0-460](http://onbusiness.ucoz.ru/load/interesnaja_informacija/vidy_moshennichestva/investicionnye_skhemy/45-1-0-460)
376. Кудрин А. Мировой финансовый кризис и его влияние на Россию. <http://institutiones.com/general/1158-mirovoj-finansovyj-krizis.html>
377. Лейдхольд Д. 1998. "Проституция: современная форма рабства", выступление на рабочей группе Объединенных Наций по вопросам Современных форм рабства. Женева, Швейцария. Май. <http://www.uri.edu/artsci/wms/hughes/catw/slavery.htm>
378. Литвиненко А. Н. Приемы отмывания денег и легализации доходов. <http://www.ippnou.ru/article.php?idarticle=001353>
379. Лунеев В. В. 2000. Проблемы международного криминологического сотрудничества. <http://law.edu.ru/doc/document.asp?docID=1226209>
380. Международная Организация по миграции, Торговля и Проституция. 1995. Возрастающая Эксплуатация Женщин из Центральной и Восточной Европы. Женева, Швейцария. Международная Организация по миграции. Май. [http://www.iom.ch/IOM/Publications/books\\_studies\\_surveys/MIP\\_traff\\_women\\_eng.htm](http://www.iom.ch/IOM/Publications/books_studies_surveys/MIP_traff_women_eng.htm)
381. "Новые мафии из Восточной Европы," Марианна ен лине, 5 декабря 1997 года. <http://www.marianne-en-ligne.fr/12-05-97/dessus-b.html>
382. Паринго Р. "Проституция поворачивает на Запад", Ле Монде, 24 мая 1998 года; Е. Савона, "Организационные рамки Европейской преступности в процессе глобализации" (Токио, Япония: 108 Международный семинар по проблемам борьбы с организованной преступностью, 27 февраль 1998 год). <http://www.jus.unitn.it/transcrime/papers/wp20.html>
383. Побеги, уходы, бродяжничество, прогулы подростков. <http://www.shishkinily.narod.ru/uhody.html>
384. Разоблачения WikiLeaks: Россия – «мафиозное государство». <http://inosmi.ru/politic/20101202/164637510.html>

385. Хьюз Д., Л. Спорк и Н. Мендельсон. 1999. *Факты глобальной сексуальной эксплуатации*. Кингстон, Род Айленд: Коалиция против торговли женщинами.  
<http://www.uri.edu/artscli/wms/hughes/catw/factbook.html>

**საქანონმდებლო აქტები:**

386. საქართველოს პარლამენტი. 2001. საქართველოს კანონი „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ (№985. 22. 06. 2001). თბილისი. ბონა კაუზა
387. საქართველოს პარლამენტი. 2011. საქართველოს კანონი. საქართველოს ხისხელის სამართლის კოდექსი (№4981. 01. 07. 2011. თბილისი. ბონა კაუზა
388. Уголовный кодекс Австрии. 2004. Санкт-Петербург. Юрид. центр Пресс.
389. Уголовный кодекс Бельгии. 2004. Санкт-Петербург. Юрид. центр Пресс.
390. Уголовный кодекс Латвийской Республики. 1998
391. Уголовный кодекс Республики Беларусь. 1999 . м. Госполитидат
392. Уголовное уложение (уголовный кодекс) Федеративной Республики Германии. 2010.
- М.